



ჩვენი მწერო

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

29 მაისი 2015

№ 11 (245)

რეზო ესადის ლექსები
ქართული რობაის კვალზე
ზვიად გამსახურდიას ასი დღე
ნანა კუცია ბესო ხვედელიძეზე
სალომე კაპანაძე ოთარ ჩხეიძეზე
ინტერვიუ რუსუდან ქუთათელაძესთან
ოცდაორი ბულბული და ერთი დირიჟორი
თამაზ გოდერძიშვილი ჯანსუღ კახიძეზე
გალაკტიონი და ტერენტი გრანელი
ყაყაჩო — ადდგომის სიმბოლო
ცხოვრებას კაცად შერჩენილი
პოემა არარსებულ ადამიანზე
მუამარ კადაფის ნოველა



შინაარსი

ერთი მოთხროვის სივრცე	2	ნანა კუცია კანიკალიზმის ველში (ბესო ხვედელიძის „ზღვის სუპი“)
წარსული მოგავლისათვის	5	სალომე კაპანაძე სახელმწიფო პატრიოტიზმის გააზრებისათვის (ოთარ ჩხეიძის პოლიტიკური ესეები)
მსარსე-ინტერვიუ	8	რუსუდან ქუთათელაძე „...აბა, დღეს მე ვის რა ვარაბა“ (მომამზადა ნატა ვარადაძე)
დრამატურგია	12	დიმიტრი უჩანეიშვილი ბაკვეთილი
ერი და პედინწარა	16	როსტომ ჩხეიძე ძველი სიბუღას საიდუმლოება (ზვიად გამსახურდიას ასი დღე)
პოეზია	25	რეზო ესაძე უცნაური ტბა და სხვა ლექსები
	29	სერგი ლომაძე პომეა არარსებულ ადამიანზე
უსწოთის სწოვრებიდან	31	ლადა პანოვა „მოპარული“ „სალომეა“: ოსიკ მანდელშტამის სატრფილო ლირიკის ლიტერატურული პროტოტიპებისათვის
სილუაბი	36	ალექსანდრა ლელუაშვილი-მაჭავარიანი ნობელის კეთილი ასული — ჟორჟ სანდი
უსწოვლის თვალთ	38	იკა ქადაგიძე საქარტიველოს უახლესი პოლიტიკური ისტორია დასავლურად (სტივენ ჯონსის „საქართველო“)
კრიტიკა	44	ვანტანგ ბახტაძე ცხოვრებას კაცად შერჩენილი (გივი სომხიშვილის ნაწარმოებთა ერთი ასპექტისთვის)
გალაქტიონოლოგია	46	ნათია სიხარულიძე გალაქტიონი და ტარენტი ბრანელი (ზოგიერთი რამ პოეტურ სიდიდეთა გამო)
რეპორტაჟი	48	ეკა ბუჯიაშვილი ქართული რობინს კვალზე (ელგუჯა მარდიას რობოების წარდგინება)
მოგონებათა სივრცე	51	თამაზ გოდერძიშვილი ჭეშმარიტად გულწრფელი (ჯანსუღ კახიძე)
ლიტერატურული სწოვრება	52	ლია კარიჭაშვილი 17 მარტი: 30 აპრილს ტრაგედიის გაგრძელებად (გალაქტიონ ტაბიძის დღე ქართულ უნივერსიტეტში)
დაუვიწყარი სახელები	53	რიტა ბაინდურაშვილი „ვითარცა მაგალითი მწყემსი კეთილისა და სოფლის მნათობისა“ (მელიტონ კელენჯერიძე)
ეპიგრაფი	54	ლია კუხიანიძე დაბირეკეთ, მინდოდა მითქვამ... (სახელდახელო შთაბეჭდილებანი)
კულტურის სივრცე	56	იოსებ ჭუმბურიძე ოცდამეორე გულგული და ერთი დირიჟორი (პოლანდიური ფოლკლორული ანსამბლი „სლავეტი“)
საორბი	57	დავით ჭელიძე პირველი ქართველი დიდოსტატი (ბუხუტი გურგენიძე)
გამონათქვამი	58	კონსტანტინე ზ. გამსახურდია ყაყაჩო — ადამიანის სიგლოლო
ენის წიაღი	59	მიხეილ ანთაძე სიტყვის არქეოლოგია
პოეზიის მერიდიანები	61	რუსი პოეტები (ანა ახმატოვა, მარინა ცვეტაევა, ნიკოლაი გუმილიოვი, ალექსანდრ ბლოკი, ივან ბუნინი, სერგეი ესენინი, ბორის პასტერნაკი)
უსწოვრი ნოვალა	65	ნონა აბაშაძე მუამარ კადაფის ტრაგედია
	67	მუამარ კადაფი სიკვდილი
ამ მთისა და იმ ბარისა	71	ლომს კლანჭები აღარ უჭრიდა



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
გამოვა 2015 წლის 12 ივნისს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: დიმიტრი უჩანეიშვილი, ლადო ვაჩნაძის ფოტო
საბრატას თეატრი, ლიბია

ნანა კუცია

კანიბალიზმის ველუი

(ბასო ხვედელიძის „ზღვის სუპი“)

სიმბაგენი გაუმხელელნი საბუდარია
ახალ-ახალ ბოროტებათა.

ოთარ ჩხეიძე

გივი ალხაზიშვილის ჩანანერში „ცვალებადი რაკურსი“ კონსტატირებულ, არცთუ დიდი ხნის წინათ მომხდარ ფაქტს მწერლისეული, ტრადიციულად თავშეკავებული, უზუსტესი კომენტარი ახლავს:

„თვალცრემლიანმა დაჭრილმა სირიელმა ბიჭუნამ ამოიტირა: „ყველა თქვენგანს ვუჩივლებ ღმერთთან. ყველაფერს მოუყვებო.“

ამ სიტყვებმა არა მარტო საავადმყოფოს მედპერსონალზე იმოქმედა, მთელი მსოფლიო შეძრა. როგორც ამბობენ, ბავშვი გადაარჩინეს. მისი სიტყვები დაუეცნყარია და შემადრწუნებელი — ომის ავტორებისთვის წყველასავით უნდა ისმოდას („ლიტერატურული გაზეთი“, 16-29 იანვარი, 2015).

„ომის ბავშვების“ თემა ხელოვნებაში არახალია, მხოლოდ ომია სულ ახალ-ახალი, ადამიანეთი კი — „იგივე მარად და მარად“ — ბრმა და ყრუ გაუგონარ დანაშაულთა მიმართ.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში თემის განსაკუთრებულ, ფატალურ აქტუალობას დაუსრულებელი, განუკურნელი „წყველაკრულვიანი საკითხავი“ განსაზღვრავს და ჩნდებიან ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“-ს, თამთა მელაშვილის „გათვლის“... ტრაგიკული და ნათელი პერსონაჟები — უსახურ ომთა ყველაზე სახიერი, ყველაზე მონყვლადი მსხვერპლნი.

ბესო ხვედელიძის „ზღვის სუპი“ („ლიტერატურული პალიტრა“, №1, 2015) ამავე — ესქატოლოგიური — რკალის ერთ უნათლეს ფურცლად აღიქმება (ნუ დაგვაფრთხობს ოქსიმორონი — „ესქატოლოგიისა“ და „ნათლის“ დაწყვილება. უმრუმეს ესქატოლოგიურ ველშიც ნათელი რომ დაუმარცხებელია, ამავე ნოველაშიც დასტურდება. არქეტიპულ კონცეპტად, რა თქმა უნდა, „სახარების ქართული ტრანსკრიფციის“ — „ვეფხისტყაოსნის“ (გურამ ასათიანი) ციტატა რჩება — „ბოროტსა სძლია კეთილმან.“

„ღმერთიანი მოთხრობების“ ავტორისაგან ამ კონცეპტის რეპრეზენტირება ბუნებრივია და მოსალოდნელი. ბესო ხვედელიძე არ წუნუნებს, რომ პოსტმოდერნიზმის ხანაში შეუძლებელია ლოგიკურად, თანმიმდევრულად წერა, ტექსტს არ ჩეხს აუკინძავ, შეუკონინებელ ნამსხვრევებად, ძერწავს, მაგრამ არ ტკბება პათოლოგი (უფრო ზუსტად, პათოლოგიად ქცეული) პერსონაჟით, მაგრამ „ზღვის სუპი“ კლასიკური პოსტმოდერნისტული ტექსტია — ორმაგი კოდირებით, ინტერტექსტუალობით, მეტატექსტურობით.

ხელისვლსოდენა ნოველაში (პარაბოლადაც რომ წაიკითხება) მკითხველი მეგანარატივის სურნელს იგრძნობს, ბიბლიისა თუ მითოსის არქეტიპული ველიდანვე მონაბერ მადლს „გრძელი სიტყვის მოკლედ თქმისა“, მითუმეტეს, რომ ამბავი ისეთია, სიტყვა შეგაცივდება. ხუთიოდე პერსონაჟით, ჩაკეტილი ლოკალითა და გაჩერებული დროით, ყოველგვარი კომენტარის, ნიაღვრისა თუ ლირიკული ინტერ-

მეცოს გარეშე მოჰყვება მწერალი ათასწლეულის მიწურულს საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიაზე.

დღეს ლიტერატურასა და კინემატოგრაფიკ (პოლიტიკაზე რომ არაფერი ვთქვათ) მოდაშია რაკურსის გაუგონარი შებრუნება, დამნაშავის მსხვერპლად, მკვიდრის მარბიელად, საკუთარი ქვეყნის დაცვის მცდელობის „პროვოკაციაზე“ ნამოგებად“, დევნილის ლამის დამნაშავედ (არასწორად ცხოვრობდა, არასწორად გადარჩა, არასწორად ცხოვრობს, არასწორად მეტყველებს) პრეზენტირება-წარმოჩენა, ყოველად აუხსნელი (ან სწორედაც ძალიანაც ახსნადი) თვითგვემისათვის „ყველასთან დამნაშავე ქართველის“ ნაქეზება, ქართველისა, რომელმაც მკვიდრისმანტიანამოფარებულ მომხდურთ თურმე პასტორალურ-იდილიური სიმყუდროვე დაურღვია და, ისლა დაგვრჩენია, მათი შემორიგებისა და მონივლისათვის ვიცოცხლოთ.

„ძირკველთა საძირკველის“ (ესმა ონიანი) გლობალური რყევის მიზეზი მასისათვის გასაგებ ენაზე ტიპურ, მეტყველ, გამჭვირვალესათაურიან პოსტმოდერნისტულ ფილმში — „ემპაკის ადვოკატშია“ განმარტებული.

ბესო ხვედელიძე ემპაკს როდი, ბუდემოშლილ ბავშვებს „უფაქილებს“, მათ სახეებს ამოხატავს უკეთეს დროთა იმედით. თავად როდი მოგვევლინება გულგრილ ნარატორად, განსმდგომ ავტორად, ახალგადავინლებული პატარა დამძის დიალოგით გააცოცხლებს ჟამიან ჟამს.

ამბის ფაქტურა იმდენად ფაქიზი და გამჭვირვალეა, იმდენად ტრაგიკული, ერთდროულად „ნაჭედივით მტკიცე“ და „ნაქსოვივით ლბილი“, ნარატივის ოქსიმორონული არსის გადმოსაცემად მთელი ტექსტის გადმონერა იქნებოდა უპრიანი.

- „... იმ მთის იქით ჩვენი ძველი სახლია...“
- და ახლა ვისია ჩვენი ძველი სახლი?
- სხვების...“
- და ისევ ჩვენი როდის იქნება ჩვენი ძველი სახლი?
- მამიკომ თქვა, ჩვენი ადგილი აღარ არისო.
- მე რო პატარა ვარ?
- მერე რა?
- მე დავეტეოდი.“

უზუსტესი რემარკა ტრივიალურ კომენტარს არ ითხოვს. სახლის ნაცვლად პატარები ახლა ზღვისპირა, ფარდალალა ფიცრულში ცხოვრობენ.

დიალოგის მხოლოდ ერთი ასპექტი, ერთი რაკურსი გავამკვეთრეთ. ტექსტში მრავალწერტილთა ადგილას „მზისფერი კენჭების“ შეგროვება კონსტატირდება — დეკემბრის ცივი, სველ ქარში, ზღვის პირას. უფაქიზესი დეტალით, ორმაგი კოდირებით ავტორი ძველთუძველ არქეტიპსა თუ კონცეპტზე მიგვანიშნებს („მარადისობა — კენჭებით მოთამაშე ბავშვი“), მაგრამ ინგა და მანუჩარი არ თამაშობენ — ზღვის სუპს ხარშავენ ფერადი კენჭებითა და მამის მიერ მოტანილი წინვებით, გირჩებით, „ველური ქინძით.“

ტექსტს რამდენიმე პერსონაჟი ჰყავს: უსახელო მამა, პატარა და-ძმა — ინგა და მანუჩარი, დევნილობამდის მათივე მეზობელი მოხუცი ცოლ-ქმარი დარია და კარლო. დროდადრო კრთება გარდაცვლილი დედის აბრისიც (ბავშვები იხსენებენ და ვერც იხსენებენ მისგან ნასწავლ „მამაო ჩვენო“ — ტექსტის ობერტონს თუ სულაც ძირითად მოტივს, რადგანაც მრავალჯერის გამეორებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, არეული ლოცვა-ვერთადერთი იმედი გაუსაძლისი შიმშილისა და გასავათებულის, ცოფიანი, დუჟმომდგარი ძაღლებისაგან გადარჩენისა).

ამბავი, ტექსტი მარტივია, ქვეტექსტი და კონტექსტია რთული და მძიმე.

შიმშილიცა და ძაღლებიც „გაღმა“ დატრიალებული ტრაგედიის — პოლიტიკური კანიბალიზმის შედეგია.

„გალმა ნაპირზე“ მომხდარი ორიოდ ფრაზით აღინერება: „შავი თვითმფრინავებიც დაფრინავდნენ, ყავისფერმა გემმაც გაიარა“, „ზღვამ კიდევ ერთი მკვდარი კაცი გამოორიყა.“

დამთრგუნველი დეტალები მხოლოდ ანტურაჟია ამბისა. პერსონაჟები არც ალიქმებიან ტიპურ დევნილებად — სახლი ახლოა (და ისე შორი), ზღვაც — ახლო, ოღონდ მშობლიური აღარაა, დეკემბრის მღვრიე სტიქიაა, გვამებით სავსე (იგივე ენიგმა ზურაბ კანდელაკის შესანიშნავ რადიოპიესა „კალეიდოსკოპშიცაა“ კონსტატირებული), უპიროვნო, „საცა იკარგება ნაპირი და დაინთქმის პირი“ (გრიგოლ რობაქიძე).

ჯერ არავის შეხიზვნიან სამადლოდ, არსობის პურსაც (ანუ ზღვის სუპსა და გირჩებსაც) თავადვე მოიპოვებენ, მაგრამ უკვე იციან — გზა შინისაკენ უსაშველოდ შორია და გრძელი. სამკვიდროდან მეზობლებზე ოდნავ გვიან გამოსული კარლო ბავშვების მამის რემარკას, „ცოტაც დავიცადოთ, იქნებ დამთავრდეს ეს წყეული“, უპასუხებს: „ეს ომი კი არა, ჯოჯოხეთია... ყველაფერი ვნახეთ. სხვებს ეგონათ, დაგვინდობნენო, და გამოვიდნენ სამალავიდან... დამპალი ხურმის ფერი იყო იმ დღეს ზღვა.“

ახლა რუხია, „ახლა ზღვაში შესვლა არ შეიძლება. ცივია და მოკვადებით“ — კვლავ ორმაგი კოდირებით დაიყურსება ციტატა.

აქვეა ჭაობიც — კონკრეტულ ლოკალზე მითითებაც და „ჭაობის“ არქეტიპულ არსზე მინიშნებაც.

მრავალდღიანი შიმშილისაგან ლამის გონსგადამცდარ მოხუც დარიას ხან ზღვისგან გამორიყული ცხედრის, ხანაც ბავშვების დანახვაზე ადგება ნერწყვი (არც ეს თემია ახალი ხელოვნებისათვის — ადამიანის კანიბალად ქცევა ექსტრემალურ ველში. კლასიკურ ნიმუშებად ბო ძიუ-ის ციტატა („წლევანდელ ზაფხულს ძიანანი გვალვამ გადაწვა, ადამიანი ჭამენ სოფლად ადამიანებს“) ან ანდებში ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ამბავიც იკმარება), განათების ნამებში კი შეძრწუნებული პირჯვარს იწერს. მის მიერ ზღვის სუპის ქვებთანად „შეხვერება“ სავსებით გაცნობიერებულ თვითმკვლელობად აღიქმება — უბედური მოხუცი ადამიანად სიკვდილს არჩევს.

ტექსტში არ კონკრეტდება, რატომ ვერ ბრუნდებიან საკვების საძებნელად გასული მამა და კარლო — გალმა ნაპირზე შემთხვევით (შინ — „შემთხვევით“!) გადახეტებულნი დახვრიტეს თუ მანანწალა ძალღაბა ხროვის მსხვერპლნი გახდნენ. ეს არც არის არსებითი. ხაზგასმულია ადამიანეთის და გამხეცებულ ცხოველთა არქეტიპული მსგავსება, უკანასკნელთ იქნებ უფრო დაენდოთ, თუ არადა, ის ხომ მანინც გასაგებია, რომ ნადირი შიმშილის გამო კლავს, ადამიანი კი — გასართობად თუ მხეცური ჟინის მოსაკლავად.

დიდების გარეშე, ფატალურ სივრცეში (მერე რა, თუ „გამარჯვებულები“ გამოღმა ნაპირზე არ გადმოდიან) მარტოდ დარჩენილი პატარები ჯერ დარიას დაკრძალვენ (ადამიანურობის ერთი უარსებითეს ნიშნითაგანი), მერე კი ნაპირ-ნაპირ გაუყვებიან გზას უსახელო მამის საძებნელად. პარადიგმა იმდენად გამჭვირვალეა, კომენტარსაც არ საჭიროებს.

უსახელო მამა დამშეული ბავშვების მზერას კენჭების სილამაზეს მიაპყრობდა და ჯოჯოხეთშიც ასწავლიდა მთავარს: „ხვალ დაუბრუნეთ ქვები ზღვას, მადლობა უთხარით და ახლები შეაგროვეთ“ („კმა დღისად სიბოროტე თვისი“).

ამგვარი ცოდნა არ დაავინყვებიათ, დედისაგან ნასწავლ ლოცვასავით აღუდგებიათ ოდესმე, თუ იცოცხლებენ (ეს აცოცხლებთ). ეს ცოდნა არაა, სიბრძნეა.

მოთხრობის უკანასკნელ აკორდებსა თუ კადრებში ესქატოლოგიურ ველში საბოლოოდ აღდგება ლოცვათაგან უპირველესის საკრალური ქსოვილი: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფვა



ბესო ხვედელიძე

შენი, იყავნ ნება შენი...“ და კვლავ ბესო ხვედელიძის სტილი-სათვის ნიშნული და ბუნებრივი — უზუსტესი რემარკა: „პური ჩვენი არსობისა... — ეგ უფრო მერეა.“

პური ყოველთვის „მერეა“, რადგან „არა პურითა ხოლო“...

შიმშილის ველი გადალახულია, გადავლილია — ლოცვით, სიტყვით. ცოფიანი ძაღლებისაღა დარჩა. სილამაზის დამნახვებელი მამის, ლოცვის მსწავლებელი დედის შვილები უკანასკნელი განსაცდელის — დუჟმორეული ცოფიანი (ოდესღაც შინაური, ადამიანთა გამხეცების ჟამს მხეცადქეული) ძაღლების — პირისპირ დგანან. ხროვა წრეს კრავს, ზღვასთან მიიმწყვდევს პატარებს და სწორედ აქ ხდება ის, რაც ტექსტს ანტიკური ტრაგედიის სიმძაფრეს, ბედისწერულობას შესძენს — პატარა ინგა კაბას გადაიძრობს (რათა ნადირმა სუნი უკეთ იკრას) და, თუმცა ხედავს და აცნობიერებს უშორეს ხემდე გადაულახავ მანძილს, უახლოეს ხემდის მირბენის საშუალება რომ მისცეს პატარა ძამიკოს, თავად გაიყოლიებს, დაიდევნებს ცოფიან სიკვდილს.

აქაც რემარკაა, ბოლომდის დაწურული და უემოციო, ტექსტის „ღერძი და ლვედი“ (ნიკო ყიასაშვილი):

„— მე ვიცი, — დაუყვირა ინგამ.

— რა იცი?

— მე ვიცი.“

მერე ფინალია — ისიც ლაკონიური, დაწურული (სრულად ამოვნერთ):

„ხეზე ჩაძინებულ მანუჩარს ესიზმრა, რომ დილით მალალ ხეზე, ორ ტოტს შორის გახიროს გაღვიძა. სიზმარში მანუჩარმა ჯერ მოქუფრული ცა დაინახა, მერე დეკემბრის ზღვას გახედა და სიცივისაგან გააყრყოლა. სიზმარშივე მანუჩარმა მეორე ხისკენ გაიხედა. ხეზე არავინ იჯდა.

— ინგა, — წამოსცდა სიზმარში ნიკაპაკანკალეზულ მანუჩარს და, ის იყო, ტირილს აპირებდა, ხის ძირიდან სიმღერის ხმა შემოესმა. სიზმარში მანუჩარმა დაბლა გადმოიხედა. ხესთან პატარა კოცონი ენთო. იქვე უკვე ჩაცმული ინგა ტრიალებდა და კენჭებს ლილინით აგროვებდა.

— ნავიდნენ? — ჩამოეკითხა დას სიზმარში მანუჩარი.

— გაიქცნენ.

— მამიკო?

— ჩამო, იქამდე მამაო ჩვენო გავიხსენოთ.

— და ზღვის სუპი ვჭამოთ?

— ხო.

სიზმარში, ქვიან ზღვისპირას დანთებულ კოცონზე გამურული ქვაბი იდგა და შიგ ზღვის ცხელი სუპი თუხთუხებდა.“

სულიერი და ხორციელი ხსნის ერთადერთ გზად ტექსტში თავგანწირვაა მონიშნული. ინგასეული, ლაკონიური „მე ვიცი“ „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მაღალ სიბრძნეს იმეორებს: „ვიცი, რაისთვის ვარ.“

ყოფის საზრისი ზრუნვააო, ნერდა მარტინ ჰაიდეგერი. ესქატოლოგიურ ბნელს გაცნობიერებული მსხვერპლადმეწირვის შუქი ანათებს, „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო“ — უფლის სიტყვაა.

ეს მარადი სიბრძნეებია, მაღალი ყოფიერების მარადი მოდუსები. გურამ დორჩანაშვილის მრწამსითაც, მწერლის დანიშნულება ცხვა რაა, თუ არა ის, რომ „ბიბლიის მარადი სიბრძნეები შეახსენოს“ გაცოფებულ ადამიანებს.

სხვა რემარკაშიც კონსტატირდება ცოფის სიბნელე:

„მზე არ ჩასულა?“

— რა უნდა აქ მზეს?“ (მსგავსია ფინალი მაკა გოგუაძის რომანისა „ერზაცი ისევ ხუმრობს“: „მზეს რა ამოიყვანდა?!“).

ტექსტის ესქატოლოგიურმა კარკასმა რამდენიმე ასოციაციაც წამოშალა.

ზოროასტრულ მგლებს მიმსგავსებული ძაღლების ფერხულმა შერვუდ ანდერსონის ნოველა-იგავი „სიკვდილი ტყეში“ მოგვაგონა, მოხუცი ქალის გარდაცვალების მზრინავი სცენა: („ძაღლებმა თამაში დაიწყეს, განაკაფში წრეზე დარბოდნენ, ცხვირით ერთმანეთს კუდებს ეხებოდნენ. ფაფუკ თოვლში წრეზე ჩუმი ქროლვა გადაფიფქულ ხეებსა და ზამთრის მთვარის ქვეშ საოცარ სანახაობას ქმნიდა, დაკრძალვის ცერემონიას ემსგავსებოდა: — მგლები აღარ, ძაღლები ვართ, კაცთა მსახურები. სიცოცხლეს მოეჭიდე, ადამიანო! მოკვდები თუ არა, კვლავ მგლებად ვიქცევით...“ — თარგმანი ჩვენია).

ანდერსონთანაც სიკვდილის მაცნეებად ჩნდებიან მგლისდარი ძაღლები.

მიხილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ ანალიზისას, 20-იან წლებში გამოცემული ტექსტის ყდაზე მხატვარ სოსო გაბაშვილის მიერ ორი ძაღლის გატანას გალაკტიონის ციტატას („ბიბის ორი ძაღლი, მათ ისტორია ვერ დააფეთებს, პირიდან გლეჯენ ერთიმეორეს ხორცის ნაფლეთებს“) უკავშირებს ბრწყინვალე წერილში მკვლევარი ნონა კუპრეიშვილი: „ნახატი არა უბრალოდ გაანჩხლებული ძაღლების, არამედ ავად ბალახაშლილი, ლამის მგლებად მოქცეული, ძველი ზოროასტრული გადმოცემით, მიცვალებულთა ლეშით მადააღძრული არსებების ილუსტრაციაა... ჯავახიშვილ-გაბაშვილის ინტერპრეტაციით, ხორციჭამიობის საზარელ წესს დემონური არსებები აღასრულებენ... ესქატოლოგიური განგამის განცდა სამყაროს მთლიანობის, მისი მყიფე კოსმიური ნესრიგის რღვევით იყო გამოწვეული, ნესრიგისა, ქვესწვნილიდან ამომსკდარი ბნელი ძალა, „ნითელი ეშმა“ რომ ემოქრებოდა“ (ორი ძაღლი — გახლეჩილი სამყაროს სიმბოლო, სიტყვის დეგუსტაცია, თბ., 2013, 257).

„ნითელი ეშმას“ სახელმწიფოს რღვევის რეციდივია მეოცე ასწლეულის მინურულს საქართველოში (მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც) დატრიალებული ტრაგედია.

ოლესია თავაძის „სევდიან ჩანაწერებში“ სულ სხვა კონტექსტია, თუმც მაინც მოგვაგონდა „ზღვის სუპის“ კითხვისას: „მშვიდობიან დროს ამისთანა ფიქრები ყურით მოთრეული გგონია... ჩვენ მიერ, ჩვენივე, ადამიანებში ატეხილი ომების დროს ვინმეს თუ მოუცლია, ყოვლად უდანაშაულო ჩვენი თანამცხოვრებლების მსხვერპლი დაეთვალი: რამდენი ფრინველი, ბელი თუ შველი, შინაური თუ გარეული...“ (პირადად ჩემთვის აფხაზეთის ტრაგედიის ყველაზე დაწურული, ტევადი ხატი გულგრილ, ანცად მოალერსე ტაღლებში გაშეშებული, ბუნდოვანებაში გადაბნილი პატრონის ტკივილიანი მზერით მძებნელი მონადირე ძაღლია — კადრი,

ოცდაშვიდ სექტემბერს მოვალეობის მოსახდელად გალიზიანებულნი რომ ატრიალებენ ხოლმე ტელევიზიები სოხუმის დაცემის მორიგი წლისთავისადმი მიძღვნილ ორწუთიან რეპორტაჟებში).

გალიზიანება „მარგინალური თემით“ მხოლოდ ტელევიზიების სენი როდია.

შესანიშნავი კრიტიკოსი, ღრმა და ჭკვიანი ქალბატონი ლელა კოდალაშვილიც რატომღაც გაულიზიანებია „ზღვის სუპს“:

„ანტიპათია ტექსტის კითხვისას მაშინ ჩნდება, როცა ავტორს გადაწყვეტილი აქვს, ნებისმიერი ხერხით აგვიჩუყოს გული. ეს ჰორორის ტიპის დრამა თემატურად და სიუჟეტურად საინტერესოა, მაგრამ ავტორს არანაირად არ ჰყოფნის სხვა ხერხების მოშველიების უნარი, რომ როგორმე დამაჯერებელი გახადოს აღწერილი ისტორია, როგორმე ჩავგვიტოროს ამბის ემოციურ აღწერაში. საერთოდ, არ არის იოლი მძაფრი თემების დამუშავება, მითუფრო, რომ ჩვენს ლიტერატურას ამგვარი ტრადიცია დიდად არა აქვს... ავტორი ცდილობს, მშრალად აღწეროს მოვლენები, რომ სენტიმენტებს ასცდეს, მაგრამ მეტისმეტი მოსდის და ხელთ გამოფიტული, გამომშრალი ტექსტითა გვრჩება, პერსონაჟების ჩონჩხად ქცეული. ვერ ვიტყვი, რომ ეს ხერხია, ეს უფრო ზომიერების შეგრძნების დაკარგვაა“ (თუმც კრიტიკოსი იმასაც დასძენს, რომ, „ნაკლის მიუხედავად, მოთხრობას პროფესიული, მწერლური კვალი ატყვია, განაფული ნამუშევარია, სხვაგვარად წარმოუდგენელიც კია მწერლისაგან, რომელსაც ამ ჟანრში წერის დიდი გამოცდილება აქვს“ (ქართული სამწერლო არენა — ბრძოლა წესების გარეშე, „ლიტერატურული გაზეთი“, 30 იანვარი-12 თებერვალი, 2015).

არა მგონია, ბესო ხვედელიძის მიზანი „ჰორორის ტიპის დრამით“ ნებიერი მკითხველისათვის „გულის აჩუყება“ ყოფილიყო. ვერცერთი ტექსტი, თვით ყველაზე დიდოსტატურად დანიშნულიც კი, ოდნავაც ვერ დავგზავნავს ისე, როგორც ომის რეალობა, საკუთარი თვალით ნანახი და საკუთარ თავზე გადატანილი აბსურდი ომისა. ალბათ, მხოლოდ მაშინ ვლიზიანდებით და ესთეტიზმის ნაკლებობას ვწუნუნებთ, როცა საუბარი „სხვის ომსა“ და „სხვის ჭირზეა“. არც ის მგონია, ჰომეროსს მკითხველის ესთეტიური გრძნობების შეურაცხყოფა განზრახა, როცა სკრუპულოზური სიზუსტით, ანატომიური გამოწვლილვით აღწერდა გმირთა სიკვდილის შემზარავ სცენებს „ილიადაში“. დიდი მწერლები გულისამრევი ნატურალისტური სცენებითაც „განზრქელებული“ ადამიანების შეფხიზლებას თუ ცდილობენ, ომის ნამდვილი — სწორედ არაესთეტიური, არაადამიანური სახის წარმოჩენას. ამ სახეს (უკეთ — უსახურობას) ვერაფერს შველის ადამიანურის ცალკეული გამონათებანი, რასაც, მაღლობა ღმერთს, უშვეებს ხოლმე უფალი ყველაზე სასტიკ ომებშიც კი...

ბესო ხვედელიძე ომის კანიბალური ასპექტის გამკვეთრებით როდი იფარგლება. მწერალი ტოვებს გზას — ერთადერთს, გადამრჩენელს, დამადასტურებელს, რომ ადამიანი გავმეხებული ნადირი კი არა, მსგავსება და ხატებაა უფლისა — გზას მსხვერპლადმეწირვისა, გზას დავინყებულ-გასახსენებელი „მამაო ჩვენოსი.“

აკი „ქრისტიანობა არის ადამიანის ხელახალი დაბადება არა ყოვლისშემძლეობით, არამედ მსხვერპლმწირობით სიყვარულით“ (წმინდა მამათა გამონათქვამები, სერგი ბულგაკოვი, „კარიბჭე“, 1-14 იანვარი, 2015).

კიდევ ერთი „ღმერთიანი მოთხრობაა“ „ზღვის სუპი“ — „მამაო ჩვენოს“ მაღლით, თავგანწირვის შუქით განათებული... მანუჩარიც, თუ ვერ გადარჩება, აუცილებლად „ყველაფერს მოუყვება ღმერთს.“ თუ გადარჩება — მითუმეტეს...

სალომე კაპანაძე

სახელმწიფო პატრიოტიზმის ბაზრებისათვის

(ოთარ ჩხეიძის პოლიტიკური ესეები)

მეოცე საუკუნის საქართველოს გრძობადი რეალობის სახელდება „ხელმწიფის ნაგვი“ მსხდომ ხელოვანთათვის არასოდეს იყო შესაძლებელი და ამ თეზასაც ყველი არასოდეს გაუფა. არგუმენტების ძიება მათი მხატვრული მატთანის სარეაბილიტაციოდ ერთობ რთული საქმე გახლავთ და მიუხედავად დროჟამისა, სამიზნედ ყველა როდი გამოდგება. ყველა ეპოქაში ხელოვანის სინდისზე ბევრად იყო დამოკიდებული ქვემარტებისათან მიახლების ადამიანური თუ სახელმწიფოებრივი ბედნიერება. „მე არც პოლიტიკოსი გახლავართ, არც დიპლომატი, არც რაიმ ჩინოსანი სახელისუფლო, არც არლეკინი ვარ რალა თქმა უნდა, მე არა ვთამაშობ, ვარ მაყურებელი სინამდვილისა“ — მოკრძალებულად იტყვის ამ ნამუსიან ხელოვანთაგან ერთ-ერთი. გავა დრო, სხვათა და სხვათა ხელმწიფობის ჟამს ნაგრძობ-განცდილი 2014 წელს ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტების“ ქუდექვემ ერთად მოიყრის თავს, სადაც კომფორტული შესაძლებლობა გეძლევა საფუძვლიანად იგრძნო ოთარ ჩხეიძის პროფეტულობა და დროის მიღმა მდგარი სიმართლე, კიდეც ერთხელ დარწმუნდე, რომ მწერალმა აღიარებამდე ბევრი რამ უნდა გადაიტანოს. არც იმ რეალობამ უნდა დააფრთხოს, როცა სიცრუეს უმრავლესობა იზიარებს, და არც იმან, რომ მასებისგან შელანძლულს შესაძლოა „ჯვარზე გასვლა“ მოუხდეს.

ოთარ ჩხეიძის ერთ-ერთ სტატიაზე „სახელმწიფო უპირველესყოფისა“ ვასილ კიკნაძე აღნიშნავს: „სანთლით რომ ეძებოთ, ასეთ სტატიაზე ვერ წაიკითხავთ. თუ ვინმემ იცის, როგორი გზა გაიარა ბატონმა ოთარმა, ერთი იმთავანი მეცა ვარ. ყოველი მისი ნაწარმოები მთავრობისა და მის მომხრეთა გაღიზიანებას იწვევდა მუდამ. პიესების დადგმა ხომ მთელი პრობლემა იყო. ჩვენს თანამოაზრობაზე ბატონმა ოთარმა არაერთხელ დანერა და მეც მოვიგონე ბევრჯერ. ახლა აღარ მინდა გავიმეორო. ბატონი ოთარი ყოველთვის იყო დისიდენტური აზროვნების მწერალი. მართალი სიტყვის ეშინოდა მთავრობას, სიტყვას ძალა ჰქონდა, დღეს არავის ეშინია, არც ფასი აქვს მართალ სიტყვას. მაშინ გმირობის ტოლფასი იყო მისი მწერლობა. დღეს ყველაფერი გაიოლებულია. ვისაც გინდათ, იმას უწოდებთ დიდ მწერალს, დიდ ხელოვანს, თუ სურვილი გაქვთ — გენიოსსაც“.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს ოთარ ჩხეიძის შემოქმედების შესაფასებლად მონიშნული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი — დროულად დანახული და გამჟღავნებული სიმართლე, თორემ დღეს, ღირებულებათა გაორებისა და დემოკრატიზმის ეპოქაში, მართლაც რომ დაკარგვია სიტყვას ფასი და არც სიმართლის თქმა მოჩანს დიდ რანდობად. ოთარ ჩხეიძისა არ იყოს, „სიცრუის მხილება აუცილებელია — იქვე, იქავე!.. თუ გაგეშვით, ვეღარც დაიჭერთ, ამოჭხეთქავს ღვარძლი და ძირმწარა, ამოჭხეთქავს, ველარას უშველით“.

ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტები“ სიცრუის მხილებისათვის გაღებული კიდეც ერთი ღვანლია, რომელიც „ჩემი ხატია სამშობლოს“ ფუნდამენტურ პრინციპებზეა აგებული. მის იგნორირება ქართულმა მწერლობამ ვერცერთ ეპოქაში ვერ შეძლო. ვერც მოდურმა „იზმებმა“ და ვერც ლიბერალურმა ღირებულებებმა ვერ შეძლო ეს თავდაცვითი კოდი ამოეგდო ქართული ცნობიერებიდან. და ვინაიდან ოთარ ჩხეიძეს ამ სულიერი

მემკვიდრეობის მიმართ არასოდეს დაუკარგავს პასუხისმგებლობა, სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ერთგულ მეციხოვნედ ამ სასიცოცხლო კულტურული კოდისა. მწერლის ავტორიტეტიდან გამომდინარე, წერილების კრებულში „პოლიტიკური აქცენტები“ სენსიტიურობა ქვეყნის საჭირობოტო საკითხების მიმართ მოულოდნელი არ უნდა იყოს. არც მისი სიბრძნე, შორსმჭვრეტელობა და საფუძვლიანად გამყარებული რეკომენდაციები ამ სწეულებათა განსაკურნებლად იწვევს გაკვირვებას. ეს არის ერთობ განსხვავებული, ქართული რეალობისთვის ადეკვატური განაზრებანი სახელმწიფოსა და ეროვნულობის სიმყარისთვის. რუსული პოლიტიკის ფენომენის გავლენით დაწყებული, ალიბეგლოს თეატრის მნიშვნელობით დამთავრებული, ყველაფერი რასაც ეხებოდა ოთარ ჩხეიძის კალამი და რაც ხშირად, ჩვენდა საუბედუროდ, ვერ ხვდებოდა სახელისუფლო ვერტიკალის თვალსაწიერში, გახლავთ ის, რაც მიზანმიმართულად ძირს უთხრის ხოლმე სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ცნობიერებას.

საქართველოში დემოკრატიულ-ლიბერალური გადასახედიდან უტოპიურ იდეად არის სახელმწიფო სამეფო-მონარქისტული ხელისუფლების მოდელი, რომელსაც მწერალი ერთგულად. ამ მოდელის უპირატესობას იგი წერილში „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის“ ასაბუთებდა. სწორედ ამ წერილით იწყება „პოლიტიკური აქცენტები“ და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს — ოთარ ჩხეიძის აზროვნების მასშტაბურობისა და ლოგიკურობის აღსაქმელად ეს კარგი დასაწყისია. სახელმწიფო წყობილებაზე სჯანს ეტაპობრივად მოჰყვება ამ სახელმწიფოში მცხოვრებ „მნიშობართა“ მორალურ ვალდებულებებსა და მათი საბედნიერო ამბიციებზე, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი — ჟურნალისტთა პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზე მსჯელობა, როდესაც აუცილებლად გაგახსენდება ჯავაჰირლალ ნერუს ცნობილი გამოხატევაში, ყველაზე საშიში ქვეყნისთვის კოლონიალიზმის დროს გამოზრდილი ინტელეგენციააო.

1990 წელს ოთარ ჩხეიძე საბჭოთა რეალობიდან გამომავალ საქართველოს სახელმწიფო წყობის თაობაზე თავის ფიქრებს უზიარებდა: „თუ რამე უშველის საქართველოსა, სალი, ამაღლებული ტრადიციების აღდგენა უშველის. ტრადიციები ისტორიაა, ისტორია ცხოვრებაა ერისა, ერის სიცოცხლე ტრადიციების სიცოცხლეა“, და შემდგომ დასძენდა: „მეფეა აქ აუცილებელი, ის დიდ რომანტიკაა აუცილებელი, რაც ჯერ კიდეც რო შემორჩენილა ჩვენს ხალხში და რაც სამეფო საქართველოს უკავშირდება“.

შემოდავების მოლოდინში მწერალი მოკრძალებულად აღნიშნავს, ჭკუის სწავლებად ნურავინ ჩამითვლისო, თუმცა პარლამენტური სამეფო ხელისუფლების იდეა აქ ისეა დასაბუთებული, რომ ისლა დაგრჩენია, ერთადერთი ნაკლი ზნეობრივად მყიფე ქართულ საზოგადოებაში ეძებო, საზოგადოებაში, სადაც „ლიდერო-მინია მოდებულია, იტყვი: მიმდევარი აღარ არის იმდენი, რამდენი დამორიცი რომ გამოკვეთილაო. ყველა ის ლიდერი პრეტენდენტია ტახტისა. ტახტი ერთია. დასატყვია მხოლოდ ერთისა. და იმა ერთს რო შესევია ყველაი, სარმას უდებენ ერთმანეთსაცა“.

ამ საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სახე ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტების“ ერთ-ერთ მთავარი სატკივარი და სამიზნეა. მის სააზროვნო სივრცეში დოკუმენტური სიზუსტით ჩნდება ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად მონოდებული პოლიტიკური და კულტურული ელიტა, რომელსაც უმაღლესი ინდექსი უნდა ჰქონოდა ვალდებულებებისა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, თუმცა ის საბედისწერო შეცდომებო მოსდიოდა, რომელიც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ანგრევედა ერის მეტალურ მთლიანობას. „მოვლენებს მეტი დაკვირვება უნდა“ — აფრთხილებდა მწერალი, მაგრამ შურისძიებისა და პირველობის ჟინით აღტყინებულთათვის ყველა არგუმენტი შეუსმენელი აღმოჩნდა და მწერალმაც მათი ასეთი ფსიქოპორტრეტი შემოუნახა შთამომავლობას: „წითელი ინტელეგენციაო, სასეირო გადაქცეულა, თვითონვე დაირქვეს და საამაყოდაც დაირქვეს: დიდადაც ამაყობდნენ, გაიფუყნენ და იქცნენ მაშინვე სამარცხვინოდა განათლებითა ზერელეთი, უზრდელობითა, უტიფრო-

ბითა: ბოროტებადაც იქცენენ უმწვავესი ვნებითა შურისძიებისა, მრისხანებითა, დაუნდობლობითა. აი ინტელეგენცია. წითელი ინტელეგენცია, თავს რო ილამაზებდა ნაირგვარი ზიზილიპილითა, იმშვენებდა, იკონიებდა და რო გამიშვლდა უეცრად, გატიტვლდა, გატიტლიკანდა 90-იანი წლების გარიჟრაჟიდანვე იმა უბედური XX საუკუნისა, გატიტლიკანდა და აღარცა ცდილობს, ანთუ რაიმე აიფაროს, ანთუ სადმე რო შერგოს თავი სირაქლეშების ჩვეულებისამებრა. თავხედობა ხო სანიშნოა მაგათი, სიძულვილი უსაზღვროა, ზომაც არა აქეთ შურისძიებისა, მოჰკლეს, გაანადგურეს, არაკამარობენ, უნდა ამოძირკვონ ძირფეხვიანადა“.

1991 წლის დეკემბრის სამარცხვინო, ტრაგიკულ მოვლენებს ოთარ ჩხეიძე არაერთხელ მიუბრუნებდა თავის წერილებსა და რომანებში, არაერთხელ მოაქცევს თავისი მხატვრული სიტყვის ქსოვილში ამ „არტისტული გადატრიალების“ დრამატულ ეპიზოდებს და ბევრ თავსატეხს გაუჩენს მის რეჟისორებსა და შემსრულებლებს. ეს ამონარიდი კი იმ წერილიდანაა, რომლითაც იგი 2001 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაციის იდეას გამოეხმაურა. შეფერხება ამ იდეისა, როგორც თვითონ აღნიშნავს, სწორედ „შემოქმედებითა და სამეცნიერო ინტელეგენციამ“ სცადა. ამ დროისათვის მათ უკვე მოეხერხებინათ მისი და როსტომ ჩხეიძის „დასჯა“ ზვიად გამსახურდიასზე შექმნილი ისტორიული რომანისა და ნარკვევისათვის. ოთარ ჩხეიძის წერილის „ეს განწირული სულისკვეთების“ კითხვისას საოცარი მტანჯველი განცდა გეუფლება — ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორიის შავი შუქრდილები, ადამიანური ზნეობის მატთან, რომელმაც ისტორიის ეს მონაკვეთი შვა.


„ითქვა მიზანი რეაბილიტაციისა, თორემ ზვიად გამსახურდიას სარეაბილიტაციო რა უნდა ჰქონდეს?!“ — კითხულობს ოთარ ჩხეიძე, „იტანჯა და მოკვდა მონამებრივი სიკვდილითა“ — დასძენს და იქვე განმარტავს, ორად გახლეჩილი ქართული საზოგადოების გამთლიანებისათვის მოაზრებული ამ პოლიტიკური აქტის მნიშვნელობას. ამ გამთლიანებას დაუფრთხია სწორედ „საზოგადოების ფართო მხარდაჭერის“ ცრუ მოტივით მომართული ცხრა ინტელიგენტი, რომლებმაც ამ პროცესის შეჩერება მოითხოვეს. წერილში დასახელებულია მათი რაოდენობა, თუმცა მწერალი არ ასაჯაროებს მათ ვაგრ-სახელებს. ალბათ იმიტომ, რომ კარგად იცოდა, საიდან იმართებოდა მსგავსი წინააღმდეგობანი, იცოდა ისიც, რომ დრო მათ თავის ალაგს მიუჩენდა და მთანმდის მინა მათ არასოდეს მოისაკლისებდა. მისი ტკივილიანი ფიქრები შინაურთა მტრობის გამანადგურებელ ძალას დასტრიალებდა. გარეშე მტერს რა გამოუღევდა საქართველოს, მას ინტელეგენციის მტრობის საფრთხე ამფოთებდა, „მნივნობართა“ ლალატის ფასი იცოდა: „ფრთხილად, ბატონებო, ფრთხილად, ხელისუფლება თუ გაგინირიათ, გემინოდეთ სახელმწიფოს დაქვემდებარება. გემინოდეთ. სახელმწიფოც თუ აღარად უღირს, რაღა დააკეცას „საზოგადოების ფართო მხარდაჭერასა?!“

1991 წლის დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალების აქტს და მის შედეგად ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ელიტაში მავნე ჩვევებად დამკვიდრებულ პოლიტიკურ თვითრეგულაციებს ოთარ ჩხეიძე მოვლენების განვითარების კვალდაკვალ, 2003 წელს გამოეხმაურება წერილში „ბატონო ვახუშტი“. „რალაც მინდა გითხრათ“ — ასე იწყებს იგი წერილს და მოლოდინი იმისა, რომ ეს რალაც ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნისა და ქართული ცნობიერებისათვის, რომ ოთარ ჩხეიძეს იმ „სიმართლის სათქმელად“ მოუმარჯვებია კალამი, რომელიც ფასეულია ისტორიისათვის, ჩვეულებისამებრა, აქაც არ გტოვებს. ლოზუნგი „საქართველო გამსახურდიას გარეშე“ ქართულ რეალობაში პოლიტიკურ მოთხოვნათა შებლონად, ჩვევად გადაიქცა. გაიოლდა, გამარტივდა, ვაგრ-სახელები ჩაენაცვლა მხოლოდ და ახლა „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ გახდა მისაღები. პოლიტიკური რყევების მიღმა ხომ ყოველთვის დგას მოტყუებული მასების უკეთესის მოლოდინის სურვილი. ამ კანონზიერებით კარგად სარგებლობდა ინტელეგენცია. მხოლოდ მის გონიერ და ნამუსიან ნაწილს შეეძლო ამ მაცდური მონოდებების მიღმა დაენახა ქვეყნისათვის სამი-

ში, დამანგრეველი ენერგია, რომელიც 90-იან წლებში პუტჩის სახით უკვე დაატყდა საქართველოს. რა თქმა უნდა, ინტელეგენციის აქტიურობაში მწერალმა მაშინვე იგრძნო მისი გამოერების საფრთხე, რომელიც სისხლიან მატთანედ ჩაიტივფრა ქვეყნის ისტორიაში. 2003 წელს ქვეყანაში რევოლუციის მოახლოება იგრძნობა და უახლესი ისტორია ამ თვალსაზრისით სიფრთხილის საფუძველს ნამდვილად იძლეოდა. ჰოდა ფრთხილობდა დიდი მწერალი, იგივენი რომ ითხოვდნენ იმასვე — ეს უფრო ამფოთებდა და აეჭვებდა: „უთუოდ თქვენ რო — ეს იმიტომ, თქვენ რო უფრო მახლობლად გიცანით ამა ახალ აფეთქებასა თუ აღრეულობაში, ძველი როა და თქვენ რო მოჰყვებით იმა ძველთაგანა“ — მიმართავს იგი წერილის ადრესატს — ვახუშტი კოტიტივილს. წერილის ტონალობა უაღრესად დელიკატურია. მწერალს იგი ადრესატად თავაზიანობის, მათი ერთმანეთისადმი კეთილმოსურნეობის იმედით შეურჩევია. სწორედ მისგან ელოდება ჩაფიქრებას, თორემ „ვინც რო შემართულა და ყელყელაობს, არც ვიცნობ და ვერც მოიცლიან რო მომისმინონ“ — ამბობს და გამაოგნებელ პროვოკაციულობას ამჟღავნებს სკამს ჩასაფრებულ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ამბიციების დამანგრეველ შედეგებზე: „ჰო შეჰკრეს მუშტები, ჰო შეანყვილეს მუქარითა პარლამენტის წინა, მუქარითაცა და ნიშნადაცა მარადიული ერთგულებისა. შერჩებათ ის მუშტები შეკრული ისევე, შეწყვილებული ისევესევე თუ დაინახეს სკამი მოცილილი, მოცარიელებული, მომლოდინე ერთისა მხოლოდა, ისევე ერთისა, ერთის მეტი რო არც დაეტყვა“.

ოთარ ჩხეიძის კრებულში, რომელსაც „პოლიტიკური აქციენტები“ ჰქვია, არაერთი წერილი ეძღვნება რუსეთის პოლიტიკის ფენომენს და მის მსახვრალ ზეგავლენას საქართველოს ისტორიაში. თუმცა „ბაძვა უცხოურისადმი“ ოთარ ჩხეიძისათვის არ არის მხოლოდ რუსეთთან ასოცირებული. წერილში „ნაციონალიზმი და ინტეგრაცია“ ის საფრთხეებია მონიშნული „ზეეროვნული დემოკრატიზმის“ სახით რომ შემოალაჯა საქართველოში. დემოკრატიზმი მისთვის ახალი იმპერიის იდეოლოგიაა, რომელიც 90-იან წლებში ოსტატურად დაუპირისპირდა ნაციონალიზმს. მწერალი ფიქრობს, რომ რუსეთისათვის სასარგებლო ეს მოძღვრება ახლა დასავლეთის ავტორიტეტით მოგვევლინა. მწერლის ხედვა ამ თვალსაზრისით ერთობ განსხვავებულია და შესაძლოა, დღეს ამ მოდერნი იდეოლოგიის საყველთაო ზეობის ხანაში საკამათოც აღმოჩნდეს. დემოკრატიზმის გამოვლენის ის ფორმა, რომელიც ეროვნულ თვითმყოფადობას შეუქმნის საფრთხეს, მწერლისთვის მიუღებელია. თუ გლობალიზაციის ერთფეროვნება ეროვნულ თავისებურებებს გადაფარავს და ნაციონალიზმი ჩამორჩენილობასთან გაიგივდება, მისთვის სულერთია „რუსულად გადავგვარდებით, თუ ინგლისურად“. „ესეც ძალადობაა, იდეური ძალადობა, ვიდრე იარაღი ამოქმედდებოდეს იდეური ძალადობა: ნაციონალიზმი და დემოკრატიზმი რო დაუპირისპირდება ერთიმეორესა, ნაციონალიზმი ჩამორჩენილობად ითქმის და დემოკრატიზმი (ახალი) გამოცხადდება ზეეროვნულ მოვლენად“. იმხანად და დღესაც, როცა ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური და მოქალაქეობრივი იმიჯის ფორმირება ძირითადად დემოკრატიულ ფასეულობებზეა დამოკიდებული და ამ თავდავინყებულ რბოლაში, გზადგზა ვკარგავთ ნაციონალურ ღირსებებს, ოთარ ჩხეიძის შეძახილი სამრეკლოს ზარივით ჟღერს: „ჩვენთვისა და საერთოდ მცირე ერებისათვისა, რომელთა გადარჩენის იდეური საფუძველი სწორედაც რო ნაციონალიზმი გახლავთ, ხოლო დემოკრატიზმის ახალი ფორმა ნაციონალიზმის საწინააღმდეგო მოვლენადა ისახება. ისახება თუ ჩაისახა, თუ უკვე წელმომარებულია სულერთია რალა თქმა უნდა, მთავრია, რომ დღეს ნაციონალიზმი და დემოკრატიზმი პირისპირ დგანან“. გლობალიზაციის საფრთხეები და მის ემისართა ყოველი გაჭრყოლება უმალ ხვდებოდა ოთარ ჩხეიძის თვალსაწიერის სამიზნე. ქართული სულიერების ამ მეციხოვნის ყოველი სიტყვა მკვიდრად ნაფიქრია და სახელმძღვანელოა მსოფლიო გზაჯვარედინზე მყოფი ჩვენი ქვეყნისათვის.

ოთარ ჩხეიძის წერილი „ბაბუშერას აეროდრომი“ 2000 წელს ჟურნალ „ომეგაში“ გამოქვეყნდა. მწერალი მასში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში დამკვიდრებულ ბიუროკრატიაში და არსებული სტრატეგიების უპერსპექტივობაზე საუბრობს. იგი აქაც იმასვე იმეორებს, რაც არაერთგზის უთქვამს რუსეთთან მიმართებაში, „უმიძიეს ტვირთად“ მოიხსენიებს მასთან მეზობლობას, ამის ისტორიულ მიზეზებსაც განმარტავს და აანალიზებს. შემდგომ ჩეჩნეთის საკითხსაც მოიშველიებს არგუმენტად და „ორი რუსეთის“ ლეგენდის მორწმუნეთათვის მის იმპერიულ სახეს რეალისტურად წარმოგიდგენს: „ესეც ლეგენდა ორი რუსეთისა, ვითომ რო ორისო, ახლა რო ერთია, ერთი განუყრელი, შემტკიცებული ან და მარადისა, ერთი და უამრავი, რო შესევია ერთობლივად ერთმუჭა ხალხსა უახლესი და უმძლავრესი სამხედრო იარაღითა, შესევია და ჟღერს დედაბუდიანადა. ჟღერს. ჟღერს. აჩანავებს. აჩანავებს, ჟღერს და ძაგაგებს ანთებული მოლოდინითა: აი და აჰააო, გამოჩნდება ბელადი ჩვენი ამ ჟღერტაშიო. ესაა ჟინი ერთობლივი ტირანისა და ტოტალიტარიზმისა, ჟინი უძველესი, ატავისტური, ზოგ ერს რო შემორჩა აქამდისაცა“. მწერლის პროტესტს ენგურზე ეთნოკონფლიქტების მომრიგებლად ჩაყენებული რუსისა და გაფრთხილება-შემფოთების რეჟიმში მყოფი დასავლეთის მიმართ ირონიული ელფორცა დაჰკრავს. რეალობა ნამდვილად იძლეოდა და ახლაც იძლევა ამის საფუძველს: მიდი-მოდინ საქართველოში ბოდენები, პასტუხოვები, მირონოვები. გაიტყეპნა ჟენევისკენ მიმავალი გზა — შედეგი კი დღემდე არ მოჩანს. თხუთმეტი წლის წინათ, როცა გარკვეული იმედები მაინც არსებობდა ამ ფორმატთან დაკავშირებით, ოთარ ჩხეიძე ყველაფერს თავის სახელს არქმევდა, მის უპერსპექტივობაზეც წერდა, ჩვენს უბედურებას ეს არ უშველიოსო. გაეროს სიტლანქე, არაეფექტურობა ადარდებდა, მათი მხრიდან ბაბუშერას აეროპორტში დამარხული ბიჭების ჭირისუფლობა აკვირებდა: „დაბრუნდებიან თავისიანები, მიხედავენ, მიეპატრონებიან. ჯერ ესენი, ესენი — თავისიანები დაუბრუნენ. ვითომ სხვა რა არის მოვალეობა, უმთავრესი მოვალეობა მაგ თქვენი გაეროსი? მოვალეობა ჭირისუფლისა თვითონ იცის ჭირისუფალმა, უკეთ იცის, ბევრად უკეთა. სხვა რაო, თორემო დამარხვო, — კარგი ვიცით ქართველებმაო. ჟენევი არ უნდა ამასა“.



ფოს მაკონსტრუირებული იდეებისგან, რომელიც ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკურ აქცენტებში“ დაუმაღლებლად არის გაბნეული. ისლა დაგვრჩენია, დავენაფოთ და შევირგოთ.

ოთარ ჩხეიძის გამომხატურება საინგილოს ქართულ თეატრზე რომ მხოლოდ კულტურის საკითხებს არ ეხება, ცხადზე ცხადია. „სენი ჩვენი უკურნებელი“ — ასე მოსწრებულად მიუსადაგა მწერალმა სათაური წერილს, რომელიც კულტურის სამინისტროს გაუცნობიერებელ საკადრო გადაწყვეტილებას ეხება ალიბეგლოს თეატრთან დაკავშირებით. ალიბეგლოს თეატრის დირექტორის ანზორ დოლენჯაშვილის გათავისუფლებას მწერალმა ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებად მიიჩნია, რადგან ეს პიროვნება თითქმის 20 წლის განმავლობაში საინგილოში ჭეშმარიტად ქართულ საქმეს უძღვებოდა. რა თქმა უნდა, წერილს პათოსი ზოგადად საკადრო გადაწყვეტილებებით მწერლის დაინტერესებაში არ მდგომარეობს. მოტივი მისი გულისწყრომისა ისტორიის ბედუკუღმართობით ქართული წიაღიდან გამოძევებული, მშობლიურ სიტყვას მონატრებული საინგილოს მოსახლეობაა, რომელიც ალიბეგლოს თეატრში იკლავდა ამ წყურვილს, ხოლო ანზორ დოლენჯაშვილი ამ საქმეს თავდადებით უძღვებოდა. იმ საფესტივალო ეიფორიის პარალელურად, რომელიც იმ პერიოდში საქართველოში დაიწყო, ალიბეგლოს თეატრში შექმნილი ვითარება ლაკმუსის ქალაქიდან ამჟღავნებს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ წინდაუხედაობას და არაეფექტურობას. „ფესტივალომანია ვერ იქცევა ნიშნად საქართველოს კულტურისა და ცივილიზაციისა, როგორც რო პარტიომანია ვერ იქნება ნიშანი ქვეყნის პოლიტიკური მომნიჭებისა“.

ოთარ ჩხეიძის ამ წერილმა კარგად ასახა კონფლიქტის მოგვარების პროცესი, რომელიც იმთავითვე არასწორი გზით წარიმართა და განსაზღვრა მისი ფატალური შედეგები. უფრო მეტიც, მწერალმა ისიც შენიშნა, რომ გაერო და მოსკოვი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ეს შეთანხმება ვერ იქნებოდა საქართველოს სასარგებლო, რადგან რუსეთი მხარე იყო, მხარე, რომელიც არაფრის დათმობას არ აპირებდა, სტრატეგიული დანიშნულების პუნქტებს მზაკვრულად ეუფლებოდა და მხოლოდ დროს წელავდა. „მოსკოვს ნებას ასე ამგვარად გაეროს ეგედიოთა. გაერო. გაერო. ნაბიჯს ჰო არ წარსდგამს მოსკოვი ისე!“ ირონიას გამოურევს მწერალი და ბოლოს დასძენს: „დასავლეთს რო უნდა, მშვიდობა რო იყოს საქართველოში, ეს ამკარაა, ხოლო მშვიდობა რო არ მიეცემა საქართველოს რუსეთისაგან, ესეც ცხადია“.

ოთარ ჩხეიძე სწორედ ამ საბედისწერო მოცემულობის ფონზე ითხოვს მოლაპარაკებათა პროცესის სხვაგვარად მართვას, რადგან ამ საგანგაშო რეალობის გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იყო სწორი ორიენტირების მონიშვნა. მწერლის ამ პერსპექტივის ჭეშმარიტება დრომ დაადასტურა. მსოფლიო გლობალური პროცესების ფონზე ქართული პოლიტიკის ვექტორების არასაიმედოება სულ უფრო ცხადად იკვეთება, მუდმივად „საყმანვილო სენის“ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა თითქოს წერას აუტანია, ისე გარბის დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწი-

ფოს მაკონსტრუირებული იდეებისგან, რომელიც ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკურ აქცენტებში“ დაუმაღლებლად არის გაბნეული. ისლა დაგვრჩენია, დავენაფოთ და შევირგოთ.

ოთარ ჩხეიძის გამომხატურება საინგილოს ქართულ თეატრზე რომ მხოლოდ კულტურის საკითხებს არ ეხება, ცხადზე ცხადია. „სენი ჩვენი უკურნებელი“ — ასე მოსწრებულად მიუსადაგა მწერალმა სათაური წერილს, რომელიც კულტურის სამინისტროს გაუცნობიერებელ საკადრო გადაწყვეტილებას ეხება ალიბეგლოს თეატრთან დაკავშირებით. ალიბეგლოს თეატრის დირექტორის ანზორ დოლენჯაშვილის გათავისუფლებას მწერალმა ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებად მიიჩნია, რადგან ეს პიროვნება თითქმის 20 წლის განმავლობაში საინგილოში ჭეშმარიტად ქართულ საქმეს უძღვებოდა. რა თქმა უნდა, წერილს პათოსი ზოგადად საკადრო გადაწყვეტილებებით მწერლის დაინტერესებაში არ მდგომარეობს. მოტივი მისი გულისწყრომისა ისტორიის ბედუკუღმართობით ქართული წიაღიდან გამოძევებული, მშობლიურ სიტყვას მონატრებული საინგილოს მოსახლეობაა, რომელიც ალიბეგლოს თეატრში იკლავდა ამ წყურვილს, ხოლო ანზორ დოლენჯაშვილი ამ საქმეს თავდადებით უძღვებოდა. იმ საფესტივალო ეიფორიის პარალელურად, რომელიც იმ პერიოდში საქართველოში დაიწყო, ალიბეგლოს თეატრში შექმნილი ვითარება ლაკმუსის ქალაქიდან ამჟღავნებს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ წინდაუხედაობას და არაეფექტურობას. „ფესტივალომანია ვერ იქცევა ნიშნად საქართველოს კულტურისა და ცივილიზაციისა, როგორც რო პარტიომანია ვერ იქნება ნიშანი ქვეყნის პოლიტიკური მომნიჭებისა“.

ამ შემთხვევაში ალიბეგლოს თეატრის აღორძინება ოთარ ჩხეიძეს იმ დიდი კულტურის პოლიტიკის ნაწილად მიაჩნია, რომელიც ქართულ სახელმწიფოს სასიკეთოდ უნდა წაადგეს. ამიტომაც ბუნებრივად ჟღერს მისი მოწოდებანი, რომ ქვეყნის კულტურისათვის ნაწილმა რუსთაველიდან სწორედ იქ უნდა გადაინაცვლოს, იქ მოსინჯოს ძალები და თავდადების მაგალითი ანახოს საზოგადოებას. „მომიტევოს ქალბატონმა ქეთიმა, ფესტივალების ყველა მოტრფიალემ მომიტევოს, მე აქ მხოლოდ იმის თქმა მინდა რო: სწორედ ასეთი ენერჯის, გამოცდილებისა და გავლენის ადამიანები სჭირდება ალიბეგლოს თეატრსა, როგორც რო ბრძანდება ქალბატონი ქეთი, თავდადებაც უნდა, რალა თქმა უნდა, თავდადებაც არ უნდა აკლდეს ქალბატონ ქეთისა, მაგრამ სხვა გახლავს თავდადება თბილისში, თუნდაც ედინბურგში, ალიბეგლოს სხვა თავდადება სჭირდება“. ეს „სხვა თავდადება“ ყოველთვის აკლდა საქართველოს. ამ „სხვა თავდადების“ მაგალითებს ერის მცირე ნაწილი იძლეოდა მუდამუჟამს, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს არასოდეს უჭირდა დროულად გამეფლავებინა და ელიარებინა ამ თავდადების მაგალითები: „თეატრი კულტურის ნაწილია და სათეატრო მოღვაწეობასაც თავისი კულტურა უნდა. არ შეგანუხებთ შორეული მაგალითებითა. არ შეგანუხებთ. აგერ არ იყო!.. ანთუ რალა აგერაო, — რა სათქმელია, სამ ათეულ წელზე მეტი გასულა, მაინც აგერაა, ცოტნეს დროსთან შედარებითა, აგერაა და აქვეა თანაწინა: ჩაკვდა თეატრი ახალციხისა. კარგახანს ჩაკვდა. შეჰკრა დასი ახალგაზრდებისა ქალბატონ ნანა დემეტრაშვილი, ისაა ინსტიტუტდამთავრებულთაგანა, ფეხი რო არ გაედგათ რუსთაველის პროსპექტს იქითა, შეჰკრა, შეანითვა, შეახალისა და თავი უკრა ორწოხებში ახალციხისა“ — ასე აღნიშნავს ოთარ ჩხეიძე ნანა დემეტრაშვილის ღვანლს და შემდგომ ლილი იოსელიანსაც მოიგონებს: „მიანწყდა მაყურებელი გორის თეატრსაცა, ქალბატონი ლილი იოსელიანი რო ჩაუდგა სათავებში. აილო თავზე ხელი ქალბატონ ლილი იოსელიანმა, გორში დასახლდა და აალორძინა იმჟამად დაძაბუნებულ თეატრი გორისა. მე შევხს-

რებივარ იმის რეპეტიციებსა ცივ დარბაზში, თვითონაც გაცივებული, საბანმობვეული, შალით რო შეებურა თავპირი და ვინ უწყის მერამდენედ უხსნიდა ერთსადა იმავე მიზანსცენასა, ცოტა არ იყოს გაჯიქებულ მსახიობებსა, სხვის ხელში რომ მოშვებულყვენ და სხვა ხელში რომ მოხვდნენ“. მართალია, ეს წერილი ერთ კონკრეტულ საკითხს ეხება, მაგრამ ოთარ ჩხეიძე აქაც კულტურული ელიტის ფუძემდებლურ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე, იმ მისიაზე ამახვილებს ყურადღებას, ქვეყნის ინტელიგენცია რომ უნდა აცნობიერებდეს. ოთარ ჩხეიძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ხომ თავად იყო ამის მასტერკლასი.

ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტების“ კითხვისას კიდევ ერთხელ რწმუნდები მისი მწერლური და მოქალაქებრივი

კეთილსინდისიერების, მტკიცე ლოგიკისა და შინაგანი წონასწორობის, ეროვნული სიფხიზლისა და უკომპრომისობის აუცილებლობაში. ამასთან შიში გიპყრობს მისი შემოქმედების საზრისის გარეშე დარჩენილი საქართველოს იმ ნაწილის გამო, რომელსაც ქვეყნის მართვის სადავეები უპყრია ხელთ. შიში გიპყრობს, მხოლოდ მხატვრული სიტყვის მონოლითში არ დარჩეს ჩაკირული ეს აქცენტები და მხოლოდ ერთს ნატრობ, აქ მაინც შეცდებოდეს დიდი მწერალი: „გული გაგისკდება, საქართველოს, საქართველოს რუკას რო დააჩერდები, — გამოგლეჯილა რამდენთაგანი, რამდენი ნაწილი მოუნყვეტიათ?! კიდევ რამდენია გამზადებული გამოსაჭმელადა?! რამდენი?! რამდენი?!“

რუსუდან ქუთათელაძე

„...აბა, დღეს მე ვის რა ვარბე“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა მრავალგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, ძვირფასი ადამიანი სასიკვდილოდაა განწირული, შენ კი დახმარება არ ძალგის, უძლური შეპყურებ სულთმობრძავის ტანჯვას და თავადაც ამაოდ იტანჯები. უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობად მესახება ჩვენი ახლო წარსული — 90-იანი წლების მშვიერი, გაყინული, უშუქო, უწყლო ყოფა, შიშით დათრგუნვა, ბოროტების თარეში და, რაც უმთავრესია, თავზე დამხობილი ძლივძლივობით მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სად, არამედ როდის? სად? უეჭველია, ისევ და ისევ საქართველოში, რადგან ქართველი ვარ. შევიცარია მშვენიერია, მაგრამ მე ხომ უცხო ვარ იქ, არც არავისა ვჭირდები, არც ჩემი ახლობლები მეყოლებოდა ირგვლივ. როდის? საქართველოს როდის ედგა ბედნიერი ხანა? აღმაშენებლისა, თამარ-მეფის დროს? აი, ამ დიადი ადამიანების ხანაშიც კი არ ვისურვებდი ყოფნას, რადგან არ მგონია თავადაც კი ბედნიერი ყოფილიყვნენ ან პირად ცხოვრებაში ან კიდევ იმ პასუხისმგებლობის გამო, რასაც სამეფო გვირგვინი აკისრებდათ, იმ საშიშროების გამო, საქართველოს გაუთავებლად რომ ემუქრებოდა (და ემუქრება). უსათუოდ სამეფო ან დიდგვაროვან ოჯახში ხომ არ დავიბადებოდი, ხოლო ძველი დროის გლეხის, თუნდაც კლდიაშვილისეული აზნაურის ყოფა (არც დღევანდელისა, მიუხედავად ათასგვარი დაპირებებისა!), ნამდვილად სანატრელი არაა. ალბათ, ისევდაისევ საქართველოში და აი ამ დროს ვისურვებდი ცხოვრებას, რადგან უფალმა ქართველობა და ეს დრო მომაკუთვნა. ადამიანი თავად არ ირჩევს დაბადების არც დროს, არც ადგილს.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ბედნიერება? ეს ძალზე ვრცელი ცნებაა. ზოგჯერ ერთი ყლუპი ნყალიც ბედნიერებაა, ზოგჯერ სამეფო სასახლეს ჯოჯოხეთად შეიძლება ისახებოდეს. თურმე, სიკვდილიც შეიძლება ბედნიერება იყოს. შემსწორ ვყოფილვარ სიკვდილი სანატრელი, საოცნებო რამ რომ იყო. ბედნიერება ამოუნურავი ცნებაცაა და თანაც ხანმოკლე, წუთობით, დიდი, დიდი დღეებით შეიძლება განიზომებოდეს. ეს თუ სწორია, მაშინ ბედნიერი ხარ ნანინანატრი შვილი როცა შეგეძინება, ბედნიერებაა შენს საუკვარ მიზანს როცა მიაღწევ, დაწყებულ საქმეს თავს რომ და-

ადგამ, ბედნიერებაა როცა შენი საქციელით ვინმეს თვალეში სიხარულს ამოიკითხავ. სულის სიმშვიდე და წონასწორობაც ბედნიერებაა. არა, ბედნიერება ამოუნურავი ცნებაა!

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— უკვე დიდი ხანია ვცხოვრობ და რაც წერაკითხვა ვისწავლე მას აქეთია — ვკითხულობ. ამდენად, უამრავ პერსონაჟს გავცნობივარ, ზოგი მომწონს, ზოგი ღრმად ჩამებეჭდა სსოვნაში. საყვარულით? საყვარული შეიძლება მშობლის, შვილის, პროფესიის... ახალგაზრდობაში ძალზე მომწონდა ნატამა როსტოვა. მერე ოდრი ჰეპბორნის განსახიერებულმა ამ პერსონაჟმა, არა მარტო პერსონაჟის ბუნების გამო, არამედ მსახიობის გარეგნობამაც, ისე გამიტაცა, მიწოდა და დავმსგავსებოდი, ამაოდა ვცდილობდი მიმებადა. მომწონდა ჯეინ ეირი, პიერ ბეზუხოვი, ლინ ტაიიუი (XVIII). ჩინური კლასიკური რომანის „სიზმარი ნითელ კომპი“-ს პერსონაჟი). ჩემდა სამარცხვინოდ არც ერთი ქართველი ლიტერატურული პერსონაჟი არ შემეყვარებია, პატივსა ვცემდი, ვთქვათ, ოთარანთ ქვრივს, შუშანიკს, მაგრამ მათ მიმართ თაყვანისცემა, რიდი, მოკრძალება მქონდა. საყვარული — სხვაა.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პიროვნებები?

— ესეც ასეა. ისტორიული პიროვნებების მიმართაც მაქვს პატივისცემა, მოკრძალება, დაფასება... საყვარული — სხვაა! ალბათ მევალება ქალები დავასახელო. თამარ-მეფე მიუნვდომელი იდეალია! ასევეა საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი. ვგონებ, ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლეებიც მიუნვდომელი იდეალებია!

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მხატვრების ოჯახში დავიბადე და მხატვრების გარემოცვაში მომეცა ბედნიერება გამეტარებინა ცხოვრების დიდი ნაწილი. უფალმა იმგვარი ფუფუნებით გამანებებრა, ჩემი მშობლების ნყალობით ბევრი სახელოვანი მხატვარი პირადად მცნობებოდა. მხატვრობა ის უზარმაზარი სამყაროა, ცხოვრება რომ გამიმდიდრა, გამიმშენა, მის გარეშე სიცოცხლე, დარწმუნებული ვარ, მექნებოდა ძალზე ფერმკრთალი, უღიმღამო... გენიოსთა შორის უსასრულოდ შემიძლია ვუცქირო და განვიმსჭვალო დიურერის, ელ გრეკოს, რენუარისა და დეგას, ვრუბელის, რერიხის, ცი პაიშის, უტამაროს ნამუშევრებით, ალორძინების ეპოქის დიდოსტატებით, ყვე-



ლას ჩამოთვლა შორს წამიყვანდა, ბევრნი არიან. ძალზე მომწონდა უდროოდ გარდაცვლილი ინგლისელი ბერძნული. ვერ დამივიწყებია პირველმა შთაბეჭდილებამ თუ როგორ შემძრა იერონიმუს ბოსხის ალბომი როცა ჩამივარდა ხელში. მიყვარს-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ სამუდამოდ მაქვს ალბეჭდილი ხსოვნაში სურტიკოვის „Боярыня Морозова“-ს მრისხანეებით ანთებული თვალები, შესაჩვენებლად, წყევლა-კრულვისათვის ზეალმართული მარჯვენით, იქვე, მოყინულ მიწაზე, ფეხმორთხმული, ნახევრად შიშველი სალოსის, Юродивый-ს სახე. ხოლო მინდა მიკერძოებაში არ ჩამეთვალოს თუკი ვიტყვი, საყვარელი მხატვრები რომ არიან ჩემი მამა — ლადო ქუთათელაძე, ჩემი ბიძა — აპოლონ ქუთათელაძე, რომელსაც, საქართველოს ბედუკუღმართი ყოფა იმგვარია, მხოლოდ გარდაცვალებიდან 40 წლისთავე ეღირსა პერსონალური ალბომის გამოცემა. ჩემი მამის ასეთივე ალბომი კი 30 წელია გამოცემას ელის. ახალი თაობის მიერ მათი ღირსეული დაფასება, ალბათ, ალბომების გამოცემის შემდეგ მოხდება. XXს. საქართველოს ბევრი დიდი მხატვარი ჰყავდა, საქვეყნოდ აღიარებულ ფიროსმან-გუდიაშვილ-კაკაბაძე-ახვლედიანთან (რომელთაც, ცხადია, თავყვანს ვცემ) ერთად დიდ ქუთათელაძესაც, უდრეკ ქეთევან მაღალაშვილსაც დავასახელებდი, უნიჭიერეს იანქოშვილსა და ბაღდაძესაც, ასეთსავე უნიჭიერეს ხიტა ქუთათელაძესაც. სხვაც მრავლად გვყავს ჩინებული მხატვარი, მოქანდაკე, სიყვარულის, აღფრთოვანების ღირსი. ზოგის შემოქმედებასაც ვეთაყვანები, პიროვნულადაც მიყვარს და მჯერა, იმსახურებს აღიარებას საქართველოს საზღვრებს რომ გასცდეს (ხელოვანს სჭირდება ფართო აღიარება და ეს ქვეყანასაც ღირსებას უმრავლებს). საქართველოს ხელოვნებაში უნდა გაუთქვას სახელი და არა პოლიტიკოსებმა. მჯერა, ხელოვნება ქვეყნის სახე და არა პოლიტიკოსები.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ნიჭიერებას! მამაკაცის ყველაზე დასაფასებელ, უმთავრეს ღირსებად მიმაჩნია ნიჭიერება („ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“!), ნიჭს კი უსათუოდ შრომისმოყვარეობა და გონიერება უნდა ახლდეს, ამის გარეშე ნიჭი ფუჭია. გაბედულებაც საჭიროა! კიდევ სულიერ წონასწორობასაც ვისურვებდი. ჩანს, ძნელი ადამიანი გახლავართ, დიდ მოთხოვნებს ვუყენებ ზოგადად ადამიანს და არა მარტო მამაკაცს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სიყვარულის ნიჭს, რაც გულისხმობს მოთმინებას, მიმტევებლობას, ერთგულებას, სულგრძელობას, სინაზეს, ალერსიანობას... დამთმობი — დიხაც, უნდა იყოს, თუმცა ამაყიც... დედობაც, ცოლობაც ღვთის წყალობაა და თუ ქალს ეს ებოძა — საამაყოა.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მუსიკოსი გახლავართ, მუსიკისმცოდნე, ახლა მუსიკოლოგს რომ უწოდებენ. ამდენად ადრეული ბავშვობიდან მუსიკასთან ვარ მჭიდროდ დაკავშირებული. მუსიკის სამყარო უკიდევანოა — ოკეანე! იმდენი გენიოსია, განა შეიძლება აქ უპირატესის გამოცალკეება? ისე, ოლიმპოს მწვერვალზე იოჰან სებასტიან ბახი მყავს დაბრძანებული (ამაში ორიგინალური არ გახლავართ). ბეთოვენს შეცდომა კი არ მოსვლია, როცა ბრძანა — წყარო კი არა, ოკეანეა შენი სახელიო (Bach — გერმანულად წყარო). ეს ჭეშმარიტი მონოლითია, განა მხოლოდ როგორც კომპოზიტორი, არამედ როგორც პიროვნება, როგორც მამა (22 შვილის მზრუნველი მშობელი!), როგორც მოღვაწე, როგორც შემსრული (კლავესინისტი, ორგანისტი, მევიოლინე, ალტისტი, დირიჟორი, მასწავლებელი), როგორც ნოვატორი. რომელი ერთი ჩამოვთვალო! ბახის მუსიკა ნებისმიერ გუნება-განწყობას ესადაგება, გამშვიდებს, ზეადგიტაცებს, გამოძვრავს, გახარებს, გაიმედებს... მაგრამ, როგორ არ მიყვარდეს მოცარტი, ბეთოვენი, ან კიდევ შოპენი, შუმანი, ან კიდევ ვერდი, ან ჩაიკოვსკი, ან რახმანინოვი... მუსორგსკიც ძალზე მიყვარს და პროკოფიევიც... დიდ პატივსაც ვცემ მოსტაკოვიჩს, მაგრამ მისი მოსმენა იშვიათად მომინდება

— შემეწოდოს მკრეხელობა, მაგრამ, დოსტოევსკისა არ იყოს, მაფორიაქებს, მალეღვებს, მთრგუნავს კიდევაც. ხოლო ჩემთვის სალოცავია ჩვენი დიდი ზაქარია!!! გული მწყდება — მცირერიცხოვანი ერი ვართ, ამიტომ სულხანიშვილს არ აქვს ჯეროვანი რეზონანსი. ფიროსმანს ბედმა გაუღიმა — ზდანიევიჩები მოეწვლინა მფარველ ანგელოზებად, პიკასომაც აღიარა... ასეთივე თვითნასწავლი გენიოსია სულხანიშვილი, მაგრამ რად გინდა, დაფასება უცხოეთში კი არა, სამშობლოში, მშობლიურ პანია აწყურში მაინც, ძეგლიც არ ღირსება!

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— თარგმნა, ლექსიკონებში „მოგზაურობა“, კითხვა (ბელეტრისტიკა, ეპისტოლური მემკვიდრეობა, პოეზია), და, რაღა თქმა უნდა, იმ მუსიკის მოსმენა რომელიც მიყვარს (ათასჯერ მოსმენილისაც და უცნობისაც, მაგალითად, ჯაზის, რომელსაც უწინ არ ვიცნობდი). ეს ყველაფერი — ბედნიერებაა! დიდ სიხარულს განვიცდი, როდესაც „აღმოვაჩენ“ მშვენიერ ქართულ სიტყვას, „დაჩაგრულს“, ანუ უსამართლოდ მივიწყებულს. მინდა სიცოცხლე დავეუბრუნო, გავახშიანო, ეგებ ვინმე ამყვეს და ასეთი სიტყვა ყოველდღიურობაში შემობრუნდეს. დავიწყებული რა სათქმელია, სულ ახლახან „მოქმედი“ სიტყვები ლამისა იკარგება, კვდებიან. პრეზენტაციამ განდევნა წარდგინება, ყბადაღებულმა კოჰაბიტაციამ — თანაცხოვრება. ძირძველი პაპა, ბებია-პაპა — ბებია-ბაბუამ ლამისა სავსებით ამოძირკვოს. „გეთაყვა“? ეს მშვენიერი სიტყვა სადმე თუ გაისმის?! რომელი ერთი სიტყვა დავასახელო?! თეთრი შური — რა უბედურებაა ეს ახლადამოჩეკილი სიტყვა, ასე რომ დამკვიდრდა ჩვენს მეტყველებაში! რუსულ ენაში „შევნატრი“-ს ზუსტი ანალოგი რომ არ იპოვება, აიღეს და გამოიგონეს ეს რაღაც „Белая зависть“ და ჩვენც უმალ ავითვისეთ. შური — შურია, ცოდვია, გინდა თეთრი იყოს, გინდა წითელი! ამ დროს გვაქვს ეს უმშვენიერესი სიტყვა — შევნატრი, შემოგნატრი, მხოლოდ სასიკეთო, მხოლოდ დადებით გრძნობას რომ გულისხმობს. სადღაა ეს სიტყვა, ვიღას ახსოვს! ჩვენვე ვბაღდავთ უმშვენიერეს დედა-ენას, ჩვენივე ნებით! ნეტავ თუ შეიძლება რამე ვილონოთ? ლამის ოცდაათიოდე სიტყვის ამარა იოლას გადის „მჭევრმეტყველი“ საზოგადოება. ძალზე კი გადაუხვიე საკითხს!

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ალბათ, ისევე ჩემ მოკრძალებულ პიროვნებად ჯობს დავრჩე, რაკი უფალმა ასეთად გამაჩინა. რა თქმა უნდა, ირგვლივ იყვნენ და არიან კიდევ ადამიანები, რომელთა ღირსებებს შევნატრი, მაგრამ ვისზე შევაჩერო არჩევანი!? აბა, თამარ-მეფის ტვირთის ზიდვას შევძლებდი განა? ისე, ბეთოვენისა არ იყოს, დღენიდავ ვთხოვ უფალს, შემენიოს, რათა გავხედ უკეთესი, ვიდრე ვარ!

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— ალბათ სიყვარული! ბედნიერებისა არ იყოს, ესეც ამოუწურავი ცნებაა. გულისხმობს მიმტევებლობას, თანაგრძნობას, მოთმინებას, დათმობას, ხელგაშლილობას, სიუხვს, სხვა ადამიანსა და ცოცხალ არსებაზე (შინაურ ცხოველზე, მცენარეზე) ზრუნვას, საკუთარზე წინ სხვათა დაყენებას, დიდს თუ არა პატარა-პატარა მსხვერპლშემწირვებს, ურიცხვ რასმე... და ეს ყველაფერი ერთჯერადი კი არ უნდა იყოს, არამედ ყოველდღიური, ყოველწუთიერი. სიყვარული დიადი რამაა, ვაი, რა ძნელად მოსაპოვებელი, ვაი, რა ძნელად გასაცემი. ამდენად ყველაზე უფრო მომხიბლავიც, სანატრელიც. მაგრამ „უსიყვარულოდ მზეც არ სუფევს ცის კამარაზე!“

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— რომელი? კარგი თუ ცუდი? კარგია, ალბათ ის, რომ მინდა (ყოველ შემთხვევაში ვცდილობ), დანყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო და მივიყვანო ჩემი შესაძლებლობების ზღვრამდე. ეს მაქსიმუმი, ადვილი შესაძლებელია, სხვისთვის მცირეც

იყოს ფრიად. ძალიან ვცდილობ, რადგან არ მიყვარს, როცა სხვა აღმომიჩინოს ნაკლს, რომელიც თავად შემძლეო ამერიდე-ბინა. ცუდი რა მახასიათებს? ეს რა, აღსარებაა, გული გადავი-ღელო?! თუმცა, რაც არის, არის, ვიტყვი — ანგელოზი ნამდვი-ლად არ ვარ! უნინ უფრო ამაყი გახლდით. სხვებს ეს, მგონი, ამ-პარტავენებად მიაჩნდათ. არა, ამაყი ვიყავი! ამაყი არა საკუთა-რი თავის გამო, არამედ წინაპრების, ოჯახის, დედ-მამის გამო, თუმც ამას ახლავ ვაცნობიერებ. ახლა მეტ თავმდაბლობას ვცდილობ, ვესწრაფი, მაგრამ რამდენად გამომდის — სხვის თვალში როგორ ჩანს — არ ვუნცი, ვცდილობ, ვესწრაფი კია!

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას, შეხედულებათა თანაზიარობას! იმ ფუ-ფუნებათა შორის, რაც უფალმა მიწყალობა — ერთ-ერთი უძ-ვირფასესი მეგობრებია! სამოცზე მეტი წლის უღრუბლო მე-გობრობა გვაკავშირებს შვიდ თანაკლასელს. ამდენ წლებს, ამ ხანგრძლივ დროს, ბზარი ჩვენს შორის არ გაუჩენია. ეს ბედნი-ერებაა! პროფესიამაც შემძინა მეგობრები და მართალია, ჩვე-ნი ახლო წარსულის შავბუნელმა ისტორიულმა ქართველიებმა, როგორც მამინ ხუმრობდნენ, „დაჯაბულმა სიგუაციაში“, ბარი-ერის სხვადასხვა მხარეს დაგვაყენა, ურთიერთობა დაგვეძაბა, მერე მაინც მოვნახეთ ერთმანეთის კენ მიმავალი გზა, ინტერე-სების ერთობლიობამ კვლავინდებურად დაგვაახლოვა.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ზედმეტ ემოციურობას მსაყვედურობენ ხოლმე, მართ-ლაც ყველაფერზე ველავ. აბა მაშ, გულქვა ქანდაკება ხომ არ ვარ, უსულგულოდ ვუმზირო ცხოვრების დინებას?! ჩვენს მარად მშფოთვარე ქვეყანაში, სიმშვიდე ძნელად მოსაპოვებე-ლი რამაა! არც სხვა ნაკლი მაკლი!

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— აკი მოგახსენეთ, ბედნიერება ამოუწურავი ცნებაა-მეთქი. ისე კი, თუ ჩემს ირგვლივ სიმშვიდეა (ისეთ ეპოქაში („ეს ეპოქა — მეფისტოფელი“) მომიხდა ცხოვრება — ეს იშვი-ათობაა!), თუ ჩემს ძვირფას ადამიანებს არაფერი ემოქურებათ, თუ დასახულ მიზანს მივალწევ, დღე თუ მშვიდობიანად და ნა-ყოფიერად დამიღამდება — ბედნიერი ვარ!

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ქუბერის უღელტეხილზე ლტოლვილებმა ტელეეკრანზე ნანახმა, თვალნათლივ მიჩვენა რა მრისხნე სახე აქვს უბედუ-რებას. მას აქეთ ჩემს ქერქვეშ ყოფნაც კი დიდ ბედნიერებად მესახება, მშვიდობით, უშფოთველად, ნაყოფიერად დაღამებუ-ლი დღეც — ბედნიერებაა! უბედურებაც, ბედნიერებისა არ იყოს, მრავალსახოვანია, ამოუწურავი ცნებაა! კარგად აქვს ნაბრძანები ლევ ტოლსტოის „Все счастливые семьи похожи друг на друга, все несчастные _ несчастны по-разному“ ესე იგი, მართალი ვარ — მრავალგვარია უბედურება!

— როგორი გინდოვართ ყოფილიყავით?

— უკეთესი ვიდრე ვარ!

— თქვენი საყვარელი ფერი?

— იისფერ-ზამბახისფერი, მუქი. მიწოდდა მეთქვა მელ-ნისფერი-მეთქი, მაგრამ სადღაა მელანი!

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ზამბახი და ქრიზანთემა. ზამბახი თავისი საკვირველი დეკორატიულობის, უცნაური ფორმისა და ჩემი საყვარელი ფერის გამო. თუ არ ვცდები მხოლოდ საქართველოში ხარობს — Iris Iberika. ხოლო ქრიზანთემა იმიტომ — ჩემი თვის, ნოემ-ბრის ყვავილი რომაა, გვიან შემოდგომით იფურჩქნება, ხუჭუ-ჭა, ოქროსფერი ან ქათქათა თეთრი ბურთი. ჩინეთში ტრადი-ციული „ქრიზანთემის დღესასწაულის“ დროს მომეცა ბედნი-ერება ყოფნისა. ერთი ქალაქიდან მეორისკენ მიმავალ, საათ-ნახევრანი გზის მანძილზე, ტრასას გასდევდა ქოთნებში გა-ხარებული ქრიზანთემების უწყვეტი ქრელი ზონარი. გასაო-ცარი, დაუფინყარი სანახაობა იყო! საფესტივალო გამოფენა-ზე თითოეულ ქოთანს წარწერილი ჰქონდა „ამ ჯიშის გამოყ-ვანას — 5, ამის — 7, ამის კი — 11 და ა.შ. წელი მოვანდომე“-

ო. ნარუშული შთაბეჭდილება დამრჩა — მშვენიერების ტრფიალის, ყვავილის სიყვარულის, შრომისმოყვარეობის, მოთმინების, ექსპერიმენტული ჟინის... მე კი ეს ყვავილი მხო-ლოდ მოსართავად, ესე იგი ეგოისტურად მიყვარს. შემრცხვა!

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა და ფარშევანგი. ბელურა უღიმღამო ფერის ფრთა-ბუმბულით შემოსილი, პანია, უპრეტენზიო, სამშობ-ლოს ერთგული, ცივ ზამთარშიც რომ არ ღალატობს საკუ-თარ ადგილ-სამყოფელს, საცოდავად მიყუჟული ჭადრის გამ-ხმარ ფოთლებს რომ აფარებს თავს, უიკვივით იმაგრებს გაყი-ნულ გულს. და, მისი სრულიად სანინააღმდეგო — ფარშევან-გი, თავისი არაჩვეულებრივი ფერადოვნების, ფერწერულო-ბის, ფუფუნებით გამლილი ულამაზესი მარაოსებრი, ჭრელად მოხატული ბოლოს გამო.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— უკვე მოგახსენეთ, რაც წერა-კითხვა ვისწავლე, მას აქეთია კითხვის გარეშე დღე არ გამიტარებია. ჩვენი კლასიკოსების და-სახელება ტრივიალური იქნება. აი, მაგალითად, ვაჟა-ფშაველა უნდა გიყვარდეს და მთელი სიცოცხლე კითხულობდე, თუ თავ-ვანს უნდა სცემდე? დიდი ხანი არაა ხელახლა წავიკითხე ბარნო-ვი. ნამდვილად ეკუთვნის საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზესსა და ახლა რომ უძახიან „პრესტიჟულ“ ქუჩას მისი სა-ხელი ერქვას. სამწუხაროდ ვეჭვობ, თუნდაც ამ ქუჩის მკვიდრთა-გან, ბევრმა უწყოდეს ამ მწერლის ჭეშმარიტი ფასი. ოთარ ჭილა-ძე! ჭეშმარიტად, ძნელია პატარა ერის შვილობა, და თან საბჭო-ურ ეპოქაში მოღვაწეობა, თორემ ნობელიანტობა როგორ არ უნ-და ღირსებოდა?! თუმცა ნობელის პრემიის უქონლობა ჯავა-ნიშვილის, რობაქიძის, გამსახურდიას... უკვდავებს დააკლო რა-მე?! არაქართველთაგანაც ბევრს ვეთავსებ, ტოლსტოი, მე-რეჟოვსკი, ბულგაკოვი, გოლსუორთი, რემარკი, ბიოლი, მარკე-სი, ფუ სუნგლინი (იგივე ლიანო ჭაი)... ბევრნი არიან.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— პოეზიის ქვეყანაში, საქართველოში, ისეთი დიდი პოეტე-ბის სიუხვითა ვართ მდიდრები, მიჭირს საყვარელი ერთი და თუნდაც ორი გამოვარჩიო (ისე აქ არაქართველებსაც ვგულის-ხმობ). გალაკტიონიც ასე არ ბრძანებს „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“-ო. უეჭველია რითმის გაცო, თორემ ბარათამ-ვილს როგორ არ მიათვლიდა? მე ის მიკვირს და უზომოდ მახა-რებს კიდევაც, ჩვენს პრაგმატულსა და ფულადი ღირებულებე-ბის აღზევების ხანაში „ჩვენი მწერლობა“ თითოეულ ნომრით ახალახალი პოეტური სახელებით რომ გვიხალისებს ცხოვრე-ბას. ჩემს განცვიფრებასა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა როცა ბოლოდროინდელ ნომრებში წავიკითხე — ბექა ახალია-ას, ირაკლი კაკაბაძის, კიდევ რამდენიმე ახალგაზრდის (ვაჟე-ბის, ქალბების) მშვენიერი ლექსები. ნუთუ, როგორცა ვთქვი, ამ გამძვინვარებულ ხანაში, ნივთიერი ღირებულებების ზეობის ხანაში, ანგაგრების, შურისმაძიებლობის ჟინით შეპყრობილ სა-ზოგადოებაში, ვისმე ასეთი გრძნობა-განცდები შეიძლება წარ-მოემვას?! საოცარია და გასახარიც! უფრო ნინა თაობიდან კი მიყვარს მარიამ ნიკლაური-ძიძიგური, თამარ გაბროშვილი. მა-რიამში მზიბლავს უმშვენიერეს ქართულ სიტყვათა მიკვლევისა და მათი საოცარი პოეტურობით აკინძვის ნიჭი (ისეც და ისეც ამ პრაგმატულ-პოლიტიზებულ დროში?!), გაბროშვილის პოეზია-ში — ახალი ფორმების ძიების ჟინი. თინათინ მღვდლიანშვილის ხმაღამოვლებული პოეზიაც მომწონს. „ჩვენ მწერლობაში“ სულ უკანასკნელ ხანს სიამოვნებით წავიკითხე ჩიტმშვილის ლექსე-ბი (მის შემოქმედებას რამდენიმე კომპოზიტორის მიერ დაწე-რილი სიმღერებითაც მეტ-ნაკლებად ვიცნობდი). პოეტებით, ნამდვილად მდიდრები გახლავართ და სასიხარულოა, რომ ეს ტრადიცია კვლავაც გრძელდება. არაქართველი პოეტითაც ბევრით მოვხიბლულვარ. ახალგაზრდობაში სევერიანინი მომ-წონდა, პასტერნაკი, დიდი რუსი პოეტებიც, რა თქმა უნდა. ჩი-ნელი ლი ჰაიც მიტაცებდა და დუ ფუ, პაი ძიუიც. მოკლედ, საყ-ვარელი პოეტი ერთი — შეუძლებელია!

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა!

— ამაზე არ მიფიქრია. ისე, ომი ისეთი საშინელებაა, გამარჯვების შემთხვევაშიც კი იმდენი მსხვერპლის მომტანია, ალტაცებას ჩემში არ იწვევს.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— უკვე მოგახსენეთ, ახალგაზრდობაში ნატაშა როსტოვა რომ მომწონდა და კიდევ რამდენიმე პერსონაჟი დავასახელებ. ახლა, უპირატესად, დიდი ადამიანების ბიოგრაფიული რომანები, ეპისტოლური მემკვიდრეობა, დღიურები მაინტერესებს. ამდენად, ლიტერატურულ გმირებს კი არა, რეალურ პიროვნებებს დავასახელებ, ვინც, მომწონს-მეთქი ვერ ვიტყვი, დიდ პატივს ვცემ, რამეთუ ძალზე საინტერესო, რჩეული პიროვნებები ბრძანდებოდნენ. აი, მაგალითად უნიჭიერესი უორუ სანდი, ჯერ მარტო ის რად ღირს შოპენმა რომ სცნო სიყვარულის ღირსად, ალფრედ დე მიუსეც იყო გატაცებული და ცოტა არ იყოს პროსპერ მერიმეც. თავადაც შესანიშნავი მწერალი ბრძანდებოდა, მამაკაცებს რომ არ უდებდა ტოლს. კლარა ვიკი, შუმანის მეუღლე და მისი შვიდი შვილის დედა, თავისი დროის სახელგანთქმული პიანისტი, შუმანის შემოქმედების ღირსეული შემსრულებელი და პროპაგანდისტი, ბრამსის სიყვარულის ღირსი. ასევე აღმაფრთოვანებდა ვენის ულამაზესი ქალბატონი, ალმა მალერი, XX ს. ორი უდიდესი მოღვაწის — გენიალური კომპოზიტორისა და დირიჟორის, გუსტავ მალერისა და ნოვატორი კომპოზიტორის, ალბან ბერგის სიყვარულის ობიექტი. ბულგაკოვის მეუღლესაც პატივს ვცემ — მეუღლის შემოქმედების თავდადებულ პიროვნებას. ეს იმგვარი „გმირი ქალები“ ბრძანდებოდნენ ასეთ უიშვიათეს პიროვნებათა სიყვარულის დამსახურება შეძლეს.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— მერაბ კოსტავა!

— საყვარელი სახელები?

— ჩემი ოჯახის წევრების: ჩემი დიდედისა და ქალიშვილის — თამარი, მეორე დიდედისა და რძლის — ბარბარე, შვილიშვილის — გიორგი, შვილიშვილის შვილის — ნიკოლოზი. რუსუდანიც მომწონს. ცხადია, იმიტომ არა ჩემი სახელი რომაა. მომწონს სხვა სახელებიც. მიმანია, ქრისტიანული და ქართული სახელები იმდენად მშვენიერია და ბევრიც, თურაშაულის პატრონი მაჟალოს არ უნდა დავეძებდე: იზაბელასა და კლეოპატრას, ალფრედისა და მანფრედისათვის არ უნდა განვირონ მშობლებმა ქართველი. თან ქართულ გვარს, ვთქვათ კურატაშვილს, ზიგფრიდი ან ადელაიდა, რბილად რომ ვთქვა, არ უხდება.

— საყვარელი გმირი ქალები ისტორიაში?

— ამაზე არ მიფიქრია. თუმცა რა ფიქრი უნდა — თამარ მეფე გყავს, ქეთევან დედოფალი, მარიამ დედოფალი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ცილისწამებას, ბეზღებას, ცივი გონებით შესრულებულ მკვლელობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ლავრენტი ბერია და მისი მსგავსი ქართველი „ვაიმოლვანები“, ვინც ცივი გონებით მუსრს ავლებდნენ ღირსეულ ქართველებს, ჯერ იყო და ხვრეტდნენ, მერე კი, როცა უფრო „ლმობიერი“ დრო მოვიდა, ზნეობრივად ანადგურებდნენ, ან შემოქმედებით სარბიელს უხშობდნენ, რაც, მაგალითად, შემოქმედი ადამიანისათვის სიკვდილის ტოლფასია.

— რეფორმა, რომელმაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— რეფორმებს, რომელთა მომსწრეც მე ვარ, ღირსებებთან ერთად ნაკლიც ახლდა. მარტო მე კი არ ვაძლევ უმაღლეს შეფასებას, ისტორიამ დადასტურა, რეფორმები, რომლებმაც მხოლოდდამხოლოდ სიკეთე მოიტანა, ეს ის რეფორმებია, გენიოსებმა რომ ჩაიფიქრეს და თავადვე განახორციელეს, ეს გახლდნენ გლუკო, მოცარტი, ვერდი, ვაგნერი, ჩაი-

კოვსკი... თავიანთი ნოვატორობით მუსიკალური ხელოვნება უზომოდ რომ გაამდიდრეს. ნეტავ მათი მსგავსი პიროვნებები ატარებდნენ რეფორმებს ყოფა-ცხოვრებაში! უახლოეს დროს ჩატარებული რეფორმიდან ჩვენში მისაღები გამოცდების რეფორმა, ასე მგონია, ჯერჯერობით კარგ შედეგს იძლევა, მექრთამეობა-პროტექციონიზმს მაინც შეუკვეცა ფრთები...

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ.

— მწერლის! ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, „ფორსაიტების საგა“ რომ წავიკითხე, ვინატრე, ნეტავ მეც შემეძლოს ასეთი ნაწარმოების დაწერა-მეთქი. მინდოდა აღმწერა ჩემი ახლობლები, ნათესაობა (ზოგი, მაგალითად, ჯოლიონ ფორსაიტს მივამსგავსე, ზოგი სომსს, ზოგი ფლიორსა და ზოგი კიდევ აირენს), მერე მეგობარ-ამხანაგების „დახატვაც“ მოვიწოდებ. კიდევ კარგი „წერამ არ ამიტანა“, დროულად მივხვდი, „საგას“ დასაწერად სურვილი რომ არ კმარა! თუმცა კი ბედმა ისეთი ფუფუნებით გამანებებრა, არაჩვეულებრივი ადამიანების გარემოცვაში მამყოფა. ყოველდღიურად ვხვდებოდი ისეთ დიდ პიროვნებებს შალვა მშველიძე, ანდრია ბალანჩივაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, სულხან ცინცაძე, სულხან ნასიძე, ბიძინა კვერნაძე..., რომ ბრძანდებოდნენ, ჩემი მასწავლებლები იყვნენ. ხოლო კონსერვატორიაში პროფესორებსა და სტუდენტებს შორის იმხანად ძალზე უშუალო ურთიერთობა სუფევდა. უეჭველია იმიტომ, ჭეშმარიტად დიდი ადამიანები რომ ბრძანდებოდნენ, არ აკვირვებდათ საკუთარი გამორჩეულობა, არ ქედმაღლობდნენ, არასოდეს გვაგრძნობინებდნენ რაოდენ დიდი იყო სხვაობა ჩვენსა და მათ ცოდნას შორის. ჩვენთან, შეგირდებთან, მეგობრული ტონი ეჭირათ, რაც პროფესიულ მკაცრ მოთხოვნებს ხელს არ უშლიდა. სხვა ძალზე საინტერესო ადამიანების გახსენებასაც ვინდომებდი. გაბედულება არ მყოფნის მოგონებები მაინც გადავიტანო ქალაქში, რათა მომდევნო თაობას ცალკეული ფაქტი მაინც შემოეწახოს. ეგებ დადგეს დრო, ქართველ მუსიკოსებს (ზოგ სხვა ხელოვანსაც) მოველინოს როსტომ ჩხეიძისნაირი მწერალი, ბიოგრაფიული რომანებით გატაცებული. მაშინ თვითმხილველის მოგონებების თითოთოროლა ეპიზოდი მაინც, შესაძლოა, გამოჩენილი პიროვნების ცხოვრების აღწერისას საბუთად გამოადგეს. ჭეშმარიტად, მწერლობისათვის სურვილი არ კმარა!

— როგორი გინდათ, რომ გარდაიცვალოთ?

— ისე, ლოცვაში რომაა ნათქვამი: „ურცხვენელი, უშფოთველი, მშვიდობითი აღსასრული“.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მოჩქარე. არ ვიცი რამდენი დამრჩენია, მინდა დანყებულის დასრულება მოვასწრო.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— მოძღვარი ხომ არ ვარ, ვინმეს რამე შევუნდო, მივუტევო?! რა უფლება მაქვს განვსაჯო ვინმე? ისე, ჩემთვის, თუკი გავანალიზებ, გავარკვევ მიზეზს, რამაც ესა თუ ის საქციელი ჩაადენინა ადამიანს, უამრავი ცოდვა არსებობს, ვთქვათ, ახალგაზრდული სულსწრაფობით, უმეცრებით, ვთქვათ შიმშილისა თუ სილატაკის გამო იქურდა, სილატაკე, შიმშილი დაუნდობარია, უამრავ ცოდვას ჩაადენინებს ადამიანს, ზოგჯერ ადამიანს თავადაც ვერ გაუგია, უკვირს კიდევაც, რამ ჩაადენინა ესა თუ ის საქციელი. ეშმაკი ხომ არ თვლებს! ყველაფრის გაკვეთა, მიტევება შემიძლია. ხოლო ვერ ვაპატიებ, როგორც უკვე ვთქვი, ცილისწამებას, დაბეზღებას, წინასწარ, ცივი გონებით დაგეგმილ მკვლელობას.

— თქვენი დევიზი?

— „...ყოველ დღე შენს თავსა ჰკითხო, აბა დღეს მე ვის რა ვარგე“. აი ამას ვცდილობ, ხან მეტ-ნაკლებად ვასრულებ, ხან ვერა...

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ძნელი საკითხია! ბედნიერება იქნება, თუკი მეტყვის: ამოდ არ მომიღებინებარ ამქვეყნად და მომიტეგებია ყოველივე შეცოდებანი შენნი.

დიმიტრი უჩანეიშვილი

გაკვეთილი

(რადიოჰიასა ერთ მოქმედებად)

მოქმედი პირები:

ადი — შვიდი წლის ბიჭი;
პროფესორი — სამოცდაათი წლის მამაკაცი;

პროფესორი: ...და კიდევ, ახალგაზრდავ, დაიმახსოვრეთ ეს და ამით დავასრულოთ, ჩვენი დიდი წინაპარი, სიცოცხლე-შივე ლეგენდად ქცეული ოდოაკრი, ღალატით იქნა მოკლული და მას შემდეგ ჩვენს სამშობლოს მსგავსი დიდება აღარ სწევია. ეს უნდა იცოდეთ, ეს ყველაფერი უნდა იცოდეს. **(პაუზა)** კარგი, საკმარისია ისტორია. ახლა მათემატიკაზე გადავიდეთ.

ადი: წიგნებს მოვიტან. **(ისმის ბავშვის ნაბიჯების ხმა)** მოვიტანე.

პროფესორი: დიხ. მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა. მე სიზუსტე მიყვარს! დაიმახსოვრეთ ეს! **(პაუზა)** განმარტებით დავიწყობ. რა არის მათემატიკა?

ადი: მათემატიკა? მათემატიკა არის მეცნიერება.

პროფესორი: ეს არ არის განმარტება.

ადი (მშვიდად): განმარტება არ ვიცი.

პროფესორი: ეს სავალდებულოა. დაფიქრდით! **(პაუზა)**

ადი: მათემატიკა არის ზუსტი მეცნიერება.

პროფესორი: მართალია, მაგრამ ეს არ კმარა.

ადი: თქვენ ასე ბრძანებთ.

პროფესორი: რას სწავლობს მათემატიკა?

ადი: რიცხვებს.

(პაუზა)

პროფესორი: შემდეგ? **(პაუზა; მკაცრად)** კიდევ!

(პაუზა)

ადი: მათემატიკა არის ზუსტი მეცნიერება, რომელიც სწავლობს რიცხვებს და მოქმედებებს.

პროფესორი: რას დაამატებთ?

ადი: სხვადასხვა მოქმედებებს.

პროფესორი: O, sancta simplicitas! რა მათემატიკური მოქმედებები იცით?

ადი: შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა.

პროფესორი (გაღიზიანებული): კიდევ იცით რაიმე მათემატიკური მოქმედება?

ადი: ფესვის ამოღება.

პროფესორი: კიდევ?

ადი: ხარისხში აყვანა.

პროფესორი: არა, ასე არაფერი გამოვა. კალამი აიღეთ და ჩაინერეთ.

(ადი კალამს იღებს კოლოფიდან)

ადი: აი, ვინერ.

პროფესორი: გაფრთხილებთ, დაღლილი ვარ და გამეორება არ მაიძულოთ. გასაგებია?

ადი: დიხ.

პროფესორი: მაშ ასე, განმარტება. **(ისმის მძიმე ნაბიჯების ხმა)** მათემატიკა არის ზუსტი მეცნიერება, რომელიც სწავლობს რიცხვებს, მოქმედებებს, გეომეტრიულ ფიგურებსა და გარდაქმნებს.

ადი: ჩაინერეთ. შეიძლება ერთი კითხვა?

პროფესორი: სწრაფად!

ადი: როგორ ჩნდება განმარტებები?

პროფესორი: მათ მეცნიერები ქმნიან.

ადი: ჩაინერეთ.

პროფესორი: თემას გადავუხვიეთ, ახალგაზრდავ. **(პაუზა)** ყურადღებით მისმინეთ! მათემატიკა შედგება შემდეგი ნაწილებისგან: არითმეტიკა, გეომეტრია, ალგებრა, ტრიგონომეტრია, რიცხვთა თეორია. ჩაინერეთ?

ადი: დიხ.

პროფესორი: ახლა განსაზღვრება გაიმეორეთ.

ადი: მათემატიკა არის ზუსტი მეცნიერება, რომელიც სწავლობს რიცხვებს, მოქმედებებს, გეომეტრიულ ფიგურებსა და გარდაქმნებს.

პროფესორი: დიხ, იგია საფუძველთა საფუძველი. ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები სამიათასი წლის წინათ ხვდებოდნენ მათემატიკის მნიშვნელობას. უიმისოდ არცერთი სხვა ზუსტი მეცნიერება არ იარსებებდა. ამიტომაც მათემატიკის ცოდნა აუცილებელია. სხვაგვარად წარმატებას ვერ მიაღწევთ. გასაგებია?

ადი: გასაგებია. იგია საფუძველთა საფუძველი...

პროფესორი: კმარა! „მათემა“ ბერძნული სიტყვაა და ცოდნას, მეცნიერებას ნიშნავს. ამდენად, მათემატიკაა მეცნიერებათა დასაბამი. ახლა კი გაიმეორეთ, რა ნაწილებისგან შედგება იგი?

ადი: არითმეტიკა, გეომეტრია, ალგებრა, ტრიგონომეტრია, რიცხვთა თეორია.

პროფესორი: რა თქვით, ტრიგონომეტრია?

ადი (თავდაჯერებული): დიხ, ტრიგონომეტრია.

პროფესორი: არავითარ შემთხვევაში.

ადი: თქვენ ბრძანებთ ასე.

პროფესორი: მე ამას არ ვიტყვოდი.

ადი (მორიდებით): გავიგონე.

პროფესორი: მე ეს არ მითქვამს. გასაგებია?

ადი: არ გატყუებთ.

პროფესორი (ყვირილით): თქვენ თავხედი ხართ! რას ბედავთ? ებერჰარდ კარლსის უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელი ასეთ სისულელეს არ იტყოდა. ტრიგონომეტრია ალგებრის ანუ რიცხვთა თეორიის ნაწილია, ალგებრა კი, ანუ რიცხვთა თეორია, დამოუკიდებელი მეცნიერებაა.

ადი (დამფრთხალი): თქვენ ისიც ბრძანებთ, რომ **(პაუზა)** ალგებრა და რიცხვთა თეორია **(პაუზა; სწრაფად)** ორივე მათემატიკის ნაწილია.

პროფესორი: ხელები მაგიდაზე! **(პაუზა)** მეორეც! არ გაინძრე! **(ისმის ჯოხის დარტყმის ხმა)**

ადი: რისთვის?

პროფესორი (ქოშინებს): სხვა დროს გეცოდინება. ახლა გაიმეორე რისგან შედგება მათემატიკა!

ადი (დაბნეული): არითმეტიკა, გეომეტრია, ალგებრა, **(დინჯად)** ტრიგონომეტრია, რიცხვთა თეორია.

(ისმის ჯოხის უფრო ძლიერი დარტყმის ხმა)

პროფესორი: გაიმეორე!

ადი: თქვენ...

პროფესორი: ხელისგულები! მიჩვენე შენი პატარა ხელისგულები! **(პაუზა; ჯოხს ურტყამს რამდენჯერმე ძლიერად)** გაიმეორე, რა ნაწილებისგან შედგება მათემატიკა ტრიგონომეტრიის და რიცხვთა თეორიის გარეშე.

(პაუზა)

ადი: გარეშე? **(პაუზა)** არითმეტიკა, გეომეტრია, ალგებრა.

პროფესორი: აი, ასე. შენზე ურჩები მომირჯულებია. ახლა პრაქტიკაზე გადავიდეთ. დავიწყობ. **(პაუზა)** რით დავიწყობ?

ადი: აღარ მინდა.

პროფესორი (მკაცრად; დამარცვლით): რით დავიწყობ?

(პაუზა)

ადი: ბაბუას დავუძახებ.
პროფესორი: ბაბუა ვერ გიშველის. შორს არის წასული, შენი თავი კი მე ჩამაბარა.

(პაუზა)

ადი (მორჩილად): თუ ბაბუა წასულია, არითმეტიკით და-
ვინწყობ.

პროფესორი: ჰმ, ლოგიკურია. *(ნიგნს ფურცლავს)* კარგი, ვნახოთ, რა გაქვს დავალებად. რა გაქვს დავალებად? *(პაუზა; დამარცვლით)* რა გაქვს დავალებად?

(პაუზა)

ადი: შეკრება.

პროფესორი: ფეხზე! *(ისმის სკამის გადაადგილების ხმა)* ზურგით ჩემკენ! *(ისმის ზურგზე ჯოხის დარტყმის ხმა)* რატომ შეკრება?

ადი: ეს მოგვცეს დავალებად.

(ისმის უფრო ძლიერი დარტყმის ხმა)

პროფესორი: ესე იგი, შეკრება, არა?

ადი: დიახ, შეკრება. აი, ნიგნი.

პროფესორი (ნიგნს ფურცლავს; დინჯად): შეკრება. ჰმ, კარგი, იყოს შეკრება. *(თავისთვის)* რომელ ბრიყვს მოუვიდა თავში გაზაფხულზე შეკრების სწავლება? *(ადის)* ამოცანა. ხის ტოტზე იჯდა ოთხი ჩიტი, მოფრინდა კიდევ ორი. სულ რამდენი ჩიტია ტოტზე?

ადი: ამ ტოტზე?

პროფესორი (დამამცირებლად): ხედავთ სხვა ტოტს?

ადი: ოთხი.

პროფესორი (განცვიფრებული): ოთხი? ოთხი იყო, ორი დაემატა. რამდენი იქნება?

ადი: ოთხი.

პროფესორი (თავისთვის): მეთამაშება. კარგი, ავყვეთ მცირე ხნით. *(ადის მიმართავს)* შეგიძლია ამიხსნა, რატომ?

ადი: ამ ტოტზე მეტი ჩიტი ვერ დაეტევა.

პროფესორი: გასაგებია, ყმანვილო, მაგრამ ეს ხომ ამო-
ცანაა?! ჩავთვალოთ, რომ ტოტი უფრო გრძელია, უბრალოდ ნახატზე არ ჩანს.

ადი: მაინც ოთხი იქნება.

პროფესორი: რატომ?

ადი: ეს ჩიტები ერთად ვერ იარსებებენ.

პროფესორი: ეს რას ნიშნავს?

ადი: ამ ნახატზე ორი ძერა და ოთხი ბელურაა გამოსახუ-
ლი. ეს შეუსაბამობაა. ძერები ბელურებს შეჭამენ.

პროფესორი (თავშეკავებით): არ აქვს მნიშვნელობა, შე-
ჭამენ თუ არა. იყო ოთხი, დაემატა ორი. რამდენი გახდა?

ადი: თუ ამ ჩიტებს გულისხმობთ, ოთხი იქნება.

პროფესორი (ხმას აუნწევს): დავანებოთ ჩიტებს თავი. მე
მქონდა ოთხი ვაშლი. შენ მომეცი ორი. რამდენი ვაშლი მაქვს მე?

ადი: ოთხი.

პროფესორი (ყვირის): რატომ?

ადი: მე თქვენთვის არაფერი მომიცია.

პროფესორი: რომ მოგეცა?

ადი: ვერ მოგცემდით, მე ვაშლები არ მაქვს.

პროფესორი (ღრმად ჩაისუნთქავს): დაივიწყე ვაშლები.
რამდენი იქნება ოთხს მივუმატოთ ორი?

ადი: ოთხს მივუმატოთ ორი რა?

პროფესორი: რას ნიშნავს „ორი რა“?

ადი: რაიმე მაგალითი მჭირდება. ასე უფრო მიადვილდება.

პროფესორი: ოთხ მანქანას მივუმატოთ ორი მანქანა.

ადი: მამას გარაჟი.

პროფესორი: რამდენი მანქანაა მამას გარაჟში?

ადი: ოთხი.

პროფესორი: რატომ ოთხი?

ადი: ერთით თვითონ არის წასული, მეორით — დედა,
ოთხი კი გარაჟში დგას.



პროფესორი: როდესაც დედა და მამა დაბრუნდებიან,
რამდენი მანქანა იქნება გარაჟში?

ადი: ოთხი.

პროფესორი (ღრმად): რატომ?

ადი: საღამოს ჩემი უფროსი ძმები მიდიან წვეულებაზე
ოჯახებთან ერთად.

პროფესორი: თუ არ წავლენ?

ადი: თუ არ წავლენ, მამა ისე გაბრაზდება, რომ შესაძ-
ლოა ორივე დაითხოვოს სამსახურიდან.

პროფესორი: მერე, მერე რა მოხდება?

ადი: მერე ძალიან გაუჭირდებათ სამსახურის შოვნა.

პროფესორი: მაგას არ გეკითხები. *(იმედი)* რამდენი
მანქანა იქნება გარაჟში?

ადი: ოთხი.

პროფესორი (ღრმად): რატომ ოთხი?

ადი: უმუშევრები მანქანებს ვერ შეინახავენ და გაყიდვა
მოუწევთ.

პროფესორი: ვიდრე გაყიდიან?

ადი: ალბათ დააგირავებენ.

პროფესორი: დააგირავებენ?

ადი: დიახ, მამა ძალიან მკაცრია და კაპიკსაც არ მის-
ცემს.

პროფესორი: ჩემი მასხრად აგდება გადაწყვიტე? კარგი.
(პაუზა) ხელები მაგიდაზე! *(პაუზა; ისმის ჯოხის დარტყმის ხმა)*

ახლა კალამი და ფურცელი აიღე.

ადი: აქ მაქვს.

პროფესორი: რამდენი იქნება ოთხს მივუმატოთ ორი?
(ჯოხს აკაკუნებს მაგიდაზე) სწრაფად!

ადი: თქვენ შესაძლოა კიდევ დამარტყათ და მაიძულოთ
იმის თქმა, რაც თქვენ გსურთ, მაგრამ ვერ მაიძულებთ ვი-
ფიქრო ისე, როგორც თქვენ გსურთ.

პროფესორი: ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, შენ რას
იფიქრებ, მნიშვნელოვანია სწორად მიპასუხო, სწორად კი
ისეა, როგორც მე გასწავლი.

ადი: თქვენ ტრიგონომეტრიაც ჩათვალეთ მათემატიკის
ნაწილად, მაგრამ შემდეგ გადათქვით.

პროფესორი: ასე გსურს? კარგი. მიფრთხილდი! ექვსა-
სორმოცდასამი გავამრავლოთ ოთხასორმოცდაორზე. და-
ინყე ანგარიში! სწრაფად! გაითვალისწინე, რამდენითაც
შეცდები, იმდენ ჯოხს მიიღებ.

ადი (მყისიერად): ორასოთხმოცდაოთხიათას ორასექვსი.

პროფესორი: ფეხზე!

ადი: რატომ?

პროფესორი: ვერ ხვდები?

ადი: მე სწორად გიპასუხეთ.

პროფესორი: დამცინი კიდევ?

ადი: შეამონმეთ.

(პაუზა)

პროფესორი (ბუტბუტებს): ექვსი, რვა... ექვსი, ერთს ვინახავთ... ოთხი, ორს ვინახავთ, კიდევ ოთხი... (განცვიფრებულად) სწორია. (პაუზა) შვიდასთვრამეტი გავამრავლოთ ოთხსაცამეტზე.

ადი: ორასოთხმოცდათექვსმეტიათას ხუთასოცდაოთხმეტი.

პროფესორი (ბუტბუტებს): ოთხი, ორს ვინახავთ... რვა, ერთი, შვიდი, ორი, სამს ვინახავთ... ესეც სწორია. (პაუზა; საკუთარ თავს, გაკვირვებულად) როგორ ანგარიშობს ასე სწრაფად? (ადის) როგორ ანგარიშობს ასე სწრაფად?

ადი: მე განსაკუთრებული ნიჭი მაქვს.

(ხანგრძლივი პაუზა)

პროფესორი: 8192 გავყოთ 32-ზე.

ადი: ორასორმოცდათექვსმეტი.

პროფესორი (ანგარიშობს): ორი, სამოცდაოთხი, დაგვრჩა ჩვიდმეტი, ცხრა ჩამოგვაქვს... ხუთი, ორი ჩამოგვაქვს, ექვსი. ესეც სწორია. (პაუზა) შენ თქვი, რომ ფესვის ამოღებაც იცი.

ადი: დიას.

პროფესორი: კვადრატული ფესვი 15876-დან.

ადი: 136.

პროფესორი (ბუტბუტებს): შვიდი, თორმეტი, სამი, ხუთი... ესეც სწორია. ჩვიდმეტიათას... არა, აღარ არის საჭირო. შენი ასაკისთვის უჩვეულოდ სწრაფად აზროვნებ. (პაუზა) ჰმ... ვფიქრობ, მათემატიკაში წვრთნა დღეს აღარ გჭირდება.

(ხანგრძლივი პაუზა) შეცდომის და არასწორი პასუხის მიმართ გულგრილი ვერ ვრჩები და ეს... ამიტომ... თუმცა შენ... (პაუზა) მითოლოგიაზე გადავიდეთ. ვისაუბროთ ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გმირის, თეზევსის შესახებ. რით არის, პირველ ყოვლისა, იგი ცნობილი?

ადი: სინოიკიზმის შემოღებით.

პროფესორი: რა არის სინოიკიზმი?

ადი: თანაცხოვრება.

პროფესორი: ანუ...

ადი: ატიკის პოლიტიკური უნიფიცირება.

პროფესორი: კიდევ რით არის ცნობილი?

ადი: საგმირო საქმეებით.

პროფესორი: აბა, ჩამომითვალე რამდენიმე.

ადი: პერიფეტესი, სინისი, კერკიონი, პროკრუსტე, კრონიონის ტახტი.

პროფესორი: მართალი ხარ. ვინ იყვნენ თეზევსის მშობლები?

ადი: ეგეოსი და ეთრა.

პროფესორი: ეთრა კი, მაგრამ ეგეოსზე ვერ დაგეთანხმები.

ადი: თეზევსი ეგეოსის შვილია.

პროფესორი: მოდი ასე შევხედოთ. მან ხომ საგმირო საქმეები ჩაიდინა? შესაბამისად, ლვითური წარმოშობა სჭირდებოდა, როგორც ჰერაკლეს, პერსევსსა და კადმოსს. სწორედ ამიტომ, მის დედასთან პოსეიდონი დაწვა და თეზევსი ჩასახა.

ადი: თეზევსმა მოკლა პროკრუსტე.

პროფესორი: დიას.

ადი: პროკრუსტე პოსეიდონის შვილი იყო.

პროფესორი: კი, ასეა.

ადი: მოკლა კერკიონი.

პროფესორი: დიას.

ადი: კერკიონის მამა პოსეიდონი იყო.

პროფესორი: კი, კი, ასეა.

ადი: მოკლა სკირონი, რომელიც ასევე პოსეიდონის შვილი იყო.

პროფესორი: დიას.

ადი: თქვენებურად გამოდის, რომ თეზევსმა ძმები დახოცა.

(პაუზა)

პროფესორი: ძმები... ამაზე არ მიფიქრია. ჰო, ძმებს არ დახოცავდა, მაგრამ საგმირო საქმეებსაც ვერ ჩაიდენდა, პოსეიდონის შვილი რომ არ ყოფილიყო.

ადი: მე მგონი, ძმებს უფრო არ დახოცავდა.

პროფესორი: ჰო, ალბათ. (პაუზა) რა ვქნათ?

ადი: არ ვიცი.

(ხანგრძლივი პაუზა)

პროფესორი: იქნებ ეგეოსი პოსეიდონის ერთ-ერთი სახელია?

ადი: არა, ეგეოსი მინიერი მეფეა და კვდება.

პროფესორი: ჰო, მართალი ხარ. (პაუზა) იქნებ... (შეპარვით) იქნებ შენ ცდები?

ადი: არა, მე არ ვცდები.

პროფესორი: არა, რა თქმა უნდა, შენ არ ცდები. (პაუზა) მაგრამ არც მე ვცდები. (პაუზა) არცერთი არ ვცდებით. (ხანგრძლივი პაუზა) შესაძლოა... არა... (პაუზა) იქნებ პოსეიდონმა ეგეოსის იერი მიიღო და ასე გამოეცხადა ეთრას? (პაუზა)

ადი: ასეთ შემთხვევაში ჩვენ ეს არ გვეცოდინებოდა და მაშად ეგეოსი რჩება.

პროფესორი: ჰო, მართალი ხარ. (ხანგრძლივი პაუზა) ჰმ... ჰმ... ჰმმმ... აჰა, მგონი, ვიპოვე გამოსავალი.

ადი: გისმენთ.

პროფესორი: რას იტყვი, თეზევსს რომ ორი მამა ჰყოლოდა?

ადი: როგორ?

პროფესორი: ორი მამა, პოსეიდონიც და ეგეოსიც.

ადი: ორი მამა? საინტერესოა.

პროფესორი: ჰო, ორი მამა. რა მოხდა?

ადი: არ ვარ დარწმუნებული.

პროფესორი: ადი, ეს ხომ მითია? ჰყავდეს ორი მამა...

ადი: თუ სხვა გზა არ არის...

პროფესორი: ჰო, ჰო.

ადი: კარგი, ეგრე იყოს, ერთი დედა და ორი მამა და ორივე ბიოლოგიური.

პროფესორი: კი, კარგია. ძალიან კარგი. შევთანხმდით.

(გაისმის კედლის საათის ზარი)

პროფესორი: დიდი დრო გასულა. ახლა უნდა წავიდე. დამახსოვრე, რომელი გვერდია.

ადი: ასოცდათექვსმეტი.

პროფესორი (გაკვირვებულად): ეს არ არის ასოცდათექვსმეტე გვერდი.

ადი: ვიცი.

პროფესორი: აბა რას ნიშნავს ასოცდათექვსმეტი?

ადი (მშვიდად): არ არის სწორი.

პროფესორი: რა არ არის სწორი?

ადი: კვადრატული ფესვი 15876-დან.

პროფესორი: როგორ? როგორ თუ არ არის?

ადი: ამ რიცხვიდან ფესვი არ ამოდის.

პროფესორი: შენ ხომ თქვი 136?

ადი: მე განგებ გითხარით შეცდომით. თქვენ შეგამონმეთ.

პროფესორი: მე შემამონმე?

ადი: დიას. თქვენ არ იცით ფესვის ამოღება.

პროფესორი: ეს რას ნიშნავს?

ადი: არ იცით.

პროფესორი (ხმამალა): რას... (პაუზა; მშვიდად) ვიცი. თუ გინდა შევამონმით.

ადი: კვადრატული ფესვი 37502-დან.

პროფესორი: სამი, ხუთი, ორი, აქ ორი, კიდევ ერთი, სამი, ნოლი... ასოთხმოცდაოთხმეტი.

ადი: არ იცით ფესვის ამოღება. არც ის იცით, რომ ორი დამთავრებული რიცხვიდან ფესვი უნაშთოდ არ ამოდის.

პროფესორი: რაო?

ადი: ფესვი რომ უნაშთოდ ამოიღოთ, რიცხვი უნდა მთავრდებოდეს ერთით, ოთხით, ხუთით, ექვსით ან ცხრით.

პროფესორი: ერთი, ორი, ექვსი? ეს რა სისულელეა?! მე პროფესორ იორგენსონთან ვმუშაობდი მრავლობით ინტეგრალებზე. (პაუზა) ეს ორით დამთავრდა და ფესვი არ ამოღის?

ადი: დიახ, თქვენ ეს არ იცოდით.

(პაუზა)

პროფესორი: საერთოდაც, გადაღლილი ვარ და შევცდი. კიდევ ვცალოთ.

ადი: 45364.

პროფესორი: შვიდი, ნოლი, ორი, სამი, თერთმეტი, თერთმეტი, თერთმეტი... რატომ თერთმეტი? ადი... რაღაც უნდა გთხოვო.

ადი: გისმენთ.

პროფესორი: ჩუმად, ადი. გთხოვ, ჩუმად. არავინ გაიგოს.

ადი: რატომ არ უნდა გაიგოს?

პროფესორი: მე უნივერსიტეტიდან გამაგდებენ.

(პაუზა)

ადი (გულგრილად): შენ არ იმსახურებ კათედრას.

პროფესორი: ვიცი, მაგრამ უკვე დიდი ხანია ასეა. ამის შეცვლა არ შეიძლება.

ადი: ყველაფრის შეცვლა შეიძლება.

პროფესორი: შევცდი, შევცდი და მაპატიე, მაპატიე, რომ გიყვიროდი და ჯოხი დაგარტყი, მაგრამ შენ უნდა მაპატიო, შენ ვალდებული ხარ მაპატიო. მე ხომ ამდენი რამ გასწავლე? (პაუზა)

ადი: ოთხს მივუმატოთ ორი.

პროფესორი (სწრაფად): ოთხს მივუმატოთ ორი ისევ ოთხია ან თუ გინდა ხუთია, ადი. როგორც შენ გინდა, ისე იყოს. ჩიტები, მანქანები, გარაჟები, სულერთია, ადი.

ადი (მშვიდად): აქ დაჯექი და ჯოხი მომეცი. ახლა მე გამეცადინებ.

(ისმის სკამების გადაადგილების და ნაბიჯების ხმა)

სამჯერ ცხრა.

პროფესორი: ოცდაშვიდი.

ადი (ისმის ჯოხის დარტყმის ხმა): არ არის სწორი.

პროფესორი: შევცდი.

ადი: სამჯერ ცხრა არის ცხრა. დაიმახსოვრე.

პროფესორი: სამჯერ ცხრა არის ცხრა. დავიმახსოვრე.

ადი: სამჯერ სამი რამდენია?

პროფესორი: სამჯერ სამი, სამჯერ სამი, რამდენი უნდა იყოს, ადი? თავი მტკივა. მოიცა, არ დამარტყა. სამჯერ სამი არის (პაუზა) ცხრა.

ადი: ამჯერად არ შევცდი. ახლა კი იფიქრე. თუ სამჯერ სამი ცხრაა და სამჯერ ცხრაა ცხრაა, რას უდრის სამი?

პროფესორი: სამი უდრის სამს.

ადი: კიდევ?

პროფესორი: სამი უდრის ცხრას.

ადი: ყოჩაღ. სამი უდრის ცხრას! სწორია. ხედავ? თანდათან ინაწებები. კიდევ ნავივარჯიშოთ. ოთხჯერ ორი?

პროფესორი: რვა.

ადი: კარგია. შვიდჯერ ხუთი?

პროფესორი: ოცდათხუთმეტი.

ადი (ღრიალებს): არა! ეგ ძველებური, არასწორი მათემატიკაა. ახლებურად რამდენი იქნება?

პროფესორი: თითები, თითები მტკივა, შვიდი ხუთჯერ... ხუთი შვიდჯერ... თავი მტკივა... არ ვიცი... ხუთი, კიდევ ხუთი, კიდევ ხუთი, არა, ასე ბევრია, შვიდი, კიდევ შვიდი, თოთხმეტი და ხუთი, რატომ ხუთი? აი ხელი, დამარტყი.

ადი: აღარ დაგარტყამ.

(ისმის რკინის რკინაზე გასმის ხმა)

პროფესორი: ეს რა არის?

ადი: ხმალი.



მხატვარი ინა ქელიძე

პროფესორი: რა უნდა მიქნა?

ადი: თითი!

პროფესორი: თითი უნდა მომაჭრა?

ადი: მაგიდაზე!

პროფესორი: არა.

ადი: სწრაფად!

(პაუზა; ისმის დარტყმის ყრუ ხმა)

პროფესორი: ააა... თითი... ჩემი თითი... სისხლი...

ადი: აი, ცხვირსახოცი. შეიხვიე!

პროფესორი: თითი... ჩემი თითი...

ადი: შვიდჯერ ხუთი!

პროფესორი: რვა.

ადი: გჯერა?

პროფესორი: არ ვიცი...

ადი: თითი!

პროფესორი: მჯერა თუ არ მჯერა, შვიდჯერ ხუთი არის რვა, თითი აღარ მაქვს... მტკივა... არ მინდა...

ადი: მაგიდაზე!

(პაუზა; ისმის დარტყმის ყრუ ხმა)

პროფესორი: სისხლისგან ვიცლები... თითები... ჩემი თითები...

ადი: არ მოკვდები!

პროფესორი: ჩემი თითები...

ადი: შვიდჯერ ხუთი!

პროფესორი: რვა.

ადი: გჯერა?

პროფესორი: კი. შვიდჯერ ხუთი არის რვა! რვა!

ადი: კარგია. განვაგრძოთ მეცადინეობა.

პროფესორი: იქნებ აღარ გვინდა?

ადი: მოუმზადებელი ხომ არ ნახვალ შინ?

პროფესორი: მოუმზადებელი... ჰო... არა... ვიმეცადინოთ. მგონი სისხლი ჩერდება.

ადი: მე მინდა გაიგო, რომ ეს ის მათემატიკაა, რომელიც მომავალს შეცვლის. ეს ადი რებურგის მათემატიკაა.

პროფესორი: მომავალი კარგია.

ადი: კარგია, მაგრამ ის ყველასთვის არ არის. გასაგებია?

პროფესორი: კი, ადი, გასაგებია. რა თქმა უნდა, ისე იქნება, როგორც შენ იტყვი.

ადი: განვაგრძოთ. ახლა გრამატიკაზე გადავიდეთ. აქ მთავარი სიახლე ის არის, რომ ამიერიდან მნიშვნელოვანწილად ანმყო და წარსული დროები უქმდება. რჩეულთათვის იქნება მომავალი, უმეტესობისთვის კი მხოლოდ წარსული.

პროფესორი: მე შემიძლია ვიყო რჩეული?

ადი: არა, შენ ვერ იქნები რჩეული.

პროფესორი: ესე იგი მე მხოლოდ წარსული მექნება.

ადი: კი, ასეა.

პროფესორი: ეს როგორ მოხდება?

ადი: მე ხომ გითხარი, ყველაფერი შეიძლება. მაგალითად, შენ უნდა თქვა ასე: მე კათედრის ხელმძღვანელი ვიყავი.

პროფესორი: მე ხომ ვარ კათედრის ხელმძღვანელი?

ადი: არა, შენ არ ხარ, შენ იყავი.

(პაუზა)

პროფესორი: ჰო, მე ვიყავი. მართალი ხარ, ადი. მე უკვე აღარ ვარ.

ადი: კარგია, რომ მიხვდი. გული ნუ დაგწყდება. შენს მაგივრად სხვები მოვლენ, უკეთესები.

პროფესორი: მე თუ წავალ, სხვები, ჩემზე უკეთესები მოვლენ?

ადი: რა თქმა უნდა. უთუოდ. შენ წარსულში უნდა დარჩე.

პროფესორი: ასეც ვიზამ ადი, ასეც ვიზამ. (პაუზა) ადი, იქნებ მითხრა, როგორ უნდა მოვიქცე, რომ წარსულში დავრჩე?

ადი: მე უნდა დამიჯერო.

პროფესორი: კარგი, ასე ვიზამ.

ადი: ახლა წადი!

პროფესორი: თუ ასეა, მე წავალ.

ადი: წადი, ოღონდ ეს ცოდნა, აქ რომ შეიძინე, სხვებს უნდა გაუზიარო.

პროფესორი: აუცილებლად, აუცილებლად ასე ვიზამ.

ადი: ყველას.

პროფესორი: დიას.

ადი: ახლა კი გავიმეოროთ. შვიდჯერ ხუთი!

პროფესორი (ენტუზიაზმით): შვიდჯერ ხუთი არის რვა, ხუთჯერ სამი არის ექვსი. სამი უდრის ცხრას, შვიდი უდრის ოთხს. მე აღარ ვარ. მე ვიყავი. სხვებიც იყვნენ. ყველა იყო. ახლა შენ ხარ მხოლოდ და სულ შენ იქნები. მუდამ. (ხმამალა) დიდება ადის! დიდება ადი რებურგს!

ადი: ფეხზე! (იხმის სკამის გადაადგილების ხმა) შენ, შენი შვილები, შენი მეგობრები, ნათესავები, ყველა მე მეკუთვნი, რადგან მხოლოდ მე შემიძლია შექმნა თქვენი ნათელი მომავალი. ეს ასეა! (ყვირის) დიას, ასეა! (შემდეგ ყველა სიტყვა ხაზგასმით და გამოთქმით; დასასრულს ხმა თანდათან სუსტდება) Es ist daher meine einzige Sorge, mich abzumühen, um das deutsche Volk durch diese Zeit der Not hindurchzuführen und ihm damit das Tor in jene Zukunft zu öffnen, an die wir alle glauben, für die wir kämpfen und arbeiten. Ich kann diesen Appell nicht schließen, ohne dem Herrgott zu danken für die Hilfen...

როსტომ ჩხეიძე

ქველი სიბუღას
საიდუმლოება

IX

ორჰან ფამუქი ორიგინალური ყაიდის თხზულებაში „სხვა ფერები“, პირობითად რომანიც რომ შეიძლება ეწოდოს, გაიხსენებდა, თუ როგორ გამოიკეტებოდა საკუთარ ოთახში იმ 1975-82 წლებში, როდესაც პოლიტიკური ძალადობა, რეპრესიები, წამება და აკრძალვები პიკს მიაღწევდა თურქეთში, და ახალი ამბის შეთხზვას გადანყევტა — ახალი ალეგორიებით, იდუმალებით, დუმილითა და ისეთი ხმით, რომლითაც ჯერ არცერთ ამბავში არ ესაუბრა.

და ჩაკეტილ ოთახს ახსენებდა თუ არა, ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა ფრანგი მწერლის გასტონ ლერუს რომანი „ყვითელი ოთახის საიდუმლოება“, რომელსაც დეტექტიური ჟანრის მოყვარულები ჩაკეტილ ოთახში განხორციელებული მკვლელობის პირველ და ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად აღიარებდნენ.

ოთახის კარი, მკვლელობა სადაც მოხდა, ჩაკეტილია.

მკვლელობაში რამდენიმე ადამიანი ეჭვმიტანილი.

ადამიანი, რომელსაც თავსატეხთა ამოხსნის საუკეთესო ალლო აქვს, სწავლობს ამ შემთხვევას და მკვლელობის მოტივებსაც ადგენს.

გასტონ ლერუს ამ რომანის დაწერიდან 70 წლის შემდეგ ესპანელი ავტორი მანუელ ვასკეს მონტალბანი გამოსცემდა ნიგნს სათაურით „მკვლელობა ცენტრალურ კომიტეტში“, რაც ცხადყოფდა, რომ ჩაკეტილ ოთახში განხორციელებული მკვლელობა მრავალნაირად შეიძლება მოხდეს და ამგვარ მოტივზე სრულიად განსხვავებული ნაწარმოებებიც დაინეროს.

ჩაკეტილი ოთახი ამ პოლიტიკურ დეტექტივში ერთ-ერთი პარტიის სათაბირო დარბაზს წარმოადგენს, და შუქი ჩაქრება თუ არა, პარტიის გენერალურ მდივანს უნდა მოუღონ ბოლო.

და აი, მკვლელობის ადგილას მიდის გამომძიებელი, გარეშე პირი, ჩვეულებისამებრ სახელმწიფოს წარმომადგენელი, რათა თვითიული ეჭვმიტანილი ინდივიდუალურად დაჰკითხოს.

ამგვარი დაკითხვა ფამუქს აგრძნობინებს, რომ ჩვენ ყოველი კერძო დანაშაულის გამო ერთპიროვნულად ვართ პასუხისმგებელი ცენტრალური სამთავროს ორგანოების წინაშე.

— ჩაკეტილი ოთახის მაგალითზე თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენ სიახლოვეს ჩადენილი დანაშაულის გამო ჯგუფური პასუხისმგებლობა არ გვეკისრება, არც უბანია მასში დამნაშავე და არც მთელი საზოგადოება. ჩვენ ბრალი გვედება, როგორც ინდივიდებს, ან საერთოდ გვეხსნება ის.

და აჰა, ფამუქისეული შეჯამება:

— სამყარო, რომელშიც ჩვენ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე ვაგებთ პასუხს, ნამდვილად შორს არის იმ მაღალი მორალის სამყაროსაგან, რომლის შექმნაზეც დოსტოვესკი ოცნებობდა.

რატომ შეჩერდა მაინცდამაინც ჩაკეტილ ოთახზე?

ავიხსნის, ყველაფერს მისებური სიცხადით ავიხსნის:

— თუ არ ვიცით ის მთავარი პრინციპები, რომლებიც ჩვენი წარსულის გაგებაში დაგვეხმარება, მასთან მხოლოდ ალეგორიის საშუალებით შეიძლება დავამყაროთ კავშირი. ამისათვის კი ჩაკეტილ ოთახში განხორციელებული მკვლელობის ახალი ვერსია გვჭირდება, რომელიც აქ მხოლოდ მაგალითად მოვიყვანე. ახალი ვერსია რაღას ნიშნავს?

რას და:

მკვლელობაზე (რომელსაც უბრალოდ სისხლის სამართლის დანაშაულიც შეგვიძლია ვუწოდოთ) პასუხისმგებლობა ოთახის პატრონს, მეზობლებსა და ნებისმიერ იმ პირს ეკისრება, რომელთაც მომაკვდავის ყვირილის გაგონება შეეძლო.

იტყვოდა ამას თურქი მწერალი და... იმასაც იგულისხმებდა, რომ მოთხრობის დასაწყისში ასეთი რამის დაშვება ჭადრაკის თამაშში ახალი ნესების შემოტანას ჰკავდა. და აღარც იმის მიხედვრა გაგვიძნელებოდა, თუ როგორ

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №7, 8, 9, 10

იმოქმედებდა მკვლეელი ან კრიმინალი ამ ახალ სისტემაში მისამალად ან ერთპიროვნული პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. როგორ და იმ ვარაუდით, რომ:

ნებისმიერი ახლომასლო მცხოვრები ან მახლობლად მყოფი პასუხისმგებელია მის მიერ ჩადენილ მკვლელობაზე.

დეტექტიურ უანრსა და გაუხსნელ მკვლელობებს ყოველმხრივ და გულდასმით ჩაუკვირდებოდა ორჰან ფამუქი, მაგრამ ამჯერად მისი ანალიტიკური განსჯის ძაფს ნულა გავეყვებით და ყურადღება მივაქციოთ, დეტექტიურ თხზულებათა სამოქმედო არეალიდან მაინცდამაინც ჩაკეტილ ოთახს რომ გამოაცალკევებს და იქ გათამაშებულ საიდუმლოს ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას გასიმბოლოებისა და განზოგადებისათვის. მის ხელთ ზვიად გამსახურდიას აღსასრული!..

ჩაკეტილი ოთახის ციკლის ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ქმნილებად აქცევდა და ჩაეძიებოდა და ჩაეძიებოდა მის ყველა შრესა თუ დეტალს, რათა არაფერი გამორჩენოდა და აღდგენილი სურათი ყოველმხრივ სანდო და სარწმუნო ყოფილიყო და აღარავის ეცადა მსჯელობის თუ თხრობის გადატანა სხვა კალაპოტში: წინააღმდეგობრივ მოვლენათა წინაშე დამარცხებულმა თავი მოიკლა და ჩვენ მხოლოდ თვითმკვლელობის მიზეზისა თუ მიზეზთა მოძიება-დადგენა გვევალებოდა.

და შთამბეჭდავ ქმნილებად აქცევდა სწორედ იმ მოზაიკური სტრუქტურის მოშველიებით, აკუთავავე რიუნოსკესაგან რომ ჩარჩენოდა ცნობიერებაში და კიდევ მოემარჯვებინა დეტექტიური ყაიდის რომანის — „მე წითელი მქვია“ — სიუჟეტური ქარგის გასაშლელად.

ეს მოზაიკური სტრუქტურა უშუალოდ აკუთავავე რიუნოსკესაგან სხვასაც ჩარჩენოდა ცნობიერებაში.

და კიდევ მიესადაგებინა თავისი სიუჟეტისათვის.

აბა, ამ თვალთ გადახედეთ ერთი მხრივ ნოველას „უსიერ ტყეში“.

და მეორე მხრივ რომანს „დათა თუთაშხია“.

განა ზუსტად არ მეორდება კომპოზიციური აღნაგობა?

„უსიერ ტყეში“, ნოველის კვლობაზე, მინიატურულადაა გამოყენებული ის მხატვრული ხერხი, „დათა თუთაშხიაში“ რომანის შესაფერისად რომ უნდა გაიშალოს.

ამკარაა:

„დათა თუთაშხიას“ ავტორისათვის ცნობილია და კარგადაც ცნობილი იაპონელი მწერლის ეს ნოველა, რომელიც რუსულად ითარგმნებოდა ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში და გამოქვეყნდებოდა კრებულში „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ (1926).

მთელი კრებულისა რა მოგახსენოთ, შესაძლოა ისიც, მაგრამ ეს ნოველა კი ძალიან გახმაურდებოდა ჩვენს სალიტერატურო წრეებში და სულაც შთამაგონებელი შეიქნებოდა გიორგი ლეონიძისათვის ლირიკული შედევრის „ყიფჩაღის პაემანი“ შესაქმნელად, 1928 წელს რომ დაინერგებოდა, თბილისში ამ კრებულის დატრიალების „ცხელ კვალზე“.

ამ როლს იაპონური ნოველისა ქართული ლექსის შესათხზველად თამაზ ნატროშვილი გამოარკვევდა დეტექტიური შეფერილობის ნარკვევში „მომხენილ იქნეს მეორე მხარეც“ („კლდეკარი“, 1992, №1), სიყვარულისაგან გახელვებულ ყიფჩაღს რომ ათქმევინებდა აღსარებას გიორგი ლეონიძე, მეორე მხარის მონათხრობსაც ამოუყენებდა გვერდით ხალხურ ბალადას ქართული მოყმისა და მოძალადე ყიფჩაღის შერკინების ქარგაზე.

ვითომ უნებლიეთ დამთხვევოდა ერთმანეთს აკუთავავეს მონათხრობი და ქართველი პოეტის ლირიკული ვერსია?

ჯერ ტიპოლოგიური მსგავსების მიგნებაც საგულისხმო იქნებოდა, მაგრამ მთავარი სწორედ ისაა, რომ გიორგი ლეონიძის გაუცნობიერებელ წადილს რაღაც ამგვარის შექმნისა, იაპონელი პროზაიკოსის წარმოსახვა ფრთას ჰკრავდა და ამოქმედებდა.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ამ შინაგანი კავშირის მიგნება გახლდათ ძნელი, თორემ „უსიერ ტყესა“ და „დათა თუთაშხიას“ შორის კომპოზიციური აღნაგობის მსგავსების აღმოჩენას დიდი რამ ჩაკირკიტება-ჩაძიება არა სჭირდება — ხელისგულზე ძევს, ეგაა, მხოლოდ ნაკითხული უნდა გქონდეს ეს ნოველა და ძალდაუტანებლად წამოგაგონდებოდა.

ჭაბუა ამირეჯიბის სიცოცხლეში კრიტიკოსთაგან არავის აღუნიშნავს ეს იგივეობა ამ ორი თხზულების არქიტექტონიკისა, თორემ იგი არ მოითმენდა ასეთ მოსაზრებას და უშუალოდ თუ არ გამოეხმაურებოდა ამ დაკვირვების გამომთქმელს, სადღაც მაინც ნაპკრავდა ყისტს მასაც და აკუთავავესა და მის ნოველას ისევე, როგორც შესაფერის მომენტს უშოვნინდა თუ არა, მიხეილ ჯავახიშვილსაც წაედავებოდა „გორა მბორგალი“ და „არსენა მარაბდელს“ გაუბიბრებდა.

თავის მხრივ არსენა ოძელაშვილის ბიოგრაფიის ახალ ვერსიას რომ შესთავაზებდა მკითხველს, ამცნობდა, რომ ეს ვერსია მიხეილსაც მოესმინა ზემელის ბაღში, მაგრამ იქიდან არაფერი გამოეყენებინა, რადგანაც:

არსენას თემას ძირითადად ისეთ სოციალურ ხანაში მოუწევდა დამუშავება, როდესაც ლიტერატურას სახალხო გმირის ვაჟკაცური სიკვდილი სჭირდებოდა და არა ქვაბლიანელი მეცხვარე (ვის სამოსშიც გამოეწყობოდა მკვდრად გამოცხადებული ნამდვილი არსენა და უდრტვინველადაც გაატარებდა თავის წილ წუთისოფელს). კომუნისტური იდეოლოგია ყოველივე ეროვნულის დათრგუნვას რომ დაისახავდა მიზნად, ამისათვის მწერლობასა და ისტორიას კლასთა ბრძოლისა და სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებში მოამწყვდევდა.

ქვეტექსტი ისეთი გამჭვირვალეა, იოლად ამოიმიფრება და მიგახვედრებს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი აპყვა კომუნისტური იდეოლოგიის ამ მოთხოვნას და მის თარგზე მოჭრა „არსენა მარაბდელი“, ამ თარგზე მოჭრამ კი ის გამოიწვია, რომ... სავესებით ენდო მესტვირულ პოემას და თვითონაც გიორგი კუჭატნელი გამოიყვანა არსენას მკვლელად.

არადა, ჭაბუა ამირეჯიბი ირწმუნება: ყოველი ღირსებით შემკული ვაჟკაცი გახლდათ და არსენა კი არ მოუკლავს, არამედ ვიღაც მოძალადე, ვინც არსენობას იჩემებდაო.

„გორა მბორგალი“ გიორგი კუჭატნელის რეაბილიტაციასაც დაისახავდა მიზნად.

რალა იუდა ისკარიოტელის გასამართლებლად არგუმენტების ძიება და რალა გიორგი კუჭატენელისა!..

ეს ხომ მორალურ საზომთა თავდაყირა დაყენებას გულისხმობს და სხვა არაფერს?..

ამგვარი „ლიტერატურული“ თუ „ფილოსოფიური“ ცდები ბლომად დაგროვებულა ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში — ცხადია, არამართო საქართველოში — და არსენა მარაბდელის ბიოგრაფიის ამ „ახალ ვერსიასაც“ დაე იმ ცდებს შორის მივუჩინოთ ადგილი.

ზვიად გამსახურდია რომ მოსწრებოდა „გორა მბორგალის“ გამოცემას, აუცილებლად მოჭრიდა ყურს რომანის ეს მონაკვეთი — გიორგი კუჭატენელის წარმოსახვა ღირსეულ პიროვნებად, განაზოგადებდა და ავტორის მორალურ ფასეულობათა რღვევის ნიშნულად მოიხმობდა, თუკი საჯარო გამოსვლისას ანდა ინტერვიუში დაისაჭიროებდა მის ხსენებას: აი, ჭაბუა ამირეჯიბის გმირი!.. აი, ჭაბუა ამირეჯიბის ახალი ვერსიო!..

გალიზიანებით კი უთუოდ გააღიზიანებდა ის პასაჟიცი, ავტორი კონსტანტინე გამსახურდიას რომ ნაჰკრავდა ირონიულ ნესტარს, მისი ცხოვრების ერთ ეპიზოდს იმის თვალსაჩინოებისათვის მოიშველიებდა, რომ: არ არის ტრაგიზმი, რომელსაც სასაცილოც არ ახლდეს.

შავროხიანობისთვის სხვებივით სამი წელი ერთმა საკმაოდ ცნობილმა ახალგაზრდამაც მოიხადა, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით ჩოხის ტარება მანც განაგრძო — შავისა არა, სხვა ფერებისაო, — ესეც ის ეპიზოდი, — შინისკენ საიდანაც უნდა წამოსულიყო, უსათუოდ ჩეკასთან ამოვივლიდა და თანაც ისე, რომ საქართველოს ნომერ პირველ ჩეკისტს თავისი კაბინეტის ფანჯრიდან დაენახა. მხვრეტელთუხუცესს ფანჯრიდან საყურებლად არ ეცალა, თვითონ არ შეუნიშნავს, მაგრამ აცნობეს: ჩვენი ჯიბრით სწორედ აქ დადისო. უფროსი დაინტერესდა, მიუდარაჯდა და როდესაც ნაცრისფერ ჩოხაში გამონყობილი ყოფილი შავროხიანი მისი კაბინეტის ფანჯარას გაუსწორდა, გადაიხედა და დაუყვირა:

— ალექსანდრე, აქ ნუ დადიხარ, ტყუილად გზას ნუ იგრძელებ, სულერთია, არ დაგიჭერო!

„ალექსანდრე“ წერია, მაგრამ „კონსტანტინედ“ უნდა ნაკვითხოთ!..

ვის-ვის და ზვიად გამსახურდიას არ გამორჩებოდა ეს მიწინებდა და... ამ ფიქრს მიადევნებდა ნაკვითხულს, დრო-ჟამის სიღრმიდან წამოტივტივებულ ანდაზას: დათვი საძაღლე გახდაო, იმისი საქმე ნახდაო!..

ორჰან ფამუქს აკუტაგავასაგან ჩარჩენოდა ცნობიერებაში... კიდევ მოემარჯვებინა დეტექტიური ყაიდის რომანის სიუჟეტური ქარვის გასაძლეადო...

და ამჯერადაც არსებობდა იმავე აგებულებას მიმართავდა, კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსსაც რომ გამოეყენებინა უნებურად გამოძიების მასალათა თავმოყრისას და ქართველი მკითხველისათვის უპირველესად „დათა თუთაშხიას“ კომპოზიციურ ხერხემალს უკავშირდება.

ეგაა, ეს „უნებლიეთობა“ აღარ უბიძგებდა უფრო მეტი მოწოდებინა და მისი ხელით დაგვირგვინებული საგამოძიებო მასალათა შეკრება-განსჯა განესაზღვრა როგორც რომანი, ბოლოსდაბოლოს, პოსტმოდერნისტული სკოლის მხატვრული ნაყოფი, სხვათა შემოამხანაგებას სავსებით რომ ამაართლებს, მთავარია, ვიდაც ერთმა იდოს თავს საბოლოო სახის მინიჭება და დასაკუთრება — ლიტერატურული საამქროს მეთაურობა, რეჟისორობა.

მაშინ ამ წიგნსაც მხატვრული სახელწოდება უფრო მიესადაგებოდა და არა ოფიციალური „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას საქმე“.

მხატვრული იქნებოდა მარტოდენ გვარ-სახელი: „ზვიად გამსახურდია“.

ანდა სულაც: „ჩაკეტილი ოთახის საიდუმლოება“ — ვთქვათ, ორჰან ფამუქი ხელიდან რომ არ გაუშვებდა ასეთ შე-

საძლებლობას, რადგან ისედაც ჩაკეტილი ოთახი ეგულებოდა ყველაზე შემძვრელ და შემავალიანებელ სივრცედ შემდგომი გასიმბოლოებისა და განზოგადებისათვის.

თვითონაც ოთახში გამოიკეტებოდა.

ამ განცდაში ჩაიძირებოდა მთელი არსებით.

და მითუფრო ნათელმხილველურად მიმოავლებდა მზერას სადღაც ძველ ხიბულაში მდგარი სახლის მეორე სართულის იმ ოთახს, დევენილი პრეზიდენტი რომ მინოლილიყო სანოლზე და დასაძინებლად ემზადებოდა და მოსვენებას რომ არ მისცემდა მეორე ოთახში დაცვის ორი წევრის ჩურჩული, ჩაახველებდა და აგრძნობინებდა, ეგებ გაჩუმებულიყავითო...

თუმც... ჩაახველებდა კი?..

ანდა ვითომ დასაძინებლად ემზადებოდა?..

ეგებ... ეგებ... გზაშივე შესწირვოდა ქილერის ტყვიას, მისი თანმხლებნი პირზე კლიტეს რომ დაიდებდნენ და მასპინძლის ოჯახში შესულინი გაითამაშებდნენ წინასწარვე დაწერილ როლებს...

და პრეზიდენტი რომ არ შეხვდებოდა და არ გამოეკლავრაკებოდა მასპინძლებს და ისინი მის სხეულსა დაინახავდნენ, შიდა კიბით რომ აჰყავდათ...

ნეტა ეს ხელის შეშველება იყო ასაყვანად თუ... ცხედრის ასვენება?..

ამ უცნაურობას კი მასპინძლებს ასე აუხსნიდნენ: ძალიან დასნეულდა, დავრდომილია და აღარც ლაპარაკის თავი აქვს, აღარც ჭამის, ქვემოთ ჩამოსვლისაც კი არაო...

ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან დაღმართი ჩამოველო და ასე უეცრად ნეტა რა მოსვლოდა, მისავათებულს განძრევაც რომ აღარ შეეძლო და აღარც სურდა?!

და ხელში ღონის ნატამალიც რომ აღარ შერჩენოდა, მინცდამინც ყველაზე მძიმე იარაღს, „სტეჩკინის“ რევოლვერს რატომღა მოიმარჯვებდა?!

რა იყო, ბიჭო, სახლიდან მაგდებ?!

და ან გზაშივე...

და ან გზაშივე...

და ან გზაშივე...

ანდა... იმ ჩაკეტილ ოთახშივე...

პროფესიონალ ქილერს არ გაუძნელებოდა ფანჯრიდან ტყვიის დახლა ჩაძინებული პრეზიდენტისათვის, მითუმეტეს, თუ გარეთაც და შიგნითაც ხელშემწყობნი ეგულებოდა...

თვითმკვლელობის ვერსია ერთი შეხედვით სავსებით დამაჯერებლადაც გამოიყურებოდა.

და ოფიციალურად ასეც გაფორმდებოდა, ედუარდ შევარდნაძე საკუთარი ბეჭდითაც რომ დაბეჭდავდა მის უეჭველობას.

მაგრამ რა ვუყოთ დროებითი საპარლამენტო კომისიის წყალობით თავმოყრილ დიდძალ და მრავალმხრივ დამაფიქრებელ მასალას, ყოველგვარი ჩარევის გარეშე რომ ხდიან თვალნათლივსა და კანთიელს მკვლელობის ვერსიას, გაცილებით უფრო დამაჯერებელს, რასაც ეს ფურცლები ღალადებენ.

ქილერი ვინ შეიძლება ყოფილიყო?

განა რა მნიშვნელობა აქვს, ვინ შეარჩიეს საამისოდ, საზღვარგარეთ გაპარებას რომ დაპირდებოდნენ და... სამეგრელოს ტყეებს არც კი გადააცილებდნენ, იქვე ჩაკლავდნენ სადმე და... პირწმინდად გააქრობდნენ ყოველგვარ კვალს.

ცოცხალი ზვიად გამსახურდია მე არ მჭირდებაო!..

განაჩენი გამოტანილიყო.

სცენარიც გამზადებულიყო — ყულფის თანდათანობით მოჭერთა და ფსიქოლოგიური და იდეური განმტკიცებით.

და ყველა თავთავის როლსაც შეასრულებდა.

ნაპოლეონ ბონაპარტეს ვერ გაეღწია ასი დღის მოჯადოებულ ნრისათვის და ზვიად გამსახურდია როგორღა გააღწევდა.

ძველი ხიბულა წამიერად ჩაიხუტებდა გულში მის ნემსს, და სამუდამოდ ჩაიხვევდა იმ საიდუმლოს, დეტექტიურ ჟანრში ჩაკეტილი ოთახის განმტოებად რომ სახელდებულა.

სახელდებულა და განსაკუთრებულადაც მოხიბლულა ამ განმტოებით ორჰან ფამუქი: ახ, ერთ ასეთ რომანს ოდესმე როგორ არ დავენოო!..

X

ტარიელ ჭანტურია თავის ალტაცებს რომანით „დათა თუ-თაშხია“ გამოთქვამდა მცირე სტატიით „ალიბი შვილისათვის“, მისი ფინალისადმი აღვლენილ ქებათაქებად რომ წარმოგვიდგება და ძალდაუტანებლად განზოგადდება მთელს ქმნილებაზეც.

ჯერ ვისლავა შიმბორსკას ლექსს შეახსენებდა მკითხველს, ნობელიანტი პოლონელის იმ თითქოსდა უცნაური განცდებით განმსჭვალულ სტრიქონებს, თუ როგორ დგება სასიკვდილოდ გამეტებული ქალი მკვლელის — მისთვის უძვირფასესი ადამიანის — წასვლის შემდეგ, მოამზარალებს სისხლის ტბორს, ნაშლის უმძიმესი დანაშაულის კვალს და ისევ მარადიულ ძილს მისცემს თავს, დაიმედებული, რომ მკვლელს აღარაფერი ემუქრება ჩადენილი დანაშაულის გამო...

და ამ საქციელს შეაფასებს სიყვარულად, რომელმაც დათრგუნა სიკვდილი, რადგანაც ის სიკვდილის მერეც სიკეთის ნაყოფს ისხამს.

— ასე კვდება დათა თუთაშხიაც! და იგი, კეფაგახვრეტილი და საკუთარი შვილის ხელით მოკლული, ცნობიერების ჯერ კიდევ ბოლომდე ჩაუნვაკი სანთლის შუქზე ადგენს შვილისათვის ალიბის, რამაც მის უკანონო და შეცთომილ შთამომავალს ცოდვა უნდა გაუნელოს და სისხლი ჩამორეცხოს.

— რა ქენი, ბიჭო ეს!.. — უნდა დაიკვნესოს თუთაშხიამ, შუბლი მოისრისოს და სინანულით გაიმეოროს, — რა ქენი, გუდუნა, ეს!

ტარიელ ჭანტურია სულაც არ მიიჩნევს გუდუნა პერტიას ამ ცოდვის ნამდვილ შემოქმედად, რადგანაც:

— მაშინ რა წილი უდევს ცოდვაში ბიჭტორ სამუშაის, ვინც გუდუნა დათა თუთაშხიას მოსაკლავად მოამზადა?

— ან რა წილი ცოდვისა უნდა იტვირთოს მუშნი ზარანდიამ, ვისი უჩინარი ხელიც ამ საბედისწერო სპექტაკლს მართავდა?

ხოლო იმ სტრიქონებში — „დათა თუთაშხიას მტრები, კეთილისმსურველები, გუდუ პერტია — ყველა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ აბრაგი კვლავ ცოცხალია“ — სტატიის ავტორი უპირველესად ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გუდუ პერტია მწერალს არც მტრებში ჰყავს ჩათვლილი და არც მოყვრებში.

— იგი სხვაა. იგი სისხლი სისხლთაგანია თუთაშხიასი, მისი ცოდვაც და მადლიც. ამიტომ არის, რომ თუთაშხია, უკვე მოკლული, ასეთი არაადამიანური მოთმინებით ამზადებს შვილისათვის ალიბის, რომლის მოსმენა ცრემლს გვრის მკითხველს.

და აი, ერთმანეთის პირისპირ რომ დგანან მამა და შვილი, მოკლული და მკვლელი, მადლი და ცოდვა, დათა თუთაშხიას სახე უკიდურეს განცვიფრებასა და ყრუ, სასიკვდილო ტკივილს დაუბრძოლავს, გუდუ პერტია კი მხოლოდ გაფაციცებულა და მთელი არსებით სიცოცხლის შენარჩუნების გზას, გამოსავალს ეძებს. იგი არავითარ დაბნევას, შიშსა და, მითუმეტეს, პატიების მუდარას არ ამჟღავნებს.

— პატიების მუდარა მერეა. მოგვიანებით! — დაურთავს დითირამბიკოსი და მკითხველს ყურადღებას რომ მიაქცევინებს: დათა თუთაშხიამ წინასწარ აპატიო, — კვლავ უნდა გაჩნდეს ვისლავა შიმბორსკას ლექსის ასოციაცია, მისი მსხვერპლი ქალის დარად დათა თუთაშხიაც რომ მოამზარალებს საკუთარი სისხლის ტბორს, ნაშლის საბედისწერო ტრაგედიის ყოველგვარ კვალს და უძვირფასეს ადამიანს მოუმზადებს ეჭვმიუტანელ ალიბის.

მერე მალაქია ნინუას: სამსუნს მივდივარო, — დაუბარებს, თვითონ კი, ნაშიერის ტყვიით ბოლომოდებული, კლდიდან ზღვაში გადაეშვება და...

— ქართული მწერლობის მარად უკვდავ ლიტერატურულ სახეებს შეუერთდება.

პანეგირიკულ პათოსს, მხოლოდ ასეთი საბოლოო აკორდი თუ დაშვენდებოდა:

— ქართულ რომანებში მე არ მეგულება უკეთესი ფინალი. დითირამბისა თუ პანეგირიკისათვის ჰიპერბოლიზება ჩვეულებრივი მოვლენაა და ყურს აღარც გჭრის.

პოეტურად კი არის „ალიბი შვილისათვის“ დანერილი და თითქოსდა მცირე გამოხმაურება ესეის სიმალლეს აღწევს. ამიტომაც მიიჩნევა ზედმეტად ავტორი წინ ვრცელი ნარკვევის ნამძღვარებას, რომანის დეტალურ და ანალიტიკურ განსჯას, რაკილა ორიოდ გვერდითაც მიაღწევდა „დათა თუ-თაშხიას“ ერთიანად შეფასების ეფექტს.

აღარ გამოედევნებოდა ზღვაში გაუჩინარების მოტივსაც, იმ სიმბოლიკას, რაც მისი ესეის ფარგალს გასცილდებოდა, არადა, აკაკი ბაქრაძის კრიტიკულ-ესთეტიკურ ნარკვევში „ტარიგი ღმრთისაი“ თავის აუცილებელ ადგილს ჰპოვებდა და გაიხსნებოდა, როგორც გამჭვირვალე მინიშნება გმირის კვლავ აღორძინებაზე.

— იგი უკვე გახდა სიკეთის ხორცშესხმული სახე. ახლა მეორედ უნდა მოვიდეს, რომ საბოლოოდ გაბატონდეს და დამკვიდრდეს.

კრიტიკოსი მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა იმ ლაიტმოტივზე, რომანს თავიდან ბოლომდე რომ გასდევდა — ანუ ყოველი კარის წინ დართულ პრელუდიას, რომელიც — ავტორის თქმით — თითქოს XIV საუკუნის ხელნაწერიდან გახლდათ ამოღებული.

ამ ტექსტის მიხედვით — მწერალს ალგორიის გასახსნელად რომ მოეშველიებინა — იყო რაინდი თუთაშხა, ვინც ბოროტის დასათრგუნად და სიკეთის ზემოდა იბრძოდა. თუთაშხა ღმერთი არა ყოფილა და ვერ მიაგნო ბოროტების სიკეთედ ქცევის სახსარს. მაშინ წამებას მისცა თავი. სხვათა სახსნელად მოიკვთა სხეულის ასონი და კაცთა შთანთქმელ ურჩხულს მიუგდო საკვებად. ყველაფერი შესანსლა ურჩხულმა, მაგრამ როცა გული ამოიგლიჯა და ისიც მონსტრისათვის უნდა მიეცა, მაშინ ბოროტებამ კაცის სახე მიიღო და ადამიანურად ამეტყველდა:

„— არღარა ვარ მწყურვალი სისხლთა, არღა მიძს სურვილი ჭამად კაცთა.

და მიცა ყველაკასა ახალი, რომელთა მოიკვეთეს ასონი თვისნი.

— არა ჰკლათ კაცი ესა და აჰა, ნიჭი თქვენ გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა.

დაუტევა სულმან თუთაშხისამან ხორცი მიწასა ზედა, ალევლინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად“.

იმ გარემოებასაც აუწყებდა მკითხველს კრიტიკოსი, რომ თუთაშხია „მთვარის დღის შვილს“ ნიშნავს. მამ დათა შვილი ყოფილა თუთაშხა-რაინდისა. წყალი კი, ყოველი ხალხის მითოსის თანახმად, განახლება-აღორძინებას გულისხმობს და საგულისხმოა, რომ იოანეს სახარებაც კვერს უკრავდა მითოსს: უკეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელენიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასაო.

ხოლო რაკილა ეს მითოლოგიური მოტივი უამრავჯერ ასახულიყო სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, კრიტიკოსი თავს შეიკავებდა მაგალითების მოხმობისაგან — მკითხველიც იოლად აღიდგენდა მეხსიერებაში ან ამიერიდან დაუკვირდებოდა ამ გარემოებას, წყალს განახლება-აღორძინების სიმბოლოდ რომ შეიცნობდა.

ფინალი რომანის რეალისტურ თხრობას ერთბაშად შეანაცვლებდა ზღაპრულ-მითოსური წარმოსახვებით და განმსჭვალავდა იმ სულისკვეთებით, მკითხველს რომ აღარ გაუძნელდებოდა მთავარი გმირის აღქმა მონუმენტური თუ ბუმბერაზული შარავანდით — და მისი კვლავდაბრუნების შეგრძნებაც ბუნებრივად დაეუფლებოდა.

„დათა თუთაშხიას“ ფინალში არსებითად გაშლილია ის განწყობილება და მხატვრული მრწამსი, რაც მიხეილ ჯავახიშვილს უკვე გამოეყენებინა „არსენა მარაბდელში“, ამ მოტივის მოშველიებით რომ გადააბიჯებდა „არსენას ლექსის“

ფარგალს და ახალი — ასერიგად მნიშვნელოვანი — შტრიხით შეამკობდა მთავარი გმირის პორტრეტს.

უფრო ზუსტად:

„არსენას ლექსი“ ისედაც მითოსური ნარმოსახეებით გაჟღერებულიყო, ყოფით სურათებს სარჩულად ამოკერებოდა საგმირო ეპოსისათვის ნიშანდობლივი მითოსური მოტივები — კვალი თან წაშლილი რომ არის უკვე და თან სადღაც-სადღაც კრთის თუ იელვებს, და პოემის ჩამთავრების შემდეგ მკითხველი მაინც იმ განცდიდა და რწმენით აღივსებოდა ხოლმე, შეუძლებელია არსენა ოძელაშვილი ჩვეულებრივი სიკვდილით მომკვდარიყო, წუთისოფელში ეს მისი ყოფნის მხოლოდ ერთი გამოვლინება გახლდათ და მოსალოდნელი იყო ხელახალი მოვლინება.

ეს განცდა გაუჩნდებოდა მიხეილ ჯავახიშვილსაც ჯერ კიდევ მაშინ, მარტოდენ მკითხველი რომ გახლდათ ამ ეპოსისა, და გაუმძაფრდებოდა, როდესაც „არსენას ლექსს“ თარგად დაიდებდა თავისი რომანისათვის.

მითუმეტეს, არსენა მარაბდელის სახეში ქაქუცა ჩოლოყაშვილის გაანივებდა და მისი დაბრუნების მოლოდინით განმსჭვალავდა რომანის ფინალს.

აგერ არსენა უგრძეს კუბოში ჩასვენებულა, მაგრამ ისევე არ ეტევა ამ ახალ ქერქში, როგორც ცოცხალი ვერ ეტეოდა ამქვეყნად.

ირგვლივ ტევა აღარ არის.

ყველა ლამობს, თვალი მაინც გადაავლოს, ღრმად ამოიხროს, რამდენიმე სიტყვა ჩაიბურტყუნოს და სხვას დაუთმოს ალაგი. ზოგი გლეხი გოცებით ამტერდება, უნდობლად იქნებს თავს და შემდეგ ეზოში ვინმე სხვას შესჩივის:

— მოგვატყუეს. გეუბნები, არსენა არ არის-მეთქი. სულ მთავრობის ოინებია. რაღაცას გვიპირებენ და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— მეც მაგას ვამბობ. სულაც არა ჰგავს გორდას.

— არსენა სათათრეთში გადასულა და თავის დროზე დაბრუნდება.

— აგრეა! მართალია!

თითქოსდა მიამიტური, გულუბრყვილო ლაპარაკი გადასულა რომანის ფურცლებზე, მაგრამ ერთბაშად უნდა იგრძნონ, ამ ვითომდა მიამიტობის მიღმა რაოდენ მტკიცე იმედოვნება და რწმენა ჩამალულა, მიხეილ ჯავახიშვილმა საკუთარი ბეჭდითაც რომ უნდა დაბეჭდოს და თავის მხრივაც დაადასტუროს ამ რწმენის განსაკუთრებულობა და საფუძვლიანობა.

— და იმ დღიდან არსენას წასვლისა და დაბრუნების მოლოდინი სწრაფად მოედო ქართველ გლეხობას და შემდეგ ლეგენდად გადაიქცა, რომელიც ველარც საბუთმა წაშალა და ვერც დრომ ამოფხიკა.

ამ პასაჟით მწერალს გამჭვირვალედ უნდა მიენიშნებინა მკითხველისათვის, რომ სულაც არ მიიჩნევა გულუბრყვილობად ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოჩენის დაუმცხრალ იმედოვნებას, ამ მძაფრი მოლოდინით რომ ითქვამდა სულს ხალხი, წამიერი თავისუფლებით გამოფხიზლებული და კვლავ ჩავარდნილი საზარელ კაბალაში, კიდევ უფრო ჯოჯოხეთურში.

მწერალი შეეცდებოდა კიდევ უფრო გაეღვივებინა ეს რწმენა და ქაქუცა ჩოლოყაშვილი აეზიდა დიდ განზოგადებამდე და გასიმბოლოებამდე... და გიორგი შატბერაშვილიც ლექსში „დასანყისი განათადისა“, რომელსაც შეფარულად მიუძღვნდა 1924 წლის აჯანყების მეთაურს, ამ მოტივს დაესესხებოდა უფროს თანამოკალმეს და გმირის დაბრუნების მოლოდინით გაანათებდა ფინალს.

ასე შეერეოდა მხატვრულ ნარმოსახეებს პოლიტიკური მუხტი.

ასე გაერთიანდებოდა მწერლური სწრაფვა და სახალხო ოცნება.

და ასე ჩაიდებოდა „არსენა მარაბდელის“ რამდენიმე სტრიქონში ის მრწამსი, გამლა სულაც რომ არ დააზიანებდა

მის მონოლითურობას. ის კი არა, ეს პასაჟი თვითონვე შეიქნებოდა ბიძგის მიმცემი, დაე ასე დაწურულად ნუ დარჩება და, ვინც მოისურვებს, სიუჟეტურადაც გაშალოსო.

„დათა თუთაშხიას“ ავტორისათვის მაინც ძალზე მახლობელი გახლდათ „არსენა მარაბდელი“, არაერთხელ რომ ვგრძნობთ უშუალო გადაძახილს მათ შორის და ზოგჯერ ისიც გგონია, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ცალკეულ ეპიზოდებს გვიყვებიან, ოღონდ თავისი სიტყვებითო.

ასეთ დროს, მოგეხსენებათ, რამდენადმე კი სცილდება მონათხრობი პირველსათავს, მაგრამ ისე ძალიანაც არა, დედანი ისედაც რომ არ ვიგულისხმობთ, მითუმეტეს, თუ ის ადრინდელი ვერსიაც მოგვეპოვება და მისი შემონმების საშუალებაც გვაქვს.

ვერც გასცილდებოდა დათა თუთაშხიას სახე ვერც მიხეილ ჯავახიშვილის არსენა მარაბდელს და ვერც საგმირო ეპოსის „არსენას ლექსი“ მთავარ გმირს... და კიდევ კარგი, მუშნი ზარანდიას სახეს შემოაშველებდა, თორემ პარმენ ლორიას „მეველუდის“ პოპულარობაზე მეტს ვერც ის მიაღწევდა და იძულებული შეიქნებოდა „სეზონის ფალავნის“ ტიტულსა დასჯერებოდა.

არც მიხეილ ჯავახიშვილის მიგნების სიუჟეტური გაშლა უშველიდა — გმირის დაბრუნების მოლოდინი — და არც უკვე კარგად ცნობილი კომპოზიციური არქიტექტონიკის გამოვრება, უშუალოდ მაინც აკუტავდა რიუნოსკეს ნოველიდან — „უსიერ ტყეში“ — ნასესხები, ახლა ეს ყოველივე თავთავის დანიშნულებას რომ ასრულებს რომანში, რადგანაც ის ამ ორიგინალური პერსონაჟის — მუშნი ზარანდიას — ძარღვზე ამოშენებულა.

ქართულ რომანებში მე არ მეგულება უკეთესი ფინალიო... ცართა სხვაგვარადაც შეიძლება ითქვას:

ქართულ რომანებში მე არ მეგულება უკეთესი გაშლა მიხეილ ჯავახიშვილის მიგნებისაო...

ხოლო ყოფით რეალობაში?..

დაე მაინცდამაინც ნუ შევეცდებით შედარება-შეპირისპირებას, ისე მიმოვაგლოთ თვალი ამალღებულ, ტრაგიკული შარავანდით გაბრწყინებულ აღსასრულებს, და შევაჩეროთ მზერა წუთისოფელთან იმ გამოთხოვებაზე, რომელსაც ყველა ერთხანადად სულაც არ აღიქვამდა, და თუ ზოგი გულამოსკვნითაც დაიტრებდა ამ უძრავად მდებარე ნეშტს, ზოგიც გოცებთ დააშტერდებოდა, უნდობლად გადაიქნევადა თავს და შემდეგ სხვა ვინმეს შესჩივლებდა:

— მოგვატყუეს. გეუბნები, ზვიადი არ არის-მეთქი. სულ მთავრობის ოინებია. რაღაცას გვიპირებენ და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— მეც მაგას ვამბობ. სულაც არა ჰგავს ზვიადს.

— ზვიადი ევროპაში გადასულა და თავის დროზე დაბრუნდება.

— აგრეა! მართალია!

და იმ დღიდან ზვიად გამსახურდიას წასვლისა და დაბრუნების მოლოდინი სწრაფად მოედებოდა ქართველობას... და შემდეგ ლეგენდად გადაიქცეოდა, რომელსაც ველარც საბუთი წაშლიდა და ველარც დრო ამოფხეკდა.

ლეგენდებს ან საბუთმა რა უნდა დააკლოს, ანკი დრომ!..

მათ შექმნას ხან ნარმოსახეაც მიეშველებოდა, ხანაც თვით ყოფითობა გადააჭარბებდა ნარმოსახეებს და ოდნავი მიმატებაც არაფრისა დასჭირდებოდა, იმთავითვე ისე ჩამოინაკეთებოდა მითოსური საბურველით გაიდუმალბებულ ქმნილებად.

აგერ თუნც 1822 წლის იტალიაში, ლეგონოსში მახლობლად, ადგილობრივი მკვიდრი უცნაური სამგლოვიარო რიტუალის თანადამსრენი რომ გახდებოდნენ. ქარიშხლის დროს ზღვაში დამხრჩვალი კაცის ცხედარს უცხოდ მოხატულ ქსოვილში რომ გახვევდნენ სამგლოვიარო პროცესის მონაწილენი. იქვე მთვლემარე ზღვისპირად, კვიპაროსების ჩეროში კოცონს დაანთებდნენ. უჩვეულო, ძველ ენაზე რაღაცას ნარმოთქვამდა ინგლისელი პერის ტანსაცმელში გამოწყობილი, დემონური გარეგნობის ჭაბუკი (როგორც შემდგომ გაიგებდნენ, ეს ყოფილა

ჰომინი თუ ლოცვა ქარისადმი, ზეფიროსისადმი, რომელსაც უნდა დაეხერხა და ალგებონი კოცონი. ჭაბუკს ცალ ხელში ოქროს ბარძიმი ეჭირებოდა ღვინით ალვისილი. შემდეგ თმაგაშლილი, ფერგამკრთალ, შავოსან ქალს ნელსაცხებელი უნდა მოეპკურებინა კოცონისათვის ძველერძული ყაიდის უცხოოდ მოხატული სურვიდან, რომელზედაც კვიპაროსები და სამგლოვიარო პროცესია გამოსახულიყო. სხვა ჭაბუკებსაც უნდა მოეტანათ ღვინო და ზეთისხილის ზეთი, ეპკურებინათ კოცონისათვის, ზედ მარლი მიმოებნიათ და ბოლოს ებოძებინათ მიცვალებულის გვამი ჰეფლატოს განმწმენდელი ცეცხლისათვის.

ირგვლივ მდუმარება უნდა წამოწოლილიყო.

ბორეასა და ზეფიროსს დაექროლათ, მუქი კვამლი ამოსულიყო კოცონიდან, იისფეროვნად გაეღვინათ ცეცხლის ენებს და, როდესაც გვამი დანაცრდებოდა და კოცონიც თითქმის ჩაიფერფლებოდა, უეცრად გაოცების გმინვა უნდა აღმოხდებოდათ თანადამსწრეთ:

მიცვალებულის გული უვნებლად გადარჩენოდა ცეცხლს!..

გარდაცვლილის ერთი უახლოესი მეგობარი, ამ გულის მესაიდუმლე, უნდა დანვდომოდა გულს და ღველფიდან გადმოეტანა.

ასეთი უცნაური ამბით უნდა დაგვირგვინებულიყო ეს უჩვეულო სამგლოვიარო პროცესია, რომელიც ზვიად გამსახურდიას იმგვარი განცდით უნდა შემოეტანა ქართულ სივრცეში, თითქოს თვითონაც მონაწილე ყოფილიყოს იმ გლოვისა და მის თვალწინ ამოეტაცოს ლორდ ბაირონს პერსი ბიში შელის უვნებლად გადარჩენილი გული ცეცხლიდან.

„პერსი ბიში შელი — გულის გული“ — ასე უნდა წაწერილიყო იმ საფლავზე, სადაც მისი ფერფლით საგვს ურნა მოეთავსებინათ.

გული კი ინგლისში წაეღოთ.

— ჭეშმარიტად ინგლისს ეკუთვნოდა ეს გული, ინგლისელ ხალხს, თუმცა ფილისტერულმა, ოფიცოზურმა ინგლისმა სიცოცხლეში სამშობლოდან გააძევა შელლი.

ყოველთვის აღელვებდა და აწუხებდა ზვიად გამსახურდიას სამშობლოდან გაძევებულთა, განდევნილთა ბედი და „გათავისუფლებული პრომეთეს“ ავტორიც — გარდა დიდი პოეტური მადლისა და გზუნებისა — თავისი ამ ტრაგიკული ხვედრითაც მიიპყრობდა მის გულისყურს, თავის ქვეყანაში რომ აღარ დაედგომებოდა.

ჭეშმარიტად ინგლისს ეკუთვნოდა ეს გული, ინგლისელ ხალხსო...

ისე კი რატომ უნდა გაკვირვებოდა ვინმეს, თუკი შელის პოეზიასა და პიროვნებაზე საუბარი მისი აღსასრულით დაიწყებოდა?!

ზვიად გამსახურდიას აქ ეგულვებოდა გასაღები შელის პოეზიის იდუმალი კარის შესახსნელად:

— პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისა. ეს ფინალი მუდამ სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითებს.

შელის მეტაფორულ-სიმბოლური სახელიც — გულის გული — სწორედ იმ სასწაულებრივ ეპიზოდს ემყარებოდა.

დიახაც, ამ ეპიზოდიდან გამომდინარეობდა შეცნობა მისი პიროვნებისაც და შემოქმედებისაც.

— ამ სასწაულის განმცდელებმა წაანერეს ეს სახელი მის საფლავს რომში, პროტესტანტულ სასაფლაოზე, მათვე აღმოაჩინეს მის შემოქმედებაში ანალოგიური პროცესი გულისმიერი წვისა, მათთვის ჩაუქრობელ კოცონად იქცა თავად შელლის პოეზია, რომელშიაც ავტორის გულის გარდა ინვიან მრავალ ადამიანთა გულები.

და თვითონაც რომ არამართო მთხრობელად, არამედ ამ სასწაულის უშუალო განმცდელად მოგვევლინებოდა?!

და კიდევ ის, რომ...

თემურ ქორიძე მისთვის ჩვეული ხელოვნებით რომ ჩაწერავდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის პორტრეტს

ესეიმი „ფინალი მუდამ სიმბოლურია“, საგანგებოდ მოიხმობდა ამონარიდს შელიზე შექმნილი ესეიდან: პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისაო, — და სათაურის შერჩევისასაც მასვე რომ დაესესებოდა, დასძენდა:

— ასევე შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას აღსასრულიც, ცხოვრების ტრაგიკული ფინალი, მართლაც ზუსტი გასაღებია მისივე შემოქმედების გასაგებად.

ცხადია, მარტოდენ მხატვრული შემოქმედება არ იგულისხმება.

ფენიქსისებურ განახლებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც განა მისივე შემოქმედებითი მონაპოვარი არ გახლდათ?!

და თუ გახსნა, ზვიად გამსახურდიას აღსასრულიდან, მისი ცხოვრების ტრაგიკული ფინალიდან უნდა გახსნილიყო ამ იდუმალბის კარიც, რასაც ეროვნული ენერჯის კიდევ ერთი ამოფრქვევა და დამოუკიდებლობის აღდგენა ჰქვია ორასწლოვანი მონობის შემდგომ.

უფრო დაზუსტებითაც შეიძლება და... ამ ნიშნისმოგებითაც: სლანსკი, 187!

— ვინ მიგაჩნიათ პოლიტიკური მოღვაწის იდეალად? — ჰკითხავდნენ ერთხელ და გაზეთი „ტრუდი“ 1991 წლის 27 ივნისის ნომერში შეკითხვის პასუხით დააბოლოებდა ინტერვიუს ზვიად გამსახურდიასთან:

— შარლ დე გოლი.

— გყავთ თუ არა პოლიტიკური მოღვაწის იდეალი? — ამავე შეკითხვას შეურჩევდა ინტერვიუს ფინალისათვის „არგუმენტი ი ფაქტის“ რედაქციაც, იმავე წლის 25-ე ნომრისათვის რომ ამზადებდა პუბლიკაციას.

და კვლავაც:

— დიახ, გენერალი შარლ დე გოლი.

არ მოჰყვებოდა ყოყმანსა თუ ჭოჭმანს, ბევრია ასეთი და რომელი ერთი ამოვარჩიო მათგან, აღარ ვიცით... და არც არავის ამოუყვებდა გვერდით საფრანგეთის ამ რჩეულ პრეზიდენტს.

აღარ ჩაეძიებოდნენ: რატომ? რისთვის? და, რასაკვირველია, აღარც თვითონ მოჰყვებოდა განმარტებას, იმ მოტივთა ჩამოთვლასა თუ ერთი უმთავრესის გამოყოფას, თუ რას აღეტყვავდა ასერიგად ამ პიროვნების ხასიათსა თუ მოღვაწეობის გეზში.

უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის სხდომაზე იმ ისტორიული და წინასწარმეტყველური გამოსვლისას 1991 წლის 8 ოქტომბერს ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა ეს სახელიც და განაცხადებდა: მე არავის არ ვედრები და არც დე გოლთან გატოლების პრეტენზია მაქვს, მაგრამ შეგახსენებთ ისტორიასო.

და ესეც ის შესხენება:

— როდესაც მსოფლიო ომის შემდეგ დე გოლი გახდა საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელი, მას ზუსტად ისეთივე ამბები მოუწყვეს, რასაც დღეს მე მინყობენ, კომუნისტებმა და სოციალისტებმა და აიძულეს გადადგომა. დე გოლი გადადგა 1946 წელს და საფრანგეთი გახდა არნახული ანარქიის მსხვერპლი. ყოველ ორ-სამ თვეში იცვლებოდა მთავრობა და შემდეგ, უკვე ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ, 1958 წელს მოიწვია ის ისევ და შეაქმნევინა ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება, რომლის გარეშეც საფრანგეთი დაიღუპებოდა, ვინაიდან მისი ეროვნული თვისებები, სხვათა შორის ძალიან ჰგავს ჩვენსას, აი ამ ანარქიისაკენ მიდრეკილებებით...

და როდესაც ერთმანეთს შეუდარებდა საფრანგეთისა და გერმანიის სახელმწიფო მოდელებს და განმარტავდა, რომ გერმანიას მოეპოვება უდიდესი ტრადიციები სახელმწიფო დისციპლინისა და იქ პარლამენტური ხელისუფლება რომ არსებობდა, უპირველესად იმიტომ, მათ ეროვნულ ხასიათსა და ეთნოფსიქოლოგიას ეს უფრო ესადაგებოდა, თვალსაჩინოებისათვის დასძენდა:

— წარმოუდგენელია, მაგალითად, გერმანიისათვის ისეთი პრეზიდენტი, როგორც იყო დე გოლი ან მიტერანი, და როდესაც გერმანიას მოახვიეს მისთვის უცხო ავტორიტარულ-დიქტატორული ჰიტლერის მმართველობა, ამან დალუპა გერმანია, ე.ი. ეროვნულ ხასიათს უნდა მიესადაგოს წყობილება, იმ ისტორიულ კანონზომიერებას და ისტორიულ თავისებურებებს უნდა მიესადაგოს წყობილება, იმ ისტორიულ კანონზომიერებას და ისტორიულ თავისებურებებს უნდა მიესადაგოს სახელმწიფო მმართველობა, და ჩვენი სურვილით, უნდა უკუვაგდოთ ფრანგული მოდელი და გადავიდეთ გერმანულ მოდელზე, აი ეს დალუპავს საქართველოს. ასეთი მოდელი შეიძლება მხოლოდ უაღრესად კონსოლიდირებული ერის შემთხვევაში, როგორც არის მაგალითად, ისრაელი, რომელსაც ვერასოდეს ჩვენ ვერ შევედრებით კონსოლიდაციაში და ერთობაში და როგორც არის გერმანია, აი, იქ შეიძლება პარლამენტური რესპუბლიკა და ჩვენთან პარლამენტური რესპუბლიკა ეს არის დალუპვა ერისა და დალუპვა იმ პარლამენტისაკ, აი ეს დაიმასსოვრეთ.

და დაბეჯითებით რომ გაიმეორებდა:
— საპრეზიდენტო ხელისუფლება არის ერთადერთი ხსნა ჩვენი ერისა. უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება. გახსოვდეთ, ამის გარეშე საქართველოს ხსნა არ არსებობს.

ამ სიტყვების წარმოთქმისას შარლ დე გოლს გაჰყურებდა შინაგანი მზერით, მისგან ლებულობდა იდუმალ მითითებებს, ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ მოძღვრებას მორაგებდა დე გოლის შეხედულებებს სახელმწიფოს უკეთესი მონყოლის თაობაზე და ველარა გაეგო რა: ისეთი ნათელია ეს ყოველივე, ისეთი უტყუარი და მეგზურად იმხელა გონებისა და ზნობრივი სრულყოფილების კაცი შემოგვშველებია, ნუთუ ვინმესთვის რაიმე კიდევ უნდა დარჩეს საორჭოფოც კი, არამცთუ მიუღებელია?!

და მაინც, რაკილა მისი უფლებების შეზღუდვას ასერიგად ეშურებოდნენ, სულაც წართმევას, მაგრამ ჯერ შეზღუდვაზეც თანახმანი გახლდნენ, მეტი სიცხოვლისათვის აკი აპოკალიფსურ სურათებსაც გამოიხმობდა და ბიბლიური ნინასანარმეტყველის გზებზე და სურათებში გახვევდა.

მერეც თავის ერთ-ერთ მეგზურად დასახავდა შარლ დე გოლს, გროზნოდან რომ გადმოფრინდებოდა სენაკის აეროპორტში, გამართავდა გრანდიოზულ მიტინგს ზუგდიდში და წამოიწყებდა ბრძოლას პრეზიდენტის სავარძლის დასაბრუნებლად.

ის აკი ნაპოლეონ ბონაპარტის გზას გაიმეორებდა, ზედიზედ რომ ამოიგებდა ქალაქს ქალაქზე.

ერთიც ტრიუმფით შევიდოდა პარიზში და მეორეც. და რამდენიმე ქალაქი რომ კვლავ გადმოვიდოდა ზვიად გამსახურდიას ხელში, მასაც ხელის გაწვდენაზე ეზმანებოდა თბილისი, მაგრამ ქუთაისის მისადგომებთან უნდა დასრულებულიყო ეს სწრაფვა, ფოთში რუსი დესანტის გადმოსხმა რომ აღუკვეთდა ყოველგვარ მცდელობას და ისედაც დევნილს მთლად ტყე-ტყე მოწონიალედ და მგლების მეზობლად აქცევდა, მათ ყმუილში რომ უნდა დასთენებოდა ხოლმე, ვიდრე... ვიდრე...
რა იყო, ბიჭო, სახლიდან მაგდებ?!

და ჩამოსდევდა დაღმართს — ყოფითსაც, სიმბოლურსაც... ვერსულს ნავაწყდებით ნაპოლეონის ხსენებას მის ლიტერატურულსა თუ პოლიტიკურ ესეებში, მის მრავალფეროვან ინტერვიუებსა თუ საჯარო გამოსვლებში, განსხვავებით კონსტანტინე გამსახურდიასაგან, ვინც ბონაპარტისტადაც კი წარმოგვიდგება, საგანგებოდ რომ უტრიალებდა საფრანგეთის იმპერატორის პიროვნულ ხასიათსა და სამხედრო-პოლიტიკურ გზას — ესეებშიც, რომანებშიც... ვერა და ვერ იშოშმინებდა მასზე ლაპარაკის წყურვილს და მის რაკურსში ჭვრეტდა ადამიანური ტრაგედიის ერთ ყველაზე არსებით გარემოებას, ბედისწერასთან შეთანადებულს:

— ყოველ ადამიანს უწერია ამქვეყნად ერთგვარ უღელტეხილთან მიღწევა, ყოველ მწერალს და მებრძოლს მოელის თავისი შავი ვატერლოო... ყოველი გმირი, ბოლოს და ბოლოს, უნდა დამარცხდეს!

და თემურ ქორიძე მამასთან გამოკამათებდა მიიჩნევდა ზვიად გამსახურდიას ამ სიტყვებს:

— როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეეწირება მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებას.

თავის მხრივ კი დაურთავდა: 1991 წლის 9 აპრილს სწორედ „დიდმა საქმემ“ გაიმარჯვა! ზვიად გამსახურდიას ღვანღმა ნაოცნებარი თავისუფლება ხელშესახები გახადა, მაგრამ ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე მასაც თავისი „შავი ვატერლოო“ უნდა გამოეცადაო.

ვატერლოო ვატერლოოდ და, ეს რაღა იყო, რომ ვერა და ვერ შეიკრავდა პირს მინა მის ჩასახუტებლად.

მიწავ, შენ გებარებოდესო...
ვერ მიიბარებდა და ვერა!..

გროზნოში როდემდე უნდა დარჩენილიყო მისი ნეშტი, ავერ უკვე თბილისისკენაც რომ გამოაცურებდნენ, მთანმინდისაკენ... თუმც ახალი ხელისუფლება მიღებით კი მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას — ცხადია, ედუარდ შევარდნაძის ჯიბრით, მაგრამ ჯიბრი იქამდე აღარ განვდებოდათ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტისათვის შესაფერისი სამგლოვიარო პროცესიაც გაემართათ. სახელდახელოდ მოინდომებდნენ გადმოსვენებას, თან რომ არ გამოჰყოლოდა გზადაგზა ხალხი და მთანმინდის კალთებიც ისე არ გადაფენილიყო ჭირისუფლებით, ილია ჭავჭავაძის დაკრძალვისას როგორც მომხდარიყო, და გალაკტიონ ტაბიძის ასვენებისას ამ სავანეში, და მერაბ კოსტავას დასაფლავებისას, ზვიად გამსახურდია რომ მოთავებოდა სულიერი ძმის მთელ ამ პროცესიას და საძრაობა აღარ იყო გარშემო...

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადმოსვენებისათვის უნდოდათ დაემგვანებინათ — ლევილიდან მთანმინდაზე, თან პატივის მიგება რომ ერქვა ამ აქციას და... თან ყოველმხრივ მიაფურჩებდნენ და თათარიხანად მიუჩნდნენ სამუდამო განსასვენებელს.

ორმაგ თამაშს როგორც სჩვევია!..

მამინ ხალხმა ისერიგად ვერ წარმართა ის სამგლოვიარო თუ პოლიტიკური პროცესი, და თუმც მთლად ხელისუფლების ნებაზე ვერ აენყო ყოველივე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვა ეროვნული გმირის დასაფლავების საფერი ვერ აღმოჩნდებოდა. ახლა?.. ახლა თუ მიაღწევდა თავისას ხელისუფლება?..

ნეშტის წამოსვენებას ცოტნე გამსახურდია უხელმძღვანელებდა და, თუმც ძალიან შეუშლიდნენ ხელს, რაღაცას მაინც გამოგლეჯდა ხელისუფლებას და ხალხს მისცემდა სამუალებას, გზადაგზაც მიეგოთ პატივი.

და თბილისში უკვე მთლიანად ხალხი აიღებდა ხელთ სამგლოვიარო პროცესისა თუ ეროვნული მანიფესტაციის სადავეებს და... ნიშანდობლივია, უეცრად მიხეილ სააკაშვილი რომ გადმოდგებოდა, თითქოსდა, აჰა, რამხელა საქმეს მოვაბი თავი და საქართველოს დაჯობრუნე დევნილობაში აღსრულებული პრეზიდენტის ნეშტით, მუხჯ კინოფილმს დაემგვანებოდა მისი ამოტივტივება, თვითონვე რომ იგრძნობდა და ერთბაშად ჩაიფშუკებოდა და... ისევ ჩაიკარგებოდა თვალსანიერიდან და გაქრებოდა შარშანდელი თოვლივით!..

და... მგონი... შარშანდელივითაც!..
არავინ არაფერს შეუძახებდა.
მღუმარებდა ხალხი.

მაგრამ მკაცრი გახლდათ ეს დუმილი, ძალზე მკაცრი და შეუვალი და... ვერ გაუძლებდა ედუარდ შევარდნაძის შემცვლელი და უშუალო მემკვიდრე, ამ მხრივაც რომ ძალიან დამსგავსებოდა მამა-მარჩენალს — ზვიად გამსახურდიას სახელისა და ღვანღის მიყრუების მძაფრი ყინით.

ხომ თითქოს აღიარებდა საქართველოს მეორე პრეზიდენტი პირველის საქვეყნო ღვანღს და მის ტრაგედიას მსოფლიო

ტრაგედიებთანაც გააიგივებდა, მაგრამ ამ გარეგნული აღიარების მიღმა ყოველმხრივ შეეცდებოდა მისი კვალის ნაშლას და ეს უნინ იქამდე მივიდოდა, რომ... ნაცვლად 1991 წლის 9 აპრილის შესაფერისი დაფასებისა, დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღედ დაადგენდა... 26 მაისს, თითქოსდა 1918 წლის შემდგომ, როდესაც ნოე ჟორდანიას მთავრობა მიიღებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედია აღარ ყოფილიყო, აღარც 70-წლიანი კომუნისტური ჯოჯოხეთი და... ვიყავით და ვიყავით დამოუკიდებელნი...

ჩემი ხმა — ისტორიის გადაკეთება-დამახინჯების უფლება არა გვაქვს-მეთქი, ახალ ხელისუფალთა ნებაზე წაღმარებულმა ტრიალისა — სადღაც ჩაიკარგებოდა და აღინიშნებოდა და აღინიშნებოდა ზარ-ზეიმით ის 26 მაისი, რომელიც ყოველგვარი წესითა და კანონით, ისტორიის კუთვნილება უნდა ყოფილიყო და ისტორიის სახელმძღვანელოს ოდნავადაც აღარ გადმოცდენოდა.

ოდნავადაც გადმოცდენოდა კი არა, აგერ 9 აპრილი გადაეცვალა და ნეტარებითაც ილოკავდა ტუჩებს.

და ეს ნეტარება გაუგრძელდებოდა ჟორდანიასეულ „26 მაისს“ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროსაც.

და რა გგონიათ — ბიძინა ივანიშვილის ოფიციალური თუ არაოფიციალური მმართველობის ხანაშიც — 1921 წლის 25 თებერვალს რაღაც მცირე შეფერხებად რომ მოიხსენიებდა ოფიციალური გამოსვლისას, მცირე შეფერხებად, რომელსაც თითქოსდა ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოეხდინა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივ მსვლელობაზე...

და მამ არარსებული დამოუკიდებლობის გამოცხადება რატომღა უნდა გვედღესასწაულა 9 აპრილს?!

ისტორიის ამგვარი გადაკეთებით ისე წარმოდგებოდა, თითქოს ზვიად გამსახურდია და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვაწლი არც ყოფილიყო...

ხსოვნაც აღაშფოთებდათ და მოსვენებასაც უკარგავდათ. რა უნდა ილონო — ნამოეტრუნჭები წინ და... ერთბაშად შეიძლება გაქრე, თუნდ მისი აჩრდილის წინაშეც, შარბანინდელი თოვლივით.

შარბანინდელი თოვლი იყო, თუ გინდა!..

ამიტომაც ასეთ ირიბსა და დახლართულ გზებს მიმართავ... თუმც განა როდემდე გასტანს ეს ამო მცდელობანი?

მოანეეს ის ჟამიც, როდესაც ღველფიდან ამოიჭრება 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტიც და მისი უპირველესი შემოქმედის სახეცაც.

რა იყო, ბიჭო, სახლიდან მაგდებ?!

დაღმართი არ იყო იოლი ჩასავლელი, მაგრამ ჩაჰყვებოდა შეფიქრიანებული, გული რომ შემოჰკვენესოდა და აგრძნობინებდა გარდუვალობას.

ცხედარს თავქვემ ბიბლია უნდა სდებოდა, ხელჩანთით ნატარები იმ ლექსებთან ერთად, „მთვარის ნიშნობის“ სახელწოდება რომ ამთლიანებდა და ძველი და ახალი აღთქმის თემატიკის მართლაც შთამბეჭდავ ვარაიაციებად გაშლილიყო.

თემურ ქორიძე ამ ვარაიაციებს ღრმად და ბოლომდე გაჰყვებოდა, რათა ხელშესახებად განეცადა ლირიკული გმირის სახეცა, ახალ შინაგან სიცოცხლეს რომ ანიჭებდა ცალკეულ ბიბლიურ ეპიზოდებს და... დამოუკიდებელ არსებობასაც აგრძელებდა.

ესეის ავტორი ერთგან გეთსიმანიის ბაღში იესოს ლოცვის პოეტურ ინტერპრეტაციას რომ გვთავაზობდა:

— ამ მშვენიერი ლექსის სათაურია „მამა“ და იგი ისეთი ღრმა და შინაგანი სევდით არის აღსავსე, როგორსაც მოსალოდნელი განსაცდელის ხილვა აღძრავს ხოლმე ადამიანში.

„უფალო, ამაცდინე ესე სასუმელი“ — ივედრებოდა ზვიად გამსახურდიას ლირიკული გმირი და ამის ამოცნობა საძნელო არ გახლდათ, თუ რას გულისხმობს „სასუმელი“ და რის გამო-

დახილად უნდა აღგვექვა ეს სასობა, მაგრამ კრიტიკოსი გვიბეჯითებს, რომ არ გამოგვრჩეს ის განსაცვიფრებელი წინასწარმეტყველური მინიშნება, რომელიც ლექსის ქვეტექსტში შეფარულა.

— გეთსიმანიის ბაღში მამისკენ ხელაპყრობილი მლოცველის მსგავსად ვერც ზვიად გამსახურდიამ აიცილა მწარე „სასუმელი“ და ბოლომდე შესვა იგი.

და მსგავს ალეგორიას რომ შეხვდებოდით ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილ — მეტად ორიგინალური სტრუქტურის — ლექსში, თემურ ქორიძე ისედაც ამოიცნობდა, აქ ავტორს მთლიანად საკუთარ გრძნობებსა და განცდებზე რომ გადააქვს მკითხველის ყურადღება, და ზვიად გამსახურდია პირადი საუბრისას მხოლოდ დაუდასტურებდა მიხვედრას:

— ტერენტი გრანელი აქ მე ვარ...

და 1993 წლის 31 დეკემბრის იმ ტრაგიკული დღის შემდეგ კიდევ უფრო კანთიელი უნდა გამხდარიყო კრიტიკოსისათვის ლექსის სულისშემძვრელი ხილვა და ბედისწერის წინასწარი განჭვრეტა, სიკვდილის ცხადი და ხელშესახები შეგრძნება.

— ვჭვრეტ საღამოს — ნიშბიანს, დანისლულს, ო, რაგვარად ეუცხოვა ტანი სულს... — ამას ტერენტი გრანელს რომ ათქმევინებდა ზვიად გამსახურდია, სინამდვილეში მისი პირით თვითონვე მეტყველებდა და მას მიაქანებდა უფლისაკენ ფიქრის ჩქარი წვა, კიდევ ერთხელ რომ უნდა დაეცა დასტური, თუ რარიგ ეუცხოვებოდა ამ გადმოსახედიდან საკუთარი გვამი...

და დაისადგურებდა დუმილი მის არსებაში.

და გამოეცლებოდა ძალა მის სტრიქონებს.

და ბინდიან ფიქრებში ქარი თუ მოიგონებდა.

და ეუცხოვებოდა სამყაროს ცივ დენას.

და ნექტარსაც წაიღებდა და შხამსაც იმდენს...

და რარიგ ეუცხოვებოდა მინის გაშლილ მკლავებსაც.

და... დააცქერდებოდა გოლგოთა გაძრცულ საფლავებს...

— უმადურობა, უმადურობა... — გაიხსენებდნენ ილია ჭავჭავაძის მწარე გულისტკივილს, თავისთვის რომ ჩურჩულებდა, მაგრამ საქვეყნო საყვედურად გაისმოდა წინამურის შემდგომ.

ნეტა ზვიად გამსახურდიაც ხომ არ განიცდიდა ამავეს? არსად ჩანს კვალი მისი ამ მუნათისა — არც მოგონებებში, არც საგამოძიებო ჩვენებებსა თუ გამოკითხვებში, მაგრამ რად გვინდა ძიება იმ კაცისა, ვისაც ეს საყვედური მოუსმენია... განა ისედაც არა ვგრძნობთ, რომ ამ ტკივილს ჩურჩულით მაინც გაამხელდა? და თუ ჩურჩულითაც არა, თვალეზში მაინც ენერებოდა, ჭერს რომ მიციებოდა ზეცად აპყრობილი და სამუდამოდ გაციებული იმ ნეშტთან ერთად, ხელთ რომ შერჩენოდა „სტეჩკინის“ პისტოლეტი, მტკიცედ ჩაბლუჯული, ყოველგვარი წესითა და კანონით იატაკზე რომ უნდა გდებულყო!..

პაილოზის მახიარ

— შენც შენი შავი ვატერლოო მოგელის, — უეცრად წამოუტივტივებოდა გონებაში იმ საბედისწერო წამს, მაგრამ ვეღარ გაიხსენებდა, ვინ, როდის და რატომ უთხრა ეს სიტყვები...

მის სულს უკვე ეუცხოვებოდა საკუთარი გვამი...

და იმათაც რომ ეუცხოვებოდათ, სასახლეში ჩასვენებულს რომ აშტერდებოდნენ და... უნდობლად აქნევდნენ თავს?

და ვისთვის შეეჩვილათ, თუ არა ერთმანეთისათვის:

— მოგვატყუეს. გეუბნები, ზვიადი არ არის-მეთქი. სულ მთავრობის ოინებია. რაღაცას გვიპირებენ და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— მეც მაგას ვამბობ. სულაც არა ჰგავს ზვიადს.

— ზვიადი ევროპაში გადასულა და თავის დროზე დაბრუნდება.

— ეგრეა! მართალია!

და კიდევ შემოველებოდა მითოსური გმირის შარავანდი და მისი დაბრუნების მოლოდინი ამიტომაც აღანთებდა ქართველობას... რალა წყალში შთანთქმე და რალა ასეთი იდუმალი განლევა უსაზღვროებაში...

და ამ ლეგენდას:
ან რა საბუთი წაშლის,
ან რა დრო ამოფხეკს...

2014-15
26 დეკემბერი-1 თებერვალი

მინანარი:

სიტყვას „ტრილოგია“ პირველად კონსტანტინე გამსახურდია გამოიყენებდა „მთვარის მოტაცების“ ქვესათაურად და ჟანრობრივი თავისებურების განსაზღვრისათვის.

სიტყვასაც „ტეტრალიგია“ პირველად კვლავ იგი მოიმარჯვებდა „დავით აღმაშენებლის“ ქვესათაურად და ჟანრობრივი თავისებურების განსაზღვრისათვის.

ასე შეეცდებოდა ქართულ სამწერლო მდინარებაშიც შემოეტანა და დაემკვიდრებინა ეს ჟანრები, ქართველი მკითხველის ყური შეეჩვია ამ ტერმინებისთვისაც.

შეჩვევა შეჩვევად, თუმც მთლად ზუსტად კი არ მოხმობდა. ეს იმ შემთხვევათაგანია, რალაც ძალიან რომ გსურს და ამიტომაც თავს უფლებას აძლევ, თვალი მოარიდო ზოგიერთ გარემოებას, თორემ ვის-ვის და კონსტანტინე გამსახურდიას კი მოესხენებოდა, რომ ტრილოგია არ ნიშნავს სამკარიან თუ სამწიგნიან რომანს, ისევე როგორც ტეტრალიგია არ გულისხმობს ოთხკარიან თუ ოთხწიგნიან რომანს, თორემ ლევან გოთუას „გმირთა ვარამიც“ ტეტრალიგიად უნდა გველიარებინა და არა ოთხტომიან რომანად.

ერთი ტერმინიც და მეორეც — ტრილოგიაც და ტეტრალიგიაც — მიანიშნებს იმავერ თავისებურებას, როდესაც სამი ან ოთხი თხზულება თან ერთმანეთს აგრძელებს და თან დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებს.

სხვათა შორის, საამისო ნიმუში მოგვიანებით მართლაც შეიქმნება ჩვენს ლიტერატურაში: გრიგოლ აბაშიძის სამი რომანის სახით — „ლაშარელა“, „დიდი ღამე“ და „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. აი, ესაა სწორედ ტრილოგია — ეს სამი რომანი ერთმანეთსაც აგრძელებს და დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებს. გამოაკელით რომელიც გნებავთ ამ სამი ნიმუშიდან და... თვითთული სრულფასოვანი რომანია. ის გარემოება, რომ ტრილოგიის პირველი წიგნი „ლაშარელა“ შეუდარებლად აღემატება დანარჩენებს, ამჯერად ნაკლებმნიშვნელოვანია.

აბა, „მთვარის მოტაცებიდან“ გამოაცალკევეთ ერთი კარი თუ ერთი წიგნი.

ანდა „დავით აღმაშენებლიდან“.

შეგვრჩება ხელთ დასრულებული ქმნილება, დამოუკიდებელი რომანი?

პასუხისათვის თავს ნურავინ შეინუხებს.

კიდევ რაიმე მაგალითს ითხოვთ თვალსაჩინოებისათვის?

აგერ უილიამ შექსპირის „მეფე ჰენრი მეოთხის“ პირველი და მეორე ნაწილი და „უინძორელი მხიარული ქალები“, ფოლსტაფის სახე რომ აერთიანებთ და ტრილოგიად წარმოდგებიან, თუმც თვითთულ პიესას დამოუკიდებელი არსებობაც მოეპოვება.

ანდა მხოლოდ სათავგადასავლო რომანთა რკალშიც რომ ვიტრიალოთ:

არავის მიუჩნევია აღექსანდრე დიუმას „გრაფი მონტე-კრისტო“ ტრილოგიად, მიუხედავად მისი სამწიგნეულობისა.

სამაგიეროდ, ტრილოგიად იხსენიება დიუმასივე „სამი მუშკეტერი“, „ოცი წლის შემდეგ“ და „ვიკონტ დე ბრაჟელონი ან ათი წლის შემდეგ“.

გასაგებია, რატომაც:

„გრაფი მონტე-კრისტოდან“ დამოუკიდებელი არსებობა არცერთ წიგნს არ გააჩნია. ისინი ან ერთად უნდა გამოიცეს, ანდა საერთოდ არა.

მუშკეტერებისა და მათ შთამომავალთა ამბები კი სამ დამოუკიდებელ სიუჟეტურ ქარგას ქმნის და გნებავს, თანმიყოლებით გაეცანი და გნებავს, ერთ-ერთი შეარჩიე — აუცილებლობა არ არის, ყველას მიადევნო თვალი, თვითთულისაგან დასრულებული შთაბეჭდილება რომ დაგრჩეს. ის გარემოება, რომ ტრილოგიის პირველი წიგნი „სამი მუშკეტერი“ შეუდარებლად აღემატება მომდევნო წიგნებს, ამჯერად ნაკლებმნიშვნელოვანია.

ან აღექსანდრე დიუმასა და მისი ლიტერატურული საამქროს გახსენება რად გვინდა:

„დათა თუთაშხია“ არავის მიუჩნევია ტეტრალიგიად, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი კარისაგან შედგება.

და არც დილოგიად, თუმც ორ წიგნადაც გამოცემულა და კიდევ შეიძლება ამ სახითაც დაისტამბოს ხოლმე.

გამოაკვლავ რომელიმე კარს ან რომელიმე წიგნს და... ხელთ აღარაფერი შეგვრჩება.

დილოგია ეს არის — „ეკლის გვირგვინი“, დილოგიურობა კი მისი არც ღირსებაა და არც ნაკლი, მისი არქიტექტონიკის თავისებურებაა, ესაა და ეს.

და ასეთივე რომანი-დილოგია იქნება კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის ის წიგნი, თუკი გადაწყვეტს და „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას საქმეს“ წინ დაურთავს მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას „დინების საწინააღმდეგოვად“. ორივე მონაკვეთი დილოგიისა ერთმანეთსაც შეავსებს და დამოუკიდებლობასაც შეინარჩუნებს.

ოდესმე კი შესაფერისად დაფასდება ორივე ნაწილი იმ ნაგულისხმევი რომანი-ქრონიკისა (ეს ჟანრობრივი განსაზღვრება არაფერს უშლის დილოგიად მის გამოცხადებას), განსაკუთრებით კი ეს მეორე — ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულის ნამდვილი ვერსიის წარმოსახვა, საბოლოოდ რომ გააქანწყლებს თვითმკვლელობის ვერსიას.

ჯერჯერობით რომ ვერ გაუდნევია „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას საქმეს“ რალაც მოჯადოებული წრიდან?

რა ვუყოთ, რაკილა წიგნებს აქვთ საკუთარი ბედისწერა, ესეც ამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების ბედი ყოფილა, ისევე როგორც ნიკიტა თალაქვაძის მეშუარულ ქმნილება — „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ — დაჰყვა ეს ბედი, სულაც ქართული ლიტერატურის მუზეუმში რომ რჩებოდა მზის გამონათების მოლოდინში და იმარხავდა ჭეშმარიტებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ტრაგიკული აღსასრულის მიზეზ-გარემოებისა. დიდხანს ტრიალებდა მისი თვითმკვლელობის ვერსია, ოფიციალურად განმტკიცებული, და ნიკიტა თალაქვაძე ირწმუნებოდა მთელი არსებით, რომ ცრუ და ყალბი იყო ეს ვერსია, სინამდვილეში კი კათოლიკოს-პატრიარქი მოკვლული გახლდათ.

არ უჯერებდნენ თუ... არ სურდათ დაჯერება?

კი მიაჩუნათებდნენ ამ მემუარებს, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც მას უნდა გაერღვია მოჯადოებული წრე და ნამდვილ ვერსიას გადაეფარა ის ცრუ და ყალბი მტკიცება, ათწლეულების განმავლობაში რომ აბნევედა და ამღვრევედა საზოგადოებრივ ცნობიერებას.

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი გაცილებით უკეთეს პირობებშია და ათწლეულები არ უნდა გვაპოვებდეს ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულის ჭეშმარიტი ვერსიის აღიარებასა და დამკვიდრებას, თორემ როდემდე უნდა იბნეოდეს და იმღვრეოდეს საზოგადოებრივი ცნობიერება, როდემდე უნდა იმყოფებოდეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ პირველი კათოლიკოს-პატრიარქის მდგომარეობაში?!

ისე რა უცნაურად დამგვანებია ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის ფინალი კირიონ მეორის აღსასრულს.

და ბარემ ბოლომდე!..

ბარემ ჭეშმარიტების გამოაშკარავებთაც...



მარლ სენტ-ბევი ერთგან წერს, პიერ რონსარი პოეზიაში კალატოზია, მხოლოდ და მხოლოდ კალატოზი, ხუროთმოძღვრება არასოდეს უცდია, მაგრამ კარგი სწორედ იმით არის, რომ იცის, რა უნდაო. უდავოდ, შემოქმედის ღირსება ისაა, თუ რამდენად კარგად იცნობს თავის თავს, რამდენად ხვდება, სად იმყოფება და რა უნდა.

რეზო ესაძის პოეტურ ცდებს, გამოხატვის მრავალფეროვნებით რომ გამოირჩევა, ერთი თავისებურება ახასიათებს, ყველა ლექსის კომპოზიცია კალატოზის რუდუნებით არის ამოყვანილი. ფორმაში ჩანს ხელოვანის ხასიათი. ავტორმა იცის, მას შეუძლია, ის ქმნის თავისთვის მისაღები, გასაგები, საცნაური ფორმებით.

თუმცა არ ვიქნებით მართალი, თუ ვიტყვით, რომ რეზო ესაძე არ ცდილობს სურათხატების გაუცნაურებას. რაღა თქმა უნდა, ცდილობს. მაგრამ ამას თავისებური მანერით აკეთებს. საგნებსა და აზრებს ერთმანეთთან ისე აკავშირებს, რომ ჩვეულებრივობის ზღვარს არღვევს, თუმცა შორსაც აღარ მიდის. იქვე ტრიალებს. მნიშვნელობასა და ფორმას შეაპირისპირებს, თითქოს მათს ურთიერთმორგებაზე მუშაობს. ამ დროს თამაშობს, ხან ალუზიასთან მიგვიყვანს, ხან ალიტერაციასთან, ხან ეტიმოლოგიურ მინიშნებებთან.

თამაში რომ შეძლო, ამისთვის შესაბამისი განწყობაა საჭირო. სრული უნდა იყო შენს შინაგან განვითარებაში, უნდა გჯეროდეს, რომ თავს არ იტყუებ, მართლა ის გინდა, რასაც აკეთებ, და იცი, რომ ეს არის არა მოსაჩვენებლად გამართული ფონეტიკობა, არამედ სულის გამოვლენის ფორმა. ყველაფერი ძალიან მარტივია: გინდა, აკეთებ. ოღონდ შედეგი არ იცი. არც არის ამის ცოდნა საჭირო. რატომ უნდა იმტვრიო თავი იმაზე, მიაღწია თუ რა შენმა სიტყვამ მკითხველის გულამდე. მთავარია, შენ იყო ბოლომდე დარწმუნებული, რომ რაც შეგეძლო, გააკეთე, ეცადე, ჭეშმარიტების სულს არ უღალატე. გულისგულში კი მაინც დაგრჩება ეჭვი, რომ რაღაც დააკელი, რაღაც ვერ გამოთქვი, რაღაც არ გამოგივიდა, მაგრამ კარგია, თუ ამას იგრძნობ, რადგან ეს იქნება ერთადერთი მარცვალი, გნებავთ, სიბრტყე, სადაც შეიძლება შენი პოზიცია დაემთხვეს მკითხველის პოზიციას, და თუ იგრძნო მკითხველმა, რომ შენც რაღაც გაეჭვება, მაშინ საქმე კარგად არის — სანდო გახდება, დაგიჯერებს, თავისად მიგიღებს, გამოგყვება, შეცდომებსაც გაპატიებს და შენთან იქნება, შენს ხასიათში.

რეზო ესაძის ლექსებში თანაშემოქმედების სულსკვეთება იგრძნობა, ავტორი თითქოს მკითხველთან ერთად აშენებს პოეტურ ნაგებობას, თითქოს მასთან ერთად ამოწმებს და სინჯავს მასალას, რაღაც ისე, ნაცნობი შეწყვილებით, როგორც კალატოზი და ქარგალი, ერთად, ერთი მიზნისთვის.

რეზო ესაძე

უცნაურია ტბა

ეს ტბა უცნაურია ტალღები ჩნდება. ტყდება მორევი. დრო ფუტკარია — იფანტება,

იკრიბება ხელისმორევით...

მნიფდება სახლის კიბესთან სხმარტლი. კიბე ირყევა, ნაიქცეს ლამის. (ხოშორი ცა) ვით მარჩიელის თითებში კარტი დაიპხევა და მიწას ნაშლის.

სათუთია, სქეტი... ამის მეტი? (არა არის) რა?! არაფერია, ამის მეტი.

2004

* * *

ან კრიალოსანს ჩაფურცლავს თითი დაითვლის ციფრს და მიიჩნევს თარსად ან მომავალზე კარგი არ ითქმის გადარჩენის გზა არ დარჩა არსად.

იშლება ყორე და ჩაღპა ნისლი ამინდება მძიმე და ჭრელი, სახლებში ისევ ტირილი ისმის და ბავშვი ისევ ლუკმა პურს ელის

ო, საქართველოვ, ჭრილობავ გულის გამშრალი ცრემლის კვალო ნადენო მგელი ყმუის და კედლებს გარს უვლის რამდენი იყავ, დარჩი რამდენი?

და გმინავს, გმინავს კვლავ ძველი ნიში, კვლავ სისხლის დენით ვუმზერ მომავალს, გულში გამივლის კვლავ ნაშლის ნიშნით შიში და ვტოვებ ბილიკს აღმავალს

არ გეგონოთ რომ გაფურბი ტკივილს ან, შეჭიდებას თუნდ სასიკვდილოს, ყური კვლავ იჭერს ორთქლმავლის კივილს და სურს მამალმა კვლავაც იყვილოს...

დილა, დილემა და გულის ტკენა გათენების ხანს სიკვდილი მელის შეწყდება სუნთქვა და გულისცემა დილა დილემა და ჩირგვი ეკლის...

ამაოდ დავშვრი, ბევრი ვეცადე, ვობლობდი, ოღონდ შენ დამრჩენოდი ო, საფიცარო სისხლისდენამდე, შენ გათენებავ, სულ რომ გელოდი:

ვერ მოვესწარი მე შენს ცის გახსნას, შენი ფინიშის ვერ ვნახე ნიში. ვზივარ და ლექსთან ცრემლი თან მახლავს, მინდა გიმღეროთ და ცრემლი მიშლის...

2011

ლოდინი

ჩამოიღვენთა ზეა ქვეა ნავიდა ზევით, რა მონყენილი მზეა და ცა უფროა მეტი

არც რაა ქარი არც კი ცას აეკვრება ალვა, მაღლა ვერ ავა კაცი ვერც დაეშვება დაბლა

გაქვავებული გვალვა, ლოდინი — ლოდი მძიმე... არ დასჭირდება მაღლა ცრემლს ღანვზე მოციმციმეს

გულს დასწოლია დარდად მთვარე, მზე, ავი დარი. საფლავზე (დარგვის გარდა) სურო და კონინდარი

მისი ლოდინი, კვლავაც, სიჩუმე, ხანაც ჩქამი, იქნება, არსად წავა დილით, დღითა და ღამით

დაელოდება ისევ, როგორც დღეს, ზვალ და გუშინ ლოდინით კალთას ივსებს, ცა ჩაექცევა გულში...

2012

მაინც

არც რა იყო, არც რა იყო, ჭალას ბოლი ასდიოდა. არც ვინ იყო, არც ვინ იყო, გზაზე კაცი მიდიოდა.

მდინარე არ მოძრაობდა, ...მხოლოდ ნაპირს მომდგარიყო. თავზე ნისლის ბოლი ადგა ბული, განა ბოლი იყო.

იქით ვილაც ხელს იქნევდა, საფლავიდან ამდგარიყო, ხელს კი არა, ჯოხს იქნევდა, ჯოხი არა, არც რა იყო.

პირს ალებდა და მუნავდა, ხმა იყო და ხმა არ იყო. ღმერთო — ღმერთო ეს რა ვნახე ეს რა იყო, ეს რა იყო?

რაც მიწაში მკვდარი იწვა ყველა ერთად ამდგარიყო: ყველა ყველას შევლას სთხოვდა მშველელი კი არსად იყო.

ქართულ ცას და ქართულ მიწას ცოდვა-ბრალი დასდგომოდა. გზაზე კაცი მიდიოდა იყო, მაგრამ, არც ვინ იყო.

სერზე რუხი მგელი იდგა
და ცივი ხმით გაჰყმოდა.
სოფლის ფერი წამხდარიყო,
ქარში ნაძვი ირხეოდა.

ქარი იყო, ვითომ იყო,
მაგრამ იდგა, არა ქროდა.
არც რა ჩანდა, არც რა იყო,
არც რას გაქონდ-გამოქონდა,...

სოფლის ბოლოს, ძველ ლობესთან
ვიღაც ობლად დამდგარიყო.
თუმცა ზურგით გზისკენ იდგა
თვალი იქით გაურბოდა.

2010

* * *

წაფენა დიდი აქვს უკუსვლით მიმავალს —
წინ ვინ მიუძღვის, უკუსვლით მივა რად?
ცრემლია ცის წვეთი და ერთი მათგანი
ისერის ნაგანით და ასე იავა
და „მშვიდობაა რიდით და აკრძალვით“...

სად მიდის ეს შარა, შარაა თუ შარი?
სინდისი იოტი ამ გზამ სად დატოვა?
იქით ნისლია, მე კი მარტო ვარ,
სროლით თუმც ისვრიან, არ ჩანს არავინ (?!).

იმ ღამეს გავყვები და შემპარავი
მექნება ლექსი და სინათლე თანდათან...
კარავში იქნება ჩემს მეტი არავინ —
მოჩვენებები, თუ ის თან წამყვა.

ღამეა საშიში და შემპარავი...
2011

ბავშვობის შუკა

დაგინახე, ბილიკ-ბილიკ
გამექეცი, მოგდეე უკან
ჩემო ტკბილო გულანშარო
ბავშვობის ნარბენო შუკავ!..

დამიბრუნე ჩემი ყრმობა,
დამიმაღე? თუ რა უყავ?...
ცრემლი წამავს დალილ თვალებს
სევდა სძალავს ფიქრს სანუკვარს...

* * *

და თუ იქნები კვლავაც სიმაღლე,
სიმაღლის გარდა მეტი სიმაღლე
და უფრო მაღლა უფრო სიმაღლე
და იმის ზევით ისევ სიმაღლე

უამინდობა დახურავს ფარდებს
დაედარდება დარდები დარდებს,
...და ოფელია დაგიკრფს ვარდებს,
გაგილიმებს და ყინულს დაადნობს...

მინიდან ცისკენ დაიწყებს თოვას
წავა და უკან არასდროს მოვა,
დარჩება მხოლოდ თვალების გროვა,
ბოლო სატკივარს მაშინ გაგანდობს...

ნუ მიმატოვებ ძვირფასო, ამ დროს,
ნუ, ნუ დამტოვებ, ძვირფასო, ამ დროს
ნულარ დამაგდებ ძვირფასო მარტოს,..
და თითონ ღმერთი აგინთებს სანთელს.

სოფლის გარეთ

როგორც მდინარე დაიძრა წვეთი
ფოთოლი წავით გადასერა და მიიწურა...
შუადღემ ზეცა წამოიხურა
დადგა მოლოდინის მიეთმოეთი
ის, —
შუამავალი ცისა და მიწის,...

ავისტო კვლავაც დამრღვევი ფიცის
ფერისცვალობას მარჩიელობს
ვით კარგით, დედა —
დღეებს ნეტარს დაითვლის მაგრამ
მან შესრულება ფიცის არ იცის
ხშირად,
გარწმუნებთ, რადგან ვიცი
კანკელის წინ მუხლზე დგომა
(დაიდი წუთი)
და,
სხეული ნიაღვრებს მიაქვთ
იქით,
სად ათასწლეულთ სუფრა აქვთ დიდი.

* * *

ყველა საქმეთა შორის ყველაზე დიდი და მარჯვე საქმეა სამ-
შობლოზე ფიქრი და ზრუნვა. სწორედ ამ სალესავ ქვაზე მო-
პირული გული სულ სხვანაირად ჭრის და ელავს...
სანეტაროა ქვეყნის უბეზე დაღვრილი სიხარულის ცრემლი,
მისი სილამაზით გალამაზება, მისი გამარჯვებით გამარჯვება
და გნებავთ მისთვის თავგანწირვა...
რა არის განსაკუთრებული ამ მიწაში? რასაც სამშობლოს მი-
წას ეძახიან?

ჩვენი წინაპრების ატომებია გაბნეული, რომლებიც ჩვენს
ატომებთან ცოცხალ ურთიერთობაში არიან და ერთმანეთს
მიიზიდავენ...

აქ, ამ მხრივ, მარადიული გაზაფხულია!..
ყველა საქმეთა შორის ყველაზე დიდი და მარჯვე საქმეა სამ-
შობლოზე ფიქრი და ზრუნვა. ყველა ფასეულობათა შორის
ყველაზე მეტად ამ სალეს ქვაზე მოპირული მამულიშვილური
გულია ფასეული.

* * *

მე შენ შეგხვდები მაშინაც, როცა
ალარ ვიქნები, უწინარეს
და, შენც შემხვდები როცა
ვიქნები უწყინარი,...

თუმც ყველგან არა, სადაც ხარ,
იქნები მიწად, ზეცად,
შენ ჩემი ზედისწერა ხარ
იგივე გახლავარ მეცა,

როდესაც შენზე დაფიქრდები
აიჭრები ვით კარტი,
იგივე დარჩები? გარდავიქმნები?
მე ან არ ვიქნები ან, კი...

უჩემოდ მითხარი რა იქნებოდი
ან, მე რა ვიქნებოდი უშენოდ?
უშენოდ ალბათ, სხვა ვიქნებოდი
ან, შენ სხვა იქნებოდი უჩემოდ..

* * *

ქრისტე შენ რომ ჯვარს აცვი
ხმა შორს ისმოდა ოხვრის...
გოლგოთას წვიმა აწვიმს —
მწვანე ბალახის ნოხი...

გრიგალებს მიაქვთ წამი
გადაქცეული ქარად
აიკეცება ამით
ოდესღაც თქმული „არა“.

ოთახი არის ფიქრის
განმარტოების წუთი
ზეშთაგონება ფერით
დროშის ფრიალი ბუხრის

უწყვეტად მიდის დრო და
ძველია თითონ ფიქრი
ფეხგამოშლილი ოდა
და სივრცე იმის იქით.

ან ჩაიშლება ისიც
როგორც რვეულში ბნკარი
დილა წამებს დაითვლის
მოგონებებით მწარის...

სივრცე დაღვრილი ბნელი
ღამე უხმო და მუნჯი,
შეციებული ხელი
მორჩილია, ხან ურჩი...

ფიქრი ქცეული დარდად,
სევდა ნავარსკვლავეარი.
ცა აკეცილი ფარდა
და ნანვიმარი დარი!..

* * *

შენგან მონაქროლი ქარი
არი, არი — დამქრის ვინემ
ლამის ქარად ვიქცე, წამით,
ავფრინდე და გაგიფრინდე...

იხატება ზეცა ყალმით
რითაც გული ამაყია
ამ ნედლ მიწას ხელს ნუ ახლებ
მაღე გულზე დამაყრიან.

* * *

შობდა. იცავდა და იყო ის,
სიცივე ყინულის და სიცხე მზის
წყლის დენა, ციმციმი მთვარის და ცის
ის იყო, მეგობარო, ის იყო ის.

თრთოდა ცა, მონმე ვარ იმ თეთრი სივრცის
მისთვის მოკვდები, სიცოცხლეს მივცემ,
ის სითათუთე, სიღბილე წყლის
იქ არის მეგობარო. ის იყო ისე...

ჩურჩული უნაზესი ურჩი და უხმო
ჯერ გაუთლელი გზა ვინრო, უცხო
გულის საკლავად დაკარგვა გზის
ის არის, მეგობარო, ის არის ის

ყველაფერი, მრავალფერადი, თეთრი
დაბადებიდან მიყვარს და ვეტრფი
ლიმილს დედოფლის სიხარულს მეფის
ფიქრს შემოდგომის, სიჩუმეს ტყის

ფეხაკრეფით შემოსვლა ხეებში ნილის,
უცხო სიფაქიზე არყის და ვერხვის
ჟუჟუნა წვიმა ჩუმად რომ ცრის
ის არის, მეგობარო, ის იყო ის

ელვის ლახტის წრეში ქამარი მეხის
მეტოქეები არყი და ვერხვი
ჟუჟუნა წვიმა მაინც რომ ცრის
ის არის, მეგობარო, ის არის ის...

ღმერთო, მიხედე გავშვებს

ღმერთო, მიხედე გავშვებს
მიხედე...
მეისრეს, მატარებლის გამშვებს
როგორ მიენდე?

ღამენათევი, მთვრალი, გაღვილი —
გამოტილა გაზონის გვერდით...
ღმერთო, მიხედე გავშვებს
გვედრი...

გესმის? ახლოვდება ქშენა
ძველი ორთქლმავლის,
მესაჭეს დაკარგული აქვს სმენა
მესაჭის.

იქით, იძირება მზე და
გადადის
მზერა ვით მშიერი ძერა
გორაკზე გარდაბნის

აჰა,
გამოჩნდა, მატარებელი უხვევს —
გორაკზე გარდაბნის,
ღმერთო, მიხედე გავშვებს,
მეისრეს გადადლილს...

2011

* * *

ნუთუ ხვალაც გათენდება ის
დილა ცისმარე კვლავაც გააღვიძებს
მთასა და ველობს
ნეტავ ვიცოდე, ვიცოდე მე რომ
ეს საღამო მშობელია ხვალინდელი

ნუთუ დაორთქლილი მინის ცრემლის
სიმძიმე ხვალაც
უფოკუსო დაანება უძინარ ქალაქს
სადაც რა ხანია არ მღეროან ნანას
სადაც მხოლოდ სიმარტოვეა ცის?

2012

ბაუბაჰანელი ნარილი ც-ს

მარტის თვე იდგა. თოვდა, თითქოს ცა ირღვეოდა,
აფრქვევდა ფანტელს. ჩურჩულებდა „არა-არაო“ —
რას ვიფიქრებდი, წლები ასე მომერეოდა?

ვარდობის თვეა.
ტოროლები კვლავაც გალობენ,
ხანდაზმას ჩემსას კვლავ აღლევებს აპრილის დილა...
თუ გამიხსენებ და შენს ღიმილს კვლავ მიგალობებ
და შემაყოვნებ უკვე დამდგარს საფლავის პირას

ერთ ღიმილს ისევ გამოვნახავ და ცრემლიან თვალს
ჩვენს მიერ გავლილ გზებს — ბილიკებს კვლავაც შევავლებ
და ასე მალე გადავიხდი, ძვირფასო, ჩემს ვალს
და ამის მერე დაგშორდები ასევე მალე.

* * *

და როცა გამოვიდა ის ფეხშიშველი
ტანჩაუცმელი გამოვიდა ის როცა
შარიშურობდა ცაში ფრინველი
ღმერთმა შეხედა და გაიოცა
და მზეს შეშურდა მისი იერის
არამინიერი იყო ის როცა...

* * *

გავლიე გზები სიძულვილის და ჩემი სვლა
მზეთა სავალი ბილიკებით
წარვმართე, მაგრამ
სად კრთება სხივი აღმავალი, მე ვერ გავიგე...
ო, ღმერთო, ღმერთო, ვინ მეძახის სულ დასავალით?

რა შეგცოდნე საოცარო, რად მიწყალობებ მხოლოდ
სატყივარს?

რად ჩნდება შუქი სინანულის, მონანიება რად ესწრაფის
იქცეს ჭრილობად, ღიად, სისხლით გადმომდინარით —
ღანვს ასველებს და ეკიდება...

ვხედავ ტანჯვას, ცამოსილო, არა აქვს კიდე
ვიდრე სულს ვითქვამ და ხელმომკიდე,
წყალობა შენი, თუმცა ვალსა მდებს, ცდილობს იგი
ჯოჯოხეთურ ცეცხლს ამარიდოს —
გვედრები, ნუ იზამ ამას!

ცოდვა ჩემი, უთვალავი მძიმეა მეტად, —
შედეგია უმეცართა ჩემთა ქცევათა
ვით ნიაღვართა მიმოქცევათა
თავს საყარია სიტყვა და სეტყვა, —
— ნუ მიმატოვებ...

სავალს ჩემსას ფორმა აქვს მრუდი,
ცდილობს ჯოჯოხეთს ამარიდოს, დაადოს კლიტე
ჩემს საფიქრალს, თუკი ცოდვილი
ვაღიარებ საქმეს დასანანს
და ამით გულში დავიცემ დანას —
ამაოა ირგვლივ ყველა ცდა.

ვერაფერი ვერ გავუგე მზისკენ ასავალს
ვერ გავზომე მისი სიგრძე, განი.
„ა“-ნი გამექცა, „ჰო“-ს შევეჭიდე,
ან ყინულებით შემონყობილს მენვის კანი —

და რაკი მალე ამ სანუთროს უკან მოვიტევე
და ნავალ, ისე თან წამყვება მე ჩემი ვალი,
ნულარ შემინდობ, ჩემო ქვეყანავ,
სასთუმალს გიდექ
მაგრამ, ვერა და ვერ დაგიდგი ჭიქა წყალი...

* * *

თუ რამ ვაკეთე უთავბოლოდ გაბნეულია —
უპატრონოდ, უჭირისუფლოდ
როს დავფიქრებდი მანოიკებს ობლობის სახე რაც ვპოვე და
ვერ ვნახე მაინც — ჩემი სხეულის ნაფლეთებად ქცეული ველი
სადაც ხე არა ბუჩქიც არა ჩანს.
ხმაგაკმენდილი მდუმარება არ ფიქრობს არც რას
და არც რას ელის...

2014

**ბალადა
შინაოუსკლეზა**

აქ სამუდამო რაა,
არცა რაა და რაა,
იქით უფერო მთაა,
აქ უფერული ცაა

გადიზნიქება ტოტი,
სიო არ იძვრის ფარდა,
ჭოტებს გასძახის ჭოტი —
„მიყვარხარ და მიყვარდა!“

გაინაბება ნამი,
გაიველება ველი
როგორც ნახტომი წამის
ისე იშლება ფერი

დაილალება დღე და
თავს დადებს მუხლზე ღამის,..
ღამე — შავებში დედა,
დღე — ბავშვობაა წამის.

აქა სიჩუმე ხმაა,
ხმაა — სიჩუმე დიდი...
მონატრებაა რაა —
ბილიკზე შვილი მიდის?

**ილია ჭავჭავაძის
„ქვათა ღალადის“ გამო**

როცა წამოვა ნუხილი დარდად
ის სიმსუბუქე სიმძიმის გარდა
და ჩამოივლის გზას და კარდაკარ
უხედნ ცხენივით დაიჭიხვიანებს

გადაუხდელი გაჩნდება ვალი
ის, ავარდნილი ცეცხლიდან ალი

თავგანწირვისთვის მე მუდამ მზად ვარ
და სიდიადე ცრემლის ტკივილით
ყელს აღმოხდება მამლის ყივილი
(და) გუგუნია შემოკრულ ზართა

2015



სერგი ლომაძე

პოემა არარსებულ ადამიანზე

ეს უფრო ლირიკული პოემაა, ახალიც ეთქმის, ცოტა არ იყოს — რთულადგასაგები ქმნილება, ხოლო უფრო ეპიკური პოემების რაღაც ნაწილი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში გამოვაქვეყნე...

მას შემდეგ, რაც „ზღვარელებს“ გრანელისა და გალაკტიონის სახელობის ლიტერატურული პრიზები მოგვანიჭეს სხვადასხვა ორგანიზაციებმა, პირადად მე, მგონი, კიდევ უფრო მეტს ვწერ, რათა არ იფიქრონ — მიღწეულით დაკმაყოფილდით. პოეტი ბოლომდე უნდა დარჩეს თავის ხაზზე, რომ იყოს აბსოლუტური პოეტი, ფანატიკოსი პოეზიისა. ასე მწამს (ალბათ ასე სწამდა ბიესისაც), და ვცდილობ — ბოლომდე მივყვე საკუთარ რწმენას...

I.

ნერ არაფერზე. დღეა, ვით ფერფლი.
ალარ გსურს, მაინც უნდა დაწერო.
დაშრეტილია თვალეში ცეცხლი.
ახლოა ჟამი საბედისწერო.

გარეთ ქარია, თეთრ ტოტებს ამტვრევს,
ქარს დასასრულის სახელი ჰქვია,
შემოდგომაა ძალიან ადრე,
გაზაფხულია ძალიან გვიან.

შენ ფიქრობ, ახლა რა არის სწორი,
იმასაც ფიქრობ, რა შეგეშალა...
ცხოვრება, როგორც ფრთაცხელი ქორი,
თან იფერფლება, თან ცეცხლს ვერ მალავს...

და უარყოფის მანიფესტია
სიცოცხლე — გლოვა მთვარიან ქარვის.
თუ დავინწყების ტყვიას გესვრიან,
ეს არ იქნება მათი მიქარვა.

შენ დააშავე. შენა ხარ თავიც,
შენა ხარ ბოლოც უშავეს ჯაჭვის.
(და არის, მაინც, პროტესტი ავი
მთელს სამყაროზე, ლექსები ტანჯვის).

სერგი ლომაძე — ზომიერი მარგინალი, ჭკვიანი ფანატიკოსი, მემამბოხე, კონსერვატორის ხასიათით. „პოემა არარსებულ ადამიანზე“. ლირიკული კომპოზიცია ფსიქოლოგიური წინააღმდეგობებითა და დუალისტური სიმეტრიებით.

აქ არის ამბოხი, ოლონდ არა აბსურდის ადამიანის ამბოხი, რომელიც სიზიფეს გაგვახსენებდა. არის პოეტური ბუნების ზღვრული მდგომარეობა, როდესაც ემოცია უფრო მეტს გამოხატავს, ვიდრე სიტყვა. პოემის გმირია პიროვნება ასოციაციური ხასიათით, სუპერინდივიდი, რომელიც არცერთი საზოგადოების წევრად არ თვლის თავს, მაგრამ, ამავე დროს, მთელი სამყაროს ფლობის პრეტენზია აქვს. ეს გახლავთ სრულიად ავტონომიური პირი, რომელიც ურთიერთობას, როგორც ასეთს, არ ცნობს და მხოლოდ წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობს.

თვითება ილვიძებს ამ ადამიანში, რაღაც ძირეული, არქეტიპული ამოდის ზედაპირზე და პიროვნება ირგებს ნიღაბს, რომელიც შესაძლოა უფრო კარგად გამოხატავდეს მოლაპარაკის ხასიათსა და ნამდვილ სახეს, ვიდრე ის, რასაც ნიღაბი ფარავს.

დემონსტრაციულად ქადაგებს თვითმკვლელობის იდეას, მაგრამ კარგად არ ჩანს მიზეზი, საფუძველი ამ ქმედებისათვის, რადგან რაც ჩანს, ეს უფრო შესტია, არტისტული ფორმაა, მიმართული პოეტური დეპრესიის წინააღმდეგ.

პოემის მეტაფიზიკურ შინაარსს პრაქტიკული საფუძველი აქვს უეჭველად, მაგრამ ეს არ ამოდის ზედაპირზე, არც უნდა ამოვიდეს, რადგან მთელი ყურადღება გადატანილია იდეის წარმოდგენაზე.

ნათელია მოტივები — ამბოხი, ბედისწერა, თვითმკვლელობა და ალუზია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსისა „ბოჰემის მონოლოგი“: „მე მეჯავრება პოეტისთვის სხვა კარიერა, მისთვის ვინამე სამუდამოთ ეს კარიერა — სიგიჟე, ჭლექი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა“.

სისულელეა გაბრაზდე მათზე,
რომელთ არ ძალუძთ ხილვა და სმენა,
და თვითმკვლელობა რომ შედგეს ხვალ-ზეგ,
მკვდარს გაგლანძღავენ ისევე შენა...

პოეტურ გრძნობას მოელო ბოლო,
კაცი-ფრინველი არ ცხოვრობს ცაში,
და პრობლემების ჩამოთვლაც, მხოლოდ,
ორიათას ტომს მოიცავს გაშლილს.

და სიცოცხლისთვის მიზეზი — რაა?
და სიკვდილისთვის მიზეზი — ბევრი...
(თუმც, რომ მიჰყვები, ის უღვთო გზაა...
და ზიხარ ქვევრში, ცხოვრება — ქვევრი)...

ჩვენ ვცხოვრობთ, ვბრუნავთ მუდამ ერთ წრეზე,
არ გვენალვლება წრე ჩაკეტილი,
ყველა ღარიბი: მდიდარ-ღარიბნი,
სიყვარულისგან გადახვენილინი.

და თვალთმაქცობის აპოთეოზში,
და ეგოიზმის ჭაობში მყოფებს,
ჩვენ გვაგინყვდება სულით პოეტი, —
არარსებული სამყაროს მეფე,
უღიადესი სამყაროს მეფე...

II.

შენ კი ისევ ნერ, არ გენერება,
თვალეში ალარც ძველი ცეცხლია,
მაგრამ ეძიებ ფერთა ფერებსა,
დანტესის ტყვიას სანამ გესვრიან,

ან სანამ თვითონ გამოშლი სასხლეტს,
ან გაფრინდები, როგორაც გალა,
და გაიხსენებ, ვფიქრობ, გრანელსაც,
ააფრიალებ როცა თეთრ ალამს, —

ეს სევდის დროშა არ არს წაგების,
ეს მემამბოხე თვითმკვლელის გზაა,
გზა შეშლილად და თეთრ ქანდაკებად,
ფერად სიზმრებად არის, რაცაა...
და ამ ცის იქით, ამ ცათა იქით,
ნამდვილად იცი, სხვა — დიდი ცაა...

ხედავდი, როგორაც ხედავდა ვერვინ
(გრძნობადი ხედავდა გქონდა სტიქიად),
შენი გოლგოთა ლექსი — ფიქრია,
შენი გოლგოთა რწმენაა შენი,
უფაღლით — სიტყვით ჩვენ რომ გვიქია.

ნერ, და ეს ქარი ისე მზაობრობს,
თითქოს ხატავდეს მთვარეზე ბოდღერს,
ან რუსთაველი მზედ იქცა თითქოს,
ცად იქცა თითქოს!.. ნეტა ესმოდეს

ამ ქარს, რომ არის ეს მართლაც ასე,
მზენი, მთვარენი მართლაც ცაზეა,
და ვარსკვლავების იმედი ავსებს
იმ ერთ უკვდავ მზეს, ფიანდაზიანს,

ფიანდაზებად კოსმოსნი დაჰყვა,
გალაქტიკების ფიქრი — ასეა,
უფრო მაღალი ფიქრიც — ასეა...
ნერ ყველაფერზე და არაფერზე,
არაფერია, ხომ, მაინც, ბოლო,
მარტოობაზე, მთელს ცხოვრებაზე,
დაღამებაზე... ეძებ სიმბოლოს...

იქ ევროპაა და ამერიკა,
ამბიციური ტვინები ელავს,
და სულ ახალ გზებს ამკვიდრებს იქა
იდებების და აზრების ლელვა.

იქ პერსპექტივა დიდია მეტად,
თუკი ნიჭია, თუ ტალანტია...
თუ დაკარგული დრო არ გატყვია...
შენ კი... შენ დაშრი, აქ დარჩი რადგან
(მაგრამ სამშობლო (ცუდიც) კარგია, —
„ევრაზიული საგა“ კარგია)...

ნავიდა შენი დიდების ხანა,
(ან აქ როდის არს დიდება — შველა?),
გადაქცეულა მთელი ქვეყანა
გენიის მომშობ პითონად-გველად...
შენი ბრალია, მაინც, რაც ხდება,
და (ამიტომაც) არც ითხოვ შველას.

შენ დაშავე ათასი, მეტი,
და გამოჭედე შენივე ჯვარცმა,
სიკვდილის წინეთ ხომ მღერის გედი,
ხოდა, იმღეროს პოეტმა კაცმაც...
(ბედნიერება არც მაშინ გქონდა,
ტოლიც არ ჰყავდა, როცა, შენს ვარსკვლავს)...

III.

შენი სიმბოლო — ლომი, არწივი,
შეეშენება ცრემლიან ბეჭობს...
გალეგენდებულს აწყობდი დადგმებს,
ო, პოეტურო საღამოებო,
და აფეთქებავ დროების, ძველის,
როცა შენ იყავ გენიაც, ხელიც, —
გენიალური — შეშლილის გზაა,
რაც ასე გვაბნევს, ასე გვაოცებს,
ახალგაზრდობა ლომის სიტყვაა,
მიგვერეკება სასაფლაოსკენ,

სიბერე არის ჩირგვში ჩამალვა,
ცდა — მიეტმასნო ყოფას ახლიდან...
თუმცაღა გალა, როცა მოხუცდა,
ხომ სწორედ მაშინ მზემდის აფრინდა,
როს გადალენა თეთრი ფანჯარა
და გადახედა თბილისს მაღლიდან! —

თბილისს — პოეტთა ბეთლემს და მექას,
თბილისს — პოეტთა სატახტო ქალაქს,
შენსავე გულს და შენსავე ჯვარცმას,
სიგიჟეს ძველს და სიგიჟეს ახალს...
(თუმც ჩაქრა შენი ძველი ანთება,
თბილისში თითქოს ცას სწვდები ახლაც)...

თბილისი არის პოეტთა ლოცვა,
პოეტი არის ყველაზე მაღლა,
მაგრამ ვინ არის ნაღდი პოეტი, —
იგი, ვინც წერს, თუ — ვინც კვდება ახლა?

იქნებ — ორივე, რადგან, ვინცა წერს,
თუკი მართლა წერს, სიტყვებში კვდება,
პოეტი არის ღმერთკაცი — ჯვარზე,
სიკვდილის მერე რომ ფეტიშდება.

თუმც აღარა გსურს შენ არაფერი,
სიცოცხლეში და სიკვდილის მერე,
შენ დავინწყების დაგრჩა ახდენა —
როდესაც შენზე აღარსად წერენ,

აღარ ამბობენ ერთ სიტყვასაც კი,
როცა საფლავიც არვინ არ იცის,
და შენი სული, ფიქრით ნაფერი,
დაეხეტება ზღვასთან თავისთვის.

დაეხეტება მთებშიც თავისთვის,
და მარტოობის სასახლეს ეძებს,
რომ დაისვენოს ლურჯ ოთახებში,
რომ პოეზიის იფიქროს ფერზე,
ლურჯი და თეთრი ყველა ფერს იტევს,
თეთრი და ლურჯი ზოლია მზეზე.

სულში პირველობს ეს ორი ფერი,
ვით პოეზიის ორი სიმბოლო,
ცისა ფერი და ფერი ნათლისა
დიდ-დიდ სინათლედ დარჩება ბოლოს...

გარეთ კი ქარი ხმაურობს, გაჰყვფს,
ანენავს ქუჩებს, ანენავს ფიქრებს,
დაეჯახება მძინარე სახლებს,
გამოაფხიზლოს ქვეყანა იქნებ.

თრთის გაზაფხული თუ — შემოდგომა,
კვდება ფიქრები პოეტურ რთველზე.
შენ კი აგრძელებ სიტყვათა ძმობას,
ნერ ყველაფერზე და არაფერზე...
(მერე სიზმართა ბილიკზე ჰქრები...
სიკვდილის მერეც პოეტად რჩები)...

P.S. ამ პოემის რამდენიმე სხვა ვერსიაც მსურს შეეკმნა, ერთ-
მანეთისაგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავებულნი, თუმცა არა
მგონია, რომ რომელიმე მათგანმა აქ წარმოდგენილს გადააჭარ-
ბოს, როგორც ხელოვნების ნიმუშმა. მაინც მსურს მუშაობის გაგ-
რძელება ამ კუთხით. რატომ? — ეს ზუსტად თვითონაც არ ვიცი.

„ჩვენი მწერლობის“ კეთილგანწყობა ბოროტად არ გამოვიყენე და ვრცელი გამოკვლევა, რომელიც ლადა პანოვამ ჟურნალ „ვოპროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა (2009, №5), საგრძნობი შემოკლებით ვთარგმნე. ფილოლოგიური მიგნებათა პარალელურად, სტატიაში, განსაკუთრებით მის ბოლო თავებში, დიდი ადგილი ეთმობა ფონეტიკურ ანალიზს ლექსისა „სალომინკა“, რომელსაც ამდენი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია თავის დროზე (და შემდეგაც) სამწერლო წრეებში. ამ ანალიზის გადმოქართულება შეუძლებელია და ისედაც პოპულარული ჟურნალის პროფილს სცილდება სტატია მთლიანობაში. ლექსი კი, ჩვენს თანამემამულეს, პეტერბურგში ცნობილი მხატვრული სალონის დიასახლისის, მშვენიერ და ლერწამტანა სალომე ნიკოლოზის ასულ ანდრონიკაშვილს ეძღვნება. მისი ავტორი XX საუკუნის თვალსაჩინო რუსი პოეტი ოსიპ მანდელშტამი გახლდათ. „სალომინკაში“ (მე რომ მეთარგმნა ლექსად, „ლელიკოს“ დავარქმევდი) სიტყვის თამაშია — მანდელშტამი „ს“-ანს ხან მთავრულით წერს, ხან არა. პირველ შემთხვევაში, ლექსის ადრესატი, მშვენიერი სალომე იგულისხმება, მეორეში — ლელის ღერო, რომლითაც ხვრევენ.



გამოკვლევაში სკრუპულოზურად არის განხილული ის პირველწყაროები, საიდანაც სარგებლობდა მანდელშტამი ლექსზე მუშაობისას. პირველ ორ თავში, ავტორის მტკიცებით, ერთ-ერთი წყარო იმ მეორეხარისხოვანი პოეტის, რაფალოვიჩის, შემოქმედებაა, რომლის ინტიმური ურთიერთობაც სალომე ანდრონიკაშვილთან მანამდე გრძელდებოდა, სანამ ცოლად შეირთავდა და პარიზში ირჩევდა დასახლებას ულამაზეს მელიტა ჩოლოყაშვილთან ერთად. ცოტა რამ რაფალოვიჩის შესახებ: რუსეთის სამოქალაქო ომის დროს ცხოვრობდა ამიერკავკასიაში (წინანდალი, ბაქო, ბათუმი, თბილისი). საქართველოს დედაქალაქში 1918 წელს მეორე ცოლთან სალომე ნიკოლოზის ასულ ანდრონიკაშვილთან ერთად ჩამოვიდა. აქ, პოეტ სერგეი გოროდეცკისთან ერთად, რედაქტორობდა ჟურნალ „ორიონს“. შევიდა „პოეტების საამქროში“ და 1919 წელს, გოროდეცკის წასვლის შემდეგ, გახდა მისი ხელმძღვანელი. იმავე ხანებში დააარსა გამომცემლობა „კავკასიური შუამავალი“, რომელმაც დაბეჭდა მისი ნიგნები: „სამოთხის ბაგები“, „სასწაული“, „პოემები“, „სიმონ მოგვი“, „ცეცხლოვანი რკალი“, „წითელი ყვავილები“, „მარკ ანტონიუსის ტრაგედია“, „დედაბრის ყვავილობა“, „დათაფლული სიტყვები“. 1921 წელს გახდა საქართველოში რუს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. თარგმნიდა პაოლო იაშვილის, ტიცინ ტაბიძის, ალექსანდრე აბაშელის, გრიგოლ რობაქიძის, ნიკოლოზ მინიშვილის ლექსებს. 1922 წელს თბილისშივე გამოსცა პოემა „ოქროს წუხილი“. იმავე წელს გაემგზავრა პარიზში, სადაც ცოტა ხნის შემდეგ დაქორწინდა მელიტა ჩოლოყაშვილზე, რომლის ლიტერატურული სალონიც განთქმული იყო მთელ თბილისში.

ქართველი მკითხველისთვის შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს „სალომინკაში“ ნახსენები სერაფიტა. მას არავითარი კავშირი არა აქვს ქართველი პიტიახშის ასულთან. იგი არის ბალზაკის ჩვენში ნაკლებად ცნობილი, რომანის პერსონაჟი, რომელიც მანდელშტამის ლექსში მხარს უმხვევებს პოს ლენორს და ლიგეიას, უაილდის სალომეას. ბალზაკის რომანი „სერაფიტა“ რუსულად 1996 წელს გამოიცა. იგი „ადამიანური კომედიის“ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებად მიიჩნევა ავტორს. „სერაფიტას — ანდრონიკაშვილს არსებებს, რომელიც უყვარს ორს — საქმროსაც და საპატარძლოსაც, უეჭველია, სიყვარულის სახელი ჰქვია. ისე კი მისი დაკავშირება სალომეასთან უფრო ფონეტიკურია, ვიდრე შინაარსობრივი... და კიდევ — „სალომინკაში“ სერაფიტა ქალური პარალელია სერაფიმისა (პოს ნაწარმოებიდან) და, იმავდროულად, კოდირებულია მასში ანგელოზური ქალის ბოდღერული იდეალი“ (ლ. პანოვა). მკვლევარს უხვად აქვს მოხმობილი ლიტერატურული პარალელები თავის ინტერპრეტაციათა გასამყარებლად. ყოველ შემთხვევაში, ჩემ მიერ სათარგმნელად შერჩეული გამოკვლევის ორი თავიც პოეზიის მოყვარულ მკითხველს დაფიქრების, საკუთარი ანალიზის გაკეთებისა და დასკვნების გამოსატანად საკმარის საშუალებას მისცემს.

ლადა პანოვა

„მოკარული“ „სალომინკა“:

ოსიპ მანდელშტამის სატრფიალო ლირიკის ლიტერატურული პროტოტიპისათვის

1. „სალომინკას“ პრაგმატული წყაროები: ორბაზი მითოქოზა

სტატია ეხება დღემდე გაუშუქებელ სამიჯნურო მეტოქეობას და ლიტერატურულ „ქურდობას“, რომლის შედეგად იშვა მანდელშტამის ლირიკის აღიარებული შედევრი „სალომინკა“ (1916 წლის დეკემბერი. დაიბეჭდა 1917 წელს).

I. როდესაც, ლელის ღეროვ, არ გძინავს დიდ საძინებელში და უცდი, უძინარი, რომ მნიშვნელოვანი და მაღალი ჭერი დაეშვას შენს მგრძნობიარე ქუთუთოებზე მშვიდი სიმძიმით, რაც შეიძლება სამწუხარო იყოს,

ლელო ჟღერადო, ლელო გამხმარო, მთელი სიკვდილი შესვი და იქეცი ნაზად, გადატყდა საყვარელი ლელის ღერო, უსიცოცხლო, არა, სალომე, არა, — უფრო ლელის ღერო...

უძილობის საათებში საგნები მძიმდებიან, თითქოსდა ცოტავდებიან — ისეთი სიჩუმეა, -

კრთიან სარკეში ბალიშები თეთრად და მრგვალ მორევში ირეკლება საწოლი.

არა, განა სალომინკა საზეიმო ატლასში შავ ნევაზე, ერთ დიდ ოთახში, - თორმეტი თვე მღერის სიკვდილის საათზე, მკრთალად იფრქვევა ყინულის ცისფერი ნაკადი ჰაერში. დეკემბერი საზეიმოდ გვარჩევებს თავის სუნთქვას, თითქოსდა ოთახში ეს მძიმე ნევაა. არა, სალომინკა — ლიგეია, კვდომავ, - მე დაგისწავლეთ, ღვთაებრივო სიტყვებო.

II. მე დაგისწავლეთ, ღვთაებრივო სიტყვებო: ლენორ, სალომინკა, ლიგეია, სერაფიტა. დიდ ოთახში მძიმე ნევა და ცისფერი სისხლი იფრქვევა გრანიტიდან.

დეკემბერი საზეიმოდ ციალებს ნევაზე, თორმეტივე თვე მღერის სიკვდილის საათზე. არა, საზეიმო ატლასიანი სალომინკა როდი ნებევრობს ნელი და დამლული სიმშვიდით.

ჩემს სისხლში ცოცხლობს დეკემბრის ლიგეია, რომლის სარკოფაგებშიც სძინავს ღვთაებრივ სიყვარულს. ის კი — სალომინკა, იქნებ — სალომეა, მოკლულია სიბრალულით და აღარასოდეს დაბრუნდება.

„ქურდობამ“ აქ ისეთივე ფორმები მიიღო, როგორც ლექსში „უმაღლეს ზომამდე სავსე ვართ სიცოცხლით“ (1935), რის შესახებაც სერგეი რუდაკოვი (რუდაკოვი და მანდელშტამი, როგორც

გადასახლებულები, ხუთი წლის მანძილზე ერთად იმყოფებოდნენ ვორონეჟში. მთარგ.) გულმოკლული სწერდა თავის ცოლს:

„აქ ყველაზე კარგია:

Толковые
Липовые
Чернила
Источники?
Привычными
Кирпичные
Заборы!!!

რა ვქნა, ლინა?! ხომ არ დავდგები ნევის პროსპექტზე და ყველას არ ავუხსნი. ყველაფერი ჩემი მან ზეპირად იცის.¹ ანუ სწორედ ლექსები „პატარა“ და ამჟამად დავინყებულები პოეტი-სა შთანთქა პოეტმა, ვინც სიკვდილის შემდეგ მიაღწია სრულ დიდებას. აი, სესხების მასშტაბები „სალომინკაში“ კი გაცილებით დიდია — ახალგამოქვეყნებული ლექსების წიგნი.

ეს სხვა „პატარა“ მწერალი, ვისი გავლენაც „სალომინკაზე“ არანაკლებია, ვიდრე დიდებისა, რომლებიც უკვე დაკავშირებული არიან ამ ლექსთან (პუშკინი, ტიუტჩევი და ბლოკი — რუსული მხრიდან, პო, ბალზაკი და უაილდი — დასავლეთიდან) საბჭოთა რუსეთამდელ ხანაში ხშირად იბეჭდებოდა. „სალომინკას“ იგი განმარტავდა, როგორც ადრესატის — სალომე ნიკოლოზის ასულ ანდრონიკოვასთვის (1888, თბილისი — 1982, ლონდონი. მეორე ქმრის გვარის მიხედვით — ანდრონიკოვა-გალაპერნი. შემდეგ — ს.ა.) მოგონილ სახელს მისი შინაურული სალომკას მიხედვით. ეს აღმოჩენა ეკუთვნით; ტ. ნიკოლსკის, რ. ტიმენჩიკის და ა. მეცს — ავტორებს ერთობლივი პიესისა „გატეხილ გულთა ყავახანა“ (1917). მტკიცების სახით მათ მოჰყავთ სტრიქონები „პატარა“ პოეტისა ს.ა.-ზე:

სალომინკას მას სხვები უწოდებენ.
მე ყველასგან განსხვავებულ სახელს ვეძახი.
სალოცავი სახელია — მარია,
არის ცოდვილის წმინდა ცხოვრება.

.....
რა ტკბილად ვოცნებობ ცოდვილ მარიაზე
არ ვმაღავ ცრუ იმედებს გულში.
სალომინკას მას სხვები უწოდებენ.
ახლა ჩემი სიზმარი, ჩემო ლელიკო.

ლექსიდან „სალომინკას მას სხვები უწოდებენ“ ... (დაიბეჭდა 1919). მართალია, ის სალომინკას ვერ უსწრებს წინ, მაგრამ, ცხადია, ასდევს.

დროა, დავასახელოთ „გაქურდული“ პოეტი. ეს გახლავთ სერგეი ლევის ძე (ზელიკის ძე) რაფალოვიჩი (1876-1944), მდიდრული ებრაული ოჯახიდან. 1916 წელს ორ ქვეყანაში ცხოვრობდა — საფრანგეთსა და რუსეთში, ორ ოჯახად — კანონიერ ცოლთან, პარიზში, და არაკანონიერ ს. ა.-სთან, პეტერბურგში. წერდა ორ ენაზე — ფრანგულად და რუსულად.

ის, რომ რაფალოვიჩი „სალომინკაში“ არცთუ უუაივრიზმის გარეშე აღწერილ დიდ ბუდეურს თავისუფლად სტუმრობდა, უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რომ ბუდეურის მფლობელიც და მისი გაფურჩქნული ქალურობაც, ღამეები მასთან და უმისოდ — მარტოობა და ქალის წარმოსახვითი სიკვდილიც კი სიყვარულის სარეცელზე, აღწერილი აქვს მანდელშტამზე ადრე კრებული „ლექსები“. სამხედრო ცენზურამ მის გამოცემას ხელი მოაწერა 1916 წლის 24 ივნისს (ძველი სტილით) და დაისტამბა კიდევ „შიპოვნიკში“, იმავე წლის აგვისტოს. რაფალოვიჩი მანამდე განაგრძობდა ს.ა.-ს იჭენულ ხობტას, ვიდრე დაქორწინდებოდა მეორე უმწვენიერეს ქართველზე — მელიტა ჩოლოყაშვილზე, ვისთან ერთადაც საბოლოოდ გადასახლდა საფრანგეთში.

ლიტერატურის ისტორიაში ათვლა ხდება არა რაოდენობის, არამედ ხარისხის მიხედვით და ს.ა.-ს მეხობებთან დარჩა ერთი — მანდელშტამი. ასეთი იმიჯის დაპყვივრებას მანდელშტამი ყველაზე უფრო უნდა უმადლოდეს ლექსებს და მეტყუარებს ახმატოვასი, რომელსაც შეეძლო რეპუტაციების შექმნაც და დანგრევაც. იგი კარგად იცნობდა რაფალოვიჩს და მის პროდუქციას (გამომხაურებებით ახმატოვას ლექსებზე და ალბათ მისადმი მიძღვნილი ლექსებით),² ამას გარდა, დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ს.ა.-ს ცხოვრებას. ამის მიუხედავად, მას ენაც არ დაუძრავს იმაზე, რომ ს.ა. რაფალოვიჩის მუზა იყო. „სალომინკას“ შექმნის პირობები — ასევე ურაფალოვიჩოდ — აღმოაჩინა ორმა სხვა მწერალმაც. 1988 წელს „ოგონიოკში“ დაიბეჭდა გახმაურებული ინტერვიუ, რომელიც აიღო ს.ა.-სგან ლარისა ვასილევამ, „სალომეა თუ საუკუნისგან ვერ მოხრილი სალომინკა“³, 1990 წელს კი გამოქვეყნდა ედუარდ ლიმონოვის მოთხრობა „ლამაზმანი, პოეტის შთამავგებელი“⁴; ორივენი მსხვილი პლანით ახასიათებენ მანდელშტამს, როგორც ბედუკულმართს, რომელიც ლექსებში ახდენდა საკუთარ გრძნობათა სუბლიმაციას ს.ა.-სადმი.

სიყვარულში თავისი მეტიოქის — რაფალოვიჩის საშუალო ლექსებს რომ ინერს და მუსიკალურ სიმფონიად გარდაქმნის, მანდელშტამი ამით განსაზღვრულ პრაგმატულ ნაბიჯს დგამს: ცდილობს დაიპყროს ს.ა. ნამდვილი ხელოვნების ძალით. სხვათა და სხვათა მოგონებებით, ს.ა. — არტისტული სალონის დიასახლისი, კარგად არჩევდა ოქროს და ნაყალბევს. მას „სალომინკა“, უნდა ითქვას, შედეგად არ ჩაუთვლია. ვასილევასთან ინტერვიუში მანდელშტამის ლექსი შეაფასა, როგორც უმნიშვნელო, თუმცა ღვთაებრივი მუსიკით აღსავსე, თანაც არა თავის ამსახველად, არამედ პოეტის ფანტაზიისა.⁵

რამდენადაც მანდელშტამმცოდნეობას დღემდე არ მიუქცევია ყურადღება „სალომინკაში“ რაფალოვიჩის არსებობისთვის, ამიტომაც ჩვენი გამოკვლევის უპირველესი ამოცანაა ამ ინტერტექსტუალური შრის წარმოჩენა. ქვემოთ მე შევეცდები ჩავაშენო რაფალოვიჩის შრე ინტერტექსტუალურ იერარქიაში, რაც მოცემული აქვთ მანდელშტამმცოდნეობისათვის უკვე ცნობილ „თანავტორებს“ მანდელშტამისას. ქვეტექსტების რთული სტრუქტურის დემონსტრაცია დავგანახებ, რომ „სალომინკას“ ავტორის მთავარი მეტოქე ლიტერატურულ ოლიმპზე იყო ბლოკი, რუსული სიმბოლიზმის მთავარი ფიგურა, მაშინ, როცა იქ რაფალოვიჩს განეკუთვნება ადგილი, როგორც „მარია ივანოვნას“ ქმარს, რომელიც მონინალმდეგედ შეიძლება მხოლოდ საყოფაცხოვრებო დავაში მიიჩნიო. დასასრულ, „სალომინკა“ განხილული იქნება, როგორც სათავე მანდელშტამის სატრფიალო წერილთა ერთ-ერთი პარადიგმისა — პლატონური სიყვარულისა.

2. „შენ არ ხარ დედოფალი სალომა და არც ქრისტეს სალომა“: რაფალოვიჩი, როგორც სამხეობლო მასალა

რაფალოვიჩი ვერცხლის საუკუნის პოეტთა იმ მრავალრიცხოვან კოჰორტას მიეკუთვნებოდა, საკუთარი მანერა რომ არ გააჩნდა და ვილაცებს ჰბაძავდა. მის ლექსებში მოჩანს პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ბრიუსოვის, ზინაიდა გიპიუსის და სხვათა ტოპიკა, ხერხები და ინტენაციები. მათში დაცული არ არის მოდერნისტული წერის „სისუფთავეც“, ვინაიდან რაფალოვიჩისთვის მთლიანობაში დამახასიათებელია მოდერნიზმამდელი სტილისტიკა. ასე რომ, „ლექსებში“ არ არის აზრობრივი და ხატოვანი ძვრები, დამახასიათებელი, ვთქვათ, ბლოკისათვის. მოდერნიზმამდელად რჩება ლექსების ამ წიგნის ნარატივიც. რაც შეეხება მის ტოპიკას — ის კი მოდერნიზმის წინა რიგებში გამოდის. ეს შეეხება სასიყვარულო ვნებათა და სექსის თავისუფალ აღწერასაც და კულტურული ასოციაციების სიხშირესაც. და ბოლოს, სიუჟეტებში და მათ მონაღებებში „ლექსების“ ავტორი ყველა შესაძლო მოდელს ეყრდნობა. „კულტურულ“ თემებზე ის

წერს, „როგორც ყველა“, სავსებით მისადაგებულს პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის და მოდერნიზმის ტრადიციებთან, ინდივიდუალურ თემებზე (განცდილზე) — ასევე იყენებს მზამ-ზარეულ კალაპოტებს, თუმცა მთლიანად არ მიჰყვება მათ.

„ლექსებში“ სამი თემატური ხაზი იკვეთება. პირველი — სასიყვარულო, რაღაც ლირიკული დღიურის მსგავსი, ათასნაირად რომ აბრუნებს თემას: „როგორ უნდა იცხოვრო მოლაღატე ცოლთან / როგორ არ უნდა იცხოვრო ერთგულთან“. კანონიერი და ერთგული ცოლი ხშირად კოდირებულია სახელით ევა და არაკანონიერი და, რაფალოვიჩის მიხედვით, მოლაღატე ს.ა. — ლილიტად და სალომეად. მეორე თემატური ხაზია — ლირიკული გმირის დამოკიდებულება ღმერთთან. იგი ზოგჯერ გადაკვეთს პირველ ხაზს „დანაშაულის და სასჯელის“ მუხლში. უკანონო კავშირისათვის გმირი წარსდგება უზენაეს ძალთა წინაშე და გასამართლდება. ორივე ხაზი შეფერილია ბიბლიურ-ებრაული სახეებით, რასაც ვერ ვიტყვით მესამე — რუსული ხაზის შესახებ, რომელიც შედგება რუსეთისადმი, რუსული პეიზაჟისა და რუსი ხალხისადმი სიყვარულის გამოხატვისგან.

მანდელშტამი, რაფალოვიჩის რომ იხდის „თანავეტორად“, რუსულსა და ღვთაებრივს სრულიად უარყოფს და მთავარ გულისყურს მიაპყრობს სასიყვარულო თემატიკას. აცლის მას ბიბლიურ-ებრაულ შეფერილობას (რასაც ინახავს სამერმისოდ „დაბრუნდი სისხლარევის წიაღში“..., 1920). მანდელშტამი სტოვეებს იმასაც, რაც რაფალოვიჩის სასიყვარულო წერილის ძირითად არსს შეადგენდა: ცხოველმყოფელ რომანს ავბედით ლამაზ ქალთან, რომელიც მას შთააგონებს ლექსებს, ბრიუსოვისა და ბლოკის უფრო ადრინდელი ექსპერიმენტების ანალოგიით.

„სალომინკაში“ ს.ა.-სადმი გამოხატული სატრფიალო გრძნობებიც ტრანსფორმაციას განიცდის. სინამდვილეში, ს.ა.-ს და რაფალოვიჩის შორის ურთიერთობა, ამ უკანასკნელის გადმოცემით, არის ვენებიანი რომანი, ერთბაშად სამ კოორდინატზე რომ ვითარდება: მინიერზე, კულტურულსა და მარადიულზე. როგორც მინიერი და ხორციელი, მათი სიყვარული საჭიროებს საძინებელ ბუდუარს ინტერიერის ხარისხით, გმირის გულს, საბედისწერო რომანტიკული ვენებებით მდულარს, ეჭვიანობის, ლალატის და შერიგების სცენებს და ჰიპერბოლას „სიყვარული სიკვდილის მიჯნაზე“. როგორც გამეორებული არქექტიპები (სალომეისი და იოანე ნათლისმცემლისა, დალილასი და სამსონისა), იგი (სიყვარული. მთარგ.) ექვემდებარება მუდმივი დაბრუნების მითოსს, რითაც, ამასთან ერთად, მალღდება მისი სტატუსიც. დაბოლოს, როგორც ღვთისა ან სატანისგან დასჯილი (დემონის და თამარის მსგავსად — ლერმონტოვის „დემონიდან“) იგი კიდევ უფრო მაღალ სტატუსს იძენს — მარადისობაში შესვლის ღირსს. რაფალოვიჩის სამი კოორდინატიდან „სალომინკა“ მხოლოდ კულტურულს ეფუძნება. მინიერი მას თითქმის არ ესაჭიროება, რადგან აღწერს არა რომანს, არამედ ცალმხრივ გრძნობას. მსხვილი პლანით ნაჩვენებია მხოლოდ გმირი ქალი ღამით, სანოლში. აღწერილი, როგორც სასიყვარულო ობიექტი, ის გმირ-მთხრობელში სასიყვარულო ტანჯვას იწვევს. სტიუარტ გოლდბერგის მახვილი დაკვირვებით, სალომეას პარტნიორი ის კაცი კი არ გამოდის, არამედ ჭერი. თვით გმირი დაყვანილია მზირ-ვუაიერამდე (ვუაიერიზმი — სხვათა სექსუალური კავშირის თვალთვალის მთარგ.), მეოცნებემდე (აქედან — „ჩემს სისხლში ცხოვრობს დეკემბრის ლიგია“) და კადრს მიღმა ხმამდე, ვისი ძალაც მხოლოდ სიტყვის ფლობაშია. ამით სიყვარულის ხორციელი, მინიერი ასპექტი მიერეულია და საერთოდ მიჩქმალული. რაც შეეხება მარადისობას, რაფალოვიჩის მესამე კოორდინატს, მას გმირ ქალს არ ჰპირდებიან და ეს საგანგებოდაა ხაზგასმული შემასმენლებით „მოკლულია“ და „ალარასდროს დაბრუნდება“.

რაფალოვიჩის თითქმის ორმოცი ლექსიდან, მანდელშტამს რომ გამოსდგომია ამოსავალ წერტილად, ჩვენი სტატიის ჩარჩოებში შევხებით მხოლოდ თორმეტიოდეს.

„მიძღვნა“, რაც ამკარად ს.ა.-ზეა, რომელიც დაბრუნდა პოეტის ცხოვრებაში:

მაგრამ შენ, წამიერო მეგობარო
უკვალოდ განვლილი წლებისა,
შრომის საათებში და მოცლის დროს
ჩემო მინიერო ფერო, ჩემო ციურო სინათლე,

ვერ ნახვალ, რომ დაგივინყო,
სრულად ვერ გაქრები
და აყვავდება **სასიკვდილო** სარეცელზე
შენი უკვდავი გაზაფხული.

აქ გატარებულია მოტივი — გმირის ქალურობის გაფურჩქვნა (მაგრამ ეს მხოლოდ იგულისხმება) სასიყვარულო სარეცელზე, რომელიც სასიკვდილოა. ამ მოტივს მანდელშტამი სესხულობს და გადააფორმებს ლიტერატურული სახეების: ლიგეიას, ლენორის, სერაფიტისა და სალომეას მოხმობით, ხოლო სასიყვარულო სარეცელს გარდაქმნის, უფრო გამოკვეთილად, ვიდრე რაფალოვიჩი, სასიკვდილო სარეცელად. რაც შეეხება სალომეას დაბრუნების მოტივს, იგი მანდელშტამთან არარაფალოვიჩურია: „ალარასდროს დაბრუნდება“. კიდევ ერთი კვალი „მიძღვნისა“ „შრომის საათებს“ უძილობის საათებზე ასხვავებებს.

„იავნანა“ ლირიკული გმირს ადარებს ბავშვობისა და მონიფულობისას. შედარებას საფუძვლად ედება ძილი, როგორც მდგომარეობა, და სიზმრები, როგორც ხილვები. მოზრდილი ლირიკული გმირის სიზმრებს მანდელშტამის წინარე ანტურაჟი აქვთ; სანოლი, დროთა ბრუნვის და გართულებული ძილის მოტივები. ასეთი შინაარსი ჩანვენილია სააკვნო ჟანრში — ან თავის თავს უმღერის ნანას ან ს.ა.-ს.

ენვეარ დიდ **სანოლში**,
ღამის ღამაა დიდი ხანია ჩამიქრა.
უხილავ ციფერბლატზე
მხოლოდ ერთი საათია ალბეჭდილი.

.....
იყო გაზაფხულები, იყო ზამთრები,
მნიფდა მსხალი, იმკოდა ჭვავი.

.....
შენ ამ სიმღერას ვერას გაუგებ,
ვერ დაიხსომებ დარდიან სიტყვებს...
რა უფრო სასურველია, რა უფრო საუცხოოა:
უძილოდ სიზმრები თუ ძილი უსიზმრებოდ?

„იავნანამ“, შესაძლოა, მანდელშტამს უკარნახა „სალომინკას“ პირველი ნაწილის სამეცყველო აქტი — ნანას რომ უმღერის საყვარელ ქალს. ყოველ შემთხვევაში, სიტყვების ნაკადი მასში ისეა აგებული, თითქოსდა გმირი-მთხრობელი შეყვარებულს იავნანას უმღეროდეს დასაძინებლად (აქედან, სხვათა შორის, შემასმენელი „მღერის“ — თორმეტ თვეს რომ მიენერება). ამასთან, მანდელშტამის მინიციკლი გადადის „სანოლი“, ხოლო ძილის პრობლემები სახეცვლილია „უძილობად“. სავარაუდოდ დროთა წრიული ბრუნვა („იყო გაზაფხულები, იყო ზამთრები“) და ციფერბლატი, რომელიც, როგორც ცნობილია, თორმეტად იყოფა, წარმოდგენილი რაფალოვიჩის მიერ, მანდელშტამთან ერთ ახალ სახედ ყალიბდება: „თორმეტი თვე მღერის სიკვდილის საათზე“.

არ ინანო მასჯა მშობლიურო...

შორი სამყარო განა მერყევი ჩვენებაა,
ან ცარიელი **სარკეების** ზედაპირი,
რომ ცხელ ბაგეებს არ დავეჭბდე
შენს ღიმილს ჩასაფრებული.

ჩნდება „სარკე“ ქალის ანარეკლით და, შესაბამისად, ეროტიკული კონოტაციებით, რაც აგრეთვე მითვისებულია „სალომინკაში“. ამრეკლავი სარკეების ზედაპირს, ამას გარდა, შეიძლება მანდელშტამი არეკვლის უფრო რადიკალურად გადანყვეტილ მეტაფორამდე მიეყვანა: „და მრგვალ მორევი ირეკლება სანოლი“.

რეპორტი, რომ გულს არ ეთანხმება

რა კარგია, რომ გულს არ ეთანხმება, ცოცხალი სხეული მარადისობას არ ცნობს, მაგრამ მარად ნატრობს, სწყურია ყოველ წამს ხან მფრთხალი ევა და ხან თამამი ლილიტი. მშვენიერია თანაბარი და მძლავრი დინება წყნარი ნაპირებს შორის მჩქეფარე მდინარისა, ალერსით რომ ინახავს მუქ ანარეკლს ცის ლაჟვარდისას, ღრუბლებისას და ვარსკვლავებისას.

ერთმანეთთან დაპირისპირებულნი არიან ერთგული და კანონიერი ცოლი ევა და მოლაღატე და უკანონო — ლილიტი.

ს.ა.-ს სახელის გარდაქმნა მასთან თანხმიერ ლილიტთან ერთ-ერთი მრავალთავანია, რაც გვხვდება „ლექსებში“. ასევე იქცევა მანდელშტამიც, ოლონდ „ამერიკულ“ ლ-ს ამჯობინებს (ლიგია და ლენორი) ებრაულს. შემდეგ რაფალოვიჩთან ლილიტი იცვლება ცის ამრეკლავ, „მჩქეფარე მდინარით“. მის ანალოგად სალომინკაში იქცევა, ერთი მხრივ, ნევა, მეორე მხრივ — ანარეკლი მორევის სარკიდან. რაც შეეხება ნევასთვის დამახასიათებელ ზმნიზედას „ჩქეფა“, ის გადადის დეკემბრის სისხლსა და სუნთქვასთან. მართალია, მანდელშტამის სისხლი, მოჩქეფს სავარაუდოდ ნევის „გრანტიდან“, მაგრამ სემანტიკური კავშირი ნევასა და მის მოქმედებას შორის შენარჩუნებულია.

„უძილობა“ უკვე თავისი სათაურით მოასწავებს „სალომინკას“.

უძილობა შემეყვარდა; ღამით მე მარტო ვარ. მზე ვერ სწვდება გამჭვირვალე ყინულებს.

.....
ვინეკი საწოლზე და ვოცნებობდი **უსიტყვოდ**: ვითომ მე ვარ შენი საბედო და დღედაღამე მიცდი.

.....
მეხუთე ხაზზე არის ნაცნობი სახლი, სადაც დავინახავ ლურჯ კაბას ფანჯრის მიღმა,

.....
სადაც დგახარ **მაღალი**, ოცნებობ თვალდათვალ, უყურებ, შავთვალავ, მდინარე **ნევას**.

.....
და დატყვევებული უცხო მხრით, ბრბოშიც რომ არავისთან ვარ, მე და ის ერთადერთი მხოლოდ ღამის წყვილად ვართ ერთად.

გმირი ღამით, უძილობისას, ოცნებობს შორეულ შეყვარებულზე, ვასილევის კუნძულის მეხუთე ხაზზე რომ ცხოვრობს — ის იყო ს.ა.-ს მისამართი პეტერბურგში — და წარმოიდგენს მას ნევისთვის მზირალს. აქედან მანდელშტამი იღებს უძილობას, რომელიც გადაეცემა გმირ ქალს, როგორც რაფალოვიჩთანაა — ნევის ანტიურაჟში. რაფალოვიჩის მსგავსად, სალომეა ნაჩვენებია სექსუალურ ობიექტად, რომელიც გმირ-მთხრობელს სატრფიალო ოცნებებს უღვივებს.

„ისევ აუხდენელი ოცნებები“... ახალი ოცნება შორეულ ს.ა.-ზე:

აქ იფრქვევა თქვენი სურნელი, **შრილებს** თქვენი აბრეშუმის სამოსი და ჯადოსნურ სენაკებში სანატრელი **სიტყვები** ჟღერენ. იქ ყველა ყვავილი თქვენ გავათ, ვარსკვლავებს სწვდება თქვენი სალამი, თქვენგან, როგორც რბილ საწოლზე, ბალახზე რჩება **ნაზი** კვალი.

მანდელშტამმა შავ ხელნაწერებში სცადა განევითარებინა ეს ტოპიკა — აქედან „აშრილებს სალომინკა საზეიმო ატლასს“, მაგრამ საბოლოო რედაქციაში დარჩა მხოლოდ „ატლასი“. ის შეიძლება გავიგოთ, როგორც „სამოსი“ — რაფალოვიჩის მიხედვით და როგორც „შემოსაცმელი“ ან, კონტექსტის მიხედვით, „ლოგინის თეთრეული აბრეშუმისა“ — პოს „ყორანის“ აბრეშუმის ანალოგიით. რაფალოვიჩის ლექსში ყურადღებას იქცევს ს.ა.-ს მისამართით ნახმარი ეპითეტიც „ნაზი“, რასაც იყენებს და ასევე ს.ა.-სთან მიმართებით მანდელშტამიც.

„მძინარე მეფის ასული“ მანდელშტამის უძინარი სალომე-ას ნაღდი ნეგატივია. რაფალოვიჩის გმირი წარმოისახავს ს.ა.-ს მძინარე მეფის ასულად, რომელსაც თვალებს დაუოცნის და გამოაფხიზლებს:

ნეტავ შეგეძლოს დაძინება, როგორც ზღაპრულ მეფის ასულს, რომ მე ოდესმე კოცნით აგხილო დახუჭული თვალები.

.....
მაგრამ ამქვეყნად ჯადოქრები არ არიან, რაინდი უიარალოა და იცოცხლე თუნდაც ორასი წელი, საყვარელს პოეტი კი არა, საყვარელი სჭირდება

.....
ჯადოსნური ძილით არ დაიძინებს ის, ვისაც ალერსი სწყურია.

.....
შეხვედრას ველი — არ განვსჯი მკაცრად, არც ნალვლიანად. ღია თვალებზე მოვეფერები, ღია გულს გავუღვიძებ მძინარე მეფის ასულს.

აქედან მანდელშტამი სესხულობს სიყვარულით დაღლილი და „თვალდახუჭული“ გმირი ქალის სახეს. ამავე დროს „მამაკაცის“ პარტია ეთმობა „სალომინკაში“ გამოჩენილ ჭერს ანუ სიმბოლურ გმირ-შეყვარებულს და ლირიკულ „მე“-ს ანუ მთხრობელს.

„მე თქვენ გგმობთ მძულვარებით და მრისხანებით...“ ჰკიცხავს გმირ ქალს:

მე თქვენ გგმობთ მძულვარებით და მრისხანებით მონობისა და ძალაუფლებისათვის, იმისთვის, რომ სულერთია წაიქცევა თუ დაილუპება ის, ვინც ცოდვილია დედამთავარ ევასავით.

.....
მე თქვენ მიყვარხართ ყოყმანით და უნებისყოფოდ იმისათვის, რომ თვითონაც არ ვიცი გზები.

.....
ყველა ფხიზელისა და ცივისსხლიანისგან ვიღებ იმას, რაც ჩვენ გვერგება, მაგრამ გული დღითიდღე სიყვარულით და გარკვევით ძგერს.

ყველაფერს მივწვდები, ყოველივეს გადავლახავ და, რამდენადაც სადაგი დღე თვალსაჩინო და მკაფიოა, იმდენად საუცხოოა სამყარო, ჩემთვის ცხოვრება იმდენად საყვარელია და გაუგებარი.

.....
ყველაფერი ისე ჩვეულებრივია და საგნობრივი,
იოლი, უბრალო და არა გცალია.

გმირი ქალი, ტექსტის მიხედვით ის, ვინც ადრე ლილიტი იყო, ე.ი. ს.ა. აქ იწოდება ევად, რომელიც მოხმობილია, როგორც კაცობრიობის პირველი ცოდვილი ქალი. სახელის შეცვლის მეთოდად გამოყენების გარდა (ზემოთ ვისაუბრეთ ამაზე), მანდელშტამის ყურადღება უნდა მიექცია ზედსართავებისა და განსაზღვრებათა დაჭირხვნას შედარებით ხარისხში. „სალომინკას“ პირველ ნაწილში ოთხი ფორმაა ასეთი, ყველა 1-3 სტროფებში: „печальней нежней тяжелее“, აგრეთვე, „скорей“, თუმცა ისინი ერთმანეთს არ მისდევენ, პარადიგმულად მათ ერთი — სარიტმო — პოზიცია უკავიათ. კიდევ რაფალოვიჩის ამ ლექსის ნეოლოგიზმისაგან „საგნობრივი“, ასევე მისი მეზობლებისაგან, სწორედ საგნებს რომ ასახავენ, მანდელშტამმა ემოციური მდგომარეობის აღსაწერად ამოხაპა საგნები: „უძილობის საათებში საგნები მიძიდებიან, თითქოსდა ცოტავდებიან“.

„სალომეა“ — რაფალოვიჩის ლექსი, რომელიც ყველაზე ახლოა „სალომინკასთან“:

ვისიმე ბედ-იღბალზე მკითხაობა არ ძალმიძს,
წინამძღოლ ვარსკვლავებს დავეძებ წყვილიადმი:
შენ არ ხარ მეფის ასული სალომე,
არც ქრისტეს სალომეა.

სიკვდილით დასჯილს ტურები დავუკოცნო?
შევებო ქალწულ მარიას?
არა, შენ სხვა სტიქიის
ნარეული ბეჭედი გატყვია:
შენ შვილიშვილი ხარ ბრწყინვალე ბიზანტიის,
მამის სულით და დედის გულით.

.....
და ყოველივე, რასაც საუკუნეების მანძილზე
შრომით და სიხარულით ქმნიდნენ,
შენშია დამათრობელი, როგორც
საფლავზე ყვავილის სურნელება.

.....
შენც შეგეძლო შეგეყვარებინა წინამორბედი
და პირველი მისუღიყავ ქრისტესთან.

.....
მაგრამ იმისთვის, რომ იქმნე საყვარელი,
ოიდიპოსი არ გჭირდება, სალომეა.

არა მარტო „სალომინკა“, „მადრიგალიც“ „სალომეადან“
ამოღის:

ანდრონიკ კომენის ქალიშვილო,
ბიზანტიური დიდების ქალიშვილო!
მომეხმარე მე, რომ ამაღამ
მზე დავისხნა ტყვეობიდან,
მომეხმარე მე, რომ ამაღამ ლპობის ბრწყინვალეობა
დავძლიო ხმაშენყობილი სიმღერით -

ს.ა.-ს ბიზანტიური წარმოშობის გათამამებით. სალომინკას ადრეული რედაქციებით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ს.ა.-ს სახეზე მუშაობისას მანდელშტამს შეურჩევია ბიზანტიური ტოპიკა — „ცისფერი სისხლი“, „დიდება“ და „მეწამული პირი“, რომელთაგან ვადარჩა მხოლოდ „ცისფერი სისხლი“, გმირი ქალის ძარღვებიდან კი არა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრანიტიდან რომ მოჩქევს. „გრანიტი“ რაფალოვიჩის ფონზე არა მხოლოდ სამოსელია პეტერბურგისა, სამარეც არის, პუშკინის ფონზე კი — „აქ სიტყვა ყინულია, გული გრანიტი“ — ს.ა.-ს ცივი დამოკიდებულება მანდელშტამისადმი.⁶ შესაძლოა, მანდელშტამმა ს.ა.-ს იმი-

ტომ შემოაცალა ბიზანტიური ასოციაციები, რომ დაეშორებინა თავისი ტექსტი რაფალოვიჩის „სალომეასაგან“. განამსგავსა სათაურიც. „სალომინკა“ ჟღერს უფრო ორიგინალურად და გაუგებრად, ვიდრე „სალომეა“, და ერთით მიანიშნებს დასახვრებ საგანზე (ხლებნიკოვის „სიკვდილით შეცდომის“ კვალდაკვალ, 1915),⁷ იდუმალ კი — გმირი ქალის სახელზე „შინაურების“ ან სულაც ერთი შეყვარებულისათვის. ამავე დროს მანდელშტამი ბგერით და სინტაქსურ მატრიცასაც კი იღებს თავისი მეტოქის ლექსიდან. დავინყოთ იქიდან, რომ რაფალოვიჩი „სალომეაში“ დაადგა შეყვარებულის სახელით ნაკარნახევ გზას, შემოსა რა იგი ბიბლიური („მეფის ასული სალომეა“) და უაილდის („სალომე“) ასოციაციებით. მაგრამ ეს ასოციაციები მოწვედილია საკმაოდ არატრივიალურად, უარყოფის გზით. ეს ყველაფერი მანდელშტამს გადააქვს „სალომინკაში“... ჯერ კიდევ „სალომეადან“, „სალომინკას“ ავტორის ყურადღება შეიძლება მიექცეოდნო მეტაფორას — „გმირი ქალი, როგორც ყვავილი საფლავზე“. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მასზეა აგებული „სალომინკას“ ორი მოტივი: დაჭირბლული ვარდები — გმირი ქალის ემბლემა „სალომინკას“ ადრინდელ რედაქციებში (ის, სხვათა შორის, რაფალოვიჩის კიდევ ერთ კვაზიპუშკინურ სახეს ეხმარება „ჭკნება ვარდი ყინვაში“) და გმირი ქალის სიკვდილი.

„ნაზი და გულმოდგინე“... იწყება ზედსართავების სერიით, რაც უთუოდ ჰგავს მიბაძვას ზინაიდა გიპიუსისა, რომელსაც დიდი ნაწილი თავისი განთქმული „ირგვლივ ყველაფერისა“ (1904) აგებული აქვს საშუალო სექსის ზედსართავებზე („Страшное, грубое, липкое, грязное, / Вечно тупое, всегда безобразное“ და ა.შ.). მათი გამოყენებით იქმნება ს.ა.-ს პორტრეტი მანდელშტამამდელი ხაზებით, კერძოდ, სინაზით:

ნაზი და გულმოდგინე,
მუდამ მონანიე,
ოდიტან მეამბოხე,
აგზნებული და ნაზი
ჩემი რჩეული,
ფაქიზი გრძობით
ღვთაებრივ სამყაროზე შეყვარებული,
ხალხისკენ მსწრაფი,
შენ გახდი, დაუმცხრადლო,
ჩემი ცოლი?

„სალომინკა“ კვალდაკვალ მისდევს რაფალოვიჩის იმიტაც, რომ გვანჯდის მრავალ ზედსართავს („საყვარელი ლელის ღერო უსიცოცხლო“...) „ნაზი და გულმოდგინე“ (ასევე რაფალოვიჩის სხვა ტექსტების) ფონზე ნათელი ხდება სახელდობრ რას სესხეულობს მანდელშტამი „ლექსებიდან“. რომ განვავრცოთ გოლდბერგის კონცეფცია, რომლის თანახმადაც „სალომინკა“ მანდელშტამის ადრინდელ ლექსიკას იმეორებს, აღვნიშნავ, რომ რაფალოვიჩისაგან ნაღებულია ის დეტალები (სცენები, სიტყვები), რაც ენათესავებოდა მანდელშტამის პოეტურ სამყაროს.

ლექსში „შორია საყვარელ ქალამდე“... რეალიზებულია „სალომინკასთვის“ მახლობელი სასიყვარულო ცთუნების ტოპიკა, ოღონდ მოძველებული, მე-19 საუკუნის პოეზიის სულისკვეთებისა. საყვარელ ქალს მოშორებულ ლირიკულ გმირს ყველგან ის ელანდება — ტრამვაიში, უცნობი ქალის სახებამი, წიგნებში, სურათებში და ა.შ.

შორია საყვარელამდე,
შორია, ვერ მივალ,
მაგრამ, როგორც რომისკენ,
ყველა გზა მისკენ მიდის.

.....
ყოველი წამი მიცოცხლებს
იმასთან განცდილს.
ამ ხმაურიან ტრამვაიში
გამიღიმებს ნაზად.

სურათების გალერეაში
სულ მეჩვენება, რომ ის
ცოდვილი თუ უცოდველი
ახლა გადმოვა ტილოდან.

მანდელშტამი მოქმედებს ამ ლექსის ფორმულის მიხედვით — „მასზე ყველა მოთხრობა, ყველა ლექსი და პოემა“ — აბამს რა სალომეასთან ერთ უღელში ლიტერატურულ გმირთა სახეებს. მეორე გამოძახილია — სიტყვიერი: „ნაზად“.

„ისევე ინახავს უცხო ლოგინი“... სამიჯნურო პაემანისა, მის შემდეგ მგზნებარე შეყვარებულთა განშორებისა და მათი სხეულების დამამახსოვრებელი საგნების ეროტიკული ჩანახატია:

ისევ ინახავს უცხო ლოგინი
ნელანდელი მჭიდრო სხეულების კვალს,
ჯერ კიდევ არ განიავებულა
და უსწრებს სურნელოვან მაისს
შენი ნაზი და საამო არომატი,
ჯერ ისევ ისე დაქელილია
სავარძელი, სადაც ვეტმანებოდი ერთმანეთს,
კედლის საათზე ნელა მბრუნავი
ისარი ჯერაც არ გადასულა
ციფრიდან „შვიდი“ და აღნიშნავს
ჩვენი განშორების საათს.

ურცხვი და მორიდებული შეხებების
კვალი აღარ ჩანს გაშლილ ხელში
და კვლავ დაკარგულა სამუდამოდ
შენი სურნელიც და კოცნის გემოც.

კვლავ უძირო ტბორისკენ
ისწრაფის მღელვარე საიდუმლო

და ხვალ ისევ იქნები ჩემი,
თითქოსდა უნდა პირველად იყო.

რაფალოვიჩთან შედარებით, ინტიმურ წვრილმანთა გამოხატვისას, მანდელშტამი ნახევარზომებს სჯერდება. გადმოაქვს რა სახე — „გმირი ქალი საწოლზე“, იგი ქალს პარტნიორთან აშორებს, თვით სექსის მოტივი კი გადადის ასოციაციურის ხარისხში. ასეთი გადასვლის შედეგად გმირი ქალი — შეიძლება, მთლად მკაფიოდ არა — რჩება ეროტიკულ ობიექტად. მის გარშემო სექსუალური კონოტაცია ბევრია, სისხლის ჩათვლით — „სისხლში ცხოვრობს დეკემბრის ლიგია“... მერე რაფალოვიჩი ჩამოთვლის პაემანის დროს აღბეჭდილ ნივთებს, რასაც შეიძლება მანდელშტამისთვის ეკარნახა საძილე ოთახის საგნები. დაბოლოს, რეაქცია რაფალოვიჩის „ტბორისკენ სწრაფვაზე“ შეიძლება ყოფილიყო მანდელშტამისეული „მორევი“, რომელშიც მეტაფორულად არის მოდელირებული საძილე ოთახი.

**რუსულიდან თარგმნა
ჯემალ ინჯია**

1. Герштейн Эмма. Мемуары. 1998.
2. Никольская Татьяна. Ахматова в оценке литературного Тифлиса (1917-1920). Институт Славяноведения. 1989.
3. Васильева Лариса. Саломея, или Соломинка, не согнутая веком. Огонёк, 1988 №3.
4. Лимонов Эдуард. Коньяк “Наполеон”. Рассказы. Тель-Авив: М. Михельсон. 1990.
5. ვასილევას წყარო.
6. Хазань Владимир. “Соломинка” Мандельштама и “Тень” Ахматовой: портрет одного адресата на фоне двух эпох.
Хазань В. О. Мандельштам и А. Ахматова. Наброски к диалогу. Грозный. 1992.
7. აღნიშნულია ნ. ხარჯიევის მიერ ნიგში მანდელშტამ. Стихотворения. Проза.

ალექსანდრა ლელუაშვილი-მაჭავარიანი

**ნოგანის
კეთილი ასული —
ჟორჟ სანდი**

*ქალი!.. ერთი შეხედვით, ფილისტინებო,
რალა არ არის მასში შერწყმული, — ისიც და ესეც,
და, კიდევ, კაცმა არ იცის, რა!..
გაოცებული დარჩებით, აი — ქმნილება!*

პოლ კლოდელი

ცენტრალურ საფრანგეთში — კრიობის დეპარტამენტში, სოფელ ნოგანში გაატარა თავისი ბავშვობის წლები არმანდრინა-ლუსი-ავრორა დიუპენმა, ბარონესა დიუდევანმა, რომელიც ჟორჟ სანდის სახელით არის ცნობილი მსოფლიოში.

გოგონა 4 წლისა დაობლდა და ბებიამ გაზარდა იმ ლამაზ სახლში, სადაც მოგვიანებით თავის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი დაწერა...

ქალთა თანასწორობის მხურვალე მომხრე ჟორჟ სანდი, მსოფლიოში ცნობილ მანდილოსანთა შორის, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა თანამედროვეთა წრეებში...

ბარონესა დიუდევანი (ბარონ დიუდევანის მეუღლე) 27 წლისა და ორი შვილის დედა, მეუღლეს თავს ანებებს და იწყებს ახალ — მწერლისა და პუბლიცისტის — მქვეყნარ ცხოვრებას...

„სუფრაჟისტა“ წინამორბედი ილაშქრებდა XIX საუკუნის საზოგადოების მორალის წინააღმდეგ და მამაკაცთა თანაბრად აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ მოვლენებში, გარეგნულადაც ბაძავდა მამაკაცებს — იცვამდა მამაკაცურად და თამბაქოსაც ეწეოდა...

1833 წელს ხვდება ახალგაზრდა პოეტსა და დრამატურგს ალფრედ დე მიუსეს, მასზე 6 წლით ახალგაზრდას, ტანდასა და იშვიათი სილამაზისას... ლიტერატურულ სამყაროში მასზე ბევრ აუჯს ამბობდნენ, მაგრამ ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ მიუსე ალფრეთოვანებით მიიღეს და გატაცებით იმეორებდნენ ხმამაღლა მის ლექსებს... ჟორჟ სანდსაც თავიდან არ მოსწონდა იგი, მაგრამ ახლოს გაცნობის შემდეგ დაინახა მასში არა დედა, როგორც თავიდან ეგონა, არამედ ჩვეულებრივი გულთბილი ადამიანი, რომელიც ბრწყინავდა!.. მიუსეს ლექსები უმღეროდნენ ჟორჟ სანდს: „ანდალუზიელ ასულს — ქალწულბერივი მკერდით“. ამან თანდათან შექმნა პოეტური სიახლოვე; მიუსე ტიროდა კიდევ და ჟორჟ სანდს არწმუნებდა, ბავშვივით მიყვარხარო; როცა ამ სიტყვებს წერდა, არ იცოდა, რომ ქალისკენ ჭეშმარიტი გზა იპოვა!.. სანდი სწერდა მას: „რომ არა შენი ახალგაზრდობა და ჩემი სისუსტე შენი ცრემლების გამო ჩვენ და-ძმანი ვიქნებოდით“. ახალი ფავორიტის გამოჩენას მეგობრების წრეში დრამის გარეშე არ ჩაუვლია: ყველამ ერთხმად ატეხა ხმაური, რომ ეს იყო კავშირი განებივრებულ ფრანგთან, მაღალი წრის ქარაფმუტა ადამიანთან, და რომ ეს კავშირი ძალიან ავნებდა სანდის ლიტერატურულ მომავალს, მაგრამ მალე, როცა გამოვიდა ჟორჟ სანდის „ლეღია“, რომელიც მან მიუსეს მიუძღვნა, ხმაური მიწყდა...

სანდის პირველი რომანები — „კონსუელი“, „ვალენტინა“, „ინდიანა“, „ლეღია“ და „ჟაკი“ — ფრანგ ქალთა თავისებური უფლებათა დეკლარაცია, ახალი მორალის დადასტურებაა!.. რომანისტმა ძალზე შეუწყო ხელი ესთეტიკური იდეალების განვითარებას...

ამ პოპულარული შემოქმედისადმი მიძღვნილ სტატიაში ივან ტურგენევი ლაპარაკობს ალტაცებულ განცვიფრებაზე, რომელიც გამოიწვიეს მისმა პირველმა რომანებმა...



ჟორჟ სანდი

სანდის გავლენას ვერ გაექცნენ ისეთი გამოჩენილი მწერლებიც კი, როგორებიც იყვნენ: ჩერნიშევსკი, გერცენი, დოსტოევსკი, სალტიკოვ-შჩედრინი, ტურგენევი და სხვები...

ტურგენევი სანდს პირველად ეწვია ნოვანში 1872 წელს მომღერალ პოლინა ვიარდოსთან ერთად, რომელთანაც 30 წლის მეგობრობა აკავშირებდა... ერთ წერილში ტურგენევი წერდა: „ჟორჟ სანდი ცხოვრობს ძველ ფრანგულ სახლში, ტყეში, შვილთან, რძალსა და ორ არაჩვეულებრივ შვილიშვილთან ერთად. მის გარშემო ყველაფერი მშვიდი, უბრალო და ბუნებრივია...“

ტურგენევი ხშირად ჩადიოდა ნოვანში გუსტავ ფლობერსა და პოლინა ვიარდოსთან ერთად (რომელიც „კონსულოს“ პროტოტიპი გახლდათ).

1837 წელი სანდისათვის სანტიმენტალური ცხოვრების ქარიშხლიანი წელიწადი იყო. ამ დროს ხვდება შოპენს და მისი შემოქმედებაც სოციალურ-პოლიტიკურ ჟღერადობას იძენს: იქმნება — „ორასი“, „ანჟი-ბოელი მენისქვილე“ და სხვა.

შოპენმაც ნოვანში დაწერა რამდენიმე სონატა და ნოქტიურნი.

აღფრთვანებული რესპუბლიკელი ქალი, ორი ფრანგული რევოლუციის მონაწილე (1830; 1848) 1841 წელს პ. ლერუასთან ერთად აარსებს ჟურნალს „დამოუკიდებელი მიმოხილვა“, რომელმაც 1848 წლამდე იარსება.

სანდი ადამიანებს მოუწოდებდა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ, მიუთითებდა უბრალო ხალხთან კეთილ დამოკიდებულებაზე, თავისუფლების მოყვარეობისაკენ, ტირანიისადმი შეურიგებლობისაკენ... „ჩვენი დროის ჟანა დ'არკი“ უწოდეს ჟორჟ სანდს მისმა აღფრთვანებულმა თაყვანისმცემლებმა.

1848 წელს ბუსაკის კომპოში მწერალმა შექმნა თქმულებანი, მოთხრობები და წიგნები, რომლებშიც გმირული სული შთაბერა თავის პერსონაჟ ქალებს. ასეთი ქალები ცხოვრობენ ნაწარმოებებში: „ჟანა“, „პატარა ფადეტა“, „ფრანსუა დე შამპი“...

სანდი ხშირად იგონებდა ახალგაზრდა პოლონელ პიანისტს შოპენს, რომელიც ამბობდა: „მოხარული ვიქნებოდი, თუკი ვინმე აღმოჩნდებოდა, ვინც მოინდომებდა ჩემზე მბრძანებლობას“... ეს ვინმე აღმოჩნდა სანდი. შოპენი მასზე 7 წლით უმცროსი გახლდათ. ახალგაზრდა მუსიკოსის სისუსტე ძლიერ იზიდავდა მზრუნველობით აღვსილ ქალს და ფიქრობდა, თვით განგებამ მოუვლინა ჩემი თავი მასო.

ჟორჟ სანდს ძალიან უნდოდა სუსტი, გენიალური მუსიკოსის მოთვინიერება და დატყვევება. შოპენი კი სანდში ხედავდა ძალას, მას რომ ეხმარებოდა და იზიდავდა: სანდი მუსიკოსიც იყო, რომელსაც უნარი ჰქონდა, შეეფასებინა შოპენის შემოქმედება და რჩევაც მიეცა მისთვის; იგი გახლდათ დიდბუნებოვანი ქალი, რომელიც არაფერს თხოულობდა და ყველაფერს უანგაროდ სთავაზობდა...

სანდი მიჯაჭვული იყო თავის ბავშვებსა და მეგობრებთან, შოპენი კი ვერ იტანდა, რომ სანდი მთლიანად არ ეკუთვნოდა მას; ჟორჟ სანდის ვაჟიშვილი მორისი დედას აღმერთებდა, ისიც ვერ იტანდა შოპენის იქ ხშირად ყოფნას...

სტუმართმოყვარე სახლი ყოველთვის სავსე გახლდათ ხალხით, დრო აქ შეუმჩნეველად და მხიარულად გადიოდა, იყო მრავალფეროვანი გართობა — მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, ორიგინალური თოჯინური წარმოდგენები, რომლებსაც სანდის ვაჟი დგამდა...

ნოვანის კეთილი ქალბატონი, როგორც მას ეძახდნენ, 1876 წელს გარდაიცვალა.

მისი ერთგული მეგობარი პოლინა ვიარდო წერდა: „როდესაც ჟორჟ სანდს ასაფლავებდნენ, ერთმა გლეხმა მის სამარეზე გვირგვინი მიიტანა და თქვა: — ეს ნოვანის გლეხობისაგან, არა ღარიბი გლეხობისაგან, არა, აქ, მისი წყალობით, ღარიბები აღარ იყვნენ!“

თვითონ სანდი მდიდარი არასოდეს ყოფილა, შემოსავლიდან დარჩენილი ნაწილი ძლივს ყოფინიდან საარსებოდ და ცხოვრების უკანასკნელ დღეებამდე შრომობდა...

განისვენებს ნოვანში, საფრანგეთის იმ კუთხეში, რომელიც ასე ძალიან უყვარდა და ასე მშვენივრად აგვიწერა.

დაბოლოს: როდესაც სანდის ცხოვრებაში ახალი ფავორიტი ჩნდებოდა, მეგობართა წრეში ხმაური ატყდებოდა ხოლმე, თითქოს ეს კავშირები ზიანს მიაყენებდა სანდის ლიტერატურულ მომავალს! იმას კი არ ფიქრობდნენ, რომ სიყვარულისთვის გაჩენილი ქალი, როდესაც შეყვარებული იყო, სწორედ მაშინ ქმნიდა შედეგებს!.. სიყვარული იყო მისი შთაგონების წყარო, მისი მკვებავი!..

ამიტომ „ნუ გავასამართლებთ სხვებს, ჩვენ არ გვაქვს უფლება გასამართლებისა, — წერს რომენ როლანი, — და თუ ჩვენი საყვარელი ადამიანები ცდებოდნენ, უყვარდათ, ჩვენ უფრო მეტად გვმართებს მათი გაგება და შეცოდებაც კი!.. მამ მოდით, ადამიანებო, ვთხოვოთ მათ პატივს, თუ უნებურად შევიტყვეთ მათი საიდუმლოებანი!..“

სამშაბათს, 2 ივნისს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დარბაზში ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გაიმართება საჯარო ლექცია

„ქართული ასომთავრულის მოდელი და არმაზული ლიგატურები (პავლე ინგოროყვას არმაზული წარწერების კვალზე)“

მომხსენებლები
მაია ნინიძე
ლადო ჭელიძე

დასაწყისი 14 საათზე
კოსტავას 5

იკა ქადაგიძე

საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორია დასავლურად

არ დაგვივითრუნავს სხვათა უფლება, ყველამ გაიგოს, ყველამ უწყოდეს, რადგან ჩვენც შევტრფით თავისუფლებას, ჩვენადმდე თავი ხაშმ გვეყუდნოდეს!

მერაბ კოსტავა

სახელოვან უცხოელ ხელოვანებს, მეცნიერებსა და მოგზაურებს ქართული ხასიათის მთელი რიგი თავისებურებები მუდამ აოცებდათ. ცალკე საკითხია საკუთარ შთაბეჭდილებას ვინ როგორ კონტექსტში ათავსებდა ან რაგვარ ინტერპრეტაციას უმორჩილებდა.

მრავალფეროვანი დაკვირვების ფონზე ალექსანდრე დიუმას მოსაზრება განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს, რომლის თანახმადაც მსოფლიოს ყველა ხალხისგან განსაკუთრებით ქართველს ყველაზე მეტად უყვარს (ეხალისება თუ ესახელება) გაჩუქება. დიუმას ნიგნში „კავკასია“ ამის არაერთ მაგალითს ვაწყდებით.

მოკლედ, ქართული ხასიათის შესწავლისას უფრო ზუსტ ფორმულირებას ძნელად თუ მიაგნებ. ამის საილუსტრაციოდ ერთი საოცარი ამბის გახსენებაც იკმარებს. კერძოდ, 1919 წელს, ცნობილი პოეტისა და მთარგმნელის, ელისაბედ ორბელიანის მონადინებით (იგი ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის პირდაპირი შთამომავალი გახლდათ ერეკლე II-ის მხრიდან) თბილისში „ქართველ ქალთა უორდროპის ქალის ნინოს საჩუქრის მისართმევი მომწყობი კომისია“ შექმნილა, რომელსაც საზოგადოებაში შეგროვილი თანხით 130 000 მანეთად კერძო პირისგან გიორგი XII-ის ძველებური ოქროს ჯვარი შეუძენია და 1920 წლის 14 იანვარს ნინოობას ძვირფასი ადრესატისთვის — ოლივერ უორდროპის მცირეწლოვანი ასულისთვის — მონივნებით მიუთმევია.

სიძველესაცავეებში დაცულ საარქივო დოკუმენტთა შესწავლისას ეს ცნობა გურამ შარაძემ მოიხია და სამშობლოში უნიკალური ჯვრის დასაბრუნებლად ენერგიულად აბოქმედდა. სხვათა შორის ამ ამბავმა მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის ყურამდევ მიიღწია, თუმცა, სამწუხაროდ, საერთო ძალისხმევის მიუხედავად საქართველოში ისტორიული მნიშვნელობის ნივთის დაბრუნება ვერ მოხერხდა.

ესოდენ მნიშვნელოვან წამოწყებაში გურამ შარაძეს შეძლებისდაგვარად დაეხმარა ახალგაზრდა ინგლისელი ქართველოლოგი, მარჯორი უორდროპის სახელობის სტიპენდიანტი: სტივენ ჯონსი, მისმა ქართველმა მეუღლემ, მარინე მახარობლიშვილმა, ღვაწლმოსილ მეცნიერს ლონდონიდან ჯვრის ორი ფოტოსურათი ჩამოუტანა. ისინი ბრიტანეთის მუზეუმის ლაბორატორიაშია გადაღებული. უშედეგო პერიპეტეიებში ჩართული მკვლევარი თანამემამულეთა მისამართით სამართლიან საყვედურს არ იშურებს. იხსენებს რა ამ საქმის მოთავის, ელისაბედ ორბელიანის სამეფო წარმომავლობას, წყენით ასკვნის, რომ მან „კარგად უწყოდა თუ ვის ეკუთვნოდა თავის დროს ეს ჯვარი, ამასთან, სწორედ ის თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელმაც საჩუქრად მიართვა ქართველი ერის ისტორიული რელიკვია უცხოელ ქალს, თუმცა ასეთი „ხელგამლილობისთვის“, ვიმეორებ, ქართველ ქალთა კომისიას არც მორალური და არც იურიდიული უფლება არ ჰქონდა!“ ის, რაც უცხოელის ნისქვილზე ასხამს წყალს, ჩვენ ხშირად სავალალოდ შემოგვიბრუნდება ხოლმე და, რა გასაკვირია, ქართველთა გაუაზრებელი, უანგარიშო გულუხვობა ჩვენი სიძველეთა დამცველ მეცნიერს თავსატეხად ქცეოდა.

ქართულ საზოგადოებას უთუოდ ემახსოვრება წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის თავგამოდებული ზრუნვა ქართულ სიძველეთა მოპოვებისა და შეგროვება-მენახვის თვალსაზრისით, ამ მხრივ საინტერესოა ექვთიმეს ძმის საყვედური მარად მოუცლელი ახლო ნათესავისადმი. იგი ერთგან წერს, რომ ექვთიმეს ჩასატყუებლად საკმარისი იყო რომელიმე ისტორიული ექსპონატის აღმოჩენის შესახებ ეცნობებინა და იგი ნავსს გატეხდა და ძვირადღირებულ დროს „არამიზნობრივად“ დახარჯავდა.

და მაინც, სახელოვან მოღვაწეთა თავგამოდების მიუხედავად, ქართული ხასიათის ეს საბედისწერო თვისება აუნაზღაურებელი დანაკარგის უწყვეტობაში უნდა განვიხილოთ.

ბრიტანეთის უმდიდრესი მუზეუმის საცავში „ჩაკარგული“ ქართული ჯვარი სამშობლოში რომ სხვაგვარი ძალმოსილებითა და მაღლით იბრწყინებდა, ძნელი მისახვედრი როდია.

აქედან გამომდინარე, ეს უადგილო თვისება, დარღვივებული მფლანგველობაში რომ სახიერად ვლინდება, არაერთი ნამდვილი მამულშვილისა და ჭირისუფლის მხრიდან პირუთენელი კრიტიკის საგანი გამხდარა.

ვგლახ, რომ დამუნათება უმეტესად უშედეგოა და ამ სენთან გამოთხოვება წარმოუდგენლად გვიჭირს.

წელან პირუთენელობა შემთხვევით არ მიხსენებიან. ამასწინათ ერთი ძალზე საინტერესო ნიგნი ჩამივარდა ხელთ, რომლის შესავალშიც შავით თეთრზე გაბედულად წერია, რომ ავტორი საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის ანალიზის მკაცრ კრიტიკას ეყრდნობა.

„ამ ნიგნში კრიტიკა მკაცრია, მაგრამ კეთილსინდისიერი“. ჩვენში დარჩეს, რისკით სავსე განაცხადია. მით უფრო უცხოელის მხრიდან, ვისაც ჩვენი მრავალტანჯული ისტორიის ბოლო ოცნლიანი ძნელბედობის სკრუპულოზური განხილვა და მიუკერძოებელი შეფასება განუზრახავს. ერთია გამონწვევა მიიღო. მთავარი განუული შრომის დამაგვირგვინებელი ობიექტური დასკვნაა, რომლის მეშვეობითაც სერიოზული შედეგი მიიღწევა, თორემ ტენდენციური „ნაშრომებისა“ და შეთითხნილი პასკვილების სიმრავლით ვის ვინ და მავანთაგან „დაბალ ლობედ“ მიჩნეულ ქართველობას ვერავინ გაგვაოცებს!


საამისოდ ფასადური დემოკრატიის მავთულხლართების მომარჯვება უკვე მოძველებული მეთოდია და სათანადოდ აღარ ჭრის. როცა მიზნად პირუთენელ კვლევა-ძიებას ისახავ, წარმატებისა და სანდობის გარანტიად, თუნდაც უამრავი სტატისტიკური მონაცემი (თავისი ცხრილიანად). მაღალჩინოსნებსა თუ ელიტასთან ჩანერილი უთვალავი ინტერვიუ და მრავალპლანთან გამოკვლევათა სიუხვე, ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებად ნამდვილად არ გამოდგება!

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ უმწვეველი პროცესების განხილვა-შეფასებისას სერიისმაყურებლის სტატუსით აღჭურვილი შორს ვერ ნახვალ და გაცვეთილ, ყალბ კლიშეებს თავს ვერ დააღწევ. ნიგნის კითხვისას სწორედ ამგვარი განცდა დამეფულა, თუმცა ერუდირებული ავტორის პროფესიონალიზმში ეჭვი ოდნავაც არ შემპარვია. 456-გვერდიანი სოლიდური მოცულობის ნაშრომი ერთი შეხედვით საამისო საფუძველს არ იძლევა. უცხოელ მეცნიერთა დადებითი რეცენზიებიდან ამონარიდი სტრიქონები, რაც ნიგნს აშკარად ზურგს უმაგრებს, ჩემს „დასაშინებლად“ ოდნავაც არ გამოდგება. ეს მაღალფარდოვანი და ამავდროულად მჭახე, ეგზალტირებული შეფასებანი, ამერიკული პიარის აგრესიული იერიშის ბუნებრივი გამოძახილია, როცა პროდუქციის „გასასაღებლად“ ეფექტური არტილერიით — ამერიკული მარკით (საუკეთესოს სინონიმად რომ ქცეულა) — მკითხველი აბორდაჟზე აგყავს და არჩევანის ნაცვლად მას ულტიმატუმის ენით ესაუბრები: ნიგნის განსაკუთრებულ დანიშნულებასა და ფასულობას გონებაში აქტიურად უბეჭდავ, ყოველმხრივ ამზადებ აქ მოცემული ანალიტიკური კრიტიკა უპირობოდ აღიარო და მიიღო, როგორც, ვთქვათ, ნატოში შესვლასა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვა. ნაშრომი ამის ერთგვარი სავიზიტო ბარათია, გნებავთ, „შუუცვლელი სახელმძღვანელო“, ახლებურ იდეოლოგიურ პოსტულატებს მზარდად რომ გვანვდის და მის ათვისებაში საეჭვო ოპერატიულობით გვეხმარება.

დემოკრატია დამიფაროს, წიგნის ავტორის ხანგრძლივ შრომას ხელაღებით ვაკინებდეთ. უკანა ყდაზე მისი მიმდინარეობა, ყურადღებები რეგალიები პედანტიურადაა მითითებული. ცალსახად კომპეტენტური ატმოსფეროს გასაძლიერებლად ისიც ირკვევა, რომ პროფესორი სტივენ ჯონსი 2011 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრია, ხოლო 2012 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიეკუთვნა. ამას გარდა, თუ იმ ვითარებასაც გავითვალისწინებთ, რომ ბ-ნი ჯონსი ქართველების სიძეა, წესითა და რიგით სტუმართმოყვარეობის ჩვეული ტრადიციიდან გამომდინარე მისი ძალისხმევა სასიკეთოდ წააქეზებელია და, შესაბამისად, სავალდებულოა, წიგნში განფენილი სერიოზული მრავალპლანიანი კვლევა-ძიება დადებით კონტექსტში წარმოვანინოთ, თავად ავტორის პრინციპული მიდგომა რომ არა. იგი გადაწყვეტილად ამბობს, რომ „მკაცრი და კეთილსინდისიერი“ კრიტიკის მომხრეა, რაც საბედნიეროდ უხერხულობის უადგილო კომპლექსს სათავეშივე გამოირიცხავს. თვალშისაცემია, რომ ზემოთაღნიშნული ნაშრომი სოციოლოგებს, ფსიქოლოგებსა და კულტეროლოგებს, ისევე, როგორც პოლიტიკოსებსა და ეკონომიკაში ჩახედულ ადამიანებს მდიდარ მასალას აწვდის და უბიძგებს, ავტორისული შეხედულებები ფართო პლანში გაიაზრონ. უწინარესად პოლიტოლოგთა (იგივე ექსპერტთა) გასაგონად ვიტყვი, რომ გადაღებული მასალისა და იაფფასიანი ჭორების გადამღერების ნაცვლად უპრიანია აქ თავმოყრილ ცნობებსა და მოსაზრებებს სერიოზულად ჩაუკვირდნენ, ეგებ ათასმეერთე ტელეგადაცემაში მჭევრმეტყველების დროს ნაშრომიდან ამოკითხული ფრაზით სულ მინიმუმ გამცონარებული პუბლიკის გული მაინც დაიპყრონ. სხვათა შორის წიგნში გამოწერილი არაერთი რეცეპტი ე.წ. მესამე სექტორის იგივე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მეტი რომ არ შეიძლება, ისე წაადგება.

როგორც ჩანს, ბუნდოვანი საქმიანობით გამოწვეულ უკმაყოფილებას ჩვენი უცხოელი კეთილსინდისიერი ვერ მალავს და მართებულად ასკვნის, „დასავლეთიდან მიღებულმა რეკომენდაციებმა ხელი შეუწყვეს საქართველოს ეკონომიკური საფუძვლის ნგრევას. საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები შრომით არისტოკრატიად ჩამოყალიბდნენ. გასამრჯელოს დოლარებში იღებდნენ და ქართველთა უმეტესობითვის ცხოვრების უცხო სტილს მისდევდნენ“. საერთო ინტერესთა ნაცვლად პირადი ინტერესებით სარგებლობამ და ფასადური დემოკრატიით სპეკულირებამ, ბუნებრივია, ამ ორგანიზაციებისადმი ნდობა დააქვეითა. მომგებიან საზღვარგარეთულ გრანტებზე დაგეშილი მესამე სექტორის როლი თვალშისაცემად გამოიკვეთა და მათ მიმართ ერთმნიშვნელოვანი, უარყოფითი დამოკიდებულება სათავეს აქედან იღებს. შევეთილი გამოკითხვებისა და ყალბი მაჩვენებლების დემონსტრირება საქმის არსს არ ცვლის. უნდობლობის უმაღლესი ხარისხით არასამთავრობო ორგანიზაციები დიდი ხანია ლიდერობენ და, ცხადია, ამას ოდენ კრიტიკით ვერ მოეგებები! ყბადაღებული კადრის საკითხს ვიდრე შევეჯახებით, საინტერესოა, ბ-ნი ჯონსი საბჭოთა შემკვიდრების თემს როგორ ავითარებს. საკითხის განსჯისას ბევრი შენაკადი იჩნება თავს. კერძოდ, საყოველთაოდ განთქმული ინტერნაციონალიზმი, აგრეთვე კუთხური სეპარატიზმი და კულტურათა ომები.

ჩემთვის პირადად განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის დამოკიდებულება ინტერნაციონალიზმისადმი. უვარგის საბჭოურ კლიშეთა და ჩვევების კრიტიკის პარალელურად თურმე მრავალეთნიკურ საქართველოს „იდეალურად“ ეხამება ინტერნაციონალიზმი, რაც ეთნიკურ უმცირესობათა განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობების შექმნას ითვალისწინებს.



მოკლედ, მისი თვალთახედვით ინტერნაციონალიზმი უმთავრესი ღირებულებაა ქვეყნის გასაძლიერებლად. პარადოქსიც ამას ჰქვია! ფაქტია, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ეს კოზირი არასდროს ეთმობათ და, ამდენად, ჩვენი მეცნიერი ევროპულ-ამერიკული იდეოლოგიის ქვაკუთხედად კვლავ იმ ინტერნაციონალიზმს გვაჩვენებს, რომლის მიზეზითაც, მისივე ფრაზას რომ დავესესხოთ, მცირემნიანი საქართველოში სამი ავტონომიური რესპუბლიკა „საჩუქრად დავგვრჩა“ და ამ მუდმივმოქმედ ნაღმს ყბადაღებულ ინტერნაციონალიზმთან პირდაპირი კავშირი აქვს! თუმცა ტოლერანტობაზე რომ მიდგება საქმე, ბ-ნი ჯონსს ქართველების შემწყნარებლური ბუნება უცებ „აიწყდება“ და ამის საილუსტრაციოდ ებრაელებთან მრავალსაუკუნოვან მშვიდობიან თანარსებობას არსად გავკვრითაც არ ახსენებს, რაც, სხვათა შორის, გამიზნული მიკერძოებაა. შერჩევითი სიმართლის

სინდრომს დემოკრატიის არომატი ნამდვილად არ ასდის და თუკი მკვლევარს მშვენივრად მოეხსენება, რომ ნოე ყორდანის მთავრობასა და იმდროინდელ პარტიათა ლიდერებს (მცირე გამონაკლისის გარდა) სოციალისტური სახელმწიფოს შენების იდეაფიქსი აწუხებდათ, ეროვნული ინტერესები კი ოდნავაც არ აღელვებდათ, მაშინ მრავალეთნიკური პრობლემის გაანალიზების დროს მხოლოდ მისთვის გამოსაღვე ფაქტებს კი არ უნდა ეყრდნობოდეს, ზუსტად იმას გადმოსცემდეს, რასაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ადგილი ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში პატივცემულ მეცნიერს სწორედ იმ სიმართლის გაყალბებაში „გამოიჭერენ“, რის პრაქტიკასაც ოდენ საბჭოთა მემკვიდრეობით დაჯილდოებულ ადამიანებს ენთუზიაზმით მიაწერს! სხვათაშორის, შიგადაშიგ იგი თვითონვე მიუთითებს, რომ ეროვნულ უმცირესობებთან ხისტი მიდგომით მოწინავე ევროპული ქვეყნებიც ხასიათდებიან. ამიტომ გაუგებარია, მაინც-და მაინც ჩვენ, ქართველებმა უკიდურესად შემცირებულ მინანქალზე სხვებს სამოთხე რის საფუძვალზე უნდა „მოვწყნოთ“?! დავიჯერო თანამედროვე ინგლისელ თუ (ამერიკელ) მეცნიერს, ისიც ქართველოლოგს, დეკაბრისტების გეგმა იმდენად მოსწონს, რომ მზადაა, რაც „განმანათლებელმა რაინდებმა“ ვერ განახორციელეს, თავის მთავრობას ურჩიოს მივინყებულ პროექტი ფენიქსისებრ აღდგეს?! სიფრთხილეს ყველა უნდა იჩენდეს, მათ შორის ჩვენი კეთილსინდისიერი მკვლევარიც, რომელიც ქართული სახელმწიფოს უმთავრეს საზრუნავად უმცირესობათა უპირობო კეთილდღეობას სახავს და მხურვალედ მოგვიწოდებს, ადამიანის უფლებების დაცვას ისედაც იავარქმნილი სამშობლო ერთხელ და სამუდამოდ გადავაყალიბოთ!

საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუკი ბ-ნი ჯონსი ინტერნაციონალიზმის ქართულ მოდელს ევროპა-ამერიკაში წარმატებით დანერგავს და საბჭოური „საჩუქრის“ გადაბარებით გამოწვეულ შედეგს ზერელადაც არ გააპროტესტებს!

რადგან ბ-ნი პროფესორს გულწრფელად აინტერესებს, საქართველოში დემოკრატია რა გზით განვითარდა, უპრიანია ამის თაობაზე ორიოდ ამონარიდი მოვიხმოთ. პირველ რიგში მისასალმებელია ბ-ნი ჯონსის დასკვნა, ხანგრძლივი დავკვირვებით მან დაადგინა, რომ ევროპა (თავისთავად ამერიკაც) საქართველოში დამარცხდა. ეს ნიშნავს, რომ „ბრწყინვალე“ პროექტი მწყობრიდან გამოვიდა. ამბიციური გათვლა არ გამართლდა. შესაბამისად, ჯორჯ ბუშის მიერ 2005 წელს საქართველოს მისამართით გამოთქმული შეფასება: „საქართველო დემოკრატიის შუქურაა“, ოდენ შავი იუმორის კუთვნილებად იქცა! ე.წ. „ქმედითი დემოკრატიის“ ნაძალადევი დამყნობა უკურნალებელია ინვესტს და, რადგან უცხოეთიდან ჩამოგრიალებულმა ვარდოსნებმა 9-წლიანი მმართველობისას დემოკრატიის სრული დისკრე-

დიტაცია მოახდინეს, სულ მცირე არასერიოზულობაა, ამტიციო ჩვენში ჰყავის თუ არა დემოკრატია. არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს, სააკაშვილი ლიბერალად გამოაცხადო ან აგრესიულ ნაციონალისტად მონათლო, ვინაიდან წინასწარ გაპიარებული დემოკრატიული სახელმწიფო არ შედგა და ამის დამადასტურებელი უხვი მასალა ნიგნში ვრცელადაა წარმოდგენილი. თუნდაც ის რად ღირს, რომ „2004 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივნისამდე საქართველოს კონსტიტუცია 25-ჯერ შეიცვალა“, — აქ ჯოხი მართლედენ თუნდაც უვარგის ადგილობრივ მმართველებზე კი არ უნდა გადატყდეს, არამედ პასუხი იმ ქვეყნებსაც მოეთხოვებათ, ვისაც საქართველო ექსპერიმენტთა პოლიგონად წარმოუდგენია და „ვითარების გასაუმჯობესებლად“ გრანტიბსა და დიდძალ სესხებს „გულუხვად არიგებს“! მოუგვარებელი ტერიტორიული მთლიანობის, დაუძლეველი უმუშევრობისა და სიღატაკის, გამქრალი საშუალო ფენის, აგრეთვე არაქმედითი სასამართლო ხელისუფლებისა და ელიტარული კორუფციის პირობებში შეუძლებელია სასურველი პოლიტიკური კულტურა გამოავლინო, რისი დეფიციტიც მკვლევარს საგონებელში აგდებს და ათქმევინებს, რომ ამ ვითარებაში პოლიტიკურ პროცესებში ხალხის მონაწილეობა პრაქტიკულად გამორიცხულია. გაუხსნელი გახმაურებული მკვლელობებისა და მრავალრიცხოვანი პატიმრების სიმრავლით დემოკრატია არ მიიღება. „საქართველოში არ არსებობს სასამართლოს სანდო რეპორტიორი (მომხსენებელი) ან მდივანი. რომელიც მედიის ნაცვლად განიხილავდა სასამართლო პროცესს საჯაროდ“.

ნიგნში ძალზე საინტერესოა მოხმობილი ბადრი პატარკაციშვილის სარკასტული ფრაზა, როდესაც იგი ამბობს, რომ თუნდაც ერთი საქმე დაასახელონ, რომელიც ხელისუფლებამ წააგო, და რომ შეუძლებელია, „სახელმწიფო ყოველთვის მართალი იყოს“. სხვათა შორის, პირუთენელობის მომხრე მეცნიერი ბადრი პატარკაციშვილის საეჭვო ვითარებაში დაღუპვას არ ახსენებს, არამედ უბრალოდ ამბობს, რომ მან საცხოვრებლად დიდი ბრიტანეთის „უფრო სტუმართმოყვარე ნაპირები“ არჩია, სადაც გარდაიცვალა. ბ-ნი ჯონსი საქართველოში მცხოვრები მოქალაქე ხომ არ არის, მისთვის ვინმეს პირზე ბოქლომი დაედო ან ციხეში უკანონოდ გამოემწყვდია, რა დაშავდებოდა სიმართლედ არ „დავიწყებოდა“ და მსჯელობისას პირუთენელი ფაქტით ეხლმძღვანელა? ნიგნის სოლიდური მოცულობის მიუხედავად მსგავსი „წვრილმანები“ მის ნაშრომს საგრძნობ ჩრდილს აყენებს. აქ ცოტა სარისკოა პრინციპი: ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!

პრინციპულობა სიმართლის გვერდის აუვლელობაში მჟღავნდება, სანახევრო ფიცი-მტკიცე ამ დროს მართლა რა სახსენებელია! ჩვენი ავტორი ინტელიგენციაზე საუბრისას ავბეით 90-იან წლებში მის ქვეყანა გროტესკულად მიიჩნევს. ამ საკითხში შეუძლებელია არ დაეთანხმო. ინტელიგენციის უხერხემლობა, მეტიც, ლალატი სახელმწიფოებრიობის გზაზე შემდგარ საქართველოს გადაულახავ დაბრკოლებად ექცა. საბჭოური მემკვიდრეობის უმძიმესი ტვირთის განსაზღვრა ამ შემთხვევაში სიღრმისეულადაა განხილული და „მონიავე“ ადამიანთა კონფორმისტულ არსს ზუსტად გადმოსცემს. სასტიკი რეპრესიების შედეგად შეკონინებული საბჭოთა ინტელიგენტი სასათბურე პირობებში თავს პატრიოტობაზე დებდა, თუმცა ეროვნული მოძრაობის აზვირთებისთანავე გაიოკვა, რომ უმრავლესობას ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ნაწყალობევი პრივილეგიების დათმობა აშკარად ეისკიდებოდა, რის გამოც იარაღი აისხა და თავისი უფლებების დასაცავად სა-მოქალაქო ომში უყოყმანოდ ჩაება. 70-წლიან წნეხს უკვალოდ არ ჩაუვლია. „ქართული საზოგადოება, რომელშიც დომინირებდა ზედმეტად განებივრებული ქართული კულტურული ელიტა, შეუჩვეველი რომ იყო პასუხისმგებლობას და ძალაუფლების განხორციელებას, გოგოლის ცნობილი „ტროიკის“ მსგავსად გაქანდა დამოუკიდებლობისაკენ. დამოუკიდებლობაზე ოცნებასთან ერთად ეროვნული მოძრაობის ზმანებებმა

თავზარი დასცა მათ, ვინც შორს იდგა ეროვნული მოძრაობისგან ან სკეპტიკურად იყო განწყობილი მის მიმართ“.

ბუნებრივია, ვითარების გამწვავებისთანავე გამოჩნდა, ვის რისი უნარი შესწევდა. სამწუხაროდ, ინტელიგენციის მორალური დაქვეითება შეულამაზებლად გამოჩნდა. ქვეყნისთვის გადამწყვეტ დროს მას ზნეობრივი ძალა არ აღმოაჩნდა, პირადი ინტერესი საზოგადო საქმის სასარგებლოდ დაეთრგუნა და საკუთარი ამბიციების შეკვეცის ხარჯზე საქართველოში მიმდინარე უმძიმესი კატაკლიზმების გასანეიტრალებლად სასიკეთოდ გარჯილიყო.

ქართული ინტელიგენციის საბედისწერო როლზე სხვა სტატიებში უფრო ვრცლად ვწერ, ამიტომ განმეორების თავიდან ასარიდებლად დავძენ, რომ მისი ერთსულოვნება ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, ერთიანი ძალით დაემხო ეროვნული ხელისუფლება და ქვეყნის სათავეებს კვლავ დაპატრონებოდა, ამის თაობაზე ხუნტის წევრები, ოპოზიციონერები და მათი მომხრე ნომენკლატურული ინტელიგენტები ღიად საუბრობდნენ. „ან ჩვენ ან ის (იგულისხმება გამსახურდია)“ — ირაკლი წერეთლის ფრაზაში ასახული შეურიგებლობა იმჟამინდელ ვითარებას ზედმინეგნით ასახავს, ისევე როგორც ჯაბა იოსელიანის გამო-ნათქვამი: „ყველას მინუს ერთი“, რაც აღმოუფხვრელი შუღლის დაუთრგუნავ გამოძახილად განზოგადდა. ბუნებრივია, ამგვარ ვითარებაში ურთიერთთანამშრომლობის პრინციპი ან თუნდაც მცირედი კომპრომისი გამორიცხულია! პარადოქსულ-ამბივალენტურ მოვლენათა ზემოქმედებას თავისი გააქვს თუ სხვა ამოუხსნელი ფაქტორი იჩენს თავს, ნიგნის ავტორის სიმპათია ხუნტის მეთაურებისკენაა, რაც მძიმე შთაბეჭდილებას აღძრავს. თუნდაც ის დასკვნა რად ღირს, რომ ბ-ნი ჯონსის აზრით, „ეს გახლდათ უსაფრთხოების მაძიებელი გარიყული და გაქვეითული პუტჩი“ და „ეს არ იყო სამხედრო გადატრიალება“.

როცა თავს უფლებას აძლევს და ისტორიას მიზანმიმართულად აყალბებს, პირუთენელობაზე პრეტენზიის გაცხადება უხერხულია!

გასაგებია, რომ უცხოელი მეცნიერი მავანის დაკვეთას ასრულებს და აქედან გამომდინარე, მომხდარს სურვილისამებრ ამრუდებს. ხუნტას ბრწყალებში სვამს და მიაჩნია, რომ კრიმინალუბის „გათეთრებით“ თვალში ნაცარს შეგვყარის, დავგავინწყებს, სინამდვილეში საქართველოს დრამატული ბედ-იღბლის გამოჭედვაში ვის რა პასუხისმგებლობა აკისრია! ინტელიგენციის განქიქების ფონზე ჯაბა იოსელიანის წარმოჩენა მომხიბლავ პიროვნებად და მისი აკადემიური რეგალიების ხაზგასმული ჩამონათვალი ცხადყოფს, ქარი საიდან უბერავს!

ხუნტის მოთავეთა ლალატის გამართლება ნიგნის მნიშვნელობას „ლობიოობის ჭამამდე“ აქვეითებს და ორმაგი თამაშის ქრესტომათიულ შინაარსს აშკარავებს. ბ-ნი ჯონსის შეხედულებით, ამ „კოლორიტულმა“ „კაუთელიოებმა“ მსგავსად თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანისა, კატასტროფის ზღვრამდე მისული ქვეყანა განადგურებისაგან „იხსნეს“!

ამ ავბედითი მოვლენებიდან 25 წლის შემდეგ, როცა ისტორიამ ყველა ორჭოფულ კითხვასა და საკითხს ფარდა ახადა და ტრაგიკული მოვლენები ობიექტურად შეფასდა, ენა როგორ უნდა მოუბრუნდეს კაცს და შემდეგი დასკვნა კომპეტენტური ქედმალლობით შემოგვასალოს: „ორივე ეს ადამიანი (იოსელიანი და კიტოვანი იგულისხმებიან) და მათი ორგანიზაციები 1992-93 წლებში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ საქართველოს სახელმწიფოს ფიზიკურ გადარჩენაში!“

ესოდენ ყალბი, ცინიკური და ამავედროულად სამარცხვინო განცხადებით ირკვევა, რომ ეს ნიგნი სწორედაც პუტჩისტი ინტელიგენტებისა და მათი კრიმინალი მფარველებისა თუ ძმობილების ხელმწიფობით დაინერა, რათა მსოფლიო მორიგი სიყალბის ქარბუქში გახვიოს და „ბრწყინვალე“ ინტელიგენციის რენომე ფაქტების ურცხვი ფაბრიკაციის შედეგად აისნიოს და გააღრმავოს!

იოსელიანის „მხედრონისა“ და „ბატიას“ გვარდიის თარეშმა საქართველო რომ სასაკლოდ აქცია და სამეგრელოში სისხლის ტბები დააყენა, ეს ბ-ნი ჯონსის ლობიოობის პრინციპ-

ზე დამყნობილი დემოკრატიის კანონზომიერება ჰგონია და ცალსახად პროგრესულ მოვლენად აცხადებს!

„კოლორიტული კაუდილიოების“ სიმპათიით გათანგული მკვლევარი პუტჩის შემდგომი ხანის აღწერისას ედუარდ შევარდნაძესაც „შეჰბედავს“ და ხაზგასმით ამბობს, რომ იგი საქართველოში არ უყვარდათ, თითქოს იოსელიანსა და კიტოვანზე მზე ამოსდიოდა ვინმეს!

სარკაზმით შეიარაღებული ბ-ნი ჯონსი პენსიონერ შევარდნაძეს არ ინდობს და მისი მისამართით შემდეგ დახასიათებას იმეტებს: „ისტორიის ირონია იყო ის, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეთათვის ჩვეული რამეა, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ქართველი პარტიული ლიდერი 1972-85 წლებში თავისი ქვეყნიდან წასული საძულველი საბჭოთა ლაქია, რომელიც ურცხვად აცხადებდა, რომ საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის, დაბრუნდა როგორც ქვეყნის მსხნელი“.

შევარდნაძეს რომ ეთქვა: მზე დასავლეთიდან ამოდისო, — რაც მოგვიანებით მისმა ფავორიტმა მიხეილ სააკაშვილმა რიხით გაიმეორა, მეცნიერის ულმობელი კრიტიკა სანახევროდ მაინც ასცდებოდა, რადგან ვარდოსნების მმართველობის წლები ამ წიგნში მაქსიმალურად შერბილებულ-დაბალანსებულია. ეს გარემოება მონაწილეებს, რომ ბ-ნი ჯონსი უმეტესად შერჩევითი სამართლიანობის პრინციპით ხელმძღვანელობს და „ჩამონერილ“ მოღვაწეებს წინასწარ დაპროგრამებული ტაქტიკის მიხედვით „აშავებს“. შევარდნაძეს თავისი ცოდვებიც ეყოფა. სხვათა შორის მის შეფასებაში მკვლევარს ვეთანხმები, ეგ არის, თუ შევარდნაძე საბჭოთა ლაქია გახლდათ, სააკაშვილი ამერიკელების გრუმია და ამის მიჩქმალვით ავტორი თავს უხერხულობაში იგდებს. ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, რომელი იმპერიის ვასალი გაგვანადგურებს. „მგელი შეგჭამს თუ მგლის ფერი ძალია?“ მთავარია იმპერიული პოლიტიკის საცეცები, მუდამ ჩამორჩენილ კოლონიად რომ მოგიაზრებს და გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ათასი დადგენილ-დაუდგენელი საბაბით სახელმწიფოებრიობისკენ სწრაფვას რენეგატთა დახმარებით სათავეშივე ძირკვავს. ბ-ნი ჯონსის შეხედულებანი ამ მხრივ სამაგალითოა. იგი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების უნარი არავის შესწევდა.. 1918-21 და შემდგომ 90-იან წლებშიც თავსამოხვეული დამოუკიდებლობიდან გამომდინარე დაემარცხდით და სახელმწიფოდ ვერ შევდქით. იქვე აზარტული შეთამაშებით შენიშნავს, რომ საამისოდ მხოლოდ ქართველთა ნება-სურვილი არ კმარა და სუვერენიტეტის უფლება მტრულად განწყობილი მეზობლებისგან უნდა გამოვითხოვოთ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას არასდროს შეეგუებან. ვერაფერს იტყვი, იმდენად დამაიმედებელი პროგნოზია! ბ-ნი ჯონსი მსგავსი თეორიების განვითარებისას ამოსავალ წერტილად უთუოდ ქართულ სიმღერას ეყრდნობა, რომლის თანახმადაც „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“ განუხრელად უნდა მიყვებო. მოკლედ, ახლობელ თუ შორეულ მეზობლებს ანგარიში გავუწიოთ და დედამიწიდან უსიტყვოდ ავორთქლდეთ. მანამდე კი ჩვენი მიწა-წყალი (სიმცირის მიუხედავად) იმ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ვუანდერძოთ, საკუთარ საზღვრებში რომ ველარ ეტევიან და უნაპირო გაფართოების იდეაეიქსი აკვიტებიათ.

უსამართლობაა, ბენვს მხოლოდ სხვის თვალში ხედავდე, საკუთარში კი — დირესაც ვერ ამჩნევდე! ესოდენ ტრაგიკულ პროცესთა ანალიზისას პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ, ისიც დაზარალებულ ქვეყანასა და მის ადგილობრივ რეზეგატებს კი არ უნდა დაეკისროთ, ფართო სპექტრის გათვალისწინებით დანაშაულში თანამონაწილეობა ყველამ თანაბრად უნდა იტვირთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს წიგნი მარქსის „კაპიტალის“ ბედს გაიზიარებს, სატყუარას დროებითი ფუნქცია აქვს და ხანგრძლივად ვერავის გააბრიყვებს!

ის, რაც ბ-ნი ჯონსის ნაშრომისადმი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს, მის მიერ ეროვნული ხელისუფლებისა და მისი სულისჩამდგმელის, საქართველოს პირველი

პრეზიდენტისა და მონამის, ზვიად გამსახურდიას მძვინვარე, მიკერძოებული და ცინიკური კრიტიკაა.

წიგნის მესამე თავი: „პოპულიზმი საქართველოში გამსახურდიას ფენომენი“ ამ ღრმად ტენდენციურ, დამახინჯებულ შეხედულებათა სინთეზია.

ზვიად გამსახურდიასადმი დაუფარავი სიძულვილი, მისი პიროვნული მიუღებლობა აგრეთვე გასაგებია ყურადღებიანი მკითხველისთვის, რომელიც 48-ე გვერდზე ამ ფრაზას „ილიას, როგორც ქართველთა „მამას“ ამოიკითხავს, სადაც მამა ბრჭყალებშია მოთავსებული, ხოლო მანამდე ჩვენი მკვლევარის მიერ დავით აღმაშენებლის შეფასებისას აღმოაჩენს, რომ დავითი XI ს-ში მოღვაწე ქართველი მეფეა. დალოცვილი სიძე ბატონი თუ ჯაბა იოსელიანის წარმოსაჩენად რეგალიებს არ იშურებდა, რამ „დაავინყა“, დავითს უცხოელები როგორ აფასებდნენ? ილიას მამობაც სასწრაფოდ ეჭვქვეშ დააყენა, არიქა, „კოლორიტული კაუდილიოები“ არ დაიჩრდილნონ და ხუნტის მომხრე ინტელიგენციამ ქოქოლა არ დამაყაროსო! ნაშრომი საზღვარგარეთულ პუბლიკაზეა გათვლილი და რამდენად უპრაიანია დავით აღმაშენებელი, ილია და შოთა რუსთაველი ოდენ სახელეთა და გვართი მოიხსენიო, თან სასტიკად გეხამუშებოდეს იმის აღიარება, რომ თურმე ქართველ ისტორიკოსთა თვალთახედვით საქართველო ასწლეულების მანძილზე მუსლიმური აღმოსავლეთის აგრესიის შემაკავებელ ქრისტიანულ ბარიერს წარმოადგენდა. მოყვარეც ასეთი უნდა! ჩვენი გააფთრებული ბრძოლა მხოლოდ ადგილობრივ ისტორიკოსთა მონაყოლია და ეს მძლეთამძლე დასავლელელებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, თორემ საქმე საქმეზე რომ მიდგეს და საიდანაც ვინმე გამოტყვერეს და ნამოაძახოს, ოდესღაც ჩვენი გიცავდით და ახლა იგივე თქვენ მოიმოქმედეთო, ევროპა სხვისი ვალდებულებებით ხომ არ შეიბოჭება! ეს ერთობ არადემოკრატიული მანევრია!

მოვლენებს თანმიმდევრულად მიგყვით და კვლავ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ავტორისეული დახასიათება განვიხილოთ. ის რომ არა, საქართველო სამოთხეში განვერიანდებოდაო. ამ „დაკარგული შანსით“ შეძრული მკვლევარი „ბორტმოქმედი“ უმაღლესი ხელისუფალის „გამოსააპკარავებლად“ აშკარად არავერობულ, თავშეუკავებელ სტილს იჩვენებს. ზვიად გამსახურდიას, არც მეტი, არც ნაკლები, ვლადიმირ ულიანოვს ადარებს! შიშს დიდი თვალეტი აქვსო, ამაზეა ნათქვამი. „გასაგებია“, რომ „ქვეყნის დამაქცევარ ავტორიტარს“ ქება თავში აუვარდა, თქვენეული გადასახედიდან, მადამ დე პომპადურივით წარმოიდგინა, რომ მის გადადგომას ქაოსი მოჰყვებოდა. ჯერ ლენინი, ახლა ის ელიტარული ბანოვანი პომპადური შეანუხა მისტერ ჯონსმა! ამასაც არ დასჯერდა, ქედმაღლურად დაასკვნა, რომ გამსახურდია „იმპერიული სისტემის პროდუქტი იყო და საბჭოთა პარტიული ბოსივით იქცეოდა!“ იგი ვაცლავ ჰაველი რომ ყოფილიყო, საქართველო საბედისწერო კატაკლიზმებს აიცდებდა და ა.შ. ჯერ ერთი, ამდენი ოდიოზური და სრულიად შეუსაბამო ბრალდების ნამოყენებისას თვითვე გაიხლართა ამბივალენტურ ლაბირინთში. ჩვენში დარჩეს, იოლი როდია ურთიერთსანინააღმდეგო თეორიები ზედიზედ უანგარიშოდ დაახვავო და გულუბრყვილოდ ელოდო, ღლაგი ანკესს როდის ნამოეგება! ბ-ნი ჯონსი რომ მხოლოდ სტანდარტულ კლიშეებში ჩაჭედო, დაბნეული უცხოელი კოლეგებისა და ხუნტის მხარდამჭერი ხალხის რეცეპტებით სარგებლობს, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ ცნობისმოყვარეობის გამონსხვა კატეგორიის ადამიანებსაც გასაუბრებოდა, და რადეც ქართულს ფლობს, მხოლოდ „მომხიბლავი პროფესორის“ ჯ. იოსელიანის მეშუარებით არ ეხელმძღვანელა, საქვეყნოდ რომ არ შერცხვენილიყო!

აბა რის მიმანიშნებელია შემდეგი ფრაზა: „ლენინის გამონათქვამი, რომ წარმოება დემოკრატიაზე ადრე გაჩნდა, მეორდებოდა გამსახურდიას თვალსაზრისში (თუმცა არ არსებობს დამამტკიცებელი საბუთები, რომ მან ეს საჯაროდ განაცხადა)“. გამსახურდიას განცხადებები, რომ ადამიანი უნდა ჰგავდეს „ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს, ალესილ სამართებელს და არა შემიწე-

ბულს“, „გასაკაცარ მსგავსებას ამჟღავნებს ლენინის აზრებთან... ის ასახავდა ლენინისტურ მიდგომას პოლიტიკისადმი“.

ფაქტია, ამგვარი გამოხდომები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პროლეტარიატის ტერორისტი ბელადისგან განსხვავებით ზვიად გამსახურდიამ მოლაღატე რენეგატთა წინააღმდეგ იარაღი არ გამოიყენა, რისი კანონიერი უფლებაც ჰქონდა, და ტყვიებს ყვავილები დაუხვედრა, ეს გადამეტებული ჰუმანიზმი რომ არა, დაუსჯელობით განავარდებული პუტჩისტები თავიანთი დანაშაულის გასაქარწყლებლად მსგავსი ნაშრომების პროპაგანდით ველარ დაკავებოდნენ! გისოსები ან სამარე მათ ამის საშუალებას მოუსპობდა! ვაცლავ ჰაველს რაც შეეხება, ბ-ნი ჯონსი აქაც ღრმად ცდება, როცა მას საქართველოს პირველ პრეზიდენტზე წინ აყენებს, რადგან ჰაველი რომ ევროპა-ამერიკას განდგომოდა, ისევე მოიშორებდნენ როგორც გამსახურდიასა და დუდაევს! თანაც თავზე დამტყდარი უბედურებანი ჰაველმა ვერ ააცილა თავის ქვეყანას და ამიტომ „გაუგებარია“, ჩების უპირატესობა რაში მდგომარეობს. ფაქტია — დასავლეთის მორჩილებაში, რამაც მის მიერ დისიდენტობისას გამოვლენილი შემართება სრულად დაასამარა! იმპერიის პროდუქტი მასზე უფრო ითქმის. ზვიად გამსახურდია, საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილი და დაპატიმრებული მემამულე, ძალიანაც რომ სდომოდა პარტიული ბოსის ჩვევებს ვერ გამოიმუშავებდა!

ნიგნის ავტორის ანტიპათია განუსაზღვრელია. იგი კონსტანტინე გამსახურდიას პოპულარულ მწერლად მოიხსენიებს, რომლის მბრძანებლობისმოყვარულმა სასიათმა ზვიად გამსახურდია და მისი თანამებრძოლი მერაბ კოსტავა ქართული ნაციონალიზმის მითის მთავარ გმირებად აქცია. აკი ამის დასტურია ზვიად გამსახურდიას ნაშრომი: „საქართველოს სულიერი მისსია“ მკვლევარი ბროშურად რომ ასახელებს. სამაგიეროდ, თავისი ნიგნის სქოლიოში გააფთრებულ ლიბერალთა არაეროვნულ პასკვილებს შესანიშნავ და ბრწყინვალე ესეებად ნათლავს!

ბრავო, ამგვარ კეთილსინდისიერებას! ვითომ ჩვენი ბედი გულწრფელად ანუხებს და ამის დასადასტურებლად სამშობლოს თავდადებულ მონამეს გვიგინებს და ბინძური ცილისნამებების მორეკვი „ძირავს“, აქაოდა „პარანოიით“ შეპყრობილმა „დიქტატორმა“ საქართველოს სრული იზოლაცია მოახდინაო! ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! ამ ყალბი, სულმდაბლური ბრალდებების პარალელურად იგი აგრძელებს, რომ: „დროდადრო გამსახურდია უფრო მეტ პრაგმატიზმს ამჟღავნებდა, ვიდრე ოპონენტები, და ნაკლებად კრიტიკულ სიტუაციაში შეეძლო აერჩია უფრო ზომიერი გზა. გამსახურდია არ იყო გამოუსწორებელი ფანატიკოსი“ და ა.შ. ცხადია, ნიგნის ავტორი ურთიერთგამომრიცხავ „ბრალდებათა“ შეჯერებას თავს ვერ აბამს, რადგან შინაგანად აცნობიერებს, რომ გამსახურდიას მმართველობის მოკლე პერიოდში შეუძლებელი იყო ნლობით დაგროვილ საკვანძო საკითხთა გადაჭრა ერთი ხელის დაკვრით, მითუმეტეს იმ მტრულ გარემოში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თანავე გაირკვა, რომ დასავლეთს — ყველა და მათ შორის საქართველოს პირველი პრეზიდენტი დემოკრატიული მონინავე სამყაროს წინამძღოლად რომ მიიჩნევა — სინამდვილეში ხელს არ აძლევდა სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და საბჭოური იმპერიის ნანგრევებზე ახალი იმპერიული პოლიტიკის გასატარებლად ემზადებოდა. ზვიად გამსახურდიამ დასავლური პოლიტიკის შენიღბული არსი დაუფარავად ამხილა, რაც მკაფიოდ გამოიხატა მის მიერ ნათქვამ ფრაზაში: „დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან“. სხვათა შორის, ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშ-უფროსის ულტრამატუზმის საპასუხოდ გაჟღერებული ეს ისტორიული მნიშვნელობის სიტყვები ბ-ნი ს. ჯონსის ნიგნში „გამოტოვებულია“ და რატომაც, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება!

ადამიანის უფლებათა გამოჩენილ დამცველს (ამას ბ-ნი ჯონსი თავის ნაშრომში რამდენჯერმე აღნიშნავს) იმპერიულ ზრახვებზე თვალი აუხილა, მიხვდა დასავლეთის უმოქმედობა რით იყო განპირობებული და გადაწყვიტა ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად გამართულ უმძიმეს ომში უკან არ დაეხია, რაც რა თქმა უნდა არც ძველ და ახალ იმპერიას „არ აწყობდა!“

ასე რომ, პოპულიზმი დასავლეთიდან გადმოსროლილი ლოზუნგები გამოდგა და არა პირველი პრეზიდენტის მმართველობის სტილი, ბ-ნი მეცნიერი გააფთრებით რომ ცდილობს ზვიად გამსახურდიას მიანეროს! მას მსოფლიომ არ აპატიო, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში უპირველესად ქართველების უფლებას იცავდა და არა ზოგადად ადამიანის უფლებებს, რომელსაც მძლავრი ქვეყნები, სადაც მოეპოვებოდათ, უნებართვოდ იქაც არღვევდნენ! ამერიკის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები ერასა და აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ამის საუკეთესო დასტურია, რაც სხვათა შორის უახლეს აღმოსავლურ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ აისახა. მათი დამოკიდებულება ამერიკელებისადმი საპასუხო რეაქციითაა გაჯერებული. აღმოსავლელთა აზრით, ამერიკელები იმგვარ მოქცევას იმსახურებენ, როგორც თავად სხვებს ექცევიან, ეს ძალზე ვრცელი, სახიფათო თემაა და ამის თაობაზე ჯანსაღად მოაზროვნე დასავლელი და ამერიკელი მოღვაწეები განგაშს სცემენ, საკუთარი ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის წინააღმდეგ შეფასებათა გამოქვეყნებას არ ერიდებიან. ზვიად გამსახურდია, როგორც თავგანწირული მამულიშვილი და თავისი ქვეყნის უპირველესი გულშემატყვიარი, საქართველოს ზვარაკად რომ შეენირა, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენათა განჭვრეტა- შეფასებაშიც მართალი გამოდგა. ამის აღიარებაც, ბუნებრივია, მკვლევარის გეგმებში არ შედის, რადგან მამინ ყველაფერი ყირამალა დადგება და კეისარს კეისრისა მიეგება! მტკნარი სიცრუეა აგრეთვე იმის მტკიცება, რომ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ავიწროებდა. ავტორი ამ გაუმართლებელი ცილისწამებისას გამსახურდიას ღვარძლს გამოკვეთს, რაც სინამდვილეში პირიქით, თვით მისივე გაუნებელი ღვარძლია, რომელსაც პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობის შეფასებისას მიმართავს, რადგან შემოფოთებულია, „განაპირა პროვინციაში“ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვამ ევროპა-ამერიკის „კეთილშობილური“ მიზნები არ დააზარალოს! ზვიად გამსახურდიას მიუღებლობას კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სამკვდრო-სასიცოცხლო ღირებულების „წვრილმანი“ ასაზრდოებს. კერძოდ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი. მერაბ კოსტავას ქრისტიანობის იმის ღრმადმართლმადიდებლური მრწამსი, რომელიც დასავლურ პროტესტანტიზმს ოდნავაც ვერ ეთვისება, რადგან ქრისტიანობა ოდითგანვე ჩვენში ეროვნული შემეცნების განუყოფელ ნაწილად იქცა და, ბუნებრივია, კოლონიურ ჩარჩოში მოქცეული „ჩამონერილი“ ქართველების გადაგვარებას ხელს უშლის. იგი იმპერიული ასიმილაციის წინააღმდეგ ყველაზე მძლავრი, უცვლელი და დაუთრგუნავი „იარაღია“!

ზვიად გამსახურდიას შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქრისტიანულ საძირკველზე დაშენებული ქართული კულტურის სიღრმისეულ შრეებს მოიცავს და ქართველობას ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. ნიგნის ავტორი ამ „საფრთხეს“ მშვენივრად აცნობიერებს და ცერბერის დარად ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლს საგანგებოდ დარაჯობს, იქვე მწუხარედ აღიარებს, რომ საქართველოს ეკლესიის უკიდურესი როლი ყოველწლიურად ძლიერდება. „სამიში ტენდენციის“ შეფასებისას პირდაპირ აცხადებს, რომ მანვე ორგანიზაციათა ნუსხაში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“ ნამყვანია პოზიცია უკავია და ამას გარდა ქართველები ნარკომანებისა და მამათმავლების მიმართ გაცილებით შეუსწნარებლები არიან, ვიდრე თუნდაც სექტანტებისადმი!

ფაქტია, ნიგნში დემაგოგიურ-პროვოკაციულ ნიაღვრეებს ბოლო არ უჩანს. ნელან გაკვრით აღვნიშნე, რომ მკვლევარი „ამერიკულ პროდუქტს“ — ყოფილ პრეზიდენტ მ. სააკაშვილს თვალშისაცემად რბილად აკრიტიკებს და ცხრა წლის მანძილზე ქვეყნის მართვის დამანგრეველი კურსს ოდენ მოზომილ სტატისტიკურ ცხრილებში ამწყვდევს თუ ჭედავს. ნარბეჟურნელად ცრუობს, თითქოს 2007 წლის 7 ნოემბრის სისხლისღვრას

სოციალური სარჩული ედო საფუძვლად და არა მრავალწლიანი გაუსაძლისი უსამართლობის წინააღმდეგ მძლავრი პროტესტი, ჩვენ კეთილსინდისიერ მეცნიერს ოდენ მშვიდი კუჭის გაბრძოლებად რომ „მოეჩვენა!“ მისტერ ჯონსს დროა შევუძახოთ, რომ ნაცარქექიობასაც საზღვარი აქვს ბოლოს და ბოლოს!

მართლმადიდებლობისადმი მტრულად განწყობილი მეცნიერი თავს უფლებას აძლევს „იქადაგოს“, რომ „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ამწვევებდა ურთიერთობებს ეთნოსებს შორის“. უფრო შორსაც შეტოპავს და ასკვნის, რომ „საკაპშვილი რელიგიური შემწყნარებლობისკენ მოუწოდებს მოქალაქეებს, მაგრამ არ აკრიტიკებს ეკლესიას, რომელიც რელიგიურ განხეთქილებებს უწყობს ხელს“. ამაზე ეფექტურ დემაგოგიას ძნელად ნააწყდება კაცი! ჯერ ერთი, ყველას გვახსოვს შემზარავი კადრები, სააკაშვილის მთავრობამ გლდანის ეკლესიაზე იერიში ბოლშევიკური შემართებით რომ მიიტანა! არც ის დაგვიწყებია, 2008 წლის ომში დამარცხების შემდეგ სომხეთის სასულიერო პირებმა ნორაშენის ეკლესიაში რა ბარბაროსობაც ჩაიდინეს, ამაზე ავტორი თვალს ხუჭავს, ისევე როგორც არაერთ უბედურებაზე, საქართველოშივე ქართველების გენოციდი რომ განაპირობა და 300 000-ზე მეტი ადამიანი უსახლკარო ლტოლვილად აქცია!

საინტერესოა, ამ დროს ადამიანის უფლებათა დაცვა რატომ არ ახსენდება ან იქნებ ელოდება, ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობად როდის ვიქცევით, რომ შეგვიბრალოს და „პირუთვნელი“ სიტყვა სამადლოდ შეგვანოს?! არადა, როგორ გვაიმედებდა, „ჩემი მიდგომაა, მოგანოდოთ დამოუკიდებელ დასკვნათა რიგი“! ჯობია პატივცემული მკვლევარი უნაპირო დემაგოგიისა და სიყალბის დამოუკიდებელ დასკვნად შემოსაღებას დაეხსნას, რადგან ფაქტების ფაბრიკაციის სიმრავლით პირუთუნ შედეგს მოიმკის და გულმოდგინე გარჯა წყალში ჩაეყრება! იმას კიდევ „გაიგებს“ კაცი, რომ ოკეანის გაღმადან მოწოდებული ინფორმაცია სურვილისამებრ გაამრუდოს, აქაოდა, ვიდრე ესენი სრულყოფილ ინგლისურს აითვისებენ, ყველაფერი ხელიდან გამოეცლებათო, „კეთილგანწყობით“ ივარაუდოს, მაგრამ ის, რაც ჩვენს თვალწინ მოხდა და ახლაც უწყვეტად მიმდინარეობს, ასე წარმუხურელად როგორ უნდა დაამახინჯო და გააყალბო, ქვეყანა მართლა ჩალით დახურული ხომ არ არის, საქართველოში მხოლოდ პროამერიკულად მოჭიკჭიკე ელიტა კი არ ბინადრობს! სხვა „ჯურის ხალხი“ ჯერ არ გადაშენებულა და ამიტომ სიცრუის მანქანის „დაბალანსება“, გინდა-არგინდათ, მოგიწევთ!

ასე რომ, ტოტალური სიყალბის ფონზე კატის კნავილის ფასი ადევს ავტორის რიტორიკულ შეკითხვას: ღირსია თუ არა მ. სააკაშვილი, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი პრიზი ზარზემით რომ გადასცეს. ნაპრეზიდენტალი რისი ღირსიცაა, თქვენ ჩვენზე ნაკლებად როდი მოგეხსენებათ, თუმცა გრუმის მომასხურების გრძელვადიანი კრედიტი კვლავ ძალაშია და, თქვენდა საბედნიეროდ, ქართველმა ხალხმაც ვერ ივაჟკაცა, მისთვის კუთვნილი მიეზლო, როგორც ეს აღმოსავლეთში მოხდა!

ასევე ზედაპირულ კრიტიკას შეიცავს დასავლეთის „გლაზორული“ გაკიცხვა იმის გამო, რომ მათ რუსეთის აგრესიის შეჩერება თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე არ ნებავდათ! ევროკავშირისადმი სასაყვედურო კილო იმგვარ ინტონაციას ამჟღავნებს, ცოლი ჭირვეული ქმრის დასამოშმინებლად რომ მიმართავს, მსუბუქი გაკიცხვით სერიოზული კონფლიქტი თავიდან რომ აირიდოს!

კანონისა და დემოკრატიის სახელით იმპერიული პოლიტიკის გატარება არახალია და არც საქართველოსთვისაა ეს მოულოდნელი ხილი, უმაღლ რომ დააფრთხეს და მიწა-წყალი უსასყიდლოდ გაჩუქოთ, აქაოდა ამ თვალსაზრისით პირველობაში ვერავინ შეგვეცილებათ!

დაბოლოს, ამაოდ დამაშვრალ, მკაცრ და პედანტ მკვლევარს მოკრძალებით ვკითხავ, ქართული პასპორტიდან ეროვნული რეკვიზიტების ამოღებასთან დაკავშირებით „ურთიერთპოპულარულ ხმას“ ქართულ პოლიტიკაში და მოძრაობის „საქართვე-

ლო უპირველეს ყოვლისას ლიდერის“, გურამ შარაძეს ხსენებისას (წიგნში იგი ორჯერაა ნახსენები: მეორედ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებისას, სადაც „ან გარდაცვლილი ბ. შარაძე“ ამტკიცებდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დასავლეთიდან ბრძანებებს ღებულობენ), დასავლური ჰუმანიზმიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების „ბაცილა“ რატომ არ შეგეპარათ და დღისით-მზისით დედაქალაქის ცენტრში მხეცურად მოკლული ამაგდარი (და არა პოპულარული) მეცნიერი და მამულიშვილი, კანფეტებით ხელში შინ შვილიშვილებთან რომ მიიჩქაროდა, პირუთვნელი სიმართლისთვის როგორ დაგენანათ! თქვენ ხომ მასთან პირადი ნაცნობობაც გაკავშირებდათ. ერთხელ უმასპინძლეთ კიდევ, რამაც ტრაგიკულად დაღუპული მკვლევარი თქვენდამი წრფელი სიმპათიით განაწყობა და აღტაცებულმა დაწერა, რომ თქვენეულმა დარბაისლურმა ქართულმა მოხიბლა! ადამიანური სიმები უკლებლივ დაწყდა? სააკაშვილის მმართველობის დროის საილუსტრაციოდ თუნდაც ეს ერთი გახმაურებული და, სამწუხაროდ, გაუსხნელი მკვლევარაც კმარა, და ამგვარი სისატიკით ჩადენილი დანაშაული რომ არაერთია, ეს უკვე საყოველთაოდაა ცნობილი!

ზვიად გამსახურდიას მმართველობისას რომ ანალოგიური რამ მომხდარიყო, მას, სულ მცირე, კაციჭამიად გამოაცხადებდით და მთელ მსოფლიოს შეძრავდით! სააკაშვილს კი ავტორიტარის „ტიტული“ „არ აკადრეთ“ და ენერგიულ, ქარიზმატულ ლიდერად მონათლეთ, ქვეყნის ნგრევა „ანცობად“ ჩაუთვალეთ! აბა, ეს სადაური სამართალია და დემოკრატიის რავგარ გაგებში ეწერება?!

ქართული ნაციონალიზმის მითის შეკონინებისას ერთ გენიალურ, მოკლე და ამავედროულად ამომწურავ ფორმულირებას შეგახსენებთ, რომლის ავტორმაც, ბუნებრივია, თქვენი ყურადღება „ვერ დაიმსახურა“, რადგან, კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობას შესწირა და ანაცვალა!

მოკლედ, „ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიწყეს ჩვენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირანყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეთესაც მოითხოვა“. თავისუფლად შეგიძლიათ სახელოვანი ქართველი მწერლისა და მონამის მიხეილ ჯავახიშვილის მოსაზრებაში „კორექტირება“ შეიტანოთ და რუსული ნაციონალიზმი ევროპული ან ამერიკული ნაციონალიზმით შეცვალოთ. სულერთია, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება!

საერთოდ ეს წიგნი დასავლურ-ამერიკული დემოკრატიის „თვალსაჩინო საჩუქარია“ და თუ ერთ მშვენიერ დღეს ევროპის ჟანდარმად წოდებული რუსეთი კარზე მოგადგებათ, ამ საფრთხისგან არავინაა დაზღვეული, ვიდრე გადაგყლაპავდით, ეგებ მოასწროთ და ცალკეული თავები დაჩქარებული წესით — დესერტის პრინციპიდან გამომდინარე — სულმოუთქმელად ჩაუბულბულოთ, ეგაა გამოგნებული ტოტალური სიცრუისა და სიყალბის მასშტაბით, არ არის გამორიცხული, ყოვლისმპყრობელი რუსებიც დაფრთხნენ ან, უფრო უარესი, შურით აღივსნონ. ლენინის შემფასებელს არ გესწავლებათ, რომ პროლეტარიატის ბელადმა რუსულ შურს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა. აი, მაშინ წიგნი, რომელზეც განსაკუთრებულ იმედს ამყარებთ, პანდორას ყუთად გექცევთ და სახელის მოხვეჭის ნაცვლად განსაცდელს შეგამთხვევთ! რუსეთთან შეხუბრების გამოცდილება ქართველებს ნამდვილად არ გვესწავლება და ამ საქმეში წარმატებას სულითა და გულით გისურვებთ. ამერიკელობა არ კმარა იმისთვის, რომ დემოკრატიის ციტადელიდან მოწოდებული ტექსტი შეუმონებლად ინამო და აღიარო! საერთოდაც, არამკითხე მოამბის ხვედრი რომ ერთობ ძნელია, ფაქტია და „მრავალნაციდი მშვიდობისმყოფელი“ ხერხიც ყოველთვის არ ჭრის, ესეც ფაქტია!

დროა ქართველ მონამებებსა და საკრალურ ფასეულობებს გარეულმაც და შინაურმაც აუგი იოლად ველარ შეჰბედოს! ყველაფერი გრანტებით როდი იზომება!

ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: პატივცემული მეცნიერის ნიგნი ჩვენი ქვეყნის უახლესი პოლიტიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით ყოველად გამოუსადეგარია, რადგან ავტორი შესავალში გამოთქმულ დანაპირებს ღალატობს და მოვლენების კეთილსინდისიერი

ანალიზის ნაცვლად დაკვეთით შესრულებულ მიკერძობულ ნაშრომს გვთავაზობს, რომლის მთავარი მიზანიც ქართულ ფასეულობათა შეგნებული, მიზანმიმართული გაყალბებაა, რაც საბოლოოდ მტრების ნისქვილზე ასხამს წყალს!

ვახტანგ ბახტაძე

ცხოვრებას კაცად შერჩენილი

(გივი სომხიშვილის ნაწარმოებთა ერთი ასაკაქისთვის)

სათაურის ამ სიტყვებს ჩემს მეგობარს, ლიტერატურის მკვლევარსა და პუბლიცისტს თემურ ქორიძეს დავესესხე, გივი სომხიშვილის ნიგნის ნინათქმიდან.

გივი სომხიშვილის მოთხრობებსა და რომანებში ნათლად ჩანს, რომ იგი დიდი და მტკივნეული ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე გულწრფელი, ფაქიზი სულის, ფიქრიანი, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ადამიანია.

მისი ნაწარმოებები, შეიძლება ითქვას, უმთავრესად სიკეთისა და ბოროტების მარადიულ პრობლემებს ეხება. ამ ურთულეს საკითხზე სასაუბროდ ავტორი იყენებს ნამდვილ კახურ, ძალიან სადა, ადვილად აღსაქმელ ლიტერატურულ ენას და არცთუ ისე რთულ სიუჟეტებს.

ამ თვალსაზრისით მინდა შევეხო მის რამდენიმე პატარა მოთხრობას.

ერთს — ძალიან ნიშანდობლივი სათაური: „არაკაცობის კაცობით მკურნალი“ (ნიგნიდან: „სიკეთე ცოდვილ ნუთისოფელში“).

მთავარი გმირი ზურა მართლაც სიკეთის განსახიერებაა, მაგრამ ბავშვობის დროს ერთმა შემთხვევამ სამუდამოდ დაამახსოვრა თავი და მის არსებაში საბოლოოდ დაამკვიდრა ეს ბუნებრივი მდგომარეობა — სიკეთე.

„რამხელა ბედნიერებაა, სიკეთის თანაგრძნობისა და სიყვარულის მაგიური სიამოვნების განცდა, რომლითაც უფალს მხოლოდ თავისი რჩეულები დაუჯილდოებია. იქნებ ზურაც იმ რჩეულთაგანი იყო, ასე მშვიდად, სიზიფეს ლოდივით რომ აგორებდა კოლონიის საშინელი უსამართლობით დამძიმებულ ტვირთს,“ — წერს ავტორი.

მათ ძალიან ჰყავდათ, სახელად მერკურა, რომელიც ძალიან დაბერდა და აღარაფერი შეეძლო. ზურას ბაბომ, რომელზეც ბევრი არაფერია ნათქვამი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისიც კეთილი ბაბო იქნებოდა, როგორც ბებიების უმეტესობა, შვილიშვილს უთხრა: „შვილო, მერკურა დაბერდა, არაფრის თავი აღარა აქვს, ბანწრით წაიყვან, სოფლის ბოლოს ხეზე მიიბი და ბიჭებმა ჩაქოლონ“.

არადა ძალიან არაჩვეულებრივად მგრძნობიარე და ჭკვიანი იყო.

აუცილებლად წარმოიშობა კითხვა: რითაა განპირობებული ბაბოს ასეთი სისასტიკე?

ერთ დღეს მან თავის შვილიშვილს მართლაც გაატანა ბანარშემული ძალი ამ განაჩენის აღსასრულებლად. ზურამ შეასრულა ბაბოს დავალება, წაიყვანა ძალი, სოფლის ბოლოს ხეზე მიიბა და ბიჭებს ჩააქოლვინა (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევამ მასზე უმძიმესი შთაბეჭდილება მოახდინა და ავტორის სიტყვით: „მას შემდეგ ეს გრძნობა არ

ასვენებდა. ამ მოურჩენელ ჭრილობას ყველა გაჭირვებულის დახმარებით აყურებდა“).

ახლა დავაკვირდეთ. ბაბოც, სავარაუდოდ, კეთილი ქალი იყო, მისი შვილიშვილი ზურაც კეთილი ბავშვია (ისეთივე დარჩა, როცა გაიზარდა), კეთილნი უნდა ყოფილიყვნენ იმ სოფლის ბიჭებიც, რომლებმაც ძალი ჩაქოლეს.

და აი, ეს კეთილი ადამიანები მშვიდ ვითარებაში გამო — იჩენენ სრულიად გაუგებარ სისასტიკეს — უდანაშაულო, ერთგულ ძალს, ოღონდ დაბერებულს, უსულგულოდ ჩაქოლავენ.

რა არის ეს, თუ არა სასტიკი ცხოვრების, ბუნების უნივერსალური კანონის — არსებობისათვის ბრძოლის — გამოვლინება, და ამის საფუძველზე ადამიანის გააგულქვავება, გაუხეშება. მწერალი გვიჩვენებს, რომ სწორედ გულქვავობის, სისასტიკის მკურნალია სიკეთე, რომლის მნიშვნელობაც ადამიანს, როგორც გონიერ არსებას, კარგად უნდა ესმოდეს და მას დიდ გასაქანს აძლევდეს.

ავტორი ერთ ადგილას წერს: „...ძლიერი სუსტით იკვებება. ადამიანიც ამ ბუნების შვილია და ჯუნგლის კანონით ცხოვრობს მანამდე, სანამ ღვთიური აზროვნება ყოველგვარ ამქვეყნიურ მანკიერებაზე მალა არ დააყენებს და უფლისმიერი სიკეთით აღჭურვილი ადამიანთა ცხოვრებას სამართლიანი ბედნიერების სამოთხედ არ აქცევს“.

„მოურჩენელი ჭრილობის“ მიუხედავად, ზურა ყველგან სიკეთეს თესავს: „ბევრი ეცადნენ, ინვალებს, იარაკაცებს, მაგრამ ზურას სულს ბოროტება, ღვარძლი და შური ვერ გააკარეს; სიკეთე ვერ შეუცვალეს. არც იმაზე გაბოროტებულა, ვისი ცოლისწამებითაც დააპატიმრეს. რას იზამ, უბედურია ცოდვის ტვირთის ქვეშო. ბოროტების მკურნალი სიკეთეა,“ — დასძენს ავტორი.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ გავახსენდეს, გრიგოლ ორბელიანის კეთილქმნადობასთან დაკავშირებული საგულისხმო სტროფები, სასაჩუქრე თასზეც რომ ამოუტვიფრავს: „რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა საქმე კეთილი!“ (პოემა „სადღეგრძელო“ — 1827-70).

ასევე საინტერესოა მისი ერთი პატარა მოთხრობაც „უჯიგრო ქიტა“ (ნიგნიდან: „უფლის სამსჯავრო“). ქიტა, რომელსაც მეტსახელად უჯიგროს ეძახდნენ, სიკეთეს არავის უკეთებდა, თუნდაც ეს ძალიან ადვილი ყოფილიყო მისთვის. იმ დღესაც ასე მოხდა, თოვლსა და ქარბუქში თბილისში თავისი მანქანით გაემგზავრა, და თუმცა მარტო იყო, არ წაიყვანა ტრანსპორტის მოლოდინში სიცივით გათოშილი მეზობლები, არ დაეხმარა არავის, ვისაც კი გზაში ხელის განვდენა სჭირდებოდა, მაგრამ ამა-სობაში თვითონ ჩავარდა განსაცდელში და უცნობმა ადამიანებმა გადარჩინეს, გზა გაიმრუდეს და უჯიგრო ქიტა შინაც დააბრუნეს. ცოლის ნუხილზე, შემოგვეპატიუებინა მაინც, ასეთ უამინდობაში როგორ წავლენო, უპასუხა, კისერიც უტეხიათო.

მოთხრობა ასე მთავრდება:

„— მაინც როგორ გადავრჩი, ბედი მქონია, — გაიფიქრა თავისთვის და ძილი დააპირა, რომ იღუმალი ხმა ჩაესმა:

— ბედი კი არა, ქიტა, იმან გადავარჩინა, რომ ამ ქვეყანაში მარტო შენნაირი უჯიგრო ხალხი არ ცხოვრობს, — კიდევ რალაც უნდა ეთქვა სინდისს“, მაგრამ, როგორც ავტორი ამბობს, ქიტას უკვე... ჩაეძინა!

ასე ამთავრებს ავტორი მოთხრობას — უჯიგრო ქიტას აღარ ასმენინებს სინდისის ხმას და აძინებს, უჯიგრო კაცს თავის უჯიგრობაში ტოვებს.

სამწუხაროდ, ასე ჩაძინებული ხვდება სინდისის ხმას ადამიანთა უმრავლესობა, და ეს გარდაუვალი რეალობაა, ასე რომ აწუხებს ავტორს და მოგვიწოდებს, ჩვენც არ ჩაგვეძინოს.

უნდა ითქვას, რომ სიკეთისა და ბოროტების მარადიული თემა გვიღობს სომხების მთელ შემოქმედებას გასდევს, ჯერ კიდევ პირველ მოთხრობებიდანვე, რომლებიც გასული საუკუნის 60-80-იან წლებშია დაწერილი. ზოგჯერ მათში წინასწარმეტყველური პასაჟებიც შეინიშნება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამორჩევა „დალლარა და ყბაჩო“ (ნიგინიდან: „სიკეთე ცოდვილ ნუთისოფელში“). დალლარა რაღაც მიზეზებით ახერხებს მასზე ფიზიკურად უფრო ძლიერი ყბაჩოს დაჩაგვრას, შეურაცხყოფას, სხვების წინაშე მის გამასხარავებას, დამონებას. ამას ფილოსოფიურად უყურებს სოფელში მცხოვრები განსწავლული კაცი გელა, რომელსაც, თანასოფელთა აზრით, ზედმეტი სწავლისგან ტვიინი ასდუღებია და ამიტომაც მეტსახელად „მეცნიერას“ ეძახიან.

„დაუნდობელი რომის იმპერია ხარ, — ეუბნება იგი დალლარას, — მონებით გაუმადლარო დალლარ! დაინგრევი, დაიფუშები, თვითონ მონების მოყვარული, მონად იქცევი! მერე გაიგებ, რა ძნელია უღელი მონისა...“

მაგრამ ვითარება იცვლება: ერთ დღეს ბიჭების შეგულიანებით ყბაჩო წინააღმდეგობას გაუწევს დალლარას და იმარჯვებს კიდევ მასზე. „მეცნიერა“ აღფრთოვანებულია, რომ დაჩაგრულმა გაიმარჯვა:

„მოვესწარ! დიდ ისტორიულ მოვლენას მოვესწარ! მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო, მუდმივი ამქვეყნად არაფერია, არც ბატონობა და არც მონობა, დაინგრა, დაიქცა რომის იმპერია, თავისივე მონების ფეხის მტვერი გახდა... დაემართა ის, რაც ყველა მოძალადეს ემართება...“

ყბაჩო ისე გაათამამა გამარჯვებამ, რომ ახლა იგი გახდა მოძალადე და სხვათა მჩაგვრელი. ბიჭებმა ეს ველარ აიტანეს და ყბაჩოს, როგორც მწერალი ამბობს, „ავი სულელები გამოუბერტყეს ტვიინიდან“.


„მეცნიერამ“ ხელები მალა ალაპყრო და შეჰღალადა: „დაემხო! მონობა დაემხო! — აღფრთოვანებულია „მეცნიერა“, — რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, იყო სამართლიანობის არმიის მებრძოლი? მოვესწარ! ამ ბედნიერ დღეს მოვესწარ!..“

ცხადია, „მეცნიერა“ მეტად გადაჭარბებულად აზოგადებს ბიჭების მეტოქეობას, რომელიც სამ ეტაპად ვლინდება: ჯერ მჩაგვრელის დამარცხება ჩაგრულის მიერ, მერე — ჩაგრულის მჩაგვრელად ქცევა, მესამე ეტაპზე კი საერთოდ ჩაგვრის მოსპობა, მაგრამ ისიც ამკარაა, რომ ეს განზოგადება მოთხრობის ავტორის პოზიციას, რაც უფრო ფართო მასშტაბის მოვლენებშიც აისახება. ეს მოტივი ერთ აღმოსავლურ იგავშიც გვხვდება, როდესაც, როგორც მახსოვს, ურჩხულს ამარცხებს მზეჭაბუკი, მერე თავადვე რომ იქცევა გველეშაპად. ეს ძალაუფლების სენია, ტოტალიტარული სისტემის უგვანი ძალაუფლების ბაცილაა.

საინტერესოა გავიხსენოთ, რომ ეს მოთხრობა დაწერილია 1966 წელს!

ცოტა ჩვენც თუ ავუბამთ მხარს „მეცნიერას“ (უფრო სწორად, ავტორს) და ნახევრად იუმორით განვაზოგადებთ მოთხრობაში ასახულ „სამეტაპოვან“ ამბავს, შეიძლება რიტორიკულად ვიკითხოთ: ჩვენ ახლა რომელ ეტაპზე ვდგავართ?

ის, რომ იდეის ან დიდი იდეის გამო ბოროტებაზე წასვლა შეიძლება, „ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივას“ პრინციპი არც ლენინის, არც სტალინისა და არც მაკიაველის მოგონიერ არ არის. ისტორია — ანტიკურობიდან დღემდე — სავსეა მაგალითებით, როცა იდეის ან პოლიტიკური მიზანშეწონილობის მოტივით „ძლიერნი (და სუსტნიც) ამა ქვეყნისა“ საშინელ დანაშაულებს სჩადიოდნენ. ხშირად მომხდარა, რომ ზოგად იდეას, სოციალ-პოლიტიკურ ხედვას კონკრეტული ადამიანის ინტერესები, კეთილდღეობა და სიცოცხლე შესწირვია. გილიოტინის შემოტანის აზრით, ასიათასთა უსასტიკესი სიკვდილი მომავლის ბედნიერებით იყო გამართლებული. ტერორიზმი არა მარტო ნებადართული, არამედ აუცილებელიც იყო. ახალი, სამარ-



გიორგი სომბიძე

თლიანი სოციალური სისტემის დასამყარებლად, საკუთრივ „ახალი ადამიანის“ შესაქმნელად, მარქსისტულ ესქატოლოგიაში სამართლიანი სოციალური სისტემა ისტორიული აუცილებლობა გახლდათ და რევოლუციის გზით უნდა დამდგარიყო. „ობიექტური“ აუცილებლობა კი ღვთიურად და აბსოლუტურად აღიქმებოდა არარელიგიურ და ათეისტ ადამიანთა მიერაც კი. თუ რევოლუცია ძალადობის აუცილებლობის ნაწილია, მაშინ უქმდება პირადი პასუხისმგებლობა ძალადობაზე. ძალადობა აღარ აღიქმება ბოროტებად, არამედ თვით კატეგორია „ბოროტება“ ორთქლდება ისტორიული აუცილებლობის შუქზე. და მეტიც, ძალადობა იქცევა სიკეთედ, თუ ის თანხვდება და ხელს უწყობს ობიექტურ პროცესს. მათ ხედვაში ადამიანური მორალი არ არსებობს, მორალიც კლასობრივი წარმონაქმნია და ეკონომიკური ურთიერთობით აისხნება.

პოლიტიკური დანაშაულებანი არა მარტო პოლიტიკოსის პასუხისმგებლობაა, არამედ გარკვეულწილად იმ საზოგადოებისაც, რომელიც ითმენს დანაშაულებებს, ან უარესიც, თანაუგრძნობს მათ; რა თქმა უნდა, ტირანზე განუზომლად მეტი პასუხისმგებლობაა, ვიდრე ლულამიშვერილ საზოგადოებაზე, მაგრამ სახვებით დამაჯერებელი იქნება იმის მტკიცებაც, რომ ტირანები მხოლოდ შიმშილზე აფუძნდებიან თავიანთ ძალაუფლებას და არა სამართლიან გრძნობებსა და კეთილ სურვილებზე. ბიბლიური პარადიგმა რომ მოვიყვანოთ, იესოს მოკვლის მიზეზად სინედრიონი შემდეგ ასახელებდა: „ყველა მას მიყვება, თუ ასე გაგრძელდება, მოვლენ რომაელები და ნავართმევენ სამშობლოს, სჯობს ერთი კაცი მოკვდეს ერისთვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს!“

პრობლემა ისაა, რომ მარტო სინედრიონის ნევრები არ ყვიროდნენ — „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვი ეგე!“

სისხლიანი საბჭოეთის მძვინვარე ეპოქაში (სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირად) რატომ არ აპროტესტებდა ხალხი ამკარად დაბსურდულ მასობრივ დაპატიმრებებსა და ტოტალურ ტერორს? ამის (შიშის გარდა) ერთ-ერთი მიზეზი არსებული სისტემისადმი ნდობის გამოცხადება იყო. თანაც, არავის მიაჩნდა თავი დამნაშავედ, „რისთვის?“ იყო პირველი შეკითხვა, რაც ადამიანს თავში მოსდიოდა. ეს ყველაფერი უსიტყვო მორჩილების განმსაზღვრელი იყო, ისევე როგორც ილუზორული რწმენა, რომ „სტალინმა არ იცის!“

რამდენადაც უცნაურად უნდა ჟღერდეს, მაშინ, როცა მებრძოლი ათეისტური მორალი, სინდისი და რეალობის ობიექტური შეგრძნება ეწინააღმდეგებოდა თეისტურ, ღვთისმო-

სავ, სამართლიან და ლოგიკურ აზროვნე-
ბასთან, არ არის საფუძველს მოკლებული,
რომ ტირანმა, ტოტალიტარულმა სისტემამ
თითქმის მიაღწია თავად სიმართლის და
სამართლიანობის იდეის გაუქმებას საბჭო-
ურ მენტალობაში. იყო შემთხვევები, სხვა-
დასხვა პერიოდები, როდესაც ეროვნული
ღირსების შეურაცხყოფის, დამცირების
გამო ადამიანის სინდისი ჯანყდებოდა ჯო-
ჯოხეთური მონსტრიზმის წინააღმდეგ.

თუმცა ამ გზაზე იყო გამობრწყინებაც
(მრავალთათვის დაუჯერებელიც) — გასუ-
ლი საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, სა-
ქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმად-
გენელმა, აღზევებულმა ეროვნულ-გამათა-
ვისუფლებელმა მოძრაობამ ქართველ ხალ-
ხთან ერთად ეს უღმობელი კომუნისტურ-
ათეისტური მითი საბოლოოდ დაამსხვრია.

დასასრულ, მსურს ზემოთქმულს დავა-
მატო, რომ გივი სომხიშვილმა თავის თავზე
გამოსცადა კომუნისტური რეჟიმის უსამარ-
თლობა, დევნისა და უკანონობის სისასტიკე.

იმ კაცის საბჭოთა საქართველოს მმართველობისას გივი სომხიშვილმა მოასწრო სა-
ქართველოს სუკის „სანაქებო“ ჯურღმულე-
ბის კარგა ხნით „დათვალეობა“ და იქ სიკე-
დილ-სიცოცხლის ზღვარზე სტოიკურად
დგომა... მოასწრო „მშობლიური მთავრობის“
ნახალისებით კოლონიაში, ე.წ. „ზონაზე“,
ხანგრძლივი „შემოქმედებით მივლინებით“
ყოფნა. მის ნაწარმოებთა უმრავლესობა ხომ
იქ იწერებოდა (რაც ცალკე საუბრის თემაა).
როგორც ბატონი გივი წერს თავის ნიგნის წი-
ნათქმამში: „ძალადობას სპეტაკი სინდისით
და ვაჟკაცური შემართებით ებრძვიან“...

და მაინც გაუძლო!

რადგანაც როგორც „არაკაცობის კაცო-
ბით მკურნალის“ მთავარ გმირს, ისევე მის ავ-
ტორსაც „განგების ძალის სწამს“, იგი საკუ-
თარი თავის სულიერ განწყობილებას გად-
მოგვცემს, „ზურასაც ღრმად სჯეროდა, რომ
უფალმა ადამიანი მხოლოდ სიკეთისთვის
შექმნა“ (შემდგომ ამას მოჰყვება არაორდინა-
რული ფრაზა, „ბოროტება ეშმაკის ოინბაზო-
ბა...“ ვფიქრობ, ესაა (მართალია რბილად
თქმული) დაცემული ანგელოზის კნინობითი
ლიტერატურულ-ეთიკური შეფასება.

ახლა კი მართლაც დასასრული: ყოვე-
ლი ქრისტიანისთვის უცილობელი ჭეშმა-
რიტებაა, რომ მთელი სამყარო ღვთის ხელ-
შია და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლი-
ლება მხოლოდ გამოვლინებაა უფლის გა-
ნუსაზღვრელი ჭეშმარიტი ძალაუფლებისა.

მაცხოვრისგან სიკეთემინიჭებული კა-
ცობილობის საბოლოო მიზანი ცაბა სასუფე-
ველის დამკვიდრებაა, ღვთის სამეფოში მხო-
ლოდ მამაზეციერის ნება იმეფებს და იქ არ იქ-
ნება არც სიკვდილი და არც ცრემლები, არც
გოდება და არც სწულელება (გამოცხ. 21, 4).

ეს სამეფო მაშინ წარმოჩნდება, როცა
იქნება ახალი ცა და ახალი ქვეყანა, როდეს-
აც ყველა ადამიანი აღდგება და წარმოდ-
გება ახალი სახით.

— ქრისტი აღდგა!

— ჭეშმარიტად აღდგა!

ნათია სიხარულიძე

გალაკტიონი და ტერენტი ბრანელი

(ზოგიერთი რამ პოეტურ სიდიდითა გამო)

გალაკტიონისადმი მიძღვნილი როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „კო-
მიკოსი ტრაგედიაში“ 2012 წელს გამოქვეყნდა. ნიგნის გამოცემისთანავე მოეწყო
მისი განხილვა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტი-
ტუტში, ხოლო შემდეგ არაერთი წერილი, რეცენზია და გამოსმაურება დაიბეჭდა.

მოხდა ისე, რომ განსაკუთრებული ყურადღება ამ რომანის ერთმა მცირე
ფრაგმენტმა მიიპყრო, რომელიც უშუალოდ არც გალაკტიონის შემოქმედებას
უკავშირდება და არც მის ბიოგრაფიას.

რომანის პირველივე თავში („სალამოები ხავერდის ყდაში“) ავტორი საუბ-
რობს გალაკტიონის განზრახვაზე, დაენერა ციკლი მოგონებათა სალამოებისა,
სადაც დავიწყებისათვის განწირულ მწერლებს გაიხსენებდა.

„ვინაა მომგონებელიო, ტერენტი გრანელის ბედზეც რომ წუხდა, რას წარ-
მოიდგენდა, ასერიგად თუ წამოიწვედა იმისი სახელი და სულაც გალაკტიონი-
სას შეეტოლებოდა. პოპულარობით ახალი და ახალი თაობების შეგნებაში გადა-
ასწრებდა გიორგი ლეონიძესაც, იოსებ გრიშაშვილსაც, პაოლო იაშვილსა და ტი-
ციან ტაბიძესაც... და წამოთამამებულიყო და ძალიანაც წამოთამამებულიყო
ტერენტის ლანდი...“, — წერს როსტომ ჩხეიძე (გვ. 47).

ამ უჩვეულო ფაქტს — გრანელის ლანდის „წამოთამამებას“ იგი პოეტის
ტრაგიკული ბიოგრაფიითა და მისი შემოქმედების თემატიკით ხსნის. თუმცა,
გარდა ამგვარი განმარტებისა, ავტორი მკვეთრ, განზოგადებულ თვალსაზრის-
საც გამოთქვამს: როსტომ ჩხეიძის მიხედვით, გრანელის უჩვეულო პოპულარო-
ბა მისი პოეზიის ეპიგონურმა ხასიათმაც განაპირობა.

„თავის როლს ითამაშებდა სწორედაც ეპიგონობა — მიმბაძველობა ორიგინა-
ლის გამსუბუქებას გულსინხმობს, ალქმის გაიოლებას მკითხველისათვის, ამი-
ტომაც მიმბაძველთა მეორეული ტექსტები ყოველთვის უფრო ხელმისაწვდო-
მია, უფრო მასობრივი, ვიდრე ის თვითმყოფადი სამყარო, საიდანაც ასერიგად
დავალებულა ყოველი ეპიგონი. და, ცხადია, ტერენტი გრანელსაც ეს გარემოე-
ბა გაუადვილებდა გზას შთამომავალთა გულისაკენაც და ცნობიერებისაკენაც“,
— ვკითხულობთ რომანში (გვ. 49).

ბიოგრაფოსის ამ სიტყვებს გამოეხმაურა სერგი ლომაძე წერილით „ძველი-
ახალი თემა: გალაკტიონი და გრანელი“ („ჩვენი მწერლობა“, 2014, №3).

წერილის ავტორის აზრით, როსტომ ჩხეიძემ ამ შემთხვევაში ძველი შეხედუ-
ლება გაიმეორა და გაამძაფრა დაპირისპირება „გალაკტიონისტებსა“ და „გრა-
ნელისტებს“ შორის.

სერგი ლომაძეს სურს დაამტკიცოს, რომ „ამ ორი აბსოლუტურად პოეტური
ადამიანისაგან ერთი (გრანელი) მეორის (გალაკტიონის) მიმბაძველად არ გა-
მოდგება“.

იგი გვთავაზობს „გაყვეთ ფაქტებს“ და აღნიშნავს, რომ გრანელსაც პირ-
ველ პოეტად მიაჩნდა თავი, ისევე როგორც გალაკტიონს. შემდეგ კი ცდილობს
პარალელები გაავლოს მათ შორის:

„1919 წელი. მკითხველმა მიიღო ნიგნი „არტისტული ყვავილები“, რომელმაც
გალაკტიონის გზა გაუხსნა პოეტური ტახტისაკენ.

1924 წელი. მკითხველმა მიიღო გრანელის ნიგნი „მემენტო მორი“, რომელიც
ზოგიერთმა ლიტერატორმა უმაღლეს პოეტურ (ლირიკულ) მოვლენად აღიარა...

ოცდაოთხ წელს გრანელის პოპულარობა უტოლდება გალაკტიონის პოპუ-
ლარობას, მაგრამ ტერენტი მწვერვალზე დიდხანს ვერ რჩება... როგორც ჩანს,
მისი ფსიქიკა მძიმედ დაავადდა, სულიერად (და ფიზიკურად) დასწულელებული
პოეტი კი სათანადოდ ვეღარ გაეპასუხებოდა გალაკტიონის 1927 წელს გამოცე-
მულ „ზარნიშან ნიგნს“ (გვ. 62).

სერგი ლომაძის მსჯელობაში არაერთი ისეთი დებულებაა, რომელიც და-
ზუსტებასა და არგუმენტირებას საჭიროებს. მაგალითად, ვითარება ისეა წარ-
მოდგენილი, თითქმის გალაკტიონის „არტისტულ ყვავილებს“ გრანელი „სათა-
ნადოდ“ გაეპასუხა კრებულით „Memento mori“, თუმცა ეს ფაქტი დღემდე არა-
ვის დაუმტკიცებია. გაურკვეველი რჩება, ვინ იგულისხმება „ზოგიერთ ლიტერა-

ტორში“, რომელთა თვალსაზრისი ცერგი ლომაძეს ამგვარი განცხადების საფუძველს აძლევს. არც ისაა ნათელი, თუ როგორ დაადგინა ავტორმა ორი პოეტის პოპულარობის გათანაბრება და ამ გათანაბრების ზუსტი თარიღი. ცალკეა გასარკვევი, რა კავშირი არსებობს პოეტის პოპულარობასა და მისი შემოქმედების მაღალმატერულობას შორის — ხშირ შემთხვევაში ხომ პირველი მეორეს არც კი გულისხმობს. დაბოლოს, ამგვარი სერიოზული პრობლემის გადაწყვეტისას რამდენად საყურადღებო შეიძლება იყოს ტერენტი გრანელის შეხედულება საკუთარ თავზე და საგანგებოდ ხაზგასმამ, რომ „გრანელსაც პირველ პოეტად მიაჩნდა თავი“?!

სერგი ლომაძის წერილში ამ კითხვებზე პასუხი არ არის გაცემული. სწორედ ამის გამო კრიტიკულ გამოხმაურებაში ტერენტი გრანელისადმი სიყვარული უფრო იგრძნობა, ვიდრე სიმაართლის გარკვევის სურვილი.

როსტომ ჩხეიძის რომანის იმავე მონაკვეთზე მსჯელობს ცნობილი პოეტი და ესეისტი მურმან ჯგუბურია წერილში „იკითხება ნიგნი, როგორც რომანი“ („ლიტერატურული პალიტრა“, 2015, №2)

თვალსაზრისი გრანელის პოეზიის ეპიგონური ხასიათის შესახებ მისთვისაც მიუღებელია. იგი წერს:

„გრანელი არავის მიმბაძველი და ეპიგონი არაა, ხოლო მისი გამონათქვამი „და ჩემში უფრო ანგელოზია“ ზედმიწევნით გამოხატავს მისეულ ცხოვრება-შემოქმედებას. არც ერთ ლექსში, არსად, არც ერთხელ არ მოუხსენიებია გრანელს ისეთი რამე, რაც ადამიანის სხეულს შეერგება, პირში შევა, ან ჩავა...“

დვირფასო როსტომ, გრანელი რომ გალაკტიონის მიმბაძველად მოიხსენიე, უპირველესად ალბათ, მათი ლექსების ფორმა, ზომა, თარგი ექონდა მხედველობაში. რუსთაველი და ვაჟა-ფრთხილიძის ზომის ლექსით სარგებლობენ, მაგრამ ვაჟაზე ხომ არ ითქმის რუსთაველის მიმბაძველიაო. არც გრანელი არაა გალაკტიონის მიმბაძველი, რასაც გვიდასტურებს მისი (გრანელის) განსაკუთრებული მსოფლმხედველობა“ (გვ. 151).

გალაკტიონისა და გრანელის ლექსებს არამხოლოდ ფორმა აქვთ საერთო, არამედ — თემატიკა და განწყობილებები. რაც შეეხება ვაჟა-ფრთხილას რუსთაველთან მიმართებას, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ეს პარალელი სრულიად შეუსაბამოა. ის კი, თუ რა იგულისხმება გრანელის „განსაკუთრებულ მსოფლმხედველობაში“, მურმან ჯგუბურია როგორც ძირითად არგუმენტს, ისე რომ მოიხმობს, მკითხველისათვის ბუნდოვანი რჩება.

სერგი ლომაძისა და მურმან ჯგუბურიას წერილების გაცნობის შემდეგ, გრანელის მკვლევართა პოზიციის უფრო ზუსტად გარკვევის მიზნით, სპეციალური ლიტერატურა მოვიძიე. აღმოჩნდა, რომ არაერთი ავტორი იყო დაინტერესებული, გალაკტიონი და ტერენტი გრანელი წარმოედგინათ, როგორც ორი თანაბარი სიდიდის პოეტი.

შთაბეჭდილების შესაქმნელად მხოლოდ ორი მკვლევარის შეხედულებებს ვაგაცნობთ:

„დიახ, ზეგავლენა თავიდან თვალსაჩინოა, მაგრამ გრანელიც იმდენად ინდივიდუალური პოეტი იყო, რომ ადვილად გამოვიდა ამ ზეგავლენიდან და შექმნა აბსოლუტურად თვითმყოფადი, მხატვრული, პოეტური აზროვნებით განსხვავებული პოეზია, — ისეთი პოეტური სიბრძნე, როგორც მანამდე არ ახსოვს ქართულ პოეზიას“, — აღნიშნავს ტერენტი გრანელის შემოქმედების მკვლევარი ლერი ალიმონაკი (კრებული „დიდი ტერენტი გრანელი“, 2012, გვ. 29).

მკვლევარ ლუარა სორდიას მიხედვით, „20-იანი წლების ქართულ ლირიკაში ისეთსავე ფურორს ახდენდა პოეტი (ტერენტი გრანელი — ნ.ს.), როგორც არტურ რემბო თავის თანამედროვე საფრანგეთში. გალაკტიონის გვერდით, რუსთაველის ქვეყანაში, მან დაიმკვიდრა უპირველესი პოეტის სახელი“ („წერილები“, 2009, გვ. 46).

ეს ორი, ტიპური მაგალითია. თუ ვიკითხავთ, ასეთი რა სიბრძნეა ტერენტი გრანელის შემოქმედებაში, მანამდე ქართულ პოეზიისათვის რომ უცხო იყო, ან რამ განაპირობა რემბოსთან პარალელი, ვერც ამ და ვერც სხვა ავტორთა ნაშრომებში ამ კითხვებზე დამაჯერებელ პასუხს ვერ ვიპოვით.



უმთავრესი არგუმენტი, რომელსაც გალაკტიონთან ტერენტი გრანელის გათანაბრების მსურველი თითქმის ყველა ავტორი ეყრდნობა, ამგვარია:

მოგონებების თანახმად, ტერენტი გრანელი ხშირად ამბობდა, რომ იგი გალაკტიონის თანასწორი (ან — უფრო დიდი) პოეტი იყო. ამ აზრს, თურმე, ეთანხმებოდა და აღიარებდა გალაკტიონი.

გავიხსენოთ გენო ქელბაქიანის მოგონება, რომელიც გალაკტიონისა და ტერენტი გრანელის ამ თემაზე საუბარს გამოგვცემს:

გრანელს გაუგია, რომ ვილაც კრიტიკოსს კლუბში მოხსენების კითხვისას აღუნიშნავს, ტერენტი გრანელი გალაკტიონის მიმბაძველიაო. ამ ამბით განაწყენებული გრანელი უგუნებოდ შეხვედრია გალაკტიონს. მათ შორის ამგვარი დიალოგი გამართულა:

„— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა გალაკტიონმა.

ტერენტიმ პასუხი დაუგვიანა. მერე შეხედა თვალებში და უთხრა:

— თუ შენ მოხვედი ჩემთან, როგორც დიდი პოეტი პატარა პოეტის სანახავად, სასტიკად სცდები.

გალაკტიონი გაოცდა.

— რას ამბობ, რის დიდი პოეტი! მე მოვედი შენთან, როგორც მეგობარ პოეტთან.

— ესეც იცოდე, — განაგრძო ტერენტიმ, — მე შენზე დიდი პოეტი ვარ.

გალაკტიონმა გაიღიმა მარტო მისთვის დამახასიათებელი საოცარი ღიმილით.

— კი, ძამიკო, ჩემზე დიდი ხარ!“ („საისტორიო მოამბე“, 1997, №69-70, გვ. 343).

ამ დიალოგიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ გალაკტიონი, მისივე სკოლის ყველაზე ნიჭიერ პოეტს, რომელიც ფსიქიკურად გაუნონასწორებელი იყო, გულს არ სტკენდა, პირიქით, ახირებას სიტყვიერად უდასტურებდა კიდეც.

ვფიქრობ, აქვე უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის ჩანაწერებში ტერენტი გრანელი ხშირად იხსენიება, ძირითადად, სხვადასხვა სივრცეა თუ ჩამონათვალში, თუმცა, დადებითი შეხედულება ტერენტი გრანელის შემოქმედების შესახებ გალაკტიონის არცერთ ჩანაწერში არ დასტურდება.

ტერენტი გრანელს თავისი ადგილი აქვს მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიაში და კეთილმოსურნეთა მიერ მის გენიოსობაზე საუბარი მხოლოდ ღიმილისმომგვრელია, მით უფრო არასერიოზულია მისი ამ კონტექსტში გალაკტიონის გვერდით მოხსენიება.

ლიტერატურის ისტორიაში არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ავტორის შემოქმედების ხელახლა აღმოჩენა და შეფასება ხდება. თუმცა, სამწუხაროდ, მანძილი გალაკტიონის ეპიგონობიდან გალაკტიონის თანაბარ პოეტობამდე მეტად დიდია.

ეკა ბუჯიაშვილი

ქართული რობაის კვალზე

(ელგუჯა მარლიას რობაიების წარდგინება)

— ნიგნად ჯერ არ გამოსულა, მხოლოდ მზადდება, მაგრამ ყოფილა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ისტორიაში ისეთი შემთხვევებიც, გამოცემაზე რომ გამოვხმაურებივართ საჯაროდ ამა თუ იმ პუბლიკაციას. ქართული რობაიების ეს თანამედროვე ნიმუშები კი რიგითი პუბლიკაცია არ ყოფილა არც ამ ჟურნალისა და არც ქართული სალიტერატურო ცხოვრებისათვის, ამიტომაც გადავწყვიტეთ, ნიგნად გამოსვლამდე გამოგვეტანა ელგუჯა მარლიას ეს პოეტური ნიმუშები ლიტერატურულ სამსჯავროზე, — ასე გახსნა როსტომ ჩხეიძემ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების — იმავე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ — თაოსნობით ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართული შეხვედრა და მოკლედ მოგვითხრო იმ გზის შესახებ, რომელიც ამ სალექსო ფორმამ გამოიარა ქართულ სამწერლო პროცესებში.

პავლე ინგოროყვას უთხოვია იუსტიინე აბულაძესთვის ომარ ხაიამის რობაიების თარგმნა, თვითონ კი წერილი დაუნერია სპარსელ პოეტზე და ასე გამოუკვალავს გზა ამ ჟანრს ჩვენს ლიტერატურულ მდინარეებში.

XX საუკუნის 20-იან წლებამდე კი ის უცხო იყო ქართული სამწერლო პროცესებისათვის. ქართულად კი ითარგმნებოდა ბევრი რამ, სპარსული ეპოსიდან თითქმის არაფერი დარჩენილიყო უთარგმნელი, ოღონდ შუა საუკუნეებში მაინცდამაინც დიდ პატივში არ ყოფილა ლირიკა და სპარსული ლირიკული ქმნილებანიც ჩვენი ლიტერატურული პროცესის მიღმა ამიტომაც დარჩენილიყო.

პირველად ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე გამოჩენილა იუსტიინე აბულაძის მიერ პროზად გადმოღებული რობაიები. ძალიან პოპულარული კი გამხდარიყო ომარ ხაიამი მთელ მსოფლიოში ედუარდ ფიცჯერალდის თარგმანების შემდეგ. საკმაოდ აცდენილიყო ორიგინალს, მაგრამ შთაგონება ომარ ხაიამისგან მიეღო, ხაიამის სახელით დატრიალებულიყო მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში, კლუბებიც კი შეექმნათ და საქართველოშიც ევროპიდან უფრო დაინტერესებულებიყვნენ, ვიდრე აღმოსავლეთიდან.

შემდეგ ამბაკო ჭელიძის თარგმანებს მოეპოვებინა დიდი პოპულარობა, გრიგოლ აბაშიძეს თავის რომანში „ლაშარელა“ ლამა-გიორგისათვის, ლევან გოთუას კი „გმირთა ვარამში“ ერთ-ერთი გმირის ზაზა კახნიაურისათვის მიენერა ომარ ხაიამის რობაიების თარგმნა.

ასეთი გახლდათ XX საუკუნის 40-50-იანი წლების ლიტერატურული გემოვნება საქართველოში, ოღონდ თვითონ ქართულ ლიტერატურაში კი პოპულარული არ გამხდარა ეს ფორმა — განსხვავებით სონეტის, ტანკისა ან ჰაიკუსაგან, წარმატებით რომ დამკვიდრებულიყო ჩვენს მწერლობაში. მოსინჯვით მოესინჯათ რობაიც, მაგრამ იქვე ჩამთავრებულიყო ცდები ამ ჟანრში.

ოთხ სტრიქონში გამოხატული სათქმელი, რომელთაგან პირველი, მეორე და მესამე გართმულიყო (თუმცა, იოსებ ჭუმბურიძის თქმით, ვახუშტი კოტიტიშვილს ზოგჯერ ცდუნება სძლევდა და ოთხივეს რითმავდა, „ვეფხისტყაოსნის“ პატრონია და ალბათ იმიტომ) და მათში მოექცია ავტორს დიდი განზოგადებანი, ფილოსოფიური შეხედულებანი და

დახვეწილი იუმორი. ამიტომაც ყველა რობაი დამოუკიდებელ სამყაროდ ქცეულიყო.

საქართველოშიც ეცადათ ამ სამყაროში შეღწევა. ნოდარ დუმბაძეს პაროდია შეექმნა „ომარ ხალიანის“ ციკლით და რობაის სტილში გამოექვეყნებინა იუმორისტული ნიმუშები, თავისთავად საინტერესო.

ლადო მრელაშვილსაც მოესინჯა კალამი და მთელი ციკლისთვის მოება თავი, და აი... წლების შემდეგ ელგუჯა მარლიაც გაიტაცა ამ ფორმამ, კარგი პოეტი, ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ლიტერატურით და მაინც სულ ეექვეება საკუთარი თავის. ამიტომაც გაუცვინა იოსებ ჭუმბურიძისათვის თავისი რობაიები დასაჭამნიკებლად. მეგობარს მოუწონებია, შეუგულიანებია და ასე გამოქვეყნდა ქართული რობაის ახალი ნიმუშები ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე. და ვიდრე ნიგნიც მომზადდება ცალკე, რათა საბოლოოდ დაიმკვიდროს მოქალაქეობა ამ სალექსო ფორმამ ქართულ ლიტერატურულ პროცესებში, ბატონმა როსტომმა სიტყვა სწორედ იოსებ ჭუმბურიძეს გადასცა იმ მოხსენების გასაცნობად, წინასიტყვაობადაც რომ დაერთვება ელგუჯა მარლიას რობაიების კრებულს.

ომარ ხაიამ, შეინყალე ჩემი რობაი.

ასე შესთხოვს ელგუჯა მარლია ამ ფორმის შემოქმედსა და დამამკვიდრებელს, რაკი მასთან შეჭიდებისა და შეტოლების პასუხისმგებლობაც გაუცნობიერებია და სირთულეც, და კიდევ შეუსრულებია თხოვნა დიდ ნიშაბურელს, საქართველოში თავისი არა მხოლოდ მთარგმნელი, ღირსეული შეგირდიც რომ უპოვია.

მეტიც — „ერთ მშვენიერ დღეს მის პიროვნებაში ომარ ხაიამის სულიც ჩასახლებულა“ და...

რადგან რაიმე, ქარის გარდა, არ არსებულა, რადგან ყოველი დაქცეულა, არ ავსებულა, არარსებული არსებულად უნდა ჩათვალო, არსებული კი მიიჩნიო არარსებულად...

— მაინც რა სჭირდება რობაის ყველაზე მეტად? — იკითხავს ბატონი იოსები და იქვე პასუხიც, — აზრობრივი თვალსაზრისით, ეს წმინდა წყლის სენტენციაა.

სენტენცია კი, ბორხესის აზრით, რაც შეიძლება მოკლედ უნდა გამოითქვას. ამ ოთხიოდე სტრიქონში ღრებულნი სათქმელი, ჭკვიანური აზრი უნდა ჩადო და ჩაატიო, ამას კი ვერ შეძლებ, თუ ფიქრში ჩაღრმავებული არა ხარ და ზურგს სათანადო განსწავლულობაც არ გიმადგრებს.

ელგუჯა მარლია სწორედ ასეთი კაცი და პოეტი. ნიმუშად თუნდაც ეს რობაიები კმარა:

გზასაცდენილი მორბენალი ვნახე მრავალი, პრეზიდენტებმა დაგვახურეს თავზე ყავარი, დამახსოვრე, გზასაცდენილ მარათონელზე უფრო სწრაფია ხეიბარი სწორად მავალი...

ბატონი იოსები იმასაც აღნიშნავს, რომ ომარ ხაიამის რობაიები დანომრილია, ელგუჯა მარლიასი — დასათაურებული: „იუდას რობაი“, „სირცხვილის რობაი“, „სამშობლოს რობაი“... და კიდევ არაერთ ნიმუშს მოიხმობს მწერლის ამ ციკლიდან, იმ ღვანლზეც ისაუბრებს, რასაც ელგუჯა მარლია და მისი მეუღლე მანანა გეგვიძე უხმაუროდ ეწვეიან საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ სახელით, იმაზეც, რომ მისი რითმები ისევე სანიმუშოა, როგორც მტკივნეული სათქ-

მელის გადმოსაცემად მოძებნილი უზუსტესი დეტალები და აღნიშნავს, რომ ბატონი ელგუჯას რობაი ქართული რობაია — არა უწინარესად ფორმით, რითმით ან სხვა ელემენტებით, არამედ ქართული სატიკვარითა და სულისკვეთებით.

კარგა ხანი კი გასულიყო, რაც რობაის სუნთქვა და გემო აღარ უგრძვნია ქართველ მკითხველს, — ამას გაუზიარებს **ლევან ქურციკაშვილი** შეკრებილთა და აღნიშნავს:

— გამიხარდა, რომ ელგუჯა მარლიას სახით ამ სალექსო ფორმას კარგი პატრონი გამოუჩნდა და მაღლობა მას ამისათვის.

იოსებ ჭუმბურიძე კი თავის წერილის ბოლოს ამასაც იტყვის:

— ელგუჯა მარლიას რობაიები არა მხოლოდ მისი ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებაა, არამედ ეს არის ყველაზე ახალი, ცოცხალი და ჭეშმარიტი ფასეულობა, რაც უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში შექმნილა.

ენა კი არ არის პოეტის იარაღი, პოეტია საშუალება ენის ხელში.

იოსებ ბროდსკი

არადა, ქართული პოეზია თითქოს ვერ იტანს კანონიკურ სალექსო საზომებს, ვერ ჰგუობს, ევროპული იქნება თუ აზიური, — ასე ფიქრობს **მარინა ტურავა**, ვინც ამ მხრივ უწინარესად სონეტს გამოარჩევს, კერძოდ, ღია სტრუქტურას სონეტებს, ვინც ქართული ვერლიბრის ახალი ნაკადის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება და, ყველასთვის მოულოდნელად, ამ ერთ-ერთ უმთავრეს საზომთან კი მისულიყო.

— გაგვახსენდება ვალერიან გაფრინდაშვილისა და გენო კალანდიას ტრიოლეტებიც... აი, ქართული რობაის ნიმუშები კი ცოტა თუ მოიძებნება და ამ ფორმისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებაც დიდნილად ელგუჯა მარლიამაც უნდა იტვირთოს საკუთარ მხრებზე.

რობაიში სათქმელის ლაბიდარულობითა და ეკონომიურობით უნდა მიაღწიო უმაღლეს ოსტატობას. აქ არ გაქვს მოთელვის საშუალება და, რაც მთავარია, ბუნებრივად უნდა მიხვიდე ამ საზომთან. სწორედ ასე აირჩია რობაი ბატონმა ელგუჯამაც.

მხოლოდ მან კი არ აირჩია, რობაიმაც მიიღო და შეითვისა იგი.

იოსებ ბროდსკის პერიფრაზს რომ მივმართოთ, ელგუჯა მარლიაც საშუალებაა რობაის ხელში ამ სათქმელის გამოსახატავად.

იშვიათად მინახავს ერთი ავტორის პოეტური პუბლიკაცია, ასეთი რეზონანსი რომ მოჰყოლია. მზად არის მისი „ასი რობაიც“, რაც უკვე სერიოზული განაცხადია.

ის მგრძნობიარე პოეტია, ვის შემოქმედებაშიც მოულოდნელი ხილვები, ფერები და ხმოვანება გვხვდება და ამითა, მკითხველის გულს და გონებას რომ იპყრობს. ასეთი ექსპრესიულობით, განსაკუთრებული ფერითა და გემოთი გამოარჩია **ცისანა კვინტრაძემ** რევაზ ინანიშვილისადმი მიძღვნილი რობაი, მწერლის მეუღლისთვის, ქალბატონი როზასთვის ტელეფონით რომ ნაუკითხავს და გულაჩუყებულ ქალს ცრემლი ვერ შეუკავებია.

ქალბატონი მარინა კი ამ ხილვებსაც გამოარჩევს და ამასაც იტყვის:

— მიუხედავად იმისა, რომ რობაის საზომი აღმოსავლურია, ის მაინც რუსთაველისკენ იხრება — ვახუშტი კოტეტიშვილისა არ იყოს — რადგან ქართველი პოეტია და ქართულ სათქმელს ამბობს.

ქართველი პოეტის ქართული სათქმელისა და სატიკვარის ნიმუშად კი ეს რობაიც კმარა:



ელგუჯა მარლია, როსტომ ჩხეიძე, იოსებ ჭუმბურიძე

განსაცდელშია საქართველო... მოირყა ბურჯი, რაც თავი მახსოვს, ემატება სირცხვილის ხურჯინს... სამეგრელოში არ ეძებოთ მტერი აზონი, უპირველესად, სამეგრელო ეს არის ქუჯი...

ხან ბილიკია ეს ცხოვრება, ხან ბენვის ხიდი ღირსებით გავლას გამძლეობა სჭირდება დიდი...

ომარ ხაიაში კი დღესაც მოსვენებას უკარგავს პოეტურ სიტყვასთან მოპაექრე ადამიანებს. უკვე ეროვნული ვარიაციების შექმნას აიძულებს მათ, რადგან ნიშაბურელი ბრძენის მიერ დასმული კითხვები მარადიულია და პასუხგაუცემელიც. ამიტომ ყოველი ადამიანი, მითუფრო პოეტი, თავიდან სვამს ამ კითხვას და პასუხსაც, რა თქმა უნდა მიახლოებითს, ისე თვითონვე იძლევა, — ამ საკითხს შეხვედრამ **თამარელა წონორია** წამოწვეს თავისი მოხსენებით და იტყვის, რომ ელგუჯა მარლიას რობაიები პოეტური ცდაა აღმოსავლეთთან დაახლოებისა. და შემთხვევითი არც ის არის, რომ მისი რობაიების გვერდი უჭრნალ „ჩვენ მწერლობაში“ სიყვარულის რობაით იწყება: **„რომ სიყვარული არ ჩაგვიქრეს, და სამუდამოდ გიზგიზებდეს გულის ბუხარი“**. სინტაგმა „გულის ბუხარი“ ქართულ რობაიაში ისეა ჩადგმული, მის გარშემო არასოდეს შესცივდებათ ადამიანებს.

რობაიები კი, ქალბატონი თამარელას თქმით, ელგუჯა მარლიას შემოქმედებაში სემანტიკურადაც შეიძლება დაჯგუფდეს: აი, მაგალითად:

სამშობლოს რობაის ბოლო ორ ტაეპში სენტენციადაა ჩამოყალიბებული შემდეგი აზრი: **„სამშობლოს თავთან ნურასოდეს გაიგივებ, მოკვდავი მიდის, სამშობლო კი მარადის რჩება“**.

სამშობლოს რობაის გადაწვინება პატრიოტის ღირსეულად შეფასება-დაფასების აუცილებელი სიფრთხილე — როცა **„პოლიტიკური ქაოსი და ქარაშოტია“**, მოძმეებმა ისე არ შეჭამონ გმირი, როგორც **„მგლის ხროვამ უხუცესი მგელი ტოტია“**.

უმაღურობის რობაი სწორედ მამულის ერთგულების დაუფასებლობაზეა აქცენტირებული და გვახსენებს, რომ **„არაერთი პატრიოტი ისე მოვკალით, როგორც ბერძნებმა ხობისწყალზე მეფე გუბაზი“**. აქვეა გამცემის რობაიც, იუდასავეთ ერთი გამცემი ყოველთვის არის იქ, სადაც ერთ-

გულემა და სიყვარულია, და სადაც სიკეთისათვის წამებულ-
ნი, ნაგვემ-ნაცემი მოციქულნი და გულმხურვალე უფლისკა-
ციები არიან. სამშობლოს სატკივრის ერთ-ერთი ვარიაცია
გახლავთ და მას პირდაპირ შეესატყვისება ვაზის რობაი:
როცა „**დღეს საქართველო აჩეხილი ვაზივით ჰგოდებს,
უფალს მადლობა, იწურება მაინც მტევანი**“.

ამბების სიღიადე, ეპიკურობა და მასშტაბი რობაის რა-
დიუსზე გვაფიქრებს და არც აყოვნებს რობაი დაუყოვნებელ
საფიქრალზე: „**აღარ იქნება საქართველოს დაფრთიანება,
სანამ ვიყოფით ჩვენიანებ-მათიანებად!**“

გზასაცდენილის, მოღალატისა და ფულის რობაიც ერ-
თად შეიძლება მოვიაროთ. ადამიანები გროში ფულისათ-
ვის იყიდებიან, მაგრამ ისინი, დამარცხებულნიც, „ოდენ
კაცნი მორეულნი“, რუსთაველის სიბრძნით აუნონავს ბა-
ტონ ელგუჯას და აცხადებს: „**სჯობს მოცილო და საჯა-
როდ არ დაამცირო**“. თავის ვაჟებს კი ასეთ ანდერძს უტო-
ვებს: „**გახსოვდეთ, სადაც იბადება ადამიანი, იქ არი მისი
მამული და ოცნების მექაც**“.

ომარ ხაიამმა კი თავისი წელთაღრიცხვიდან და შემდეგ ქარ-
თული წელთაღრიცხვიდანაც ადამიანებს ცხოვრებისეული
სკოლის დიდი საზეპიროები დაუტოვა. უტყუარი და ფილოსო-
ფიური, კაცობისა და ზოგადად ადამიანთმცოდნეობის ბრძნუ-
ლი საზეპიროები. ამიტომაც უწოდდა **ლუარა ჭანტურიამ** ელგუ-
ჯა მარლიას რობაიებსაც ბრძნული გამონათქვამები და ფილო-
სოფიური განსჯითა და სიბრძნით გამოარჩია ეს ნიმუშებიც,
ქალბატონმა თამარელამ კი თავისი გამოსვლის დასასრულ ისიც
აღნიშნა, რომ რობაი თავისი არსით ისეთ ღირებულებებს აქ-
ცევს ფორმულაში, რომ დღესაც ომარ ხაიამის მიერ განსაზღვ-
რული მეტრითა და არშინით იზომება ნამდვილი ადამიანობა.

ელგუჯა მარლიაც ავისა და კარგის, მტყუანისა და მართლის,
სიკეთისა და უკეთურობის ერთმანეთისგან უტყუარად გამმიჯ-
ნარი შემოქმედია, ვინც, **თემურ ნადარეიშვილის** თქმით, საო-
ცარი ოსტატობით აღწევს მიზანს — ოთხ სტრიქონში დაწურვას
ზოგადსაკაცობრიო სათქმელისა, და იმასაც, რომ ამ პატარა პო-
ეტურ ნიმუშებში, სადაც ყველაფერი ისედაც მნიშვნელოვანია,
კიდევ უფრო მთავარი გამოიტანოს და დაასათაუროს კიდევ
თავისი რობაიები. ამიტომაც დასძენს ბატონი თემური:

— აქ არაერთხელ ითქვა ბატონი ელგუჯას თავმდაბლო-
ბის, პიროვნული ღირსებების, მორიდებულობისა და
ჩრდილში დგომის შესახებ.

მე თუ მკითხავთ, ამ ჩრდილში დგომამ, გარიდებამ და
ფიქრიანობამ მიგიყვანათ რობაიმდე, რადგან არამოფიქრა-
ლი კაცი რობაის ვერასოდეს დაწერს.

*ამ ეპო-კარის მოდარაჯე ხეჭეჭურები,
რტოებს გიქნევენ ბავშვობიდან და გეძახიან.*

ასე ეფერება ბავშვობის მეგობარს **ნატო კორსანტიას**
ელგუჯა მარლია.

— იმდენჯერ ახსენეს ჩემდამი მოძღვნილი ლექსი, უფ-
ლებაც არ მაქვს, ჩუმად ვიყო, — შეხვედრის ბოლოს დუ-
მილს დაარღვევს ქალბატონი ნატო და იტყვის, — ეს ლექსე-
ბი მთლიანად აფხაზეთს ეძღვნება, ყველა იმ ადამიანს, ვინც
ეს ტკივილი საკუთარი მხრებით ზიდა.

ელგუჯა დაიბადა და გაიზარდა ენგურის პირას, სოფელ
ლიაში, საიდანაც აფხაზეთამდე სულ რამდენიმე მეტრია და
ამიტომაცაა, ამ ტკივილს ასეთი კვალი რომ დაუჩინებია მისი
სულისათვის.

მართო ამ მოძღვნაში არა, ნებისმიერ ლექსში დიდი ტკი-
ვილი და სათქმელია ჩატეული. ის არის მწერალი, რომელსაც
ლიტერატურა ძალიან უყვარს;

ის არის მოზიარეც სიხარულისა, კარგი წიგნის წაკითხვის
შემდეგ რომ ჩნდება — რაც ძალზე იშვიათი რამაა — და მიუყერ-
ძობელი შემფასებელიც არა მხოლოდ ამა თუ იმ წიგნისა, არა-
მედ საერთოდ, თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისაც.

ვახტანგ ბახტაძის თქმით, რობაიებსაც და, საერთოდ, ყვე-
ლაფერსაც მაშინ აქვს ფასი, როცა სამშობლოს უკავშირდება,
თანამედროვეობის სატკივარსა და სათქმელს არ სცდება.

— იცვლებიან ხელისუფლებანი, დრონი იცვლებიან, ტკივი-
ლი კი იგივე რჩება და მეც მინდა ომარ ხაიამის სტრიქონებით და-
ვამთავრო: „**სირცხვილი იმას, ვისაც ქვეყნად დიდება უნდა**“.

ომარ ხაიამის სტრიქონებით კი, იყო დრო, შუა ქუჩაში
დგამდა სპექტაკლებს ვახუშტი კოტეტიშვილი.

როსტომ ჩხეიძე გაიხსენებს:

როცა მის მიერ თარგმნილი კრებული გამოიცა, უცებ და-
უტაცია მკითხველ საზოგადოებას, მთელი ტირაჟი გამქრა-
ლა, არადა, აჩერებდნენ ქუჩაში თურმე, სთხოვდნენ, იქნებ
წიგნი ჩვენთვისაც მოგეძებნოსო, ის კი:

— წიგნი აღარ მაქვს და თუ გინდათ, წაგიკითხავთო.

და ასე, შუა ქუჩაში აცნობდა ომარ ხაიამის გაქართულე-
ბულ ნიმუშებს.

იკრიბებოდა ხალხი;

იზრდებოდა მსმენელთა რიცხვი;

თბილისური ხეებიც იწვდიდნენ რტოებს;

და რჩებოდა ამ პატარა ქალაქის ქუჩების ისტორიას პა-
ტარა, ექსპრომტად დადგმული მონოსპექტაკლებიც ვახუშ-
ტი კოტეტიშვილისა, თავისებურ მისტერიაში რომ ახვევდა
ისედაც სხვაგვარი ინტიმის მქონე სივრცეს.

ლია რუხაძე იმ დროსაც გაიხსენებს, პირველად რომ გა-
ეცნო ამ ნიმუშებს, როცა ბატონი ვახუშტი, თარგმანებთან
ერთად, სპარსულ ვერსიასაც უკითხავდა თავის სტუდენტ-
ებს — ასეც ახედებდა ახალგაზრდებს ენისა და მისი შესაძ-
ლებლობების ნიაღში.

— გამოგიტყდებით და... ქართული ჟღერადობა უფრო
მომწონდა.

მე მთარგმნელთა იმ თაობას მივეკუთვნები, ვახუშტი კო-
ტეტიშვილის ფრთის ქვეშ რომ გაიზარდა და ახლა, როცა ბა-
ტონ ელგუჯას ვუსმენდი, თითქოს მისი ხმა ჩამესმოდა.

ფიქრობდი იმასაც, რომ ამ რობაიებს თავისუფლად მო-
ანერდა ხელს თვითონ ომარ ხაიამიც.

იმითაც კი დავინტერესდი, ნეტა როგორ აჟღერდებოდა
ისინი სპარსულად. ასოციაციურად გამახსენდა ფირდოუსის
შესანიშნავი თარგმანი, ბელა შალვაშვილმა რომ აჩუქა ქარ-
თულ ლიტერატურას და რატომღაც აქ ისე არ დაფასებულა,
როგორც ირანში — პრემიითაც დაჯილდოვდა იქ.

დარწმუნებული ვარ, ელგუჯა მარლიას რობაიების თარ-
გმნას იმდენი დრო არ დასჭირდება, რამდენიც ფირდოუსს
ველოდეთ.

მალე ირანულ სივრცეშიც დატრიალდება ისინი, მიუბ-
რუნდება ხაიამის სამშობლოს, ეს სალექსო ფორმა რომ აჩუ-
ქა მსოფლიოს.

მანამდე კი...

მანამდე როსტომ ჩხეიძემ ასეთი რამ ისურვა შეხვედრის
ბოლოს:

როცა ეს რობაიები გამოიცემა, ისე დაიტაცოს მკითხ-
ველმა, ერთი ეგ ზემპლარიც არ შერჩეს ხელთ ავტორს;

ქუჩაში აჩერებდნენ ბატონ ელგუჯას;

წიგნის შოვნას სთხოვდნენ და ისიც...

ხმამალა კითხულობდეს და კითხულობდეს უკვე ქარ-
თული რობაის კვალზე შექმნილი ნიმუშებს.

პატარა სპექტაკლებს დგამდეს ქუჩაში, თავისებურ მის-
ტერიაში რომ გამოახვევს ახალი ათასწლეულის თბილისს.

— დეკლამატორობა, აკი არაერთხელ აღვნიშნეთ, შესა-
ნიშნავად გამოსდისო.

ჭეშმარიტად გულწრფელი

ლამაზად გაშლილ გემრიელ სუფრას ვუსხედვართ პატარა ბიჭები და პირდაღებულნი ვუსმენთ. მლერიან: ვანიჩკა კახიძე, თენგიზისა და ჯანოს მამა, ტუპია იაშვილი, სერგია დადვაძე, კაი კონია ლორთქიფანიძე (სეხნიისაგან განსხვავებულად ასე ეძახდნენ), კუსა ვაშაძე, კუკური ლორთქიფანიძე, ივანე ბაქრაძე, ოთარ ყიფიანი... მომიტევეთ, უთუოდ ვინმე გამომრჩა, ნახევარი საუკუნის წინანდელ ამბავს ვიხსენებ. პირდაღებულნი ვუსმენთ ქართულ ხალხურ სიმღერებს. თვალი რომ დახუჭო, სამოთხეში გეგონება თავი. მერე, ოდნავ რომ შეთვრებიან, სიმორცხვეს დასძლევენ და ივანე ივანიჩი (ასე მივმართავდი ყველა ჯანოს მამას) ნეაპოლიტანურ რომანსებს იმღერებს, უზარმაზარი ჯანისა და ბანის პატრონი სერგია დადვაძე — მეფისტოფელის კუბლეტებს „ფაუსტიდან“, ივანე ბაქრაძე „ურმულს“ დაანკრიალებს, კუკური ლორთქიფანიძე „ორთავ თვალის სინათლეს“ ჩახაუჭუჭებს, ოთარ ყიფიანი ძველებური რუსული „ჩაის ვარდით“ დაგვატკბობს. ეს მერე, როცა ოდნავ შეზარხობდებიან და, როგორც გითხარით, სიმორცხვეს სძლევენ (ვისი ან რისა ერიდებოდათ ნეტა? ნებისმიერ ევროპულ კონცერტს დაამშვენებდა ეს რეპერტუარი!), მანამ კი ქართული, მხოლოდ ქართული, მრავალხმიანი, საოცარი: ჯერ რამდენიმე სრულყოფილება: რამდენიმე „მრავალყამიერი“, მერე — იმერული სევდიანი და სალალობო წამოკრულები, მერე — კახური და მეგრული ტკბილი, გრძელი ჰანგები, თითქმის სიმფონიები; ბოლოს — აფხაზური და სვანური საცეკვაოები! სუფრიდან არ ადგებოდნენ, მხოლოდ ხელებს გაშლიდნენ და დარბაისლურად ირხეოდნენ. მათ ნახვას არაფერი სჯობდა.

ასე მგონია, ჯანოს სულში იმ უნიკალურმა ტალანტმა, რომელმაც შემდგომ საყოველთაო და საერთაშორისო აღიარება ჰპოვა, იმ ერთ-ერთი ქეიფის დროს გაიღვიძა. იმ ერთ-ერთი ქეიფის დროს დაადგა ორივე ფეხი ქართული ფოლკლორული მუსიკის იმ საფუძველს, რომელზეც შემდგომ თავისი დიდებული კარიერა რუდუნებით ააშენა. ასეთი მშვენიერი შენობა მხოლოდ მშობლიურზე დაყრდნობით შენდება. სხვანაირად ასეთი რამ არ ხდება. თორემ კახიძეების ოჯახში ძალდიც კი მღეროდა. ეზოდან შემოჩვეული ძალი ჰყავდათ. გაიგონებდა თუ არა წყლის გაფუჭებული ონკანის წივილს, მიიბრუნდა და ყმუილს ააყოლებდა. ამაზე თენგიზისა და ჯანოს დედა, უსაყვარლესი, ტკბილი და თბილი, უკეთილშობილესი და უკეთილესი, ყოველი ჩვენგანის დედაც (ჯანომ და თენგიზმა იციან, ჩვენგანში ვისაც ვგულისხმობ) დეიდა მარგალიტა არ დაიზარებდა, სადილის კეთებას თავს მიახებებდა, დერეფანში გამოვიდოდა და ძალს პირველ ხმას ეტყოდა. თენგიზის ბანიც იქვე აგუგუნდებოდა და ჯანოც ამ ხმოვანებას მეხუთე ხმას დააჯენდა. მხოლოდ მას შეეძლო ნებისმიერ, თითქოს გაჭედულ ხმოვანებაში კიდევ ერთი უნიკალური, მხოლოდამხოლოდ ჯანოსმიერი ხმის პოვნა. ასე მღეროდნენ, ვიდრე ძალის არ „მოსწყინდებოდა“.

მერე, ჯანო საგუნდო-სადირიჟოროზე რომ შევიდა, დაიწყო თავდაუზოგავი შრომა. ჩვენთან ფეხბურთსაც კი ვეღარ თამაშობდა, თუმცა ტექნიკითაც და საფეხბურთო აზროვნებითაც ყველას გვჯობდა, თითქმის პროფესიონალის დონეზე თამაშობდა. დრო აღარ ჰყოფნიდა. ოთხხმიან გუნდებს „ჩვენზე სწავლობდა“. ვიყავით ასეთი კვარტეტი: ჯანო,



ჯანულ კახიძე

თენგიზი, მე და ულამაზესი ტემბრის ტენორისა და წკრილა კრინის პატრონი გიზო ოთარაშვილი. დიდი სიამოვნებით დავდიოდით ამ მეცადინეობებზე მასთან, სახლში, რადგან სიმღერა და მუსიკაც უკვე შეგვაყვარა. არა მგონია, პროფესიონალთა გარდა, ახლა თექვსმეტ-თვრამეტი წლის ბიჭებმა ამდენი „იტანჯონ“. რას არ გვასწავლიდა. უფრო სწორად, რას არ უსინჯავდა კბილს. რატილის „მიდის გემი“, „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“, პფეილის „აღარ იძვრის“, იონა ტუსკიას ბრწყინვალე „ჩვენო სტალინ“, ბეთჰოვენის „გთხოვთ, დამინეროთ კანონი დო მაჟორში“, ჩაიკოვსკის „პიკის ქალის“ საფინალო ქორალი და სხვა. თითქმის ყოველდღე რამდენიმე საათს „გვანჯალებდა“. ვიდრე თავისას არ მიაღწევდა, არც კი შეგვასვენებდა. მაგრამ რაკი ასე შეგვაყვარა, ეს „საქმიანობა“ არცა გვლლიდა.

საგუნდო-სადირიჟოროზე მისი სწავლა დაგვირგვინდა არჩილ ჩიმაკაძის კანტატით „ქართლის ბალი“, რომელიც კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესრულდა. ჯანომ პირველად უდირიჟორა ორკესტრსაც და კაპელასაც. შემდეგ იყო თავდაუზოგავი შრომა კაპელაში, ასეთივე თავდაუზოგავი სწავლა ოდისეი დიმიტრიადის ხელმძღვანელობით, დახელოვნება მოსკოვში და ასე შემდეგ... ცხოვრებამ თავისი ქნა და თანდათან დავშორდით. თუმცა ადრე და, განსაკუთრებით, ამ ბოლო დროს, ყოველი კონცერტი შემდეგ შევდიოდი მასთან და ოფლში განუწულსა და სასიამოვნოდ დადლილს ახალ მიღწევას ვულოცავდი; ყოველ კონცერტს მართლაც ჰქონდა მისალოცი: რაიმე სიახლე, მოულოდნელობა, დახვეწილობა, სიმშვენიერე.

1999 წელს მიცემული ტელეინტერვიუ ჯანოს აღსარება მგონია. კადრში იჯდა საყვარელი, მოზღვავებული გრძნობებისაგან სუნთქვაჩქარებული და ოდნავ მორცხვი დიდი მანეტრო. ჟურნალისტის ბოლო შეკითხვაზე — მთელი ინტერვიუს განმავლობაში გულწრფელი იყავით თუ არაო, ჯანომ უყოყმანოდ უპასუხა: დიახ, გულწრფელი ვარო! დიახ, ჭეშმარიტად გულწრფელი იყო, რადგანაც მისთვის ცა გაიხსნა და უკვდავების, ყოველგვარი კომპლექსისაგან თავისუფალი ვარდისფერი გზა დაინახა. ამ გზას მხოლოდ ისინი მიუყვებიან, ვინც ყოველდღიურობაზეც და, რაც მთავარია, საკუთარ თავზეც მალა დგანან; თორემ ჯანოს ათქმევიანები: „ისეთი ერუდიცია არა მაქვს, როგორუდაც მოცუნებია; ან უკარება კაცის ერთგვარი ნილაბი მოვირგე, ისე მიჭი-

რავს თავი, რომ ადვილად არავინ მომეკაროს, არაფერი მასწავლოს, არაფერი გამიბედონო?“ დიახ, ეს გულწრფელი აღსარება იყო, რადგანაც იგრძნო, რომ ღმერთმა აღმაფრენის სპირალის უკანასკნელ, ბოლო წრეზე აიყვანა და არავითარი ადამიანური მისთვის უცხო აღარ იყო. განიწმინდა!! ასეთი გაუბრალოება და გასხივოსნება მხოლოდ უფლის რჩეულთ ემართებათ, მათ, ვინც ჯანოსავით ღრმად იცის მამულის სიყვარული, თავისი საქმეც, ქალის სიყვარულიც, მეგობრობაც და ქეიფიც. ქეიფიც — ნუ გაიკვირვებთ! რა ვიცოდით, თურმე ბედი სულ სხვა განსაცდელს უმზადებდა.

2001 წლის სეზონი რომ გაიხსნა, ტრადიციისამებრ, „აბესალომს“ დირიჟორობდა. საბედნიეროდ და სასიხარულოდ ოპერის დარბაზი გადატენილი იყო. ორკესტრის უკანასკნელი აკორდი რომ მიჩუმდა, ციდან რალაც ღვთიური ჰანგი მომესმა. მეგონა, მომეჩვენა, მაგრამ შევატყვე, სამარისებურ სირიუმში გატრუნული დარბაზიდან ჩემთან ერთად უსმენდა ამ ზეციურ ხმებს. ბოლო 50 წელია სეზონის გახსნა არ გამიცდენია და ასეთი რამ პირველად მესმოდა. სპექტაკლის მერე ჯანოსთან შევედი, ვკითხე: ეს ანგელოზთა გალობა იყო-მეთქი? დალილიმა და ბედნიერმა ეშმაკურად გაიღიმა და კმაყოფილებით მითხრა: დიდი ხანია ასეთი წერტილი მინდოდა დამესვა ამ ოპერისათვის, მაგრამ ვერა ვებედავდიო. ისეთ დიდებულ მანსტროსა და მუსიკოსს, როგორც ჯანსულე კახიძე იყო, აქვს ამისი უფლება. მივეფერე და მადლობა გადავუხადე ამ სრულქმნილებისათვის.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ძალიან ნიჭიერი თენგიზ ჩანტლაძე რომ გარდაიცვალა, წლისთავზე ტკივილნარევი ხუმრობით მივწერე: „მშურს შენი: ნამეტანი კარგმა „ბოვშეებმა“ მოიყარეთ-მეთქი მანდ თავი“.

ახლა ჯანოსიც მშურს.

**ბავშვობის მეგობრების სახელით
თამაზ ბოდარაძე**

მე რა მიხანარი:

ეს წერილი ჯანოს გარდაცვალებიდან პირველივე წლისთავისათვის დავეწერე. უნიჭიერესი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით მამის სახსენებელ კონცერტის დროს სავარძლებზე უნდა ჩამოერიგებინათ ჯანოსადმი მიძღვნილი გაზეთი, სადაც ეს წერილიც უნდა დაბეჭდილიყო. გაზეთი ვერ დაიბეჭდა?! (ჩვენსას რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებს!) დიდ მადლობას ვუხდის როსტომ ჩხეიძეს, რომელმაც შეთავაზება ბოლომდე არ მათქმევინა, წინადადება შემანყვეტინა და, მე დაგიბეჭდავო, მითხრა. ამდენი წელი უჯრაში მედო, მაგრამ იქიდანაც არ მასვენებდა ის სევდა, რომელიც ჯანოს წასვლით დამეუფლა.

80 წლის იუბილეს გილოცავ, ძმაო!

**17 მარტი: 30 აგვისტოს
ტრაგედიის გაბრძოლებად**

(ბალაკტიონ ტაბიძის დღე ქართულ უნივერსიტეტში)



სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, ლია კარიჭაშვილი

17 მარტს ქართული პოეზიის მეფის, ბალაკტიონ ტაბიძის, გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით ქართული უნივერსიტეტის წმინდა ილია მართლის სახელობის დარბაზში გაიმართა შეხვედრა მწერალსა და მეცნიერთან როსტომ ჩხეიძესთან. შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, პროფესორი ვახტანგ ბაშრელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის პროფესორები და სტუდენტები. შეხვედრა გახსნა ვახტანგ გურულმა, რომელმაც მოკლედ ისაუბრა ღონისძიების მიზანსა და მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ ბოლო წლებში (2012) გამოცემული მონოგრაფიული გამოკვლევა გალაკტიონ ტაბიძის შესახებ „კომპოზიციური ტრაგედიის ტრაგედიის ცხოვრების ქრონიკა“ ეკუთვნის როსტომ ჩხეიძეს, რომელმაც, ფაქტობრივად, თავი მოუყარა გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებულ უდიდეს მასალას, როგორც საარქივოს, ისე სამეცნიეროს, იქნება ეს სტატია, ესეი, ნარკვევი თუ მონოგრაფია და ახლიდან გამოკვეთა გალაკტიონ ტაბიძის მონუმენტური ფიგურა.

როსტომ ჩხეიძემ აუდიტორიას გააცნო თავისი ნაშრომის ძირითადი კონცეფცია: მკითხველის წინაშე გაცოცხლებულიყო გალაკტიონ ტაბიძე, დიდი პოეტი, რეჟისორი საკუთარი ცხოვრების დრამისა, რომლის ტრაგიკული ფინალი დიდ ტკივილად დარჩა ერის მეხსიერებაში. ბიოგრაფიული რომანი გალაკტიონის შესახებ, ისევე როგორც როსტომ ჩხეიძის სხვა რომანები, შეიქმნა ღრმა რწმენით იმისა, რომ დიდი ადამიანების პიროვნებას, ცხოვრებასა და ღვაწლს არ სჭირდება შელამაზება და მით უფრო ღირებულება იგი, რაც მეტად ასახავს რეალობას.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა XX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ-კულტურულ ყოფაზე, როგორც გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ფონსა და გარკვეულწილად განმსაზღვრელზეც, რადგანაც ამ უაღრესად ფაქიზი სულიერი სამყაროს პიროვნებაზე უშუალოდ აირეკლა ეპოქის სისასტიკე.

როსტომ ჩხეიძემ გამოკვეთა გალაკტიონის პოეზიის უმთავრესი ასპექტები, მისი ღრმა კავშირი ქართულ კლასიკურ მწერლობასთან და შემოქმედებითი პარალელები რუს და ფრანგ სიმბოლისტებთან. ყურადღება გაამახვილა იმ სიმბოლო-ალეგორიულსა თუ გამჭვირვალე მინიმნებებზე, რომლებიც ხშირად ერთგვარი შიფრია სტრიქონთა ნამდვილი შინაარსის ამოსაკითხად პოლიტიკური ქვეტექსტების გასახსნელად.

მწერალს სავესებით დამაჯერებლად მიაჩნია თეიმურაზ დოიაშვილის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომ გალაკტიონის ტრაგიკული აღსასრული თავისი მნიშვნელობით 1907 წლის წინამურის ტრაგედიის უშუალო გაგრძელებაა. ეს შეხედულება ლიტმობტივად გასდევდა მის საჯარო ლექციას. მან სიტყვა დაასრულა იმით, რითაც დაიწყო: გალაკტიონის გარდაცვალების დღე ამავე დროს მისი დაბადების დღეცაა.

ამის შემდეგ მომხსენებელმა უპასუხა სტუდენტთა შეკითხვებს. დასასრულ კი დარბაზში აუღერდა გალაკტიონ ტაბიძის ხმა, მისი „მთაწმინდის მთვარა“, რომლის წინასწარმეტყველური სტრიქონებიც („რომ ნაპყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი ...“) ჭეშმარიტება აღმოჩნდა.

შეხვედრა დაამთავრა სრულიად მოულოდნელმა პასაჟმა: უცნობმა პიროვნებამ, რომელიც სულ სხვა თავყრილობაზე დასასწრებად მიეშურებოდა, უნებურად ჩვენი დარბაზის კარი შემოხსნა და მომხსენებელს რომ თვალი მოჰკრა, ხმამაღლა განაცხადა: ბედნიერი ხართ, რომ ამ კაცს უსმენთო!

აუდიტორია მას ტაშით დაეთანხმა.

2015 წლის 17 მარტი ცოტა სევდიანი, მაგრამ მშვენიერი დღე იყო...

ლია კარიჭაშვილი

რიტა ბაინდურაშვილი

„ვითარცა მაგალითი მწყემსი კეთილისა და სოფლის მნათობისა“

„წარსული!.. ოჰ, რა დიდი სიტყვაა!.. ვიღაცა გიჟმა გულწრფელად სთქვა, წარსული ვის რაღად უნდა, საქმე ანმყოშიაო... მე კი ვიტყვოდი, თუ წარსული არ მექნება, ანმყოც შენ მოგახმაროს ღმერთმა და მომავალიც... ადამიანისათვის წარსული ნიადაგია, ანმყო — ჰაერი და მომავალი... თუ ძირი ცხოვრებისა წარსულშია, ეს ძირი არ უნდა გავახმოთ, წარსულს არ უნდა მოვსწყედოთ“...


რა საგულისხმოდ ჟღერს დღესაც ეს სიტყვები. დიდებული ადამიანების სიდიადე სწორედ ისაა, რომ მათი ნათქვამი და ნააზრევი, ნაფიქრი და ნამოქმედარი მხოლოდ იმ დროსა და ეპოქას კი არ ეკუთვნის, არამედ წლების, საუკუნეების შემდეგაც არ კარგავს მნიშვნელობას და გულსა და გონებას იმავე სიმწვავეთა და გრძნობით სწვდება.

ეს სიტყვებიც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩანერა სწავლულმა და მკვლევარმა მელიტონ კელენჯერიძემ გაბრიელ ეპისკოპოსისადმი მიძღვნილი შრომის წინასიტყვაობაში და წარსულისადმი „გრძნობა-პატივის“ განცდას დღესაც ძველებურად აღვივებენ.

მელიტონ კელენჯერიძე... ადამიანი, რომლის ცხოვრებაც და მოღვაწეობაც წინააღმდეგობით იყო სავსე... ადამიანი, რომელიც მთელი თავისი შეგნებით ქართული სულის და სიტყვიერების აღზევებას ემსახურა და ბრალს კი სლავოფილობაში სდებდნენ; ადამიანი, რომელიც მუდამ ქართული ეკლესიისა და სულიერების სამსახურში იდგა, მაგრამ ანაფორის ტარება საბედისწეროდ ექცა; ადამიანი, რომლის ცხოვრებაც ცნობა-არცნობის, აღიარება-უარყოფის ჭიდილი იყო და, მიუხედავად ამისა, ღრმად მოხუცებულაც, სანოლს მიჯაჭვული და უსახსროდ დარჩენილი, მაინც ქართული, ეროვნული სულიერებისთვის იღვწოდა...

დიდებული ადამიანები ხშირად უძეგლოდ იკარგებიან — ჩვენ ამ წერილით მისი ღვაწლის გახსენება გვინდა.

...თბილისის სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში განაგრძო და ქართული სათვისტომოს საქმიანობაში აქტიურად ჩაერთო. დიდი მუშაობა გაუწევია ქართული წიგნსაცავის შესაქმნელად, გამოუწერია გაზეთი „ივერია“, რომელსაც თვითონვე უკითხავდა ქართული წერა-კითხვის არმცოდნე სტუდენტებს; ქართველ და არაქართველ დაინტერესებულ სტუდენტთათვის საქართველოს ისტორიასა და ქართულ სიტყვიერებაში ლექციებს კითხულობდა, რომელთა საფუძვლზეც შემდეგ შეიქმნა მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაშრომი — „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“; კიევშივე დაასრულა სადისერტაციო შრომა „საქართველოს ეკლესია მე-18 საუკუნეში“ და 1894 წელს ღვთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი წარმატებით დაიცვა; შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში — როგორც პედაგოგი, ფოლკლორისტი და ავტორი სასკოლო თუ ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი სახელმძღვანელოებისა; 1894 წელს ქუთაისში დაარსებულ სასულიერო სემინარიაში ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიასა და საღმრთო წერილს ასწავლიდა, იყო სემინარიის საბჭოს მდივანი; იმავედროულად მოღვაწეობდა იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლებშიც და ეროვნული კულტურის დაცვისა და აყვავებისთვის, ქართული ენის უფლებისთვის იბრძოდა. თანამედროვენი მას აფასებდნენ „როგორც ძლიერ საჭირო კულტურულ ძალას“, რომელსაც „თავისი კალმითა და პრაქტიკული მოღვაწეობით თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა ქართველი ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის საქმეში“. ამ დამსახურებისთვის ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი გახდა.



მელიტონ კელენჯერიძე

განსაკუთრებით აღსანიშნავი მისი საქმიანობიდან ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ფოლკლორის შესწავლაში განუვლი შრომაა. მან „მნიშვნელოვანი ხული გაავლო“ არა მხოლოდ როგორც შემკრებმა რამდენიმე ათასი ხალხური ლექსისა თუ ზეპირი გადმოცემისა, არამედ როგორც მკვლევარმა, რომლის მეცნიერულმა ნაშრომებმაც თავის დროზე „ქართული აზროვნების შეჩოჩოლება გამოინვია“. ეს ნაშრომები მის პირად არქივშია დაცული და დღეს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. თავის დროზე მათი გამოქვეყნება ვერ შესძლო ავტორმა. 1913 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის წარდგენილი ხალხური ლექსების, ანდაზების, გამოცანების, სწრაფად გამოსათქმელების (ენის გასატყეხი), ლეგენდების, შელოცვებისა და ზღაპრების 24 რეეულის ზეპირსიტყვიერების კრებულად გამოცემა უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა, თუმცა ამან გული ვერ გაუტეხა მკვლევარს. იგი მიიჩნევდა, რომ „სახალხო პოეზია არის ერის ნაციონალური მისწრაფება, მისი ეროვნული მეოხის დამამტკიცებელი საბუთი და თუ ხალხს დაეინყადა, გაუქრა მისი (წარსულის) სოვნა, მისდამი სიმპატია, დაეკარგა ეროვნული შემეცნება, რომელიც არის პირველი ფაქტორი ერის გაძლიერებისა და თვითარსებობისა, რომელზედაც არის აგებული ყოველი ერის სიცოცხლე, — თუ ეს ყოველივე გამოქარდა ხალხის გონებიდან, მაშინ ველარაფერი ვერ დაიჭერს ქვეყანას დაცემისგან... თუ ხალხმა თავისი იდეალები, გმირები, პრინციპები დაივიწყა, თუ წარსული ველარ წარმოიდგინა, ველარ გაიხსენა, იგი სრულიად მოკვდება, გაქრება, რადგან დღეს ვერაფერს ვერ ხედავს სანუგეშოს“...

ხალხური პოეზიის ხიბლით და ზეგავლენით მას, ჯერ კიდევ ყმანვილს, თვითონაც უცდია ლექსების წერა. სახელმწიფო და საოჯახო არქივებში დაცულია მისივე ხელით მოწესრიგებული საქალაქდებები წარწერით: „ჩემი ლექსები, როდესაც ვიყავი 9 წლის“, „ჩემი ლექსები 10 წლის ასაკში“, ხოლო გვიანდელი ლექსები მის ნაშრომებშია გაბნეული და სავსეა სამშობლოს, მისი ბუნების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებათა სიყვარულით.

მელიტონ კელენჯერიძის მოღვაწეობაში ცალკე და ასევე ვრცელი თემაა მისი თეოლოგიური ნაშრომები, რომელთაგან გა-

მორჩეულია „საქართველოს საკათალიკოსო ისტორიის მოკლე კურსი“, რუსულ ენაზე გამოცემული „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე“ და ფუნდამენტური ნაშრომი „გაბრიელი — ეპისკოპოსი იმერეთისა“, რომლის გამოცემაშიც დიდი წვლილი ნიკო ნიკოლაძეს მიუძღვის. როდესაც მას ეს ნაშრომი წაუკითხავს, დანანებით უთქვამს: „ახლა კი ჩამთვალეთ უბედურად, რომ ამის გამოსაცემი ფული არ მაქვს“, და რამდენიმე დღეში მოუძიებია საჭირო თანხა.

უნდა აღინიშნოს ასევე მისი „საღმრთო სჯული ყმანვილთათვის“, რომლის ხელახლა გამოცემა დღესაც წაადგებოდა ჩვენს მოზარდ თაობას, და სხვა პედაგოგიური ნაშრომები, სასკოლო სახელმძღვანელოები, რომელთათვისაც დამახასიათებელია მარტივი, გასაგები ენით თხრობა. მათ შორის არის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ — საშუალო სკოლის V კლასის სახელმძღვანელოდ რომ იყო გამოზნული, და „სიტყვიერების თეორია“ და პრაქტიკუმი — „ქართული ქრესტომათია — კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა“.

ასეთი მრავალმხრივი და საინტერესო მოღვაწეობის მიუხედავად მელიტონ კელენჯერიძის ღვანლი სიცოცხლეში სათანადოდ ვერ დაფასდა. იგი მიუღებელი აღმოჩნდა არა მხოლოდ როგორც მოაზროვნე და სწავლული ქვეყნის ბოლშევიკური მთავრობისათვის, არამედ პიროვნულადაც — „როგორც ანაფორიანი“ თითქმის უსახსროდ დატოვეს. ეს დიდი განსაცდელი იყო დაუძღვრებული მოხუცისა და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახისათვის, თუმცა ეროვნული საქმის კეთება სიცოცხლის ბოლომდე არ შეწყვეტიდა. მისი შვილიშვილი, ქართული ფოლკლორის ასევე დიდი მოამაგე, ქალბატონი ცისანა ქოჩჩიაშვილი დღეს მონივნებით იხსენებს საამაყო ბაბუას, რომელიც შესახედად ძალიან მგვანებია აკაკი წერეთელს. სიცოცხლის ბოლო წლებში, სანოლს მიჯაჭვული, მეტყველება და ხელფეხნართმეული ბაბუის სარეცელთან შვილიშვილებს მორიგეობა ჰქონიათ დაწესებული — სანოლთან გაკრულ, დიდი ასობით ჩამოწერილ ანბანს და სასვენ ნიშნებს მოხუცი სწავლული ცალ ხელში გრძელი ჯოხით მიანიშნებდა თურმე და ისინიც ასე ინერდნენ მის ნააზრევსა და ნაკარნახევს... მეხსიერებაში ჩარჩენილი ეს კადრები და შემდეგ, მონიფულობაში გააზრებული ბაბუის შრომის ფასი და მნიშვნელობა მისი სახელის უკვდავყოფისკენ დღემდე უბიძგებს ქალბატონ ცისანას. საქართველოს ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის მიერ 2001 წელს გამოცემული „ქართული ფოლკლორის მოამაგენი — მელიტონ კელენჯერიძე“, გამომცემლობა „რაიოს“ მიერ 2005 წელს დასტამბული „ილოცე ბავშვო“ და სხვა ნიგნები, ასევე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მრავალი რეცენზია თუ პუბლიკაცია ამ ღვანლმოსილი მნივნობრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს აწვდის მკითხველ საზოგადოებას.

შარშან მელიტონ კელენჯერიძის დაბადებიდან 150 წელი შესრულდა. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა მისი ხსოვნის საპატივცემულოდ შესანიშნავი საღამო გამართა. საიუბილეო საღამო გამართა თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაშიც. 16 დეკემბერს კი ოუბილეს ქუთაისი მასპინძლობდა — ქალაქი, სადაც იგი პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას წლების მანძილზე აქტიურად ეწეოდა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ქვეყნისა და ქართული ეკლესიისადმი განუული მისი შრომა ასე შეაფასა: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან სიცოცხლე შესწირა ქართველი ერის სულიერებისთვის ზრუნვას და თაობებისთვის დარჩა ვითარცა მაგალითი მწყემსი კეთილისა და სოფლის მნათობისა“...

ლია კუხიანიძე

დაბირკეთ, მინდოდა მეტქვა...

(სახელდასელო შთაბეჭდილებაანი)

ბატონო როსტომ, დაგირეკეთ, მაგრამ — რაც ძალზე იშვიათად ხდება — აბონენტი გასულიაო, არადა, შთაბეჭდილების გაზიარება მსურდა „ჩვენი მწერლობის“ წლებანდელ მეექვსე ნომერზე. გადადებულ სათქმელს ბევრი რამ აკლდება და ამიტომ ვიფიქრე, მოკლედ მომეწერა.

ეს ნომერი ავტორებითა და თემებით ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ მე სამ წერილს გამოვყოფდი: თქვენს „26 ივნისის საიდუმლოდან... „მედაამდე“?! (ლია ნარილი როზა დევიდარიანს), „პორნიშალი განდებილი და გაყინული ტვის საიდუმლო“ (შახშიანავა თიამურ ბაბუნიანს მონობრაფიანსთან „ჯირომ საინეჯარი — ნამდვილი ბრძოლა“) და თამარ პახნიანის „ოთარ ჩხაიძის შესანდობარი“ (ერთი რკალი „ჩაი სოფლის ეტიუდაიდან“).

ამ სამმა წერილმა მე, მკითხველს, ერთიანობაში დამანახა წარსულის სიღრმეებიდან წამოსული, ათას წინააღმდეგობაგამოვლილი ქართული ლიტერატურის გზა, რომელიც დღეს — ტექნოლოგიების დაჩქარებული წინსვლის გამო — სულიერებას კიდევ უფრო გაუცხოებულ ადამიანთა გულებისკენ მძიმედ და ძნელად უნდა გაიკვლოს.

...რითი გამოიხატება ეს ერთიანობა და განვითარების რა ეტაპზეა ქართული ლიტერატურა?

მოგესხენებათ, ეს სერიოზული კვლევის საგანია, რაზეც იმათთან ერთად, ვისთვისაც მხატვრული ლიტერატურა ლიტერატურაზე მეტია, მეც მიფიქრია, თუმცა დღევანდელი სათქმელის ფორმის გამო, რა თქმა უნდა, მასზე ვრცლად ვერ შევჩერდები.

რა არის ლიტერატურა?

ჯერ კიდევ არისტოტელედან მოყოლებული ფიქრობს კაცობრიობის მოაზროვნე ნაწილი, ამ კითხვას ზუსტი პასუხი გასცეს, მაგრამ ამ საკითხისადმი მიძღვნილი შრომებისა და მასზე გამოთქმული მოსაზრებანი მხოლოდ შრომებისა და ლიტერატურაზე გამოთქმულ მოსაზრებათა ოკეანეა, რომელში შესულიც — თუ სწორი კურსი არ უჭირავს — დაიკარგება, უფრო სწორად, ჩაიკარგება. სწორი კურსის მექონეს კი აქვს შანსი, ნაპირზე გასულმა თავისი პასუხი გასცეს ამ კითხვას.

ლიტერატურა ერის მხატვრული ისტორიაა, როგორც ამბობენ, საზოგადოების თვითგამოხატვაა, ისევე, როგორც საუბარი — ადამიანისა, და ზოგადთან ერთად, რომელიც დიდი მწერლობისა და მწერლებისათვის, განურჩევლად ეპოქისა და წარმომავლობისა, საერთოა, იმ კერძოსაც გულისხმობს, მხოლოდ მისი ხალხის, ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე რომ დაეპისრებია და ისედაც მძიმე უღელს ქვეშარტი ხელოვანისა კიდევ უფრო ამძიმებს.

ამის ერთ-ერთი დასტურია ილიას „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (1892 წ.) და ჟან-პოლ სარტრის „რა არის ლიტერატურა“ (1948 წ.), მრწამსითა და პრინციპებით სრულიად განსხვავებულ ორ ავტორს ლიტერატურა რომ მოუმარჯვებია თავიანთ სამშობლოთა ბედისა და მდგომარეობის გასანალიზებლად. ერთს, ილიას, ამისთვის ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება უჩხრეკია, მეორეს, სარტრს კი — კლასობრივი.

ქართულ ლიტერატურაშიც, ჩვენნაირი ბედის ქვეყნების ლიტერატურის მსგავსად, მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს, სამშობლოს ბედუქუმართობაზე ფიქრი და მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა ლიტერატურულ ხუნდებად არ ქცეოდათ, ფრთოსან მერანს მოვლებულთ ყველანაირი საზღვარი გადაეღახათ და მსოფლიო ლიტერატურის გრანდებს შემატებოდნენ.

ილიას მიერ „აჩრდილს“ ნამძღვრებული ლაიბნიცის „ანწყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“ მხოლოდ ერთი პოემის ეპიგრაფი კი არ ყოფილა, არამედ მთავარი ლერძი მისი ღვნისა, რომელშიც, რა თქმა უნდა, ლიტერატურაც იგულისხმებოდა, და დრომ დაადასტურა, როგორც სხვა ყველაფერი, რაც მის სამშობლოს წაადგებოდა, ჩვენთვის ესეც უკვდავი და გზამკვლევი აღმოჩნდა. ე.ი.

სწორი კურსის განმსაზღვრელი, საწინდარი იმისა, სხვათა მოსაზრებების ოკეანეში შესულბმა, ყველასა და ყველაფრის შეძლებისდაგვარად გამცნობებმა, ტალღების ხეთქებისგან თავგზისა და სახის არ დამკარგავებმა ნაპირსაც ვუწიოთ და ჩვენი გაძლიერებულ-გამონრთობილი „მე“ სხვათა იმ „მე“ შევმატოთ, ილიას ნაწინანატრ საზოგადოებას ქვაკუთხედად რომ შეეხიდება.

ბატონო როსტომ, თქვენი ილიას გზით მავალთაგან მხოლოდ ერთი კი არა, მისი სულიერი მემკვიდრე ხართ. თქვენი დღემდე ნაღვანი წარსულისაგან ნაშობი ანმყო, უკეთესი მომავალი რომ უნდა შვას ანუ მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება მწერალმა, კრიტიკოსმა, მოაზროვნემ, მოქალაქემ ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრი გამოიყენოს წარსულის პირუთვნელი განჩხრეკა-განაწილებისათვის, არ გამოჩრეს დღევანდელ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების უმნიშვნელო ნიუანსიც კი, ყველაფერს მსოფლიო ლიტერატურის საზომით მიუდგეს, იმ ლიტერატურის, რომლის უმნიშვნელოვანესი მოვლენები და სახელები ისე მოარგოს ქართულ სინამდვილეს, გააქართულოს, სულ სხვა რაკურსით დაგანახოს ადრე დაწახული, იმაში დარწმუნებულმა, რომ უკეთესი მომავალს მსგავს პროცესებში გარკვეულ-ჩართული მკითხველებიც ქმნიან.

ძნელია, ძალიან ძნელი, ტრიალებდა შენი უბედრო სამშობლოს აჭრილ-აბურღული ყოფის მღვრიე მდინარეებში, იქ, სადაც სხვები დიდ-დიდ თევზებს ადვილად იჭერენ, და დავინყების ბურუსიდან გამოგყავდეს ბედისწერის შავ ყორანს შენირული მამულიშვილები იმედად, ძალად იმათთვის, ვისაც ის მოუცილებელი თვალბედითი შავი ყორანი ახლა უდგას კვალში, და მათი გაერთიანებაც საკუთარ მოვალეობად დაგიკისრება. გაერთიანება არამარტო შეხვედრებით, ურთიერთგაცნობით, არამედ ყველაზე მთავრით — სიმართლით. ისე, რომ არც ცხენი გყავდეს შეკაზმული და არც იმათ შეეპუო, ვისაც სიცრუის ნირვანა ურჩევნია მწარე სინამდვილეს, მიჩქმალულ სინამდვილეს, მით უფრო, როცა საქმე ეხება „დიდებულ სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩაანაწინა თავისი უკეთესი ფიქრი, ზრახვანი, გრძობაანი!..“ მაგრამ თუ არსებობს საბუთი მიჩქმალული სიმართლისა სიცრუის გამოსამყლავნებლად „...მართალს წინ რაღა ალუდგება! მაშინ თუმცა შევწუხდებით, მაგრამ მაინც პატივისცემითა და მწუხარებით თავს მოვიხრით მართლის წინაშე“ (ილია, „ქვეთა ღალადი“).

აღნიშნული ნომრიდან მოხმობილი თქვენი პირველი წერილის ტონი, სტილი, პატივისცემა ოპონენტისადმი კიდევ ერთი ნიშანია ქვემარტივი ლიტერატურისა და ლიტერატორის მთავარი პრინციპის — სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა, თუ მაინცდამაინც — ერთგულებისა.

ძნელია, ერთი სიცოცხლე და შემოქმედებითი ენერჯია ისე გაჰყო, როგორც აღვნიშნეთ, წარსულს თავისას მიაგებდე, ანმყოში ისტორიული და პოლიტიკური სიმართლის ერთმანეთისგან გამჩრევე-გამიჯნავი (სერუე ტინი „ისტორიული სიმართლე თუ პოლიტიკური სიმართლე?“) „ლიტერატურული კომერციონალიზაციის“ ეპოქაში შუშლილი მსოფლიო მასობრივი გემოვნების (უგემოვნების) მიუხედავად ყალბი მარგალიტებიდან ნამდვილს არჩევდე, რათა მარტო იმ სულიერ პროვინციალიზმს კი არ ავცდეთ, როცა სხვათა „აზრთა და მიმართულებათა ბრძოლა ჩვენში გადმოვიტანეთ და ვლამობდით ჩვენი ცხოვრებისათვის ძალად მოგვექცია თავზე, ვითომცა ჩვენც ნახირ-ნახირაო“ (ილია, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“).

სელინჯერი და მისი ჰოლდენ კოლფილდი, ჩაპლინი და მისი უნა ო'ნილი ერთი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული განდევნილის დრამაში ისე მიაქციო, ენით აუნერული სევდა დაგეუფლოს იმის გამო, რომ „...ვერც ვერავინ გეტყვის, სად მიდიან, სად მივრინავენ იხვები, როდესაც ტბა იყინება“.

ესეც ანარეკლი ქვემარტივი ლიტერატურისა და თამარ კახნიაშვილის „ოთარ ჩხეიძის შესანდობარი“. ხილული რგოლი ქართული ლიტერატურის სიცოცხლისა, სიჯანსაღისა, მარტო იმიტომ კი არა, ახალგაზრდა ავტორს საშიშროება რომ დაუნახავს იმისა, „გუმბათ-მორღვეულ სამშობლოს უცხო კულტურები რომ აწვიმს“, არამედ ის, საკუთარი იდენტობის დასაცავად, ზნეობრივ ორიენტირად, კედლად ოთარ ჩხეიძე რომ ეიმედება. ე.ი. ილიას გზით მავალთ მისი სახით კიდევ ერთი შემატებია, ესეც ქვემარტივი ლიტერატურისა და ლიტერატორის დამახასიათებელი ნიშანი — შვას მომავალი.

ერთხელ ბატონმა ოთარმა აღნიშნა, სადაც მე და როსტომი ვართ, ქვემარტივი ლიტერატურაც იქ არისო... ატყდა, მაგრამ რა ატყდა... რა ვუყოთ მერე?!

სიტყვა გამიგრძელდა, არადა იმიტომ გირეკავდით, მინდოდა მეთქვა, სადაც თქვენა ხართ, ქვემარტივი ლიტერატურაც იქ არის და მხოლოდ იქ-მეთქი.

P.S. ამ წერილის გამოგზავნამდე „ჩვენი მწერლობის“ ახალმა ნომრებმაც მომისწრო, რომელშიც კვლავ გრძელდება „მატიანე ქართლისა“, იმის ამბავს რომ გვიამბობს, „გოლგოთაზე ასული მონამისა, ამჯერად საქართველოს პირველი პრეზიდენტის სამოსში რომ გამოხვეულიყო“, და კიდევ სხვისა, რომლის პორტრეტიც, მიუხედავად გარეგნული სიმპათიურობისა, ასე რომ შვავს ჯოტოს იუდას („იუდას ამბორი“), მტრებს რომ გაგიმრავლებთ და ცილისწამების ახალ ტალღებს ააბობოქრებს, მაგრამ ილიას გზაზე მავალისათვის, რომელსაც ღრმად სწამს და სხვესაც აჯერებს, რომ ერი — უპირველესად კულტურაა, და მხოლოდ წარსულის სიმართლით კვლევა და ანმყოს მართებული აღწერა ნაადგება ქვეყნის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ეს თქვენც იცით და თქვენმა მკითხველმაც. ამისი არც თქვენ გემინიათ და არც თქვენს მკითხველს. ქვემარტივი ლიტერატურა, აბა, სხვა რაა!..

ჩვენი ფოსტა

ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს ძველ, მონატრებულ ნაცნობებს ხელახლა შევხვდი. და ეს მაშინ, როდესაც ჩემს მიერ შექმნილ ნიგნებს შორის ერთდროულად აღმოჩნდა **ნაირა გელაშვილის** თხზულებათა მე-15 ტომი — სადაც სხვა მასალებთან ერთად შესულია მის მიერ გერმანულიდან თარგმნილი და პეისადაც გადმოკეთებული რომანი **გრიგოლ რობაქიძის „გრალის მცველი“** — და **ბონდო არველაძის „მწერლის ბედისწერა (საქმე №119-12028-508)“**, აგებული ძიების მასალებზე, **გიორგი შატერაშვილის** დაკითხვის ოქმებზე, რომელიც 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალებისას მოხდარი ხანძრის შედეგად ერთიანად განადგურდა ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობაში, ასე რომ, ამ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას პირველწყაროს მნიშვნელობაც ენიჭება და ძვირფასი მასალაც იქნება გიორგი შატერაშვილზე ბიოგრაფიული რომანის შემქმნელის ხელში.

ავტორის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ეს თხზულება პირველად გამოქვეყნდა გორის სალიტერატურო აღმანახის „**კლდეკარი**“ ფურცლებზე (1998, №3-4).

ხოლო ნაირა გელაშვილის ნამუშევრისათვის დართულ გამოცემლის შენიშვნაში გახსენებულია, რომ ეს რომანი პეისად გადმოკეთდა 1988 წელს **აკაკი ბაკრაძის** თხოვნით, ხოლო სპექტაკლად განახორციელა **დავით ანდლულაძემ** მარჯანიშვილის თეატრში (პრემიერა შედგა 1989 წლის 16 ივნისს).

ცოტა გულს დამაკლდა, რომ აქვე არ არის მითითებული მისი პირველი პუბლიკატორის ვინაობაც: **ოთარ ჩხეიძის**, ვინც გამოაქვეყნა რომანის ეს დრამატურგიული ვერსია ახალდაარსებულ „კლდეკარში“ (1991, №1-2).

სხვათა შორის, ამ ჟურნალშივეა დაბეჭდილი ფრაგმენტიც **გივი მარგველაშვილის** რომანიდან „**მუცალი**“, ამავე ტომში რომ არის განწეორებული.

ეს ბარათი, ცხადია, სასაყვედუროდ არ დაწერილა, ანკი საყვედურისათვის როგორ მომბრუნდება ენა ჩემი საყვარელი მწერლის ნაირა გელაშვილის გამოცემლის მისამართით. უბრალოდ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რაოდენ კარგი საქმე იყო 90-იან წლებში და ახალი ასწლეულის გარიჟრაჟზე გორის ამ სალიტერატურო ჟურნალის არსებობა (მისი დაარსებისათვის მადლიერების გრძობით როგორ არ გავისწენოთ ქალაქის იმჟამინდელი პრეფექტი **ომარ ჩუბინიძე**) და რაოდენ გამოადგებათ მკვლევარებს „კლდეკარისეული“ პუბლიკაციები. ის კი არა, საგანგებო მონოგრაფიაც შეიძლება მიეძღვნას ამ ჟურნალს და იქნებ არაერთიც.

თეიმო ჩიტაძე
ჟურნალისტი

იოსებ ჭუმბურიძე

ოცდაორი ბულბული და ერთი დირიჟორი

სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა და ტელეკომპანია „იბერია“ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა. მალე ის მაუწყებლობას „სრული სვლით“ დაინწყებს. ერთ-ერთი გადაცემა, რომელიც მაყურებელში განსაკუთრებულ ემოციას აღძრავს, ჰოლანდიურ ანსამბლს „სლაფის“ დაეთმობა.

ეს ანსამბლი „იბერია TV“-ს უთუოდ ღმერთმა გამოუგზავნა.

ასეთ წყალობას კი უფალი ყველასთვის არ იმეტებს...

უფრო „იბერიული“ ანსამბლი და, შესაბამისად, გადაცემა ძნელად წარმოსადგენია.

სლაფი ბულბულს ნიშნავს.

ანსამბლში ოცდაორი ბულბულია, ოცდაორი მოყვარული მომღერალი.

ოცდამესამე ხელმძღვანელია — პროფესიონალი მუსიკოსი, დირიჟორი, არანჟირების ოსტატი ივო ბოსვაიკი.

რას ასრულებენ? — ბოსნიურ, უკრაინულ, ბულგარულ, რუმინულ, სომხურ ხალხურ სიმღერებს, განსაკუთრებით კი, თვითონ ამბობენ, ქართული ფოლკლორი მოსწონთ.

გადაცემაშიც მხოლოდ ქართულს (მათ შორის, მეგრულსა და ლაზურს) იმღერებენ.

რომ არ თქვან, ქართული განსაკუთრებით მოგვწონს და გვიყვარსო, ეს ისედაც აშკარაა. ისე გულისწამლებად მღერიან და შესრულებაში ისეთ სიყვარულს აქსოვენ, რომ შეიძლება დაგავინყდეს კიდევც, უცხოურ ანსამბლს რომ უსმენ...

ამიტომაც მომიწინაა, გადაცემის ჩაწერისას, მათთვის ასე მიმემართა: „დიდი მადლობა არა მხოლოდ იმისთვის, რასაც თქვენგან ვისმენთ, არამედ იმისთვისაც, რასაც ვხედავთ, რაც სახეზე განერიათ. თქვენ არა უბრალოდ მღერით, არამედ გრძნობთ და გიყვართ ქართული სიმღერა. დიდი მადლობა ამ სიყვარულისთვის. ბატონმა ივო ბოსვაიკმა თვითკრიტიკულად ბრძანა, ჰოლანდიელებს ზოგჯერ, საკუთარზე მეტად, სხვისი კულტურა გვიყვარსო. ზოგჯერ ქართველებსაც გვემართება ასე. ამიტომ, როცა ამ გადაცემას ქართველობა „იბერია TV“-ის ეთერით იხილავს, მიწა, ცოტათი მაინც შერცხვეს იმის გამო, რომ ბოლომდე მაინც არ ვიცით, რა განძის პატრონი ვართ“.

მეორე დღეს თამარ ყალიჩავა მეტყვის: „ბატონო სოსო, გუშინ ძალიან საინტერესო სახე გქონდათ, ჰოლანდიურ ანსამბლს რომ უსმენდით. მარინე ტურავა თქვენკენ სპეციალურად გამოგახედე, მასაც რომ ენახეთ“.

უკეთესი არგუმენტი რა გინდათ ანსამბლის შესაფასებლად- მათი მოსმენისას, მეც კი საინტერესო სახე მქონია.

მთავარი კი ის არის, რომ მთელი დარბაზი საინტერესო სახეებით იყო სავსე. ცრემლსაც ბევრის თვალებზე შენიშნავდით.

მაინც როგორ მღეროდნენ და გამოთქვამდნენ: „ჩაივლი მტკვართან ხეივანს“... „შენ ჩემს გულს ველარ მოიგებ, ჩემი სათქმელიც ის არი“... „მატილის ასულო, ლერწამო ტანითა“...

ელგუჯა მარლია მთელი სერიოზულობით ირწმუნებოდა, რომ მეგრულ და ლაზურ სიმღერებს კიდევ უფრო სწორად მღეროდნენ.

რაც შეეხება მარინე ტურავას, საკუთარი შთაბეჭდილება იმავე საღამოს სოციალური ქსელის მომხმარებლებს გაუზიარა. აი, ისიც:

„ჰოლანდიური ანსამბლის ქართულ სიმღერებს მოვუსმინეთ ტელეკომპანია „იბერიას“ გადაცემის ჩაწერაზე... არა მხო-



ივო ბოსვაიკი (ჰოლანდიური ანსამბლის „სლაფი“ ხელმძღვანელი)

ლოდ საოცარი პროფესიონალიზმით ასრულებდნენ, არამედ დიდი სიყვარულითა და სითბოთი. ისე გამოთქვამდნენ „ანწყოთუ არა გწყალობს, მომავალი შენიაო“, თითქოს ჩვენსავით ტკიოდათ ჩვენი ანწყოცა და მომავალიც“...

ანსამბლის ხელმძღვანელს რამდენიმე შეკითხვაც დაუსვს:

— ყველაზე მეტად, რა გხიბლავთ ქართულ სიმღერებში?

— უნიკალური პოლიფონია და ჰარმონია...

— მთავარი სირთულე?

— ქართული ენა... ძალიან რთულია.

არადა, როცა მღერიან, სულაც არ იგრძნობა, რომ ენა რაიმე დაბრკოლებას უქმნით.

არა უშავს, იმღერონ და „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენასაც“ ბოლომდე შეიგრძნობენ, მასაც ქართულ სიმღერასავით შეიყვარებენ და რთულიც აღარ მოეჩვენებათ.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რაზეც ყურადღება როსტომ ჩხეიძემ გაამახვილა: იმ ერთმა საღამომ, ერთმა სატელევიზიო გადაცემამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ხელოვნება ყველაზე კარგი პოლიტიკაა.

მართლაც, რამ შეიძლება დაახლოვოს ერთმანეთისგან სამიათას ხუთასი კილომეტრით დაშორებული ორი ქვეყანა უფრო მეტად, ვიდრე სიმღერამ, თანაც როგორმა სიმღერამ — „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“...

არა, ეს ანსამბლი საქართველოს უთუოდ უფალმა გამოუგზავნა.

ტელეკომპანია „იბერიასაც“...

დასაწყისში ამ არაჩვეულებრივ მომღერლებს „მოყვარულები“ ვუნოდე. ამას თვითონ როგორ გაგებდავდი, პრეს-რელოზში სწორედ ასე რომ არ ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი. არადა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლის — „სნოს“ ხელმძღვანელმა ქეთი ნიკლაურმა მათ მაღალი რანგის შემსრულებლები უწოდა. აქ კი მივადევით სათქმელს, რომლის აღუნიშნობაც დიდი უსამართლობა იქნებოდა: სწორედ ქალბატონი ქეთის დამსახურებაა, ოცდასამი ჰოლანდიელი ბულბულის ქართულად ამღერება და შესრულებაში ასეთი მაღალი დონის მიღწევა. როგორ მღერიან, როგორ უყვართ, როგორ განიცდიან?! ამ გაგებით, ისინი, რა თქმა უნდა, მოყვარულები არიან — ქართული სიმღერისა და უკვე მთელი საქართველოს მოყვარულები...

დავით ჭელიძე

პირველი ქართველი დიდოსტატი

ბუხუტი გურგენიძე მთელი თავისი არსებით მოჭადრაკე იყო, სულ ახალგაზრდობიდან ფიზიკურად დაუძღურებამდე.

იგი მაშინ გამოჩნდა საჭადრაკო არენაზე, როდესაც ხუთწლიანი, დამანგრეველი (ფიზიკურად თუ მორალურად) ომის შემდეგ ქართული ჭადრაკი ფენს იკიდებდა ჭადრაკის სამყაროში, როცა ინყებოდა ხელახალი, უფრო მძლავრი აღორძინების პროცესი.

50-იანი წლები იდგა. 17 წლის ბუხუტი გურგენიძე შეუპოვრად მიიწვედა მიზნისკენ — სპორტის ოსტატი გახდა თუ არა, ავტომატურად სათავეში ჩაუდგა საქართველოს ნაკრებს და თითქმის ოცდაათი წელი იგი იყო ქართველი მოჭადრაკეების ლიდერი, პირველი ვიოლინო...

ამ ენერგიული, პატიოსანი, ალალი მოჭადრაკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1955-59 და 1965-70 წლები, როცა მან ბევრ დიდ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ფინალებში. ხოლო რას ნიშნავდა ეს, ადვილი ასახსნელია — ამ ტურნირებში თავს იყრიდა მთელი მსოფლიოს საჭადრაკო ელიტა.

მაგალითად, 50-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1958 წლის საკავშირო ჩემპიონატში ბუხუტი გურგენიძემ დაამარცხა ბორის სპასკი, მარკ ტაიმანოვი, ალექსანდრ ტოლუმი, ქულა გაიყო ტიგრან პეტროსიანთან, დავით ბრონშტეინთან, იური ბოლესლავსკისთან, ეფიმ გელერთან... სამწუხაროდ, ფინიშზე იგი გადაიღალა და რამდენიმე პარტიაში თავისი ჩვეული შემართება ვერ გამოიჩინა, რის გამოც ვერ შესწვდა საერთაშორისო დიდოსტატობას.

მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ სსრ კავშირის ხალხთა 1959 წლის სპარტაკი-ადაზე საქართველოს პირველ დაფაზე მოთამაშე ბუხუტი გურგენიძემ მეორე ადგილი დაიკავა და უკან ჩამოიტოვა მიხეილ ბოტვინიკი, მიხეილ ტალი, ეფიმ გელერი და სხვა ცნობილი და უძლიერესი დიდოსტატები.

და აბა, ვის გაუკვირდებოდა ბუხუტი გურგენიძის გამარჯვება საქართველოს 1965 წლის ვაჟთა პირველ საერთაშორისო ტურნირში, სადაც იგი მართლაც ჭეშმარიტი დიდოსტატის მთავარი მემკვიდრე იყო.

მაგრამ როგორც ბუხუტი გურგენიძისთვის, ისე მთელი საქართველოს ჭადრაკის სამყაროსთვის უმნიშვნელოვანესი იყო მისი გამარჯვება პირველი ქართველი ოსტატის ვიქტორ გოგოლიძის პირველ მემორიალში, რომელშიც მან პირველი-მეორე ადგილები გაიყო მსოფლიოს ექსჩემპიონ მიხეილ ტალთან ერთად და, რაც ყველაზე მთავარია, ამ გამარჯვებით მან საერთაშორისო დიდოსტატის ნოდება მოიპოვა. ასე გახდა ბუხუტი გურგენიძე პირველი ქართველი საერთაშორისო დიდოსტატი. ხოლო იმ დროს ნებისმიერი ნოდების, მით უმეტეს, საერთაშორისო დიდოსტატობის მოპოვება, ურთულესი საქმე იყო.

მაინც, რითი დაიმსახურა ქართველმა მოჭადრაკემ ეს აღიარება? მოდი, ამისთვის ჩვენი ღვაწლმოსილი საჭადრაკო მოღვაწე და ჟურნალისტი, მრავალი წიგნის, მათ შორის „ქართული ჭადრაკის მატინის“ სამცხომეულის ავტორი, ბატონი თენგიზ გიორგაძე შევახსენოთ:

— ბუხუტი იყო თვითმყოფადი ნიჭის, ორიგინალური, ანალიტიკური აზროვნების შემოქმედი. საკუთარი თვალთახედვა ჰქონდა, მუდამ ახლის მაძიებელი იყო. საინტერესო იდეები ჰქონდა დებიუტში, კერძოდ, სიცილიურ, კარო-კანისა და უფიმცევის დაცვაში. მან დაამუშავა სადებიუტო სისტემა, რომელსაც სამართლიანად უწოდეს „გურგენიძის დაცვა“, — გვითხრა თენგიზ გიორგაძემ.

— მას ჰქონდა ტაქტიკურ-კომბინაციურთან შეზავებული აქტიურ-პოზიციური სტილი. ხშირად იგი არ დაგიდევდათ გარეგნულ ეფექტებს, მაგრამ დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა მისი უხინჯო პოზიციური თამაში, რისთვისაც არაერთხელ დაუჯილდოვებიათ საგანგებო პრიზებით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონი ბუხუტის მოღვაწეობა სამწვრთნელო ასპარეზზე. მაგალითად, დიდა მისი წვლილი ცნობილი ქართველი დიდოსტატის, მსოფლიოს ორგზის ვიცეჩემპიონის ნანა ალექსანდრიას წარმატებებში. ნანასთან მან თერთმეტი გრძელი წელიწადი იმუშავა. ბატონი ბუხუტი ეხმარებოდა, აგრეთვე, სხვა ქართველ დიდოსტატ ქალებს, ახალგაზრდა მოჭადრაკეებს, რისთვისაც 1967 წელს მას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნოდება მიენიჭა.

მაგრამ ბატონ ბუხუტის არასოდეს მიუტოვებია აქტიური ჭადრაკი. ამ ორიოდ წლის წინათაც კი, როცა მძიმე ავადმყოფობის გამო სიარული უჭირდა, მონაწილეობა



ბუხუტი გურგენიძე

მიიღო საქართველოს ჩემპიონატში. იმ ტურნირში ერთი კურიოზული ამბავიც მოხდა. დიდოსტატი მოზარდ მოჭადრაკეს ეთამაშებოდა და დიდი უპირატესობა მიიღო. მეტოქე კი არა და არ ნებდებოდა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, ვერც პატი რომ ვერ ჩაეროდა საქმეში და ვერც ცუგცვანგი. ასეთ პარტიებს თავმოყვარე მოჭადრაკე აღარ აგრძელებს. აღმოვითდა ბატონი ბუხუტი, გინდა თუ არა, რატომ არ მნებდებო. მსაჯებს მიმართა, ასწავლეთ ამ ბავშვს, ასეთ დროს როგორ უნდა მოიქცესო. არადა, ხომ ვერავის დააძალებ, გინდა თუ არა, საათი გააჩერეო.

1989 წელს ესპანეთში, ბალეარის კუნძულებზე, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართა. იმ დროს საჭადრაკო გაზეთი „მერანში“ ვმუშაობდი და ამ ტურნირზე მიმავლინეს. ბედმა გამიღიმა, რომ ბატონ ბუხუტისთან ერთად ვიყავი ნომერში. ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით 20 დღეს მაინც ვიყავით კუნძულზე. მოსკოვიდან ჩაფუთნულები წავედით, იქ კი, ხმელთაშუა ზღვაში შუა ნოემბერ-დეკემბერში ბანაობდა ხალხი, განსაკუთრებით ამ ტურნირზე ჩასული რუსობა.

და ის ოცი დღე ღრმად ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ბატონი ბუხუტი იყო ჩუმი, მოკრძალებული ადამიანი, ხმამაღალ სიტყვას რომ არ იტყოდა, სადღიზე ცნობილ ესპანურ ღვინოს არ ეტანებოდა, ნომერში თბილისიდან წამოღებული კონიაკი ჰქონდა და იმას წრუპავდა ხოლმე, მაგრამ ხანდახან, რადგან იგი ამ ტურნირში მონაწილეობდა და პარტიაზე სათამაშოდ საღი გონება იყო საჭირო.

ჩემი თხოვნით, მრავალი ისტორია მიამბო მსოფლიოს გამოჩენილ დიდოსტატებზე, მათ ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე. ბუნებრივია, კაცები ვიყავით და ისეთი ეპიზოდებიც გაიხსენა, რაც საჯაროდ არ ითქმის. დინჯად საუბრობდა, უემოციოდ, მაგ-

რამ ძალიან საინტერესოდ, შიგადაშიგ ჩაიღიმებდა ხოლმე, თვალები აუციმციმდებოდა.

გაუთავებლად ეწეოდა, რა ვქნა, ამ ჭირს ვერაფრით შევევლიე, არადა, ვგრძნობ, ეს მომიღებს ბოლოსო. ამას განსაკუთრებით მაშინ იტყოდა, როცა წამოახველებდა ხოლმე.

მაღაზიებში სიარული ჭირის დღესავით ეზარებოდა, მაგრამ ხომ უნდა შესულიყო, საჩუქრები ხომ უნდა ეყიდა. მისი ქალიშვილი (ისიც იქ იყო, ტურისტად) ჩაავლებდა ხელს და ისიც ბუზლუნ-ბუზლუნით გაჰყვებოდა ხოლმე.

ბოლოს ვედარ ითმენდა, ნოსტალგია მოეძალა, თავისი სახლი და კარი, მეგობრები მოენატრა, თუმცა ამას ასე გამოკვეთილად არ ამბობდა, უბრალოდ, ეტყობოდა, ბოლოსკენ როგორღაც აფორიაქებული ჩანდა... არადა, იქ, თავისუფალ ქვეყანაში, არაჩვეულებრივ კუნძულზე ყოფნას რა სჯობდა, მაგრამ, არა, სამშობლო მაინც სხვა რამ არის, თუნდაც დაპყრობილი, დამცრობილი...

სწორედ იმ წელიწადს იყო ბუზუტი გურგენიძე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი და ჭადრაკის სასახლის დირექტორი, მაგრამ ჩინოვნიკობა მისი საქმე არ იყო და მანაც მიატოვა ორივე პოსტი. მაინცდამაინც ვერც პატრონობდა ამ დარგებს, რადგან თავისუფალი კაცი იყო, შემოქმედი და ფრთებშეკვეცილ ცხოვრებას ვერ შეეგუა.

„იგი მთელი თავისი ცხოვრება ერთგულად ემსახურებოდა ქართულ ჭადრაკს. მაშინაც კი, როცა ბედმა უშუბთლა და დიდი ტკივილი აწვინა, მას არ უღალატია თავისი მონოდევისთვის, განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას“ — ვკითხულობთ ერთ-ერთ წერილში, რომელიც ბუზუტი გურგენიძის 60 წლის იუბილისთვის დაწერა.

ისე, საგულისხმოა, გარდაიცვალა თუ არა (2008 წელს), ბატონი ბუზუტის ნეშტი ჭადრაკის სასახლეში დაასვენეს, რადგან მას... ბინა არ ჰქონდა, როგორც ბევრს, მასაც წაართვეს ბინა და ეგებ ამანაც მოუსწრაფა სიცოცხლე...

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

ყაყარო — ალდგომის სიმბოლო

რამდენადაც Fb-ს სივრცე დაიპყრო ლადო ასათიანის ცნობილი ლექსის ლევან ბერძენიშვილისეულმა შეფხვებამ, რომ ეს ლექსი „მკვდრადმოხილია“, მინდა ზოგადად შევეხო კრწანისის ბრძოლის ისტორიული ნარატივის პოეტურ რეცეფციას.

სამასი არაგველის თემა საბოლოო ჯამში მაინც ზოგადკაცობრიულია. იგი რაციონალურად ვერ აიხსნება - თუკი მონინა აღმდეგე დაახლოებით 20-ჯერ მაინც აღგემატება ცოცხალი ძალითაც და შეიარაღებითაც, რა აზრი აქვს ფრონტალურ ანუ თანამედროვე სამხედრო ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სიმეტრიულ დაპირისპირებას? რასაც შედეგად მოჰყვა ამხელა მსხვერპლი და ტრაგედია? თბილისი კი ალა-მაჰმად-ხან ყაჯარის ურდომ მაინც გადაწვა. ანუ გალერული მსხვერპლი არანაირად არ არის პირდაპირპროპორციული უშუალო შედეგისა. შესაძლოა მავანი ტაქტიკოსის მიერ ისიც ითქვას, რომ პარტიზანული ბრძოლა ან სულაც მტრის მხარეზე მოჩვენებითი გადასვლა და მერე მისთვის ზურგში მახვილის ჩაცემა უფრო ეფექტურიც ყოფილიყო.

აქვე სიტყვამ მოიტანა და ერთ პარალელს გავავლებ მე-20 საუკუნის შვეიცარიული ისტორიიდან: როდესაც შიტლერული რაიხის მხრიდან ნეიტრალურ შვეიცარიამი სამხედრო შემოჭრის საფრთხე რეალური გახდა, გენერალმა გიზანმა, ჰელფეტიური კონფედერაციის არმიის მთავარსარდალმა შემოუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც არმია მიდიოდა მთებში და იქ უნდა გამაგრებულიყო ხეობებსა და ბუნკერებში. შვეიცარია შიტლერულ ინვაზიას გადაურჩა, თუმცა ომის დასრულების შემდეგ გაზეთებმა არაერთგზის დასვეს კითხვა: კი მაგრამ, ალპებში რომ იხევდით, ვის უტოვებდით ბერნს, ბაზელს, ციურიხს და ვაკეზე განლაგებულ სხვა ქალაქებს?

ერეკლეს მიზანი კი კარგად ჩანს ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ ლექსში, როდესაც მეფე არაგველებს ასე მიმართავს: „ნუ გამომიტყუნებთ იმედსა, / თქვენს მკლავებს ვენაცვალებო, / თუ წაგვიხდენენ თბილისსა, / სჯობს დავითხაროთ თვალები“.

ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ კრწანისის ველზე ქართული ჯარიდან მხოლოდ სამასი არაგველი მეომარი ჩანდა. ჯერ ისიც საკითხავია, ზუსტად სამასნი იყვნენ თუ არა, თუ ეს მხოლოდ რალაცნაირი ისტორიული ალუზიაა სამას სპარტელზე, რომლებმაც თავიანთი თავგანწირვით თერმოპილეს ვიწრობებში საკმაო ხანს გააჩერეს ქსერქსეს უზარმაზარი მრავალეთნიკური არმია. მუხედავად იმისა, რომ სპარსელებმა მაინც გადაწვეს ათენი, ბერძნებმა ამასობაში ხელახლა ფორმირება მოასწ-

რეს. ათენის და სხვა პოლისების ფლოტმაც სრულიად ახალი ტაქტიკით იწყო მოქმედება. სამასი არაგველის უკან კი მხოლოდ თბილისი, არანაირი სხვა სამხედრო მოქმედებები და გეგმები არ შეიმჩნევა. მოხუცი მეფე ერეკლე, რომელიც ბრძოლის ველს ძალით გამოარიდეს, მიჰყავთ დუშეთში, სადაც მან მხოლოდ თბილისის გადანვის ფაქტი უნდა მიიღოს მხედველობაში.

კრწანისის თავგანწირვა კი სხვა რამეზე მიანიშნებს: ადამიანთა ჯგუფი იცავს განზრახვას, იდეას და ეს იდეა ქრისტიანული სოციალური ორგანიზმის გადარჩენა, ასევე მისი სამომავლო ფორმადქმნაა. იმ ქრისტიანობისა, რომელიც ცდილობს, რომ სულიერიდან განხორციელდეს ფიზიკურში. ეს გათავისუფლებული სულიერ-კულტურული ცხოვრებაა, სამართლიანობაზე დაყრდნობილი ეკონომიკაა, კანონის წინაშე თანასწორობაზე აგებული სახელმწიფოს ფუნქციონირებაა. იმ დროს ეს, ცხადია, არ არის პირდაპირ მოცემული, სახელმწიფოც დაკნინებულია და კულტურაც, მაგრამ განზრახვის სახით ეს იდეა ხომ მაინც არსებობს. თუმცა მეფე პირდაპირ სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა. მისი დაცვა სამშობლოს დაცვას ნიშნავს. სამასნი კი ერთგულნი არიან ერთმანეთისა და იდეისაც, ისევე როგორც სპარტელები თერმოპილეში.

სპარტელებმა მათ საფლავზე წარწერილი სიმონიდეს ლექსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კანონის ერთგულება დაიცვეს. არაგველებმა კი ქრისტეში სიკვდილი იჩინეს და ისე დაწერეს ისტორია. როგორც ცნობილ ევროპულ ქრისტიანულ ფორმულაში:

„Ex Deo Nascimur, In Christo Morimur, Per Spiritum Sanctum Reviviscimus“.

„ღმერთიდან ვიბადებით, ქრისტეში ვკვებით, სულიწმინდით აღვსდებით“.

სისხლია პოეტის პირველი ასოციაცია, რომელიც 150 წლის შემდეგ წერს ამ ლექსს ყაყარობით აბრდღვიალებულ კრწანისის ველზე. ალბათ ესაა, რაც ლექსის კრიტიკოსს უპირატესად არ მოეწონა. ეს ხომ ჰგავს სისხლით დატენილ რეტროგრაულ აჩრდილებს წარსულისას, რომლებიც უწინარეს ყოვლისა სიცოცხლესთან არიან მწყრალად. მაგრამ სისხლმა, როგორც სიცოცხლის უმთავრესმა სუბსტანციამ, ამ შემთხვევაში ეთერიზე გაწივდა, როგორც გოლგოთაზე მოხდა ეს. ესთეტური თვალსაზრისით იგი მეტამორფოზირდა მცენარეში. ეს ალისფერი ყვავილი ვნებას აღარ ატარებს თავის თავში. იგი ტანჯვას და ტკივილს აღარ გამოხატავს. იგი ალდგომის სიმბოლოა. „ყაყაროს ცეცხლი“ ეს იგივე ქრისტიანული ზეცის ანუ კოსმოსის უმთავრესი სუბსტანციაა, პოეტთან ერთგვარ ასოციაციად კრისტალიზებული. ქრისტიანული აღმოსავლეთის უძველეს კედელთმხატვრობაში „ზეცა“ ყოველთვის მენამულ ფერებში იყო გადაწყვეტილი. როდესაც ეს ცოდნა დაიკარგა, ფრესკებზე გამოჩნდა ხილული ცის მოლურჯო ფერი, გამოჩნდნენ ღრუბლებიც.

არც ლექსის ესთეტიკაშია რაიმე შეუსაბამო და შოკისმომგვრელი. ამიტომაც არ არის „ჰეი თქვენ არაგველებო“ მკვდრადმობილი ლექსი.

00მხიელ ანთაძე

სიტყვის არქეოლოგია

ჯამაგირი

ვისაც ჯამაგირი აქვს, მისი ცხოვრება ჯამაგირიდან ჯამაგირამდეა გადანაწილებული. ამ უპოპულარულეს-უაქტუალურესი სიტყვის გამო ლექსიკონში ჩახედვა უხერხულიც კია, მაგრამ მაინც:

ჯამაგირი (Turk. ტოლნუხ ZAA.) ნლითი-ნლად გაჩენილი ZA. ნლითი-ნლად სარჩო . იხ. მოჯამაგირე

ჯამაგირი (E. wage, salary) შრომის ანაზღაურება განეუ-ლი სამუშაოს სანაცვლოდ.

ჯამაგირი (ინგლისურად salary) — ხელფასი

ეს ხომ ისედაც ვიცით, თუმცა საყურადღებოა, რომ ინგლისურად ჯამაგირს „სალარი“ ქვია, რაც ჩვენებურ ლარსა და სალაროს რაღაც უცნაურად მიაგავს, მაგრამ ამაში როდი გახლავთ საქმე.

1977 წლის 2 მარტს, როდესაც ჯერ კიდევ ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი ვახლდით, ლიბიაში ახალგაზრდა ოფიცერმა მუამარ კადაფიმ რევოლუცია თუ გადატრიალება მოახდინა და ლიბიის **ჯამაჰერია** გამოაცხადა. არ ვიცოდი რას ნიშნავდა, მაგრამ ჩვენებურ ჯამაგირს რომ ენათესავებოდა, ცხადზე ცხადი იყო.

„ჯამაჰერია“ კადაფის საავტორო ნეოლოგიზმი აღმოჩნდა, აუღია სიტყვა „ჯუმჰურია“, რაც არაბულად „რესპუბლიკას“ ნიშნავს, და მის ფუძეში მხოლოდ „ჯუმჰურს“ (ხალხს) მრავლობითი „ჯამაჰირ“ (ხალხის მასები) ჩაუნაცვლა.

ამრიგად ჯამაჰირი (თუ გნებავთ ჯამაგირი) არაბულად ხალხის მასები ყოფილა, ჯამაჰერია კი მასების მმართველობას, ასე ვთქვათ, „მასოკრატიას“ ნიშნავდა — რაღა თქმა უნდა, მუამარ კადაფის აზრით.

არსებობს საკმაოდ გავრცელებული ქართული იდიომატური მიმართვა — „ხალხი და ჯამაათო“, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს გამოთქმა გარკვეული თვალსაზრისით აშკარა ტავტოლოგიის შემცველია — ჯამაათი არაბულ ენაზე ერთად თავმოყრილ ხალხს ნიშნავს.

ქართულ ინტერნეტსივრცეში, კერძოდ ლინგვისტუსის საიტზე წავეყნებდით ცნობას, რომ არაბულად :

ჯამიყ — „შემგროვებელს“ აღნიშნავს, შემდგომ ეს სიტყვა შევიდა სპარსულში თასის მნიშვნელობით, ანუ ჭურჭლის, რომელიც წყალს, ან თუნდაც ღვინოს აგროვებს და შემდეგ ესტუმრა ქართულ ენას.

ჯამიყ — „შემგროვებულს“ აღნიშნავს. შესაბამისად უკვე გასაგები ხდება ჯამის ცნება ალგებრაში. არაბები რომ არა, ჯამის მაგივრად, ალბათ შედეგს ვიტყვოდით.

ჯამაყათ — არაბულ და სპარსულ ენებში „საზოგადოების“ აღსანიშნავად გამოიყენება.

ჯამაყათ — მე-15 საუკუნის სპარსელი პოეტის, აბდ-ორ-რაჰმან ჯამის ზედწოდება, რომელიც ქალაქ ჯამის მკვიდრს აღნიშნავს. ქალაქ ჯამის სახელწოდება კი გასაგებია, რომ ხალხის შეგროვების ადგილს უკავშირდება. იქვე აღნიშნულია, რომ „კიდევ არის იგივე ფუძის მქონე სიტყვები, „რომლებიც არაბულში უნივერსიტეტს, შეხვედრას, ჯგუფს და ა.შ. აღნიშნავენ“. ამ კონტექსტში არ შეიძლება არ გავახსენდეს აჭარაში და აქედან მთელს საქართველოში გავრცელებული

საკრებულო მეჩეთის აღმნიშვნელი სიტყვა „ჯამე“. ამავე წარმოშობისაა ქართული სიტყვა „ჯამი“ და თქვენ წარმოიდგინეთ, ინგლისურიდან შემოსული „ჯემი“, რის შესახებაც ზემოთაღნიშნული ბლოგი საინტერესო ცნობებს გვანდის: „ჯემის შესახებ ყოველი თქვენთაგანი იტყვის, რომ ინგლისური და ამით საუბარს დასრულებულად ჩათვლის, თუმცა სულ ამაოდ. ვებსტერის ლექსიკონში ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ არაფერი იციან, თუმცა ენკარტის ლექსიკონში წერია, შესაძლოა დასავლურ აფრიკული „ჯამა“-დან მოდის, რაც ხალხის შეკრებას ნიშნავს... შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვა არაბების გზით მოხვდა ინგლისურში. ამის ვარაუდის უფლებას კი არაბული ზმნა „ჯამაყა“ გვაძლევს, რომელიც „შეგროვებას“ ნიშნავს.“

აშკარად სწორი აზრია, გავისხენოთ, მუსიკოსები რომ შეგროვდებიან და ერთად უკრავენ, ამას რომ „ჯემსივინი“ ჰქვია.

მაგრამ აგერ, ბატონო, მუამარ კადაფის ეს ამდენი სიტყვა არ უკმარებია და ახალი შეუქმნია — „ჯამაჰერია“. თან მართო სიტყვა კი არა — საქმეც.

ლიბიის ჯამაჰერია 34 წელი იარსება. ამ დროს ქვეყანაში ყოველგვარი სახელმწიფო და სამთავრობო ინსტიტუტები გაუქმდა, ქვეყანა კომუნებად დაიყო, რომლებიც სახელმწიფოს შეგნით არსებული თვითმმართველი მინი სახელმწიფოები იყვნენ, სრულ ძალაუფლებას და საკუთარ ბიუჯეტებს ფლობდნენ. უკლებლივ ყველა მოქალაქე ადგილობრივი კომუნის კონგრესის წევრად ითვლებოდა, ხმისა და აზრის გამოთქმის უფლებაც ჰქონდა, გადანყვეტილების მიღებისა და მისი რელიზაციისაც. ლიბია ასეთი კომუნების ფედერაცია იყო, პირველადი კომუნების წევრები საქალაქო კომიტეტებსა და საყოველთაო სახალხო კონგრესში წარმომადგენლებს ირჩევდნენ. ამრიგად ქვეყანას თითქოს მთელი ხალხი თუ ხალხის მასები მართავდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი ქვეყანას ერთი კაცი — რევოლუციის ლიდერი მუამარ კადაფი მართავდა, თუმცა მას არავითარი ოფიციალური პოსტი და თანამდებობა არ ეკავა, იურიდიულად მხოლოდ რიგითი მოქალაქე იყო, მაგრამ ეგრეთ წოდებული „რევოლუციური სექტორის“ საშუალებით, რომლის წევრებსაც კონგრესისგან განსხვავებით არავინ არ ირჩევდა — მათ უშუალოდ კადაფი ნიშნავდა, სრულად აკონტროლებდა სიტუაციას, წარმართავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ეკონომიკას, მართავდა ადამიანებს, მათ ქცევებსა და ფიქრებს, უთვალთვალავდა, აპატიმრებდა, სჯიდა, ხვრეტდა, მდიდრდებოდა, აბსოლუტური მონარქივით იქცეოდა და იყო კიდევაც აბსოლუტური მონარქი. მას არავინ ირჩევდა, არავინ ნიშნავდა და არც არავის წინაშე არავითარი პასუხიმგებლობა არ ეკისრებოდა.

ცუდად დაამთავრა. მთელმა მსოფლიომ ნახა მისი სიკვდილის ამსახველი კადრები, როცა ამბოხებულმა ხალხმა „რევოლუციის ლიდერი“, ერის მამა და მარჩენალი დაუნდობლად ჩააძალა იმავ წამს, როგორც კი ხელში ჩაიგდო.

ეგრეა, ვინც ჯამაგირის პრობლემის მოგვარების ნაცვლად ჯამაჰერიის დამყარებას შეეცდებოდა, ადრე თუ გვიან ხალხის რისხვა არ ასცდებოდა და უეჭველად მუამარ კადაფის ბედს გაიზიარებს.

ქაიფი

ნახევარი საქართველო ქეიფზე კარგავს ჭკუას, მეორე ნახევარი — კაიფზე.

არადა, ერთი როა?! ერთი სიტყვაა — არაბული **كَيْفٌ** (ქეიფ/ქეიფ) განცხრომას, ნეტარებას ნიშნავს და ორ სხვადასხვა დროს შემოსულ ქართულ ენაში — ერთხელ ოდესღაც აღმოსავლეთიდან — და ლხინის, ნადიმის სინონიმად ქცეულა, მეორე კი ახლახან, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპიდან

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 9,10

რუსეთის გავლით — ნარკოტიკული თრობისა და ზოგადად სიამოვნების აღსანიშნავად.

სხვათა შორის, ყურანის თანახმად, მართლმორწმუნე მუსლიმანები სამოთხეში რომ მოხვდებიან, მუდმივ ქეიფსა თუ კაიფში იქნებიანო ანუ არაბულიდან ამ სიტყვას თუ უფრო ზედმიწევნით ვთარგმნით „საამურ უსაქმობაში გაატარებენ დროს“.

რუსულად ეს სიტყვა პირველად 1821 წელს უხმარიათ „კეიფის“ ფორმით, როდესაც ერთ ავტორს ეგვიპტეში მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაუზიარებია მკითხველისთვის. აი, რას წერს იგი: „აღმოსავლეთში ნამყოფმა მოგზაურებმა იციან, თუ რას ნიშნავს გამოთქმა კეიფი — დარდები და საზრუნავი შორს უნდა მოისროლო, არხეინად წამოგორდე, ყავა სვა და თუთუნი გააბოლო. ეს სიტყვა შეიძლება ითარგმნოს, როგორც სიმშვიდით ტკბობა“-ო.

სამწუხაროდ, ქართულ ქეიფზე ვერ იტყვი, სიმშვიდით ტკბობაო.

1848 წელს სიტყვა „კეიფი“ ფიოდორ დოსტოევსკისაც გამოუყენებია მოთხრობაში „ნეტორკა ნეზვანოვა“. გვხვდება აგრეთვე ჩეხოვთან, ლესკოვთან, გონჩაროვთან და რუსული ლიტერატურის სხვა კლასიკოსებთან, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს სიტყვა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამონახატულებად ჩაუთვლიათ და რუსულ სივრცეში პრაქტიკულად დაკრძალეს მისცემია (ქართულ სივრცეზე იგივეს ვერ ვიტყვით, რადგან „ქეიფს“, როგორც სიტყვას და როგორც საქმეს ჩვენში ღრმა ისტორიულ ფესვები ჰქონდა გადგმული.) რუსულ ენაში კი ეს სიტყვა ხელმეორედ ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მოსკოვის მეექვსე საერთაშორისო ფესტივალზე, 1957 წელს გამოჩენილა, უკვე ევროპეიზებული „კეიფის“ ფორმით და ნარკოტიკებთან დაკავშირებული, ელვის სისწრაფით საქართველოშიც შემოჭრილა აქ გაბატონებული „ქეიფის“ კონკურენტად.

ახლა ზემოთ ნახსენებ „ყავასაც“ მივხედოთ, ესოდენ დიდ როლს რომ თამაშობს აღმოსავლურ ქეიფსა თუ კაიფში, რადგან ეს სიტყვაც იმათ რიცხვშია, ორჯერ სხვადასხვა მნიშვნელობით რომ შემოსულან ქართულში.

დავინწყით იმით, რომ ამ შესანიშნავი მცენარისა და სასმელის გამოხატველ ქართულ ფორმას „ყავა“ და რუსულ „კაფე“-ს, ისევე როგორც სხვა ენათა ფორმებს — „კაფი“, „კავე“, „ქოფი“ და სხვა, ერთი სათავეს აქვთ — ეთიოპიის იმ მხარეს, რომელიც ყავის სამშობლოდ ითვლება — „კაფა“, სხვაგვარი გამოთქმით „კაჰვა“ ჰქვია და მისგან მოდის ყველა სხვა დანარჩენი. ქართულში სიტყვის საწყისად ასო „ყარ“-ი იმაზე მიუთითებს, რომ ყავა — სიტყვაც და სასმელიც — ჩვენს წინაპრებს ძალიან დიდი ხნის წინ, რუსულ-ევროპული ფონეტიკური გავლენის ეპოქამდე აუთვისებიათ.

მაგრამ აი, შედარებით ახლახან, მეოცე საუკუნეში იგივე სიტყვა სულ სხვა მნიშვნელობით დამკვიდრდა — პატარა რესტორნის მსგავს საზოგადოებრივი კვების ობიექტს კაფე დაერქვა. ეს ფრანგული სიტყვაა, ჩვენში რუსულიდან გადმოსული და ფრანგულად სწორედაც ყავას ნიშნავს, სხვას არაფერს.

ყავაზე „სვეტები“ გამახსენდა. „სვეტ“ რუსული სიტყვაა, სინათლესაც ნიშნავს, ქვეყნიერებასაც და მაღალ საზოგადოებასაც, თუმცა ქართულმა მხოლოდ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა გადმოასლენგა, თანაც ერთგვარი ირონიული, სატირული ელფერით. „სვეტი“ ჩვენებურად ხომ სნობის, გადაპრანჭული ელიტის წარმომადგენლის ნოდებაა.

მისი ანტონიმი კი „გოიმი“ა. სვეტები კაიფს არჩევენ, გოიმები — ქეიფს. „გოიმი“ ებრაული სიტყვის „გოი“ גוי მრავლობითი ფორმაა, ზოგადად ხალხს ნიშნავს, ვინრო მნიშვნელობით კი არა-ებრაელს. ბიბლიური წინასწარმეტყველები ასე ხშირად მითარქვნიდნენ ებრაელებს, რომლებიც ჭეშმარიტ რჯულს

ივწყებდნენ, კერპებს ეთაყვანებოდნენ და ღვთის მცნებებს რეგულარულად არღვევდნენ. „რას ჩადიხართ, თქვე გოიმებო“, — ეუბნებოდნენ.

ცოდვა გამხელილი სჯობს, და შევეცადე დამედიანა, თუ რა კავშირი აქვს ებრაული „გოის“ მდებრობით ფორმას — „გოიას“ დიდი ესპანელი მხატვრის გვართან. შედეგი გაურკვეველია, შეიძლება აქვს კავშირი, შეიძლება არა.

დასასრულ, შეგვიძლია ამგვარი ფრაზებით გავერთოთ: „ყარაჩოხლები ტივზე კაიფობენ“... „გოიმები კაფეს სვამენ“... „ფრანსისკო გოიმმა მოქეიფე მახა დახატა“... ვიკაიფოთ და ვიყოთ ასე...

ფორთოხალი

სიტყვაც მიყვარს და ჭამაც. წვენადაც კარგია. მაგრამ რატომ ჰქვია ქართულად „ფორთოხალი“ ამ მარადმწვანე, წვნიან, ტკბილ-მომჟავო ხილს, რომელსაც მცენიერულად ანუ ლათინურად Citrus sinensis ეწოდება.

ჯერ პირველ სიტყვას დაფუკვირდეთ, ძველებური ლათინური გამოთქმით - კიტრუს, მოგვიანოთი კი - ციტრუს!

დახე ბიჭო, ციტრუსი და კიტრი ერთი სიტყვა ყოფილა. თანაც მართლა!

ლათინური სახელწოდების მეორე ტერმინი კი ამ ხილის წარმომავლობას მიგვანიშნებს - სინენსის- ჩინური. იქ ჯერ კიდევ 2200 წლის წინანდელ წერილობით წყაროებშია ნახსენები ეს კულტურული მცენარე, ველური სახით, ბუნებრივად არსად რომ არ ხარობს და არც არაფერია ცნობილი მის წარმოშობა-მომინაურებაზე.

მაშ ქართულად რატომ ფორთოხალი? აგერ ბატონო რუსულად, სერბულად, უკრაინულად, ბელორუსულად - აპელსინ, ჰოლანდიურადაც - ეველ სინ - ჩინური ვაშლიო.

ჩინეთიდან უხსოვარ დროშივე ინდოეთს გადასულა და აჰა, დანაჩენ ქვეყნებში - ორენჯ, ნარანჯა, ორანჟო, ორანჟე, არანსიო, ნარანჯა, ლანანჟირა - სულ ამგვარებს ეძახიან - მათ შორისაა პარალელური ქართული ვერსია თურინჯიც, და კიდევ ზედსართავი - ნარინჯისფერი. ეს ყველაფერი ინდოეთიდან მოდის, რადგან სანსკრიტზე ამ ხილს „ნარანგ“ რქმევია. მერე, ევროპაში რომ შემოუტანიათ, ძალიან რომ ეძვირფასებოდათ, სიტბოსთვის შუქგამტარ შენობებს რომ უგებდნენ, ასეთ შენობებს საზოგადოდ ორანჟერიები დარქმევიათ.

კაი, მაგრამ ჩვენში ფორთოხალი რად დაურქმევიათ, და არა მარტო ჩვენში, აგერ თურქეთშიც, და ბულგარეთშიც - ПОРТОКАЛ და რუმინეთშიც - portocal და საბერძნეთშიც - πορτοκαλί... (ბერძ.) ამკარაა რადაც - იმ ქვეყნის სახელი მიუნიჭებიათ, რომელი ქვეყნის ზღვაოსნებსაც სხვა ათას სიკეთესთან ერთად ეს ჩინებული ხილი ევროპაში შემოუტანიათ. ზოგიერთი წყარო ამ საქმეს პირადად დიდ პორტუგალიელ მოგზაურს ვასკო და გამას მიაწერს და ზუსტ თარიღსაც გვისახელებს - 1498 წელს.

მაშ ქართულ ენას ზოგიერ სხვა ენათა მსგავსად, მაღლიერებით აღუბეჭდავს ამ ციტრუსის შემომტანი ქვეყნის სახელი - პორტუგალია, ფორთოხალია.

თუმცა თვითონ ფორთოხალიელებს ჯერ უფრო თავის თავზე უზრუნიათ და ეს საარაკო ხილი პირველ რიგში საკუთარ კოლონიებში გაუხარებიათ.

ამიტომაც სადღეისოდ მსოფლიოში ფორთოხლის უდიდესი მწარმოებელი ბრაზილიაა, მთელს დედამიწაზე მოყვანილი პროდუქტის 25% სწორედ იქ მოჰყავთ.

საქართველო ოცეულშიც ვერ გადის...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ანა ახმატოვა



მარინა ცვეტაევა



ნიკოლაი გუმილიოვი



ალექსანდრ ბლოკი



ივან ბუნინი



სერგეი ესენინი



ბორის პასტერნაკი

ანა ახმატოვა

ხელმწიფე ნაცრისფერთვალება

გმოსავდეს დიდება მარადი, ტკივილო, შენ, დაუსაბამო!
ნაცრისფერთვალება ხელმწიფე მომკვდარა წუხელი საღამოს.

.სულისშემხუთავი, ელვარე მწუხრი შემოდგომას ებურა.
მიაბმო მეუღლემ ამბავი გულმშვიდად, შინდაბრუნებულმა.

„თურმე, ნადირობას მომხდარა, ამაღა სულმთლად არეულა,
ერთ ბებერ მუხასთან უნახავთ იმისი უსულო სხეული.

ბრალი მის საცოდავ დედოფალს, მოტირალს ცრემლები ღარავდა,
და თანაც ისეთი ნორჩია! ერთ ღამეს სულ გაჭაღარავდა.“

მითხრა , მოიძია ჩიბუხი, აილო მან ბუხრის თავიდან.
ამაღამ კვლავ ღამის ცვლაშია. თავის სამსახურში წავიდა.

მივალ, გავაღვიძებ გოგონას ჩემსას, დამშვიდებით მძინარეს.
ნაცრისფერ თვალებში ჩაგხედავ, გზას მივცემ ცრემლების
მდინარეს.

ფანჯრიდან მოისმის შრიალი, ჩურჩული დაინყეს ალვებმა
და მეუბნებიან: „აღარ გყავს ხელმწიფე ნაცრისფერთვალება!“

* * *

ვმუჭავ ხელებს შავ ვუალქვეშ... მესმის:
„რატომ ხარო დღეს ფერმკრთალი ასე?“
- იმიტომ, რომ იგი უმძიმესი
ნაღვლით ვათვრე და ბოლომდე ვასვი.

დავივინყებ? - როგორ? გაბარბაცდა.
ტანჯვისაგან მოედრიცა პირი.
ჩამოვრბოდი, მოაჯირსაც ავცდი.
დავედევენე ჭიშკრამდე და ვყვირი

სულთმობრძავი: „რაც გითხარი, ყველა
ხუმრობაა. ნახვალ - ვკვდები. დარჩი!
გაიღიმა მშვიდად, დამლუპველია,
მიპასუხა: „ნუ დგახარო ქარში!“

* * *

ვისწავლე ცხოვრება ბრძნული და იოლი,
ზეცისთვის ცქერა და ღვთისადმი ლოცვა,
მწუხრისპირს ხანგრძლივად ირგვლივ ხეტილი,
ამაო ღელვა მსურს დავიცხრო როცა.

ხევში რომ შრიალებს აქ ოროვანდები,
ცირცელს ყვითელ-წითელს კუნწული შვენის,
მხიარულ ლექსებად გულში ხშიანდება
სიცოცხლე ხანმოკლე, ღამაზი ჩვენი.

ვბრუნდები, მილოკავს ხელისგულს ფუმფულა,
ტკბილად მოკრუტუნე, ნაჩვევი კატა.
ტბისპირ სამხერხაოს ცეცხლი ანთებულა -
-კოშკურის კაშკაში შორამდე ატანს.

ირღვევა სიჩუმე, სახურავს ყარყატი
თუკი დააფრინდა, იყვირებს ხარბად.
რომ დამიკაკუნო მომდგარმა ამ კართან,
ველარც კი გავიგებ შენს მოსვლას ალბათ.

* * *

არც მომკლა, არც მწყევლა, არც გამცა,
მხოლოდ თვალს მარიდებს, არ მდევს.
ვით შერცხვა, ბნელ ამბად გადასცა
მდუმარე ოთახის ლანდებს.

მთლად მოდრკა, ხმაც უფრო დაგუბდა,
თეთრ ხელებს ძალს ვამჩნევ მტკიცეს...
აჰ! ერთხელ იქნება, გამგუდავს,
გამგუდავს მძინარეს, ვიცი.

* * *

რამდენი აქვს სათხოვარი საყვარელ ქალს მუდამ!
აღარაფერს ითხოვს ქალი - გადაყვარებული.
მიხარია, რომ ეს წყალი, თვალთ რომ ჩაგიგუბდა,
უფერული ყინულის ქვეშ გარდაცვალებულა.
და დავინყებ ლოცვას ასე - ქრისტევე, დაიფარე! -
ეს საფარი სხივნათელი და მსხვერვალი ჩემი,
ხოლო შენ კი ჩემს წერილებს კარგად მოუარე,
რადგან შთამომავლებისგან განსასჯელი ვრჩებით;
რადგან ცხადად, მკვეთრად ჩანდე, გერგო ეს უფლება,
იმათ თვალში - ბრძენკაცსა და მამაცობის ჩამდენს!
განთქმულ ბიოგრაფიაში, როგორ შეიძლება,
სადმე გამოტოვებული ადგილები ჩანდეს?
მეტისმეტი სიტყბო მოსდევს ამ მინიერ სასმელს,
მეტისმეტად მჭიდრო არის სიყვარულის ბადე,
დე, სახელი ჩემი დარჩეს, მომავალში, როსმე,
მოხვდეს სახელმძღვანელოში და შეგირდებამდე
მიაღწიოს! ნაღვლიანი ესმათ ლაპარაკი
და ღიმილი თვალთმაქცური მოაფინონ არეს!
სიყვარულსა და სიმშვიდეს არ მაღირსებ რაკი,
მომანიჭე მე დიდება სამუდამოდ მწარე!

პენაცია

ოქროსფერი სამტრედია წყალთან,
წყალი - ლბილი - მომწვანოა, მქრქალი
და მარილით სავსე ნიავეკარი
შლის ვინრო კვალს შავად ნაფერ ნავთა.
რამდენია სახე უცხო, ნაზი!
დახლზე ყველგან - ფერი ფერზე მეტი:
ლომი - წიგნით - ნაქარგ ბალიშებზე,
ლომი - წიგნით - მარმარილოს სვეტი.
ვით ტილოზე, რომ გაუძლო დროებს,
ცა ცივდება ლურჯფერგადასული,
და არ არის ვინრო - სივინროვე.
არც მხურვალე ნესტით გეკვრის სული.

სიმღერა ბოლო შეხვედრისა

რა უმნოდ ცივდებოდა მკერდი,
მაგრამ მსუბუქ ნაბიჯს ვდგამდი მთმენი.
მარჯვენაზე, გვიან დავატყერდი,
მარცხენისა მეცვა ხელთათმანი.

მომეჩვენა საფეხური ბევრი.
იყო სამი, დამავინწყდა როდი.
შემოდგომურს ნეკერჩხალთა ტყერი
ხმას ისმენდა: „ერთად მოკვდეთ, მოდი!“

მე მოვტყუედი ჩემი დანაკარგით,
ჩემი მწარე, ცვალებადი ბედით!”
ვუპასუხე: „კარგო, ჩემო კარგო,
ერთად მოკვდეთ, მეც არ მინდა მეტი!“

ამ სიმღერამ თქვა შეხვედრა ბოლო.
სახლს ავხედე, იდგა ბნელი, მუქი.
საძინებელს ანათებდა მხოლოდ
განურჩევლად მოყვითალო შუქი.

მარინა ცვეტაევა

* * *

თუკი ფრთიანია სული დაბადებით,
რაა სრა-სასახლე ანდა ქობნახები!
რაა ჩინგის-ხანი, რაა ურდოები!
სულ ორი მტერი მყავს, მწარედ რომ მეხება -
- ტყუპი განუყრელი, ერთად რომ გაცხარდა:
შიმშილი - მშიერთა, სიმადლრე - მადლართა.

* * *

მოდინარ, რა ძლიერ მგავხარ!
თვალი დაგინრია ძირს.
მეც ასე მიყვარდა დახრა.
გამვლელო, შეჩერდი მყის!

ქათმის სიბრმავეთ და კონით
ხელში ყაყაჩოსი ძლივს
გაარჩევ წარწერას, მგონი,
„მარინა“, ამდენი წლის.

ნუ ფიქრობ, საფლავთან უნდა
დაგზაფრო, გავჩნდები როს.

თავადაც მიყვარდა მუდამ
სიცილი უდროო დროს.

მშვენოდა ალენილს რხევა
კულულებდაყრილი მხრის.
გამვლელო, ვიყავი! მე ვარ!
გამვლელო, შეჩერდი მყის!

ველური ღერები, ხილი
დაკრიფე! რაც უნდა თქვა,
საფლავის კენკრაზე ტკბილი
ან დიდი არ არის სხვა.

ოლონდ მჭმუნვარებით სავსე
მკერდამდე ნულა ხრი თავს,
ლაღად გაიფიქრე ჩემზე!
ლაღად დავინწყება ხამს!

გახვეულს ოქროსფერ მტვერში
განათებს სხივების სხმა.
ნუ კრთები! არაფერს გერჩის
ამ მიწისქვეშიდან ხმა.

„ცივდება ორი მზე“

ცივდება ორი მზე, - ო, ღმერთო, რას მერჩი! -
პირველი - ზეცაზე, მეორე - ამ მკერდში.

მზეები, - ნეტა თვითშენდობას ავიტან? -
მზეები გონს როგორ მირევდნენ თავიდან!

ცივდება ორივე - აღარ მწვავს იმდენად!
მათში უცხელესი - ადრე გაცივდება.

შეცდომა

როდესაც ფიფქი მოფარფატი ანაზდელულად,
ვარსკვლავის დარად ციდან ვარდნას დაემონება,
დაგიკვრდება ხელისგულზე ცრემლად ქცეული,
ვერ დაუბრუნებ თავდაპირველ ჰაეროვნებას.

როდესაც გვნუსხავს მჭვირვალე ჩვენ მედუზასი,
და მოგვინდება ჭირვეული ხელის ნავლება.
წარეკვეთება ტყვეს შებოროკილს უცრად სასო,
ჩვენს ხელისგულზე სასიკვდილოდ მიინავლება.

როდესაც გვინდა, ფარვანები მობორილე
ვიხილოთ ნაცვლად ზმანებისა, მიწიერ ამბად,
სად ქრება მათი სამოსელი, ისევე იალეზს?
ცისკრისფერ მტვერს-ლა დაგვიტოვებს თითებზე ალბათ!

დაე, ფრინავდნენ კვლავ ფიფქები და ფარვანები,
და მედუზასაც ნუ დალუპავ! სილაში - დნება.
არ შეიძლება, სტაცო ხელი, თავი ანებე!
არ შეიძლება, ხელში გეპყრას შენი ოცნება!

არ შეიძლება, რომ უმნოდ სევდას უბრძანო:
- „იქვე სიგიჟედ, ვნების ცეცხლად, გრძნობავ ფარულო!“
შეცდომა იყო სიყვარული ჩვენი უძალო,
მაგრამ ვერ ვცოცხლობთ, ჯადოქარო,
უსიყვარულოდ!

* * *

მომწონს, სწეული არა ხართ ჩემით,
მომწონს, არც მე ვარ თქვენით სწეული.
არასდროს ფეხქვეშ, ბრუნვას ნაჩვევი,
გაცურავს მინის მძიმე სწეული.
მომწონს, რომ ვიყო სასაცილო,
თავაშვებულები; სიტყვით თამაში რომ არ ვახელო;
ალმურის ტალღა რომ ავიცილო,
მეხება როცა თქვენი სახელო.

მე ისიც მომწონს, ჩემ თვალწინ როცა
მშვიდად ეხვევით უცხო სრულიად;
არც ჯოჯოხეთის ცეცხლით ნარმხოცავთ,
რადგან არ გკოცნით; რომ შეგიძლიათ,
სახელი ჩემი არც დღით, არც ღამით
არც კი ახსენოთ, რა მალულია!
და რომ არც ტაძრად დადგება ჟამი,
დაგვაგალობონ ალილუია.

მადლობა გულით, მადლობა ხელით,
რომ არც კი იცით, გიყვარვართ ისე,
რომ ღამეობით ღელვით არ გელით,
რომ ზოგჯერ ვხვდებით საღამოს პირზე,
არმოსეირნეთ მთვარიან ღამით
რომ შუქი გვადგას არც მზისეული,
რომ, ეჰ, სწეული არა ხართ ჩემით,
რომ, ეჰ, არც მე ვარ თქვენით სწეული!

* * *

ჩემს ლექსებს, ნაწერს ჯერ კიდევ მაშინ,
რომ არც მეგონა თავი პოეტი,
შადრევის სხეფებს - გაბნეულს ცაში,
ანდა ნაპერწკლებს უცხო რაკეტის.

ამ ეშმაკუნებს, მარბევებს ასე
საკმელში მთვლემი საკურთხეველისა,
ლექსებს სიკვდილზე, ყმანვილობაზე,
ნამკითხველი რომ ჯერ ვერ ეღიროსა.

მაღაზიაში რომ არც ვინ ჰპოვებს,
და რომ რგებიან ამ მტვერში გდება,
ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას ღვინოებს,
მჯერა, თავისი დრო დაუდგება.

ლოცვა

ქრისტე და ღმერთო! სასწაულს ველი
ახლა, ამ დილას. ვერ მიმიგნია.
ო, გვედრები, ახლავე მოვკვდე,
ვიდრე ცხოვრება ჩემთვის წიგნია.

ბრძენი ხარ. ვიცი, მკაცრად არ მეტყვი :
- „ითმინე კიდევ! შენი დროც მოვა“.
თავად ამავეს წყალობით - მეტი!
მსურს ყოველი გზის ერთბაშად მოვლა!

მსურს ყოველივე: ბოშური სულით
სიმღერ-სიმღერით ვიავაზაკო,
სხვებისთვის მტანჯონ ორგანის ხმაზე,
ვიამორძალო მე საარაკოდ;

შავ კოშკში ვიჯდე ვარსკვლავთ მისანი,
ბავშვებს გაუძღვე, ვსერო ლანდები.

დღე გუშინდელი - იყოს ლეგენდა,
სიგიჟე იყოს - დღე დღევანდელი!

მიყვარს ჯვარი და მოვი და შალი.
ნამიერია ეს სული - კვალი.
ტკბილი ბავშვობაც ხომ შენ მომმადლე,
გვედრი, ჩვიდმეტი წლისა მომკალი!

ნიკალაი გუმბილოვი

ჟირაფი

დღეს, ვხედავ, მზერაში როგორ მოგწოლია დარდი
და მუხლსმოხვეული ხელებიც გაქვს ისე მკრთალი!
მისმინე: შორეთში, იქ, სადაც ტბა არის „ჩადის“,
ტბისპირას ნატიფი ჟირაფი დადის.

რგებია განცხრომა და გრაციოზული ტანი
და კანზე - ჯადოსნურ ნახატებს მოუცავს არე.
მათ რა შეედრება მშვენივით, თუ არა ტბების
ვრცელ ზედაპირებზე ნაზად მოლივლივე მთვარე!

სივრცეში ხომალდის ფერადი იალქნის დარი
მსუბუქად მიმობის - ვით ცაში ნავარდობს ჩიტი.
მე ვიცი, სასწაულს შესცქერის ქვეყანა დიდი,
ის რომ მარმარილოს ესში დასამალად მიდის.

იდუმალ მხარეთა ზღაპრები გიამბო, მინდა,
ქალწული შავტუხა ყრმა ბელადს სატრფოდ რომ ჰყავდა,
მაგრამ შენ იმდენხანს ისუნთქე მწუხარე ბინდი,
არ გინდა, გჯეროდეს რაიმე, ამ წვიმის გარდა.

ან როგორ გიამბო ამბავი ტროპიკულ ბაღის!
იქ აღნავ პალმებს და ბალახებს სურნელი ასდის...
შენ სტირი? მისმინე... შორეთში, იქ, სადაც ტბა არის „ჩადის“,
ტბისპირას ნატიფი ჟირაფი დადის.

ალექსანდრ ბლოკი

ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი

ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი
და ნათება უაზრო და მკრთალი.
საუკუნის მეოთხედიც დაფარო,
ვერას შეცვლი, ხსნა არსაით არის.

მოკვდები და - უბრუნდები გავლილს.
დასასრული აღარაფერს უჩანს:
ღამე, არხის მოყინული ჭავლი,
აფთიაქი, ფარანი და ქუჩა.

ივან ბუნინი

მარტოობა

ქარი და წვიმა და ავდარი -
- ყინულის უდაბნოს თავზე.
აქ გაზაფხულამდე მკვდარი
ბაღები სიცოცხლით სავსე.
აგარაკს შემოვრჩი, მოლბერტთან
ბნელა და ფანჯრიდან ქარი

უბერავს. შენ ჩემთან მოგებზრდა.
 ნუხელ გაიხურე კარი.
 ავდრიან სალამოს რა უცებ
 მეგონე რატომღაც ცოლი.
 მშვიდობით! რა გზაა, გავუძლებ.
 გაზაფხულს დავხვდები ცალი.
 დღეს გაუთავებლად უბერავს
 ღრუბელთა ფარას და ფარას.
 პარმალთან ნანვიმი გუბეა,
 წყალი შენს ნაკვალევს ფარავს.
 რა მტკივნეულია ბინდებუნდი!
 დღე მიდის, წყვილი რჩება.
 მინდოდა მეყვირა: მობრუნდი,
 მობრუნდი! მიგიღე ჩემად!
 მაგრამ ქალს დაკარგულს რას ელი,
 ის წარსულს აღარ ცნობს, დალლი.
 შენებულ ბუხართან სასმელი..
 ნეტა მაყიდინა ძალი!

სერგეი ესენინი

წერილი დედას

ცოცხალი ხარ, ბებრუცანავ ჩემო?
 მეც - რა მიჭირს, სალამს გითვლი თუკი.
 დე, განათდეს შენი ქოხის ჩერო
 იმსალამოს გამოუთქმელ შუქით!

მწერენ, თითქოს მღელვარებას მალავ,
 ნაღვლიანი დღეც და ღამეც მელი,
 სოფლის გზაზე გამოდიხარ მალ-მალ
 ძველმოდური შენი მოსაცმელით.

ღამ-ღამობით სულ გასცქერი წყვილადს,
 და მუდმივად გელანდება თანაც,
 დუქნის ჩხუბში შვილი მკვდარი გდია,
 გულში ჩასცეს მას ფინური დანა.

მოიშორე, მშობლიურო, შფოთვა,
 ეს სიმძიმე - მოჩვენება ავი.
 არ ვარ ისე უსაშველოდ ლოთი,
 სადღაც მოვკვდე, დედის უნახავი.

ის სინაზე, ძველებური დამდეგს,
 და ერთს ნატრობს გული მონაოხი,
 რომ როგორმე გამოვექცე დარდებს
 მომენატრა ჩვენი ციცქნა ქოხი.

დავბრუნდები, თეთრს რომ გაშლის ტოტებს
 ჩვენი ბალი, მზისთვის გასაცინად,
 ოღონდ ნულარ გამაღვიძებ, ოდეს
 ირიჟრაჟებს, როგორც რვა წლის წინათ.

ნუ აღვიძებ ნაოცნებარს ახლა,
 არამხდარიც დავივინყო უკვე.
 მეტისმეტი დანაკარგი, დალლა
 გამოსცადა ჩემმა სიჭაბუკემ.

ნულარც ლოცვას ნუ მასწავლი, კმარა,
 ძველი გაქრა, დავინყება უქადს.
 შენ ხარ ჩემი ხსნა და შვება მარად,
 მეგულები გამოუთქმელ შუქად.

ჰოდა, კმარა, ნულარ დარდობ ასე,
 ნულარ შფოთავ, ასე ნულარც მელი,
 და მალი-მალ ნუ გადიხარ გზაზე.
 ძველმოდური შენი მოსაცმელით.

* * *

კოფთა მტრედისფერი და თვალები ლურჯი.
 სატრფოს მართალს ვუმაღავ, ენა დავიმუნჯე.

შემეკითხა: ქარბუქი აღარ იშლის ბოგინს?
 დავანთებდი ლუმელს და დავაგებდი ლოგინს.

ვუპასუხე სატრფოს: ახლა ვიღაც მაღლით
 თეთრი ყვავილების თაიგულებს გვაცყრის.

ჰო, დაანთე ლუმელი და დააგე ლოგინი.
 ქარბუქია ამ გულში უკვე შენი ლოდინით.

ბორის პასტერნაკი

ზამთრის ღამე

ცრიდა და ცრიდა უსასრულოდ დედამინაზე
 და ტრიალებდა ფანტელების კორიანტელი.
 სანთელი ენთო მაგიდაზე,
 ენთო სანთელი.

როგორც ზაფხულში ევლებიან ცეცხლს ფარვანები
 და ალისაკენ მიინევენ შეკრულნი ჯარად,
 აფრინდებოდნენ ფანტელები
 გარეთ ფანჯარას,

ხოლო ქარბუქი ხელსაქმობდა ფანჯრის მინაზე
 და მინა თეთრი წრე-ისრებით მოქარგა მთელი.
 სანთელი ენთო მაგიდაზე,
 ენთო სანთელი.

ოთახის ჭერი ნათდებოდა,
 აჩნდა ჩრდილები
 ხელთა და ფეხთა, ბედის
 გადაჯვარედინების.

ცვიოდა წყვილი ფეხსაცმელი
 კაკუნით, ერთად,
 და სასანთლიდან ცვილის ცრემლი
 კაბას ეღვენთა.

იკარგებოდა ყველაფერი თანდათან ასე,
 ჭალარა ბურუსს დაეფარა სამყარო ვრცელი.
 სანთელი ენთო მაგიდაზე,
 ენთო სანთელი.

კუთხიდან სანთელს უბერავდა,
 ნდომა გზნებული
 ანგელოზით წყვილად შლიდა
 ფრთებს ჯვრისებურად.

და თებერვალი თოვანში ასე
 გავიდა მთელი.
 სანთელი ენთო მაგიდაზე,
 ენთო სანთელი.

რუსულიდან თარგმნა
 ნინო დარბაისიძე

მუამარ კადაფის ტრაგედია

(მთარგმნელის წინასიტყვა)

1989-91 წლებში ვმუშაობდი ლიბიის არაბთა სახალხო სოციალისტურ ჯამაჰირიაში თარჯიმნად. ეს ჩემი პირველი მივლინება იყო არაბულ ქვეყანაში. მართალია, მოსკოვში გაგვაფრთხილეს, ლიბიელები არაბთა შორის ყველაზე მძევნარენი და სასტიკები არიანო, მაგრამ ამით არაბული სამყაროს მიმართ სიყვარული არ გამწვანდა და რომანტიკით გულაფანცქალებული ჩავედი დედაქალაქ ტრიპოლში. ჩასვლისთანავე თვალმა იუცხოვა უჩვეულოდ კაშკაშა მზე და ყველა კუთხე-კუნჭულში გამოფენილი ქვეყნის ლიდერის მუამარ კადაფის გამონათქვამებით აჭრელებული პლაკატები, რომლებშიც ვიზუალურად მწვანე ფერი ჭარბობდა. მისინ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ამ ქვეყანასა და მის ხალხზე. ვიცოდი მხოლოდ ის, რასაც გვასწავლიდნენ საბჭოთა სტუდენტებს საბჭოთა უმაღლეს სასწავლებელში. სპეციალისტთა ჯგუფს საბჭოთა კავშირიდან აეროპორტში დაგვხვდა ქართული თარჯიმანი და სასწავლებლის ავტომატი. საბაჟო სამსახურის ფორმალბებმა საკმაოდ დიდი დრო მოითხოვა. ქალაქიდან გასვლის შემდეგ მალე შემოგვვალამდა. უკვე ღამე იყო, როცა ბენი-ვალიდში ჩავედი. აქ იყო სასწავლებელი, სადაც უნდა გვემუშავა. არასოდეს დამავიწყდება ის თბილი შეხვედრა, რომელიც მცირერიცხოვანმა ქართულმა სათვისტომომ მოგვინყო და უჩვეულოდ ცხარე არაბული საწებლის „ჰარისას“ გემო. საყოფაცხოვრებო პირობები მისაღები აღმოჩნდა. სამუშაოც ადვილი იყო. საბჭოთა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ტექნიკურ სასწავლებელში ლიბიური და საბჭოთა წესები სუფევდა. სწავლების მეთოდიცაც საბჭოთა მეთოდიცა ანალოგიური იყო იმ განსხვავებით, რომ მასწავლებლის ახსნის თარჯიმანი თარჯიმნიდა. მალე ჩაცხრა პირველი დღეების ეიფორია. მივხვდი, რომ ქვეყნის პოლიტიკური წყობისა და ხალხის ეთნოფსიქოლოგიის გამო აქ ცხოვრება ადვილი არ იქნებოდა. ამას დამატა ჩვენთვის, საბჭოთა სპეციალისტებისათვის სავალდებულოდ დარჩენილი საბჭოთა იდეოლოგიური წნეხი მისთვის დამახასიათებელი ყოვლად მახინჯი და ოდიოზური გამოვლინებით. მიუხედავად ამისა, დიდი სულიერი ძალისხმევით შედეგად მოვახერხე მომხდინა შინაგანი დისტანცირება ყოველივე ამისაგან და მოვქმენე ჩემი სიმშვიდის კუნძული: ეს იყო არაბულ სამყაროში ჩაღრმავება, არაბული ლიტერატურისა და პრეისის კითხვა, ლიბიის უდაბნოს სილამაზით ტკბობა. ლიბიური ლიტერატურა არ არის მრავალფეროვანი და დიდად საინტერესო. ერთხელაც ნაცნობმა „ქუთუბჯიმ“ (ნიგნით მოვაჭრემ) სიამაყით სახედაცისკროვნებულმა გამომინოდა მუამარ კადაფის მოთხრობების კრებული, რამაც გამაპვიკრვა. აქედან დაიწყო ჩემი ინტერესი მუამარ კადაფისა და ლიბიის მიმართ. დროთა განმავლობაში ჩემს სულში თანდათან წარმოიქმნა ლიბიის გრძნობითი სახე. ეს სახე დღესაც ცოცხალია ჩემში.

მუამარ ბენ მუჰამედ აბუ მენიარ აბდ ალ-სალამ ბენ ჰამიდ ალ-კადაფი დაიბადა გაარაბებულ ბერბერ ბედუინთა ოჯახში 1942 წლის 13 სექტემბერს. მოკლეს 2011 წლის 20 ოქტომბერს. მსოფლიოში ცნობილია როგორც ლიბიის ლიდერი, „მწვანე ნიგნისა“ და მესამე მსოფლიო თეორიის ავტორი. საზოგადოების დიდი ნაწილისათვის უცნობია, რომ ლიბიის ლიდერი ლიტერატორობდა კიდევ და მის კალამს ეკუთვნის მოთხრობებისა და ესეების კრებული „სოფელი, დედამინა და კოსმონავტის თვითმკვლელობა“. ამ ნაწარმოებებში „მწვანე ნიგნში“ გამოთქვლილი ბევრი აზრია ასახული. ერთმა ეგვიპტელმა ჟურნალისტმა პირად საუბარში მითხრა, ლამაზი სიტყვა, აზრების პოეტურად აწყობა და მჭევრმეტყველება არაბს ამკობს, ევროპელს კი არა-ბუნებრივად მალაფარდოვნად, ხანდახან სასაცილოდაც კი წარმოაჩენსო. საკამათო აზრია, რა თქმა უნდა, მაგრამ არაბებს მჭევრმეტყველების სიყვარული ოდითგანვე მოსდგამთ. მხატვრული პროზის შესანიშნავი არაბული ენა და ორიგინალური სტილი ნამდვილად ამკობს მუამარ კადაფის, რომელსაც მართალია არ დაუპყრია დიდი მხატვრული სიმაღლეები, მაგრამ მის

შემოქმედებაში ჩანს თხრობის შინაგანი ექსპრესია, რიტმი და სამყაროს პოეტური ხედვა. მის ნაწარმოებთა ნაწილი ესეისა და იგავის ზღვარზე დგას. ზოგში იკვეთება პოლიტიკური პამფლეტის ნიშნები, ზოგი პოლიტიკურად შეფერილი იგავია, რომლის შეგონებასაც კადაფისთვის მიუღებელ პოლიტიკურ რეალობებთან მივყავართ, ზოგიერთში კი ფილოსოფიის მარადიული თემებს ეჭიდება. ნაწარმოებებში მკვეთრად იგრძნობა ავტორის პიროვნება — რევოლუციონერის, ანარქისტის, დიქტატორის. იგი მსჯელობს სიკვდილ-სიცოცხლის არსზე, კაცობრიობისა და ლიბიელთა ბედნიერებაზე ისლამისა და სოციალიზმის თვალსაზრისით. არ მალავს და ხაზს უსვამს, როგორი შეურაცხელი მტერია დასავლური ცივილიზაციის ყველა იმ სიკეთისა, რამაც შეიძლება შეცვალოს ბედუინთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ჰარმონია. ალაგ-ალაგ გაივლევს თითქოს კარნავალისთვის დადგმული სცენები. იგი მსჯელობს გულუბრყვილოდ იმ მარტივი მხატვრული ხერხების გამოყენებით, რაც გასაგები იქნებოდა მის თანამემამულეთათვის. ვინც იცნობს ძველ არაბულ მწერლობას, კადაფის შემოქმედებაში აღმოაჩენს ნაცნობ რემინისცენციებსა და პასაჟებს. მკითხველს შეიძლება ისეთი შეგრძობებაც გაუჩნდეს ამ ნაწარმოებთა კითხვისას, პრიმიტივისტურ მხატვრების ნამუშევრების ნახვისას რომ ეწვევა დამთვალეიერებელს და დეჟავიუს ტკბილნაღვლიანი გრძნობებით მოცული სევდანარევი ღიმილით იტყვის:

— ეს ხომ უკვე იყო... როდის? ალბათ დიდი ხნის წინათ...

რაც მეტი დრო გაივლის კადაფის ეპოქის დამთავრებდან, მით უფრო გაღვივდება ინტერესი მისი პიროვნების მიმართ. პოლკოვნიკს არაბულ სამყაროში „შეშლილს“ — „მაჯუნს“ ეძახდნენ, რეიგანმა „ცოფიანი ძაღლი“ უწოდა, ბრიტანელი ისტორიკოსი, ბრიტანეთის ლიტერატორთა სამეფო საზოგადოების წევრი ენდრიუ რობერტსი სარკასტულად აღნიშნავდა, მუამარ კადაფი სრულად სარგებლობს იმ თავისუფლებით, რაც მან გიყებს მიანიჭა თავის „მწვანე ნიგნში“. იგულისხმება კადაფის გამონათქვამი: ადამიანს უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება, თუნდაც გიყი იყოს, მან უნდა შეძლოს თავისი სიგიჟე თავისუფლად გამოხატოსო.

ერთმა არაბმა პოეტმა პანეგირიკულ ლექსში მას „უდაბნოს მეფე“ უწოდა. კადაფი იფერებდა ამ წოდებას და ნამდვილად ჰქონდა მეფობის და ხან მეფეთა მეფობის თვითშეგრძნება. არც ნარცისიზმი აკლდა. სერიოზულად გამოაცხადა თავი არაბული სამყაროს მესიად — მუჰამედის, ქრისტესა და მოსეს საქმეთა გამგრძელებლად. გატაცებული იყო პანანარბიზმის იდეით და ცდილობდა არაბული ქვეყნების გაერთიანებას, თუმცა ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

კადაფი ცნობილი იყო თავისი შრომისუნარიანობით. შეეძლო დღე-ღამეში 16-18 საათი ემუშავა. ბევრ დროს უთმობდა თვითგანვითარებას. მისი ოპონენტებიც კი აღიარებდნენ პოლკოვნიკის არაორდინარულ გონებას, ბრწყინვალე მეხსიერებას, ძველი და ახალი ისტორიის, კლასიკური ლიტერატურის კარგ ცოდნას. ყოველდღიურ ცხოვრებაში ზომიერი და თავშეკავებული იყო. უყვარდა ლამაზი ქალები, ჯიშისანი ცხენები, მოხდენილი ტანსაცმელი, ნადირობა, იშვიათი იარაღი და ულტრათანამედროვე კომუნიკაციის საშუალებანი.

ექსცენტრული და თეატრალური შესტების მოყვარული კადაფი მეტად განსხვავდებოდა მისი დროის აღმოსავლეთის უფერულ კონფორმისტ ლიდერთაგან. დაიბადა მომთაბარე ბედუინთა კარავში, გაიზარდა ბედუინთა შორის, შეისისხლონდა მათი ტრადიციებით, ფასეულობანი. „მე გავიზარდე უმნიკვლო გარემოცვაში, რომელიც არ შერყვნილიყო თანამედროვე ცხოვრების ინფექციებით. გავაცნობიერე ჩემი ხალხის ცხოვრების პირობები და განვიცადე ის ტანჯვა, რასაც ის განიცდიდა კოლონიური ჩაგვრით. ჩვენს საზოგადოებაში ახალგაზრდობა პატივის სცემდა ხანდაზმულებს. ჩვენ გვესმოდა, რით განსხვავდებოდა სიკეთე ბოროტებისაგან“ — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში.

მუამარ კადაფი თავისი ქვეყნის შეილი იყო — მეოცნებე და უდაბნოს რომანტიკოსი, რომელიც შეეცადა ფეხი აეწყო თანამედროვე მსოფლიოსათვის. სწორხაზოვნად და გულუბრყვილოდ მიუდგა გლობალური პოლიტიკის საკითხებს და წააგო პოლიტიკური თამაში მისი დროის ლიდერებთან. მას ყველა ამქვეყნიური სიკეთე სურდა თავისი ქვეყნისთვის. სერიოზულად სჯეროდა, რომ ლიბიელთა მამა იყო, აქედან გამომდინარე მოვალეობათა და პასუხისმგებლობის გრძნობის მთელი კასკადით. ალ-

ბათ ამიტომაც წერდა მოთხრობებს შეგონებათა სტილში, სადაც მიმართავს მთელ ერს და აფრთხილებს როგორც მამა — შვილებს. სულისშემძვრელად გულწრფელი და ტრავიკულია მისი მიმართვა ლიბიელი ხალხისადმი 2011 წლის 21 თებერვალს:

„მე არასოდეს დავტოვებ ლიბიის მიწას, ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და მოვკვდები აქ, ჩემს წინაპრებთან, როგორც წამებული... კადაფი ჩვეულებრივი პრეზიდენტი არ არის, რომ ასე წავიდეს. იგი რევოლუციის ბელადი და ბედუნი მიომარია, რომელმაც დიდება მოუტანა ლიბიელებს“.

წურავინ ჩამომართმევს ზემოთქმულს და თვით წერილის სტილსაც პათეტიკად და კადაფის აპოლოგიად. მე ხუთი წელი ვიცხოვრე ლიბიაში. ბევრი სიმწარე ვინწინე და არაერთგზის აღმფრთვებულვარ მისი რეჟიმით. რა თქმა უნდა, ჰქონდა შეცდომები, ძალაუფლებაზე ზედმეტი გატაცება, სისასტიკეც, ყველა ჯურის ტერორიზმის ყოვლად გაუმართლებელი მხარდაჭერაც, ავანტიურზიმიც, მაგრამ მისი რეჟიმის ასე დამხობა შეცდომა იყო. ლიბიელი ხალხი კიდევ დიდხანს, მრავალი წელი ივლის მოჯადოებულ წრეზე დაკარგული თავისუფლების ხელახლა მოსაპოვებლად.

მუამარ კადაფი კარგად იცოდა, რომ ლიბიური ტომები ცნობიერებით, ტრადიციებით, აზროვნების სტილით, ფასეულობებით გვაროვნულ-ტომობრივ ურთიერთობებში იყვნენ ჩარჩენილნი. თვითონაც იქ იმყოფებოდა ცნობიერების იმ დვრიტით, რაც ხასიათისა და აზროვნების ღერძს ქმნის, მიუხედავად მისი არაორდინარული პიროვნული თვისებებისა. აქედან იწყება მისი ტრადიციული როგორც ქვეყნის მმართველისა.

კადაფის ხელმძღვანელობით ლიბიაში მოხდა ანტიმონარქიული რევოლუცია. იგი შეეცადა სოციალურად გარდაქმნა ლიბია და განეციტარებინა მრეწველობა, წინ აღუდგა ტრაიბალიზმს. აკრძალა ტომობრივი კუთვნილების ხსენებაც კი. „მწვანე წიგნი“ განიხილავს ამ საკითხს. უცხოელებთან საუბარში კი ეს ტაბუდადებული თემა იყო (მე კარგად მახსოვს, როცა ვკითხე ჩემს კუპრივით შავკანიან სტუდენტს, სადაური ხარ-მეთქი, მომიგო, მხოლოდ ლიბიელი ვარო). კადაფიმ მოახდინა უცხოელთა ხელში თავმოყრილი კერძო საკუთრების ნაციონალიზაცია, ყოფილი პატრონები კი ქვეყნიდან გაყარა, გააძევა უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზები, მათ შორის შეერთებული შტატებისაც. დაანება უფასო ჯანდაცვა, საშუალო და უმაღლესი განათლება. სახელმწიფო ხარჯით გზავნიდა სტუდენტებსა და სპეციალისტებს სასწავლებლად და სტაჟირებისათვის, აკრძალა პროფკავშირები, რათა ისინი არ გამხდარიყო ტომთა საყრდენი. შემოიღო ე.წ. პირდაპირი დემოკრატია კონგრესისა და სახალხო კომიტეტთა სახით. პირდაპირი დემოკრატიის დამკვიდრებით კადაფი შეეცადა შეზღუდებოდა ტრაიბალიზმს, უფლებებით და მოვალეობებით გაეთანაბრებინა ყველა ტომი, რადგანაც არჩევნების დროს თუ ხმების უმრავლესობას მიიღებდა ტომი, სტატუსით სხვა ტომზე დაბლა მდგომი, მათ შორის ატყვევებოდა ერთი ომი და გნაისი. ქვეყნისათვის პირდაპირი დემოკრატია ნამდვილი სოციალური რევოლუცია იყო. ლიბიურ ტომებში, რომლებსაც არ განუცდიათ მონობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, ფესვგადებული გახლდათ გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობანი მისთვის და მახასიათებელი ტრადიციებით, სამართლებრივი ნორმებით და ეთნოფსიქოლოგიით. ამიტომაც არ აღმოჩნდნენ ისინი მზად რეფორმისთვის. კადაფის ამ წამოწყებამ კრახი განიცადა. მან გამოაცხადა ლიბიაში კულტურული რევოლუციის დაწყება და ბევრი სხვა რამ, რაც უნდა წასდგომოდა ლიბიას, ქვეყანას შესაბამისი სოციალური ბაზა რომ ჰქონოდა. თითქმის ყველა მისი წამოწყება პოპულისტური გამოდგა და უკუშედეგი გამოიღო. ქვეყანაში მომძლავრდა ხაზინისა და სახალხო ქონების ქურდობა-მითვისება, მექრთამეობა, ტომობრივი შუღლი და გაუტანლობა. კადაფის რეფორმების შედეგად ტომმა დაკარგა ყველა ძველი სოციალური ინსტიტუტი, ახალი კი ვერ შეიქმნა. როგორც კი წარმოიშვა ძალაუფლების ვაკუუმი, ტომთა ელიტის ხელში მაშინვე აღორძინდა ძველი სოციალური ინსტიტუტები და დაიწყო მათ შორის დავათა მოგვარება ძველი მეთოდებით და თანამედროვე იარაღით, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო თვით კადაფის მმართველობის დროსაც. მისი პოპულისტური გადაწყვეტილებით იარაღი გადასცეს ხალხს და გამოყენებაც ასწავლეს.

დღეს ლიბიაში სამოქალაქო ომია, მიმდინარეობს გვაროვნულ-ტომობრივი დემოკრატიის სოციალური ტრანსფორმაცია,

რომელიც უსისხლოდ ვერ დამთავრდება. გააფრთხილები იბრძვიან ტომები, კლანები და შეიარაღებული ბანდები ნავთობდოლარებიდან და ნარკოტიკებით ვაჭრობიდან წილის მოპოვებისათვის. ხელისუფლება არსებობს ნომინალურად. მისი ძალაუფლება ტრიპოლისა და ზოგიერთ ზღვისპირა რეგიონს არ სცილდება. 2014 წლის ივლისში ლიბიის პრემიერმა დასავლეთის ქვეყნებსა და ამერიკას სთხოვა სამხედრო დახმარება. დასავლეთის პასუხი იყო დიპლომატიურ კორპუსთა ევაკუაცია და საელჩოების დახურვა. კადაფის რეჟიმის დამარცხების შემდეგ ლიბიაში მკვეთრად შემცირდა ნავთობის მოპოვება. დასავლეთი მიხვდა, რომ კადაფის ლიკვიდაციით ბევრს ვერაფერს მიაღწია. ლიბიას არ გააჩნია დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა. ის ვერც ქაოსით და ვერც სტაბილურობით მოახდენს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაზე გავლენას. სამხრეთ ევროპას კი აშკარა საფრთხე შეუქმნა ნარკოტიკების გაძლიერებული კონტრაბანდით და აფრიკიდან უკანონო ემიგრაციით. დრტონიკი ვერც მეზობელი ტუნისი და ეგვიპტე, რომელთაც იგრძნეს საფრთხე ლიბიაში მომძლავრებული ისლამისტებისგან. კადაფი ყოველივე ამის წარმატებით აღკვეთას ახერხებდა. ახალ ხელისუფლებას ეს არ ძალუძს.

სწორედ ამ ფონზე ლიბიის პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა გადამდგარი მაღალჩინოსანი გენერალი ხალიფა ჰაფთარი, გამოაცხადა კამპანია ქაოსის, რადიკალისტ ისლამისტთა წინააღმდეგ და უწოდა მას „ლიბიის ღირსება“. რამდენად წარმატებული იქნება ეს წამოწყება, ამას დრო გვიჩვენებს.

კადაფი რთული ბუნების ადამიანი იყო, არაპროგნოზირებადი და ფიცხი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უნარიანი პოლიტიკოსი გახლდათ. მარჯვედ უკავშირებდა ერთმანეთს ლიბიის ეროვნულ ინტერესებს და რეალურ პოლიტიკას. თვით არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარებიდანაც კი ახერხებდა ლიბიისათვის პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას. ასე მოხერხებულად გამოიყენა ჩადთან ფაქტობრივად წაგებული ომი. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში რუსეთს დაუჭირა მხარი იმ იმედით, რომ მისთვის გართულებულ საერთაშორისო ვითარებაში რუსეთის მხარდაჭერას მოიპოვებდა. თუმცა შემდგომ იმედი გაუცურვდა, რადგან კადაფისა და ლიბიისათვის ესოდენ ტრადიციულ დღეებში რუსეთი შემოიფარგლა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის განცხადებებით.

ბოლო ხანებში მსოფლიოს პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კადაფის რეჟიმის ამ სახით ლიკვიდაცია შეცდომა იყო, და რომ კადაფი არ ყოფილა იმ სასტიკი სიკვდილის ღირსი, რომელიც წილად ხვდა. მას ბევრი შეცდომა მოუვიდა, მაგრამ ამავე დროს ბევრიც გააკეთა ლიბიისა და ლიბიელი ხალხისთვის. გაივლის დრო და ისტორია მას კუთვნილ ადვილს მიუჩენს.

ლიბიის უდაბნო საოცრებაა. თუ მას დიდხანს დააკვირდებით, შენიშნავთ როგორ იცვლის ფერს მზის მოძრაობისა მიხედვით. დილის ცხრათვალა მზეზე უდაბნო გამდნარი ოქროს ფერია, რაც უფრო მეტად იხრება მზე დასავლეთისაკენ, მით მრუმე ხდება მის ფერთა გამა: ხან ფლამინგოსავით ვარდისფერია, ხან მუქი წარინჯისფერი, ხან ღვინისფერი, ხანც მომწვანო. უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი კი თითქოს ხანძრით აფეთქებულ ჰორიზონტს მიღმა მიექანება (არასოდეს დამავინყდება ლიბიური დაისით გამოწვეული პირველი შთაბეჭდილება. შეჩქივებულმა, დაბნეულმა ამ უჩვეულო სანახაობით ჩემდაუწუნებურად ვიკითხე, ეს რა არის-მეთქი... ეს მზეა და ჩადისო, მითხრეს. ეს არ ყოფილა მხოლოდ მზის ჩასვლა... ეს საოცრება იყო...), თითქმის იმავდროულად ამოდის მთვარე, რომელიც შეიძლება იყოს სისხლივით წითელი, იასამნისფერი, მწვანე, ან ხასხასა ვერცხლისფერი. ანტიკურ სამყაროში ოქროსა და ვერცხლის ბუნებრივ შენადნობს ელექტრუმს უწოდებდნენ. მისია და მთვარის ამ ტანდემით სწორედ ელექტრუმის ფერი ერთბაშად მოედება ხოლმე უდაბნოს, ააბრჭყვიალებს, ააკაშკაშებს და თუ ჰორიზონტს გაჰხედავ ამ დროს, თითქოს ვერცხლის ციმციმმა ძაფებით ნაქსოვი ფარდა მოცურავს დედამიწისკენ. ცას მონყევტილი ვარსკვლავებიც ჟიჟიკით იკარგებიან უდაბნოს წვედიადში. მოკლედ ზღაპარია და პოეზია და ამ ზღაპრის ყველაზე თვალსაჩინო გმირი კი მუამარ კადაფი იყო უთუოდ.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ტყეში ჩიტი დამხრჩვალყოფი, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში ვინროდ იყოო, სწორედ რომ მასზეა ნათქვამი...

მუამარ კადაფი

სიკვდილი

მამრია თუ მდედრი სიკვდილი, ალაჰმა უწყის...
თუმცა ჯაჰილის' ხანის პოეტი ტარაფა იბნ ალ-აბდი² მას
მამრად³ მიიჩნევდა, როცა თქვა:

**ვხედავ სიკვდილი რომ გულუხვსაც ირჩევს თავისად,
ითვისებს ძუნწის, უკეთურის თავქონებასაც.⁴**

თანამედროვე უმეცარი პოეტი ნიზარ კაბანი⁵ კი ამბობს, სიკვდილი მდედრია, რადგან მას ვაჟი თაუფიკი მოსტაცაო. მაგრამ მაინც რა საკითხავია, მამრია თუ მდედრი? მდედრობით სქესში გამოვიყენებთ ამ სიტყვას თუ მამრობითში, სიკვდილი მაინც სიკვდილია. თუმცა არა... საჭიროა მისი სქესის გარკვევა და გაგება იმისა, მამრია თუ მდედრი. თუ მამრია, ბოლომდე უნდა ვებრძოლოთ, ხოლო თუ მდედრია, უნდა დავემორჩილოთ მანამ, სანამ ჩაქრება სიცოცხლის ბოლო ნაპერწკალი.

ყოველ შემთხვევაში სიტყვა „სიკვდილი“ წიგნებშიც კი ხან მამრობით სქესშია გამოყენებული, ხანაც მდედრობითში.

მე კი ჩემი გამოცდილებით და სიკვდილის გამოისობით თავსდატეხილ უბედურებათა გამო დარწმუნებით ვამბობ, რომ სიკვდილი მამრია და გამუდმებით თავდამსხმელი. ერთი დღეც კი არ ყოფილა, თავი დაეცვას, დამარცხებულსაც კი... ბოროტია და გამბედავი, ხან ჯაბანი და მატყუარა... სიკვდილი ხან იმარჯვებს, ხან მარცხდება ნაგებული და ნირნამხდარი... ჰგონიათ, სიკვდილი ყველა შეტევიდან გამარჯვებული გამოდის. რამდენჯერ სასტიკ ბრძოლაში პირისპირ შებმისას ძალა არ ჰყოფნია, უკან დაუსხვია და ზურგუკულმა ნასულა. მიუხედავად ჭრილობებისა, ნაჭრელებისა, სილაქებისა, ქისტის კერისა და პანლურებისა, რომლებიც მამაც მეომართან პირისპირ შეტაკებისას მოხვედრია, იგი არასოდეს მოუდრეკია ვინმეს, არც ტყვედ ჩავარდნილა, არც დამარცხებული დაცემულა. ეს საშიში თვისებაა, მომაკვდინებელი უპირატესობა, რომელიც ანადგურებს სიცოცხლის ყველა გამოვლინებას, მიმართულს სიკვდილის წინააღმდეგ.

სიკვდილი მართლაც რომ შეუდარებელი მებრძოლია, ამტანი, უსასრულოდ მომთმენი; გულიგულამდე დარწმუნებული, რომ ყოველთვის გაიმარჯვებს როგორი მძლე, ღონიერი და ფესვმაგარიც უნდა ჩანდეს მონინაღმდეგე; რამდენი ბრძოლაც უნდა წააგოს, როგორც უნდა დასუსტდეს და დაძაბუნდეს, მასზე არ მოქმედებს ახლომჭვრეტელ მეოცნებეთა სიკვდილთან გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის ზეიმი. ასეთი რამ ხელს არ ჩააქნევინებს და უარს არ ათქმევინებს ხელმეორედ შეტევაზე.

ო, რა ძალგულოვანია, გაბედული და შეუდრეკელი!

სიკვდილის ძლიერება ის კი არ არის, რომ მიზანს არ აცდენს, არც ის, რომ მის მიერ მიყენებული ნაკოდარები მომაკვდინებელია, ან მისი იერიშები ძლევამოსილია. ააცდენს კიდეც და ზუსტადაც მოახვედრებს... კლავს კიდევაც და ხელიც მოსცარვია, თავსაც ესხმის და დამარცხებულა კიდევაც, არ არის ყველა მისი დარტყმა აბსოლუტურად ზუსტი და ვერც ყველა ბრძოლას იგებს. ძალა სიკვდილისა მისი ჯოჯოხეთური უნარია აიტანოს, ბოლო მოულოს და გაანადგუროს ყველა ისარი და ხელშუბი, რომელიც მოხვედრია, აგრეთვე ველური მადით ლოკოს იარების სისხლი და ჩირქი, გადააქციოს ეს ყოველივე მომაკვდინებელ ცეცხლოვან ენერგიად, რომელსაც ძალუძს უმალ დასცეს მინაზე მონინაღმდეგე.

სიკვდილი იმარჯვებს ურყევი ბუნების გამო. იგი არავის მიმართავს დახმარებისათვის, სიკვდილი სრულყოფილია, მას



ასეთი შეცდომა არ მოუვა. თითქოს სხვის დაკვეთას ასრულებს, მანვეირებს და იერს იცვლის, მაგრამ შეუძლებელია სიკვდილი სხვისი მარიონეტი იყოს. იგი რომ მოკავშირეს ეყრდნობოდეს, მძევალი გახდებოდა. მძევალი თავისუფალი არ არის, მარიონეტი, მარიონეტს კი, როცა თამაში დამთავრდება, ნაგვის კალათში მოისვრიან ხოლმე. სიკვდილი რომ მარიონეტი იყოს, ან ლაქია, ან მძევალი, ანდა სათამაშო სხვის ხელში, მისი უპირობო გამარჯვება დიდ ეჭვს გამოიწვევდა. იგი კი, როგორც ვთქვი, არ არის ლეგენდარული გმირი მალალი იდეალებით, საზოგადოებრივი და ტომობრივი მორალის მქონე, არც დიდი ოჯახური აღზრდა გააჩნია, რომელიც სანაქებო თვისებათა მატარებელს მორალურად აიძულებს მოიქცეს იდეალურად, რათა ეს ღირებულებანი არ შეარცხვინოს. ის გაიძვერა, ცვალებადი და ფლიდი. შეუძლია შეინიღბოს და სხვისი სახელით იმოქმედოს. შეუძლია უდრეკად მოიჭრას თეთრ ცხენზე ამხედრებული და ხმალამოლებული პირისპირ ეკვეთოს მონინაღმდეგეს... შეუძლია ზურგში ჩასცეს მახვილი, როგორც ამას გააკეთებს იარაღის ხმარებაში უწვრთნელი დიაცი... შეუძლია უშიშრად ქვეითად წამოვიდეს... შეუძლია შეინიღბოს, ძირს გაითხლაშოს, მიწას ამოეფაროს, იმრუდოს და იუკუღმართოს.

რამდენი იმსხვერპლა, ვინც ცხოვრებით კმაყოფილმა და დამშვიდებულმა არად ჩააგდო იგი! რამდენი იმსხვერპლა მძინარე, ღრმა ძილში საოცნებო სიზმრებს რომ ხედავდა! რამდენი იმსხვერპლა ცხოვრებით გახარებული და მხოლოდ კარგის მომლოდინე, სულ რომ არ ფიქრობდა სიკვდილზე...

ნუ ელოდებით მისგან შეწყალებას, სიბრაულს. იგი არასოდეს განუგებებთ, არ გაითვალისწინებს თქვენს მდგომარეობას, არ სცემს პატივს თქვენს ცხოვრებას. შეუძლია ჩვილი მოგლიჯოს დედის ძუძუს და იქვე, დედის თვალნი მოკლას... შეუძლია ხელი გაიწვინოს ფეხშიმე ქალის მუცლისკენ და მკვდრადშობილად გამოათრიოს დედის მუცლიდან დიდი ხნის ნალოლიავები ნაყოფი. შეუძლია ნეფე-პატარძალი ქორნილის ღამეს დააშოროს ერთმანეთს... შეუძლია თავს დაეცეს მშობლებს და ბავშვები ობლად დატოვოს. შეუძლია პირიქითაც მოიქცეს. იგი ამქვეყნიურ სიამეთა დამამხოველია, ბიჭებისა და გოგონების დამაობლებელია, როგორც აღწერენ მას ყვითელი წიგნები.

იყავით უმოწყალო მის მიმართ და ნურც შეწყალებას სთხოვთ. იგი დაუძინებელი მტერია. მასთან არც დაზავება შეიძლება და არც მისით დაიმედება. უმოწყალოდ ებრძოლეთ მას, ნუ გამოიჩინთ სულმოკლეობას მის წინაშე. სულერთია, მაინც არ შეგინყალებთ, რა ლაჩრულადაც უნდა მოიქცეთ და ჩაბარდეთ. იგი საერთოდ არ ცნობს დაზავებას. მისი ხასიათი

ვერ ეგუება მშვიდობიან თანაარსებობას. მან დახოცა ჩემი ნორჩი ძმები, შიმშილით ამოწყვიტა ჩემი ოჯახი, რათა აქძულეებინა, მასთან გამგზავრებულიყვნენ. აიყოლია ჩემი ძმები, თამაშით შეიქცია ჭაობში, შეასვა ებრაული სამსალა და სიცოცხლეს გამოასალმა ოთხი ვაჟი და ორი გოგონა. შემდეგ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ჩემს მამაც მამას, შეუერთდა მიანის კამპანია⁶ კურდაბიაში,⁷ გადაიცვა იტალიელ და ერთრიელ⁸ ჯარისკაცთა ფორმა. ყოველივე ეს იმისთვის ჩაიდინა, რომ მოეკლა მამაჩემი, რომელმაც მასთან მედგარი ბრძოლა გააჩალა ჩემი ძმების დახოცვის შემდეგ.

მამაჩემმა გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა სიკვდილისათვის. ამიტომაც გაუღიჯა პოლკოვნიკ მიანის უამრავი ჯარისკაცი, რომელთა სამოსშიც სიკვდილი იყო გადაცმული. უნდა გენახათ, რარიგ განცვიფრდა მამაჩემი, როცა დაინახა რა პანტაფუნტით ეცემოდნენ მოკლულები მის გარშემო — მარჯვნივ და მარცხნივ. მას კი ყოველი გასროლით ეიმედებოდა, რომ სიკვდილი უკვე მოკლული ჰყავდა, ვიდრე დასცილდა პატრონტამს ტყვიებისაგან და იყვირებდა ამხანაგების გასადგონად: „არის ტყვიები კიდევ, რომ თქვენც მოგიკლათ სიკვდილი“? იქვე, მის ახლოს სანგარში გართხმულმა ახალგაზრდამ მიუგო: „აჰა, ჩემი პატრონტამი, სასვეა ტყვიებით“. გაიხარა მამაჩემმა და დაეშურა ტყვიები გამოერთმია, მაგრამ სიკვდილი უფრო სწრაფი იყო. მას ხომ ესმის და ხედავს. მამაჩემი რომ მივიდა, ის ახალგაზრდა უკვე სულს გაჰყროდა.

მამაჩემი სიკვდილივით შეუბრალებელი მეომარი იყო. აიღო დალუპული მეომრის პატრონტამი და განარძო ბრძოლა, ვიდრე წყურვილი შეაწუხებდა. სთხოვა ბიძამის ხამისს, ყლუპი წყალი მიენოდებინა. ეცა ბიძამისი იტალიელთა რიგებში წყლით დატვირთულ ფორს, რათა წყალი მიეტანა მისთვის, სიკვდილმა კი, როგორც ყოველთვის, ახლაც დაასწრო, ესროლა სასიკვდილო ტყვია ხამისს და მოარტყა მარჯვენა წარბს ზემოთ. ტყვიამ თავში გაუარა, იფეთქა ტვინმა და სხეულზე გადმოენთხია. უსულოდ დაეცა ხამისი.

გონება დაკარგა მამაჩემმა, ამოხტა სანგრიდან და ბრძოლა ფეხზე მდგომმა გააგრძელა. სიკვდილი პირისპირ გამოიწვია, როცა დასჭექა: „ჩვენ მუსას ვაჟები ვართ, თუ ვაჟკაცი ხარ, სიკვდილო, გამოდი ჩემთან, გამოდი, შე ჯაბანი!“ სიკვდილმა არ უპასუხა გამონვევას, არ აუნწევია ხელი, რათა დაენახებინა, სად იდგა, არც თავისი მამაცი თავი გამოუჩინია. პასუხი გასცა მხოლოდ ტყვიების მომეტებული ჯერით. ვინც გამონვევას უპასუხა, იყო არა სიკვდილი, არამედ მამაცთა ჯგუფი, რომლებმაც მიაციერეს მამაჩემს: „ჩვენ ალ-ჰაჯის ვაჟები ვართ, ალ-ჰაჯისა...“ ისინი ფეხზე წამოხტნენ და უშიშრად ეკვეთნენ სიკვდილს. მამაჩემი მაშინვე მათკენ გაქანდა, რათა მათთან ერთად შეეტია სიკვდილისათვის, მაგრამ სიკვდილი ხომ ყოველთვის უფრო სწრაფია და მანამ მოცელა ისინი ტყვიის ჯერით, სანამ მამაჩემი მათთან მივიდოდა.

როცა სიკვდილსა და მამაჩემს შორის ბრძოლა გაცხარდა, თანამებრძოლებმა სთხოვეს არ მიახლოებოდა მათ, რათა სიკვდილს ისინიც ისევე არ მიენვინა, როგორც ხამისი, ალ-ჰაჯის ვაჟები, ალ-ატრამი, ალ-სუჰაბი, მუჰამედ ბენ ფარაჯი და სხვები და სხვები...

იმ დღეს დილიდან საღამომდე ებრძოდა მამაჩემი სიკვდილს. საღამოს კი ძალამ უმტყუნა სიკვდილს, რიხი მოაკლდა და გაქცევა გადაწყვიტა, რათა შემდგომ კიდევ ერთხელ დასხმოდა თავს. ამჯერად კი ცხრა ნატყვიარი დაუტოვა ტანსაცემელსა და სხეულში, მაგრამ ხელში მაინც ვერ ჩაიგდო.

აკი გითხარით, სიკვდილი ამარცხებს და უკანაც იხევს-მეთქი. არ რცხვენია მარცხისა, არც იმედს კარგავს, რადგან საკუთარი თავის რწმენა უფრო ძლიერია მასში, ვიდრე სასოწარკვეთილება... მას სჯერა, რომ მარცხი დროებითია, რომ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს და არად აგდებს დროებით წარუმატებლობას. ამის საიდუმლო მის თვითკმარობაშია, ამერიკა კი არ ენბარება!

სამი წელიწადი არ გასულა, რომ სიკვდილმა ისევ შემოუტია მამაჩემს იმ იმედით, რომ ახლა მაინც გაიმარჯვებდა მასზე.

სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა მათ შორის, იმაზე უღმობელი, ვიდრე კურდაბიაში. ის მუხთალი ამ ბრძოლაში ალ-სენუსის⁹ არმიის ახალწვეულის სახით გამოცხადდა. ეს არმია იტალიელთა მხარეზე იყო სირთსა და იჯდაბიაში.⁷ თუმცა სიკვდილი იმ დღეს გამომწვევად იქცეოდა, ყელყელაობდა რიცხოვნობითა და აღჭურვილობით, დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. მამაჩემი კი მასზე უფრო კისკასობდა, თუმცა ნაკლებად მედიდურობდა და ნაკლებად იმედიანობდა, მაგრამ უფრო მეტად თავგანწირული და დაუზოგავი იყო. სიკვდილი კი ხარხარებდა...

მამაჩემმა დაინახა, როგორ კალიბრებით მოფორთხავდნენ ალ-სენუსის ჯარისკაცები, რათა დაეკავებინათ მალლობი და ხევი ქლაიას⁷ ღია კარიერს მარილის მალაროსთან ახლოს რომ ერტყმოდნენ გარს. ყვითელი ქვიშა აღარ ჩანდა, ის მთლიანად დაიფარა ჯარისკაცთა შავ-თეთრი ოფიციალური ფორმით. იქაურობა სავესე იყო ასობით სიკვდილის სასარგებლოდ განვეული კაცით. უყურებს მამაჩემი ერთ მუჭა საბაიელებს,¹⁰ თითებზე ჩამოსათვლელ მებრძოლთ სხვა ტომებიდან და ხედავს, რა ცოტანი არიან მტერთან შედარებით.

დღე იყო ავბედითი, მოქუფრული, მზეს მონყევეტილი სულს ლაფავდა დილიდან საღამომდე... დგას სიკვდილი პირდაღრენილი... დგას მამაჩემი გულმაგრად... დგას სიკვდილი გარშემორტყმული მოლაღატე ალ-სენუსის ურდოებით... მამაჩემის გარშემო კი ათიოდე გულოვანი კაცური კაცია...

როდესაც მდგომარეობა ნახდა, გადარჩენის იმედი გაქრა და გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა, მამაჩემმა გადაწყვიტა თავი გაენარა, ზედ შეკვდომოდა სიკვდილს. დასჭექა სიკვდილს, არ გეპუებო, არც შენს არმიას ვაგდებ რამედო, დაე მოხდეს, რაც მოსახდენიაო!.. არ გაუთხრია სანგარი, არც მიწაზე გართხმულს უსვრია. ცალ მუხლზე დაჩოქილი ან ფეხზე მდგომი გააფთრებით ებრძოდა სიკვდილს. მაშინ ერთმანეთს შეერწყა სიამამაცე და თავგანწირვა... რა შემზარავი სახილველია მათი ნახავი!

სიკვდილმა ძირს დასცა ყველა, გარდა მამაჩემისა. ზუსტად ისე, როგორც ეს მოხდა კურდაბიაში. აი, აბუ ისბაყი გულგანგმირული! აი, კადაფ ალ-დამი სულს ლაფავს! — აი, მზეც გადაქანდა დედამინისკენ, თითქოს ისიც ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. ცოტაც და დედამინას კარვად გადაეფარება უკუნი და გაქრება სიცოცხლის შანსი...

შვითი ატეხა სიკვდილმა. გამწარდა მამაჩემზე, რომელიც დილიდან გამომწვევად უტყვდა. გულდაჯერებულმა, რომ გულში გაარტყამდა, დაუმიზნა მოსკოვური თოფი, რომლითაც რუსეთის მეფემ აღჭურვა, მაგრამ ააცდინა და მხარში მოახვედრა. ტყვიამ გამჭოლ გაუარა და მარცხენა მხარეს საზარელი ნახვრეტი დატოვა.

გითხარით მე თქვენ, არ არის სიკვდილის ყველა დარტყმა ზუსტი დამიზნებით ნასროლი-მეთქი, არც ყველა მის მიერ მიყენებული იარაა სასიკვდილო. ხან ააცდენს, ხანაც მოარტყამს, ან აღისრულებს ჩანაფიქრს და ან ხელი მოეცარება... თუმცა მამაჩემს ბრძოლის გაგრძელების უნარი დააკარგვინა, მთელი ცხოვრების მანძილზე ნაწილობრივ დაადამბლავა, მაგრამ სიცოცხლე ამჯერადაც ვერ წარსტავა.

გითხარით მე თქვენ, სიკვდილი არ არის-მეთქი ყოველთვის მამაცი, ყოველთვის არ შეებრძოლება მონინალმდეგეს პირისპირ. ზოგჯერ ჯაბანიცაა, მიეპარება მეტოქეს და ზურგში ჩასცემს მახვილს, ფეხში ეცემა, მოაკნეტს და მიწაში ჩაიმალება. ამჯერად გმირებთან მოულოდნელად თავს დამტყვადარ შეტაკებებში ქანცგანყვეტილმა სიკვდილმა, როგორც ეს მოხდა მარილის მალაროსა და კურდაბიასთან, ვერ სძლია მამაჩემს და ვერ მოკლა იგი.., მაგრამ აკი გითხარით, წყეული სიკვდილი იმედს არ ჰკარგავს-მეთქი... და აი, ერთხელაც უკაცრიელ ვადიში,¹¹ სადაც არც ნარგავი იყო, არც წყალი,

ფორეჯა გველად გადაიქცა, ნაეტანა მამაჩემს ქუსლზე მოლაღატურად, მუხანათურად, ჯაბანივით. კუნაპეტივით შავი ღამე იყო. ეს მოხდა საკმეველის აკაციის ქვეშ, უდაბნოში რომ იზრდება, ეკლებით შეჩუნჩხლული, ბებერი, შიშისმომგვრელი ხის ქვეშ...

ასეთია მრისხანე სიკვდილი. გამძვინვარებული შავ ცხენზე ამხედრდება, ხოლო როდესაც ღიად და დაბეჯითებით ინვევს მოწინააღმდეგეს, თეთრ ცხენს მოექცევა ზურგზე. აი, სიკვდილი, რომელსაც მახვილი გაუშიშვლებია დიდ ბელადთა წინაშე უშიშრად, მოურიდებლად. აი, გაქრა თვალთახედვის არიდან, უკნიდან ეპარება მსხვერპლს, პირისპირ კი არ უდგება, ქვევიდან უტევეს, ზევიდან კი არ აცხრება, გლეჯს, კი არ კვეთს, მერე კი ჩაიფუშება და ჩაიმალება. ქუსლში ეცემა და არა ყელში...

ამჯერად სიკვდილი მამაჩემის წინაშე საძაგელ შხამიან გველად გადაიქცა. მართალია, მამაჩემმა ის გასრისა თავისი მამაკაცური ღონიერი ფეხით, მაგრამ მან მოასწრო სწორედ ამ ფეხზე ეკბინა. ჩათვალა სიკვდილმა, რომ ეს მომაკვდინებელი ხრიკი და მზაკვერული ფანდი იყო. პირისპირ შერკინების ჩაშლის შემდეგ სიკვდილი იძულებული გახდა ცბიერებისთვის მიემართა. სჯიდა და ძრახავდა სიკვდილი — გამარჯვება მას უნდა დარჩენოდა. ის კი გამორჩა, რომ სიცოცხლის წყურვილი გააცამტვერებდა მის ხვანჯებს, გაუტრუებდა იდუმალ ზრახვებს. სიცოცხლის ჟინს შეუძლია გააბათილოს სასიკვდილო შხამის ზემოქმედება ჩვეულებრივი შავი ჩაის ნაყენით. უშაქროდ მოდულებული ჩაის რამდენიმე ყლუპმა და მრავალგზის რწყევამ ფეხზე დააყენა მამაჩემი და გაამარჯვებინა რამდენიმე წამის წინათ თვალნათლივ დანახულ სიკვდილზე. მაშინ დასცინა მამაჩემმა სიკვდილს, მასხრად აიგდო.

სიკვდილი არ კვდება, როგორც ამ მოთხრობიდან ვიცით, არც ფარხმალს ყრის, რაგინდ დასუსტდეს და დამარცხდეს. მოკლა გველი მამაჩემმა ღონიერი ფეხით, ბრძოლაში რომ არ აჰკანკალებია და არც მაშინ, გველს სანდღოთ თავს რომ უჭყყავდა. იგი ყოველთვის მტკიცედ და ღონიერად იდგა გინდ ბრძოლის ველზე, გინდ გველის თავზე ფეხალმართული. და მაინც სიკვდილი ელვის სისწრაფით გამოსრიალდა მამაჩემის ფეხის ქვევიდან და გადაიქცა სხვა გველად, რომელიც მაშინ გადაეყარა, შინ რომ ბრუნდებოდა. გაინვდინა ხელი ბუჩქის ხმელი ტოტისკენ, რათა ცეცხლი დაენთო, ეცა ეს მეორე გველი და თავისი მომაკვდინებელი შხამი ერთბაშად გადმოანთხია მის ხელისგულზე. მამაჩემს ამჯერადაც სჭირდებოდა შავი ჩაი. ის ადგილი არ ყოფილა უდაბური, არც მოშორებული იყო, როგორც წინა შემთხვევაში. ამიტომაც ჩათვალა სიკვდილმა, რომ ეს მამაჩემს დაასუსტებდა, რადგან სიკვდილს ძველებურად ვეღარ გამოიწვევდა, როგორც მოშორებულ ადგილას ყოფნისას, როცა მამაჩემი მარტო იყო. მარტო ყოფნა ხომ ნამდვილი შერკინებისა და ნებისყოფის სრული დაძაბვისკენ უბიძგებდა, რათა გაეტეხა სიკვდილის ნება.

ამჯერად კი მის გარშემო ხალხი იყო. სხვის იმედად ყოფნამ, დიდმა ნდომამ — ხალხი დახმარებოდა, დააკარგინა ბრძოლისა და გამომწვევად ქმედების უნარი. სიკვდილს გაუჩნდა იმედი, რომ მედგარი მეტოქე ამჯერად ვერსად წაუყიდოდა. მაგრამ დაავიწყდა, რომ მუხანათური გზის არჩევა სისულელეა. გარდა ამისა, განმეორებით დაგვესვლის შედეგად მისდა უნებურად მამაჩემი გველის შხამის მიმართ მედეგი გახდა. ასე რომ, ამ მეორე ექვანამ გამოიწვია მხოლოდ უმნიშვნელო ტკივილი, რომელიც სასიკვდილო არ ყოფილა.

რაც მეტხანს ცოცხლობდა მამაჩემი, მით მეტი რისხით უტევედა სიკვდილი. დიდხანს ეურჩა მამაჩემი შეუპოვრად... სიკვდილი კი გამუდმებით ნადირობდა მასზე....

თუ თვალს გადავაგვლებთ ამ დრამატულ ამბავს, შეგვიძლია ვთქვათ: სიკვდილი მართლაც ყველაფრით მამრია, გარდა ერთი ბოლო რამისა... თუმცა ეს საქმე მთლად ნათელი არ არის ჩვენთვის. მაშინაც კი, როდესაც იგი მდებარე გველად გადაიქცა, ისეთ ბრძოლას იმსახურებდა, მამრს რომ შეეფერება. შხამიანი გველი მტერია დაუძინებელი. და რადგანაც მტერია, მამრთა ჯიშს განეკუთვნება, ამიტომაც უპრიანია მასთან ბრძოლა ისევე, როგორც ერთიორად ან იტალიელ ჯარისკაცებს ვებრძოდით კურდაბაში.

ახლა რაც შეეხება სიკვდილის სქესს, რის გარკვევასაც ვცდილობთ თხრობის დასაწყისიდან. უკვე ვთქვით, რომ თუ მამრია, ვალდებული ვართ ბოლომდე ვებრძოლოთ, ხოლო თუ მდედრია, უნდა დავმორჩილდეთ უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ.

მე კი ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდი, რომ იგი მდედრია, რადგან მამაჩემი მას დანებდა სულის ამოხდომის წინ — 1985 წლის 8 მაისს. არც განძრეულა გასაბრძოლებლად, წყნარად იწვა. პირველად ვნახე ბრძოლაში დამორჩილებული. ხანდახან უარსაც კი ამბობდა, რომ ვინმე ჩამდგარიყო მასა და სიკვ-



მხატვარი გიორგი ქართველიშვილი

დილს შორის, იცავდა მას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი მდედრია. თანაც ძველი ყაიდისა, რომელზეც ყურანში ნათქვამია: „აღზრდილი სამშვენისთა შორის და უუნარო კამათისა“.

მამაჩემი სიკვდილს ჩაბარდა მშვიდად, თითქოს ეს ის სიკვდილი არ ყოფილიყო, შიშს რომ ჰგვრის ყველას, ის მხედარი არ ყოფილიყო, მამაჩემივით მამაც ადამიანში მახვილამონვდილი ორთაბრძოლის სურვილს რომ აღვიძებდა...

თითქოს სიკვდილის დოლები, რომელთა ბრავუნიც მონოტონურად ძლიერდებოდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა გამაბრუებელი სიმღერა, აი, უმ-ქულსუმი¹² რომ მღერის, ისეთი. რაც უფრო ახლოვდებოდა სიკვდილის პროცესია და ძლიერდებოდა მისი დოლების შემზარავი ბრავუნი, მით უფრო დუნდებოდა სანოლში გამოტოლი მამაჩემი, გვილიმოდა უაზროდ, როგორც ილიმებიან აკვნის ჩვილები. მშვიდად იყო და სახეზე უშფოთველობა აღბეჭდვოდა, რამაც გვაფიქრებინა, რომ სიკვდილის პროცესის ხმაური, რომელიც ფიზიკურად ჯანმრთელებს შიშს გვრის, ავადმყოფებისთვის შვების-მომგვრელი გამაბრუებელი სიმღერაა ცნობილი ეგვიპტელი მომღერლის შესრულებით. ისიც კი ვიფიქრე, რაღა საჭიროა ქიმიური ანესთეზია ავადმყოფის მკურნალობისას, გრძელი ეგვიპტური სიმღერაც საკმარისია-მეთქი. ექიმი არ დამეთანხმა და მომთხოვა მის პროფესიაში არ ჩავრეულიყავი. მითხრა, ყველა შენი დასკვნა მცდარია და სრულიად არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. მათზე დაყრდნობა არ შეიძლება. ასე შევრცხვი ანესთეზიის მეცნიერების არცოდნით. ექიმი უხერხული მდგომარეობიდან გამოვიყვანე და თავად დავაბოლოვე ის სიმართლე, რაც მას უნდა ეთქვა. მან თავი შეიკავა და არაფერი უთქვამს პასუხად. მე კი მის მაგივრად განვაგრძე და ვთქვი, რომ სრულიად უმეცარი ვარ ანესთეზიის პროცესისა და ალ-

ბათ ერთმანეთში ავურიე ჯანმრთელებისა და ავადმყოფების გაბრუნება, და რომ გადაჭარბებით შევაფასე ეგვიპტური სიმღერების ზემოქმედება, როცა ვირწმუნებოდი, ავადმყოფებზე ზეგავლენას ახდენენ-მეთქი. სინამდვილეში ისინი მოქმედებენ მხოლოდ ჯანმრთელებზე. 1948 წლიდან¹³ აღინიშნება მათი ეფექტურობა და ზეგავლენა. ისინი გამოსცადეს მილიონზე მეტ არაბზე, რაც გასაოცარი წარმატებით დასრულდა. სამწუხაროდ, ამ ექსპერიმენტის შედეგი იმის საპირისპირო აღმოჩნდა, რასაც მე ველოდი. მართლაც აუცილებელია ავადმყოფებთან ქიმიური გამაყუჩებლების გამოყენება ქირურგიული მკურნალობის და სხვა მსგავსი შემთხვევების დროს. დამტკიცდა, რომ ფიზიკურად ავადმყოფ ადამიანებზე არ მოქმედებს ეს სიმღერები. ექიმებიც ურჩევენ, არ მოასმენინონ ავადმყოფებს ეს სიმღერები იმის შიშით, რომ გამოიწვევს ისეთ გართულებას, როგორცაა გულისრევა... რაც შეეხება ჯანმრთელებს და მათ მსგავსთ, როგორებიც არიან სულით ავადმყოფები და ჭკუასუსტები, მათ ურჩევენ უსმინონ ეგვიპტურ სიმღერებს, თუ სურთ, ხელოვნურად მიეცნენ ძილ-ბურანს ან არაქიმიური გაუტკივარება გაიკეთონ. ექიმების აზრით, ეს სიმღერები არ ართულებს მათ მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ამ სიმღერებს რომ გართულების გამოწვევა შეეძლოთ, მაშინ გავლენას მოახდენდნენ ამ ადამიანთა მდგომარეობაზე. რაც შეეხება მათ სხეულს, არ ღირს ამის გამო ნერვიულობა. როდესაც აღვნიშნე, რომ ისინი ალბათ მოქმედებენ სულზე ან გონებაზე-მეთქი, ექიმმა უზრუნველად მიპასუხა: „სული... გონება... განწყობა... და ა.შ. განყენებული ცნებებია და მე, როგორც ქირურგს, ეს არ მაინტერესებს“.

მამაჩემი საერთოდ მოეუნდა, მოეშვა, ჩვენ კი გული გვეწურებოდა ჯავრითა და ტკივილით. ხანგამოშვებით ვტიროდით, ის კი ილიმებოდა და ნეტარება სიკვდილისმიერ ბურანში ჩაძირული. ო, ნეტავ ვიცოდე, ეს ის სიკვდილია, რომელსაც ებრძოდა კურდაბიაში, თალაში ან მარილის მალაროსთან?! იქნებ ეს ის შხამიანი გველია, რომელიც არაერთგზის ჩასაფრებია უკაცრიელ უდაბნოში?! განა ეს ის სიკვდილია — დაუძინებელი მტერი, გამომწვევი, თავდაჯერებული, გოროზი, რომლის გამომწვევობა და თავდაჯერებულობაც აქეზებს და თანდაუზოგავს ხდის მონინალმდეგეს?! არა, არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ისაა, მაგრამ თუ მაინც ის არის, იმდენად წარმატებული მატყუარა ყოფილა, რომ ვერავინ შეედრება. ამიტომაც არ შებრძოლებია მამაჩემი ამჯერად, როგორც ადრე, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ ჯობნიდა და იმარჯვებდა მასზე, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილს მრავლად ჰქონდა მისი მოკვლის შანსი.

მამასადამე, სიკვდილი მდებრი ყოფილა, და რადგანაც ეს ასეა, უნდა დაემორჩილო კიდევ მას უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ. ასეც მოიქცა მამაჩემი.

მტერის ღრუბელში აფართქალბული შავი დროშების შუაგულში ამხედრებული სიკვდილი ბრძოლაში ხშირად ვერ აღწევს სანადელს. იგი ამ დროს ფიქრობს, რომ დოღის ცხენზე ზის, რომელიც აუცილებლად მოიგებს, სინამდვილეში კი მიაჭენებს რაშს, რომელსაც გულზვავობა ჰქვია. ამით მონინალმდეგეს უბიძგებს, ხელალებით გამოიწვიოს ბრძოლაში. ამ ხერხით იგი წარმოიჩნდება როგორც უადრესად გულადი კაცი, გულადს კი ბოლომდე უნდა ებრძოლო, თუ ვაჟკაცი ხარ. ბრძოლა ხომ უმეტესწილად გამარჯვებით მთავრდება.

სახიფათო სიტუაციებში, რათა სიკვდილმა ადვილად მიადნოს მიზანს, იგი მდებრად გადაიქცევა ხოლმე. მდებრს კი უნდა დაემორჩილო უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ, როგორც განვაცხადეთ თხრობის დასაწყისში. მონინალმდეგის დამორჩილება სულაც არ ნიშნავს მასზე გამარჯვებას. როდესაც სიკვდილი ცვლის მეთოდს და მდებრად გადაიქცევა, მონინალმდეგისგან გამოელის მორჩილებას, რათა გაიმარჯვოს მასზე წინააღმდეგობის გაუწევლად. რაც უნდა დიდხანს გაჭიანურდეს ბრძოლა, სიკვდილი მაინც განაგრძობს თავისი

მიზნისკენ გულდაჯერებით სვლას. თუნდაც დანებდეს მონინალმდეგე, იყოს ჯაბანი, სუსტი და საცოდავი, სადათისტიც¹⁴ რომ გახდეს, არ შეინყალებს, არა!

ვალდებული ხართ თქვენი დღეგრძელობისათვის ებრძოლოთ სიკვდილს, მამაჩემისა არ იყოს. იგი ერთ დღესაც არ დანებებია მას, ებრძოდა უშიშრად, ვიდრე ასი წლისა გახდებოდა, მიუხედავად სიკვდილის სურვილისა ბოლო მოელო მისთვის ოცდაათი წლის ასაკში... სწორი პოზიციაა, წინააღმდეგ სიკვდილს. გაქცევა კი, თუნდაც საზღვარგარეთ, სიკვდილისგან ვერ გიხსნით... „სიკვდილი ყველგან მოგწვდებათ, თუნდაც ცადალმართულ კოშკში იყოთ...“ ხოლო თუ თვით სიკვდილი დასუსტდა და გადაიქცა არაჯამაპირიელ, არალათინ მდებრად,¹⁵ მოვიდა ქალივით მშვიდობიანად, უიარალოდ, მოვიდა მაცდურად, წყნარად, რათა მოგვენოროს ჩვენი სხეულის ყოველი უჯრედით, დავთვრეთ მის მიმართ ვნებით... ღიტინს დაგვიწყებს, რათა გავგაცინოს მისით მთვრალეები, კაცობა არ იქნება წინააღმდეგ და არ დანებდე... არა, უნდა დაემორჩილო, უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ, ვიდრე სიცოცხლის ბოლო ნაპერკალი ჩაქრებოდეს...

ასე იყო ეს...

**არაბულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო
ნონა აბაშმაძე**

1. ჯაპილიას არაბები უწოდებენ ისტორიის ისლამამდელ ხანას. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს უმეცრებას, კერპთაყვანისმცემლობას.
2. ისლამამდელი ანუ ჯაპილიის ხანის გამოჩენილი არაბი პოეტი.
3. ტარაფა ამ ლექსში სიტყვა „სიკვდილს“ მამრობით სქესში იყენებს.
4. თარგმანი ეკუთვნის ნანა ფურცელაძეს.
5. XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სირიელი პოეტი. შემოქმედების ბოლო წამს ბევრი ლექსი მიუძღვნა ანტიავტორიტარიზმს. ამით დაიმსახურა კადაფის რისხვა და უვიცად მონათვლაც.
6. იტალიელთა კოლონიური სამხედრო შენაერთის მეთაური.
7. კურდაბია, ქლაია — დასახლებული პუნქტებია ლიბიაში. სირთი და იჯდაბია — ქალაქებია ლიბიაში.
8. სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. 1882-1941 წლებში — იტალიის კოლონია.
9. იგულისხმება იდრის ალ-სენუსი. ლიბიის მეფე იდრის I, რომელსაც კადაფი კოლაბორაციონიზმში სდებდა ბრალს.
10. ლიბიური ტომი.
11. მდინარის ამომშრალი კალაპოტის არაბული სახელწოდება.
12. ცნობილი ეგვიპტელი მომღერალი (1904-1975)
13. 1948 წელს ისრაელმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ამავე წლიდან დაიწყო ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის შეიარაღებულ ძალებს შორის პალესტინის გაყოფასთან დაკავშირებით წარმოქმნილ შეიარაღებულ კონფლიქტში წონასწორობის შეცვლა ისრაელის სასარგებლოდ, რამაც გამოიწვია ამავე წელს პალესტინიდან მილიონზე მეტი არაბის წასვლა ემიგრაციაში და უმინაწყლოდ დარჩენა. არაბულ სახელმწიფოთა ლიგის შეიარაღებულ ძალებში ყველაზე მნიშვნელოვანი ძალა გააჩნდა ეგვიპტეს, რომელიც სამარცხვინოდ დამარცხდა. კადაფი გულისხმობს კონფლიქტის შედეგად პალესტინიდან არაბთა მასობრივ ემიგრაციას და ამ უსახელო ომს.
14. სადათიზმისათვის დამახასიათებელი იყო ეკონომიკის გადაჭარბებული ლიბერალიზაცია, აშშ-ზე ცალმხრივი ორიენტაცია და ეკონომიკის განვითარებისათვის სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული მოდელის შექმნა, რაც კადაფისათვის სრულიად მიუღებელი გახლდათ.
15. კადაფის პირადი დაცვის ბატალიონი შედგებოდა მხოლოდ ლიბიელ და ლათინოამერიკელ ქალწულთაგან. ერთ-ერთმა, კადაფიზე თავდასხმის დროს, მის გადასარჩენად თავიც კი განირა სასიკვდილოდ. საერთოდ ლიბიის ლიდერი ცნობილი გახლდათ ქალთა საკითხზე თავისი რევოლუციური შეხედულებებით. ჯამაპირიაში ყოველი მეათე ოფიცერი ქალი იყო.

ლომს კლანჭები აღარ უჭრიდა

ხანგრძლივი ყარიბობის შემდეგ ისევ სამშობლოში იმყოფებოდნენ მეფე ქართლისა ვახტანგ VI, მისი ერთგული თავად-აზნაურნი და მათ შორის — სეხნია ჩხეიძეც, მეფის მოლარეთუხუცესი და, იმავდროულად, მემატიანე, ავტორი „მეფეთა ცხოვრებისა“. ირანიდან ქართლში დაბრუნდნენ, მაგრამ ირანის არსებობა, რასაკვირველია, არ დავიწყებიათ. ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებს, რადგანაც ქართლის ბედ-იღბალი ხშირად წყდებოდა მტერ-მოყვარე მეზობლის ბუნაგში და მისი აკვარგი უსათუოდ უნდა სცოდნოდათ. ქართველი ისტორიკოსიც თავის თხზულებაში დროდადრო ისევ გამოურევს ხოლმე ირანის ამბებს, ოღონდ საკუთარი თვალით ნანახს სანდო პირთაგან მოსმენილი ენაცვლება.

სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს, რომ 1722 წელს „მოუხდა ისპაანს შვილი მირვეისისა ყანდაარიდამ, მამუდ. მირვეისი მამკვდარ იყო. რა მოუვიდა ამბავი ყანსა მოსვლა მათი, გააგება ჯარი ისპაანისა აღაჯსა სამსა, შეიბნენ, დაუმარცხდა ყიზილბაშთა, მოკლეს ყულარაღასი როსტომ, ძმა მეფის ვახტანგისა“.

უქართველებოდ ვინ გაიგონა ყიზილბაშთა ომი! როსტომი, ყველაზე უმცროსი ლევან ბატონიშვილის ვაჟებში, დაბადებული უნდა იყოს 1690 წლის ახლო ხანებში. უცხო ქვეყანაში გაახილა თვალი და აიღვა ფეხი, უცხო ქვეყანაში გაიზარდა და უცხო ქვეყანაშივე დალია სული ჯერ ისევ ახალგაზრდამ. თუმცა მთლად უცხო ქვეყანაც არ ეთქმოდა იმდროინდელ ირანს, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ როსტომის მამა-ბიძანი, ძმები და ბიძაშვილები ერთგულ თავად-აზნაურთა თანხლებით. ასე რომ, გაჩენის დღიდანვე სამშობლოს მოწყვეტილმა ქართველმა ბატონიშვილმა დედაენაც ჩინებულად იცოდა, ქართული ზნეცა და ქართული ხმალიც. როსტომი ერთხანს ისპაანის ტარულა (ანუ გამგებელი) იყო, 1718 წელს კი უბოძეს ირანის ყულარაღასობა — ქართველებისათვის ჩვეული სახელო.

ხელნაერთა ინსტიტუტის ფონდებში შემონახულია ორი-ოდე საბუთი, მცირეოდენ შუქს რომ ჰყვენს როსტომის ურთიერთობას თავის უფროს ძმასთან.

აი, რასა სწერს როსტომ-ხან ყულარაღასი ვახტანგ VI-ს: „ეს ზაალ თარხნიშვილი დიად კარგათა და ერთგულად გვემსახურა და გვაამა. ამას წინათ სეხნია მოლარეთ უხუცესის ხელითაც გაახელით ამისი შუამავლობის წიგნი და ამას მოველით თქვენის აურაცხელის მოწყალებისგან, რომ ამ ზაალს, რაც მამულები წართმეოდეს და მოშლოდეს, ისევე უბოძეთ“.

ირანის სპასალარად დანიშნული მეფე ქართლისა თავის ძესა და ჯანიშინს ბაქარს მიმართავს, რომ ზაალ თარხნიშვილის თხოვნა დააკმაყოფილონ, და დასძენს: „ამისი დანაშაული ჩვენ გვაპატივეთ“.

სეფიანთა სამეფო კარზე არსებობდა გავლენიანი ანტი-ქართული დაჯგუფება. დიდმოხელეთა ხვანჯებმა და ვერაგობამ სასიკვდილოდ განწირა გიორგი XI და ქაიხოსრო. ისინი გზიდან ჩამოიშორეს და მერე ერთმანეთსაც დაერივნენ. ანტი-ქართული დაჯგუფების წამყვანი ფიგურა — სეფიანთა ირანის ეთიმადოვლე (ანუ დიდებური) ფათალი-ხანი, წარმოშობით ლეკი, თავის თანამზრახველთა მსხვერპლი შეიქნა. მალემრწმენი ხელმწიფის ბრძანებით ჯერ საპყრობილეში ჩააყუდეს, მერე კი თვალები დათხარეს.

სახელმწიფო საქმეები ვერ იყო რიგზე. ახლოვდებოდა კატასტროფა. ამას ერთხმად აღნიშნავენ თავიანთ ნაწერებში რუსეთის ელჩი არტემ ვოლინსკი და ოსმალეთის ელჩი დური-ეფენდი, ევროპელი მოგზაურები და კათოლიკე მისი-

ონერები, სპარსელი და ქართველი ისტორიკოსები. ხოლო ცრუმორწმუნე ხელმწიფის ასტროლოგებმა ვარსკვლავებზე ამოიკითხეს სეფიანთა დინასტიის დამხობა.

1721 წლის ზაფხულში ისპაანის მოსახლეობა შეაძრწუნა ერთმა უცნაურმა მოვლენამ. მთელი ათი დღის განმავლობაში მზე აღარ გამოჩენილა ცაზე, ჰორიზონტი მენამული ღრუბლებით დაიფარა. სინათლე ოდნავ მეტი იყო, ვიდრე მზის სრული დაბნელებისას. ასტროლოგთა აზრით, ყოველივე ეს მოასწავებდა დიდ უბედურებას. ზოგმა იწინასწარმეტყველა მიწისძვრა, ზოგმაც — ცეცხლი ზეციდან და უზარმაზარი ხანძარი.

ღვთისმომშიმა შაჰ-ჰუსეინმა ირწმუნა, რომ ზეცა აღდგა მის წინააღმდეგ. დაუყოვნებლივ მიატოვა სასახლე და კარავში დაიდო ბინა. სეფიანთა სამეფო კარმაც მიჰბაძა ხელმწიფეს და ბაღები გაივსო ხალხით. სახლები დაცარიელდა. აკრძალულ იქნა ყოველგვარი გართობა. მეძავეები გააძევეს სატახტო ქალაქიდან. ყველას ებრძანა მარხულობა და ლოცვა. ქადაგად დავარდნილი მოღლები დიდსა და პატარას მოუწოდებდნენ, რომ ცოდვათა გულწრფელი მონანიებით აეციდინათ მოახლოებული განსაცდელი.

ისპაანში ჯერ არც იცოდნენ, რომ განსაცდელი უკვე დაძრულიყო შორეული ყანდაარიდან. განსაცდელს სახელად ერქვა მირ-მამუდი. მისმა მამამ, ლილზაების ტომის ცნობილმა წინამძღოლმა მირ-ვეისმა, ასეთი ანდერძი დაუტოვა თვის-ტომთ: თუკი ყიზილბაშნი შემოუტყვენ ყანდაარს, ყოველგვარ პირობებზე დათანხმდით და დაეზავეთ. მაგრამ თუკი გადადეს ომი, თავად თქვენ შეუტყით თვით ისპაანის კარიბჭემდე.

შაჰ-ჰუსეინი შეურიგდა ყანდაარის დაკარგვას და მამუდმა, მამის ანდერძის თანახმად, ფეხზე დააყენა თავისი ლაშქარი. ავღანები შეიჭრნენ ირანში.

დგებოდა 1722 წელი. 10 იანვრით დათარიღებულ წერილში ერთი კათოლიკე მისიონერი აღნიშნავდა: „დღითიდლე უარესდება ვითარება ამ სახელმწიფოში, ვინაიდან ყოველი მხრიდან აწყდებიან მტრები, მემამოხენი და მოღალატენი. რაღაც სამიში სიურპრიზი მოგველის. უფალი იყოს ჩვენი შემწე!“

პოლონელი ღვთისმსახური თავდუმ კრუშინსკი გადმოგვცემს, რომ ავღანთა მოახლოებისას სეფიანთა სამეფო კარის ზოგიერთმა დიდებულმა სცადა მცონარა და უდარდელი ხელმწიფის გამოფხიზლება. გააფრთხილეს, საფრთხე გვიახლოვდება, განცხრომის დრო აღარ არისო. მაგრამ შაჰ-ჰუსეინმა ცივი წყალი გადაასხა მრჩევლებს: მაგაზე ფიქრი თქვენი საქმეა, მე კი მხოლოდ ჩემი სასახლე რომ დამიტოვონ ფერაბადაში, ამითაც კმაყოფილი დავრჩები.

მირ-მამუდი უკვე ოთხი დღის სავალზე იყო ისპაანიდან, როდესაც სეფიანთა სამეფო კარის ელჩები გამოეცხადნენ და თხოუმეტი ათასი თუმანი შესთავაზეს, ოღონდ კი უკან გაბრუნებულიყო. ავღანთა წინამძღოლმა იგრძნო მტრის სისუსტე და შიში, მყისვე უარი სტკიცა ელჩებს, გზა განაგრძო და დაბანაკდა ისპაანის მახლობლად, სოფელ გულნაბადთან.

სეფიანთა ხელმწიფემ თათბირი გამართა. ახალი ეთიმადოვლე მუჰამედი ყული-ხანი ამტკიცებდა, ქალაქი უნდა გავა-მაგროთ და თავი დავიცვათ, ვიდრე პროვინციებიდან ჯარი შემოგვიერთდებო. არაბისტანის ვალი (მეფისნაცვალი) და როსტომ ყულარაღასი ავღანებთან შებრძოლებას მოითხოვდნენ. შაჰ-ჰუსეინმა, ყველასთვის მოულოდნელად, ამ უკანასკნელთ დაუჭირა მხარი.

დაიწყეს ხალხის შეგროვება ისპაანის ირგვლივ მდებარე სოფლებში. საჯაროდ გამოაცხადეს, ვინც კი იარაღს აისხამს, ბეგარისგან ექვსი თვით გათავისუფლდებო. ამან სასურველი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ რად გინდა, მოხალისეთა უმეტესობას გლეხები და ხელოსნები შეადგენდნენ. ისინი თავიანთ სიცოცხლეში პირველად იღებდნენ ხელში იარაღს. მრავალ მათგანს კი იარაღიც არ ერგო, კეტებითა და წერაქვებით უნდა გასულიყვნენ ბრძოლის ველზე.

აი, ასე შეავსეს ლაშქარი, მაგრამ საკმაო ოდენობით იყო კარგად შეიარაღებული და განერთილი ნაწილებიც. ოცდა-ოთხი ზარბაზნით აღჭურვილი არტილერიის კორპუსი ნომინა-

ლურად ემორჩილებოდა თოფჩიბაშ აჰმედ-ხანს, მაგრამ სინამდვილეში — ვინმე ფილიპ კოლომბს. იგი წარმოშობით ფრანგი იყო, რამდენიმე წელიწადი რუსეთის არმიასი მსახურობდა და ბოლოს ირანში ამოყო თავი.

სეფიანთა არტილერიის სარდლის შესახებ ერთობ კურიოზულ ცნობას გვაუწყებს თავდუშ კრუშინსკი. თურმე ეს აჰმედ-ხანი ისპაანში მყოფ ინგლისელებს ეკითხებოდა, ისპაანიდან გასროლილი ყუმბარა გულნაბადამდე თუ მიღწევსო. მანძილი მათ შორის თითქმის ოცი კილომეტრი იქნებოდა!

სეფიანთა ლაშქარმა გაიარა გულნაბადი და გადაკვეთა იქვე მდებარე არხი. განლაგდნენ ავლანთა პირისპირ, მაგრამ ბრძოლა ორიოდე დღით გადაიდო, ვინაიდან ხელმწიფის ასტროლოგებმა განაცხადეს, ვარსკვლავთა კეთილგანწყობა მ მარტამდე არ არის მოსალოდნელიო.

კრუშინსკიმ შაჰ-ჰუსეინის ასტროლოგთა კონსულტაციით როდი დაკმაყოფილდა. მან გასცა ბრძანება, რათა ბრძოლის წინა ღამეს მთელი ლაშქრისათვის დაერიგებინათ „ჯადოსნური“ წვნიანი, რომელიც ერთმა სარდალმა გამოიგონა. ხელმწიფე დაარწმუნეს, რომ თუკი მეომრები ამ წვნიანს იგემებდნენ, მტრისათვის უწინარე შეიქნებოდნენ. წვნიანი ასეთი რეცეპტით მომზადდა: ქვაბებში ჩაასხეს წყალი, ყოველ მათგანში ჩაყარეს ორ-ორი ფეხი ვაცი და მოხარშეს სამას ოცდახუთ ცერცვის მარცვალთან ერთად. სრული ეფექტისათვის თითო ქვაბთან თითო ქალწული უნდა მისულიყო და სამას ოცდახუთჯერ წარმოეთქვა მაჰმადიანური ლოცვის ფორმულა.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ საომრად განწყობილ სეფიანთა ლაშქარს ჰყავდა ორი მთავარსარდალი, სახელდობრ — ეთიმადოვლე და არაბისტანის ვალი. თავისთავად ხომ გაცხებას იწვევს ორი მთავარსარდალის სარდალობა ბრძოლის ველზე, მაგრამ კიდევ უარესი ის იყო, რომ მთავარსარდალებს ერთმანეთისა შურდათ, ერთმანეთს მტრობდნენ და, რაც ყველაზე საოცარია, ბრძოლის წარმართვა სხვადასხვაგვარად ჰქონდათ ჩაფიქრებული! ეთიმადოვლე თავდაცვას გეგმავდა, არაბისტანის ვალი — შეტევას.

და აი, გათენდა საბედისწერო 8 მარტი 1722 წლისა. ორივე მხარე გულისყურით უთვალთვალებდა ერთიმეორეს. სეფიანთა ირანის ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრწყინვალედ იყო შემოსილი და აღჭურვილი. მათ წინააღმდეგ იდგა ლამის ძონძებში გამოხვეულ ავლანთა ერთფეროვანი მასა.

გულნაბადის ბრძოლაში მონაწილეთა ოდენობაზე საისტორიო წყაროთა მონაცემები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. აი, როგორ გამოიყურება სეფიანთა ლაშქრის ოდენობა სხვადასხვა ავტორთა შრომებში:

სპარსელი ისტორიკოსები: მირზა მეჰდი — 60 ათასი, მუჰამედ მუჰსინი — 80 ათასი, მუჰამედ ხალილი — 80 ათასი. ანჟედე გარდანი (საფრანგეთის ელჩი ირანში) — 45 ათასი, იოსებ აბესალამაშვილი — 50 ათასი, თავდუშ კრუშინსკი — 50 ათასი, სარგის გილანენცი — 30 ათასი, ეტიენ პადერი (საფრანგეთის კონსული შირაზში) — 30 ათასი, პადრე ჟერომი — 60 ათასი, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის დავთარი — 50 ათასი.

ახლა ვნახოთ ავლანთა ლაშქრობის ოდენობა იმავე შრომებში:

მირზა მეჰდი — 8 ათასი, მუჰამედ მუჰსინი — 9 ათასი, მუჰამედ ხალილი — 40 ათასი, გარდანი — 10 ათასი, იოსებ ქართველი — 10 ათასი, გილანენცი — 12 ათასი, კრუშინსკი — 40 ათასი, პადერი — 10 ათასი, ჟერომი — 30 ათასი, ზემოხსენებული დავთარი — 12 ათასი.

აქ სიმართლის დადგენა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ვარაუდობენ, რომ სეფიანთა ირანის ლაშქარი რიცხობრივად სამჯერ მაინც აღემატებოდა შემოსეულ ავლანთა ლაშქარს.

სეფიანთა ლაშქრის ცენტრში იყო ეთიმადოვლე მუჰამედ ყული-ხანი, მარცხენა ფლანგზე — ლურისტანის ვალი ალი მარდან-ხანი, მარჯვენა ფლანგზე — როსტომ ყულარაღასი და არაბისტანის ვალი.

ავლანთა ლაშქრის ცენტრი ეჭირა თვით მირ-მაჰმუდს, მარჯვნივ მხარს უმშვენებდა გამოცდილი სარდალი ამანოლასულტანი და მარცხნივ — ნასროლა-სულტანი.

არც ერთი მხარე არ ამჟღავნებდა ბრძოლის წყურვილს. ფრთხილი ეთიმადოვლე თავდაცვაზე ფიქრობდა, ხოლო ავლანები მონინებით შეჰყურებდნენ მრავალრიცხოვანსა და ოქრო-ვერცხლით აბრწყვილებულ მონინალმდეგეს.

ასე გაგრძელდა დილიდან დღის ოთხ საათამდე!

ყულის ჯართან ერთად როსტომ ყულარაღასს თან ახლდა შაჰის რჩეული გვარდია — ოთხასი მამაცი და გამონრთობილი ქართველი. როსტომი და მისი მხედრები, დაღლილინი გაჭიანურებული უმოქმედობით, ბოლოს და ბოლოს, მძვინვარედ ეკვეთნენ მტრის მარცხენა ფლანგს და არე-დარევა შეიტანეს ავლანთა რიგებში. იმავდროულად, არაბისტანის ვალის კავალერიამ ფართო რკალი მოხაზა გაშლილ ველზე და თამამი რეიდით ავლანთა ზურგში აღმოჩნდა. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ორ ცეცხლშუა მოექციათ მარცხენა ფლანგი, როგორც იყო დაგეგმილი, და გაენადგურებინათ, არაბები ავლანთა ზანაკს დაეპატრონნენ და არხენად შეუდგნენ ძარცვა-გლეჯას.

როდესაც მირ-მაჰმუდმა დაინახა, რომ როსტომის იერიშმა მისი მარცხენა ფლანგი გადრიკა, გულგატეხილი ბრძოლის ველიდან გაქცევას აპირებდა. სარდალმა ამანოლამ დროზე შეაკავა ავლანთა წინამძღოლი და ურჩია, სასწრაფოდ მიშველბოდა გასაჭირში ჩავარდნილ ნასროლას. მირ-მაჰმუდმა მხნეობა მოიკრიბა და მხარში ამოუდგა თავისი ლაშქრის მარცხენა ფლანგს. ავლანთა ცენტრი დაცარიელდა, მაგრამ ეთიმადოვლეს ყურიც არ შეუბერტყავს და პასიურად ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას. კულმინაციური მომენტი დადგა, ხოლო ეთიმადოვლეს განკარგულებაში მყოფი თხუთმეტი ათასი მეომარი გულგრილი მაყურებლის როლს ასრულებდა. ძარცვა-გლეჯით გართულ არაბებსაც აღარ ეცალათ როსტომის დასახმარებლად. მირ-მაჰმუდმა და ნასროლა-სულტანმა გაერთიანებული ძალებით მოჰკვეთეს ქართველი ყულარაღასი სეფიანთა ლაშქარს.

ამასობაში მარცხენა ფლანგზე ლურისტანის ვალიმ შეუტია ავლანებს. ისინი გაიქცნენ, ნაწილმა მარცხნივ გაუხვია, ნაწილმა — მარჯვნივ და ღია სივრცე გაუხსნეს თავიანთ ზამბურაკებს (ანუ მსუბუქ ქვემეხებს). ასამდე დაჩოქილი აქლემის ზურგიდან ზამბურაკთა ცეცხლმა იფეთქა და მტრის რიგებში პანიკა დათესა. გადარჩენილებმა ძლივს მოახერხეს დაჭრილი სარდლის გაყვანა ბრძოლის ველიდან.

ეთიმადოვლემ უკანდახევა ბრძანა. ჯარმა უბრძოლველად უჩვენა ზურგი ავლანებს და უკანდახევა უწესრიგო გაქცევად გადაიქცა. ავლანებმა ისე სწრაფად და გაბედულად შეუტრეს სეფიანთა არტილერიას, რომ ფილიპ კოლომბმა მხოლოდ სამი გასროლა მოასწრო და ავლანთა ტალღამ გადაქელა მეზარბაზნენი.

ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ერთი მთავარსარდალი თავკუდმოგლეჯილი გარბოდა ისპაანისკენ, მეორე მთავარსარდალს კი, ყაჩაღობის გარდა, აღარაფერი ახსოვდა.

როსტომ ყულარაღასი და მისი ქართველი მხედრები, გარშემორტყმულნი ყოველი მხრიდან, თავგანწირვით იკაფავდნენ გზას არხისაკენ. სწორედ არხზე გადახტომისას როსტომის ცხენს ფეხი დაუცდა და წაიქცა. არხის ტალახიანი ფსკერიდან ცხენის ამოთრევას რომ ლამობდა, ავლანები თავს დაესხნენ და წუთისოფელს გამოასალმეს. ოთხასივე ქართველი მხედარი დაიღუპა როსტომ ყულარაღასთან ერთად.

გულნაბადის ბრძოლაში სეფიანთა ირანის ლაშქარმა დაკარგა ხუთი ათასი მეომარი, ავლანებმა — მხოლოდ ხუთასი.

სპარსელი ისტორიკოსი მუჰამედ მუჰსინი დამსახურებულ ხოტბას ასხამს როსტომ ყულარაღასისა და ქართველ მხედართა გმირობას და ასკვნის: „სხვა სარდლებს ლაჩრობა რომ არ გამოეჩინათ და ყულარაღასისათვის მხარი აებათ, უეჭველად გააქცევდნენ ავლანებს ბრძოლის ველიდან“.

სეფიანთა ირანის დროშაზე გამოსახულ ლომს კლანჭები აღარ უჭრიდა და მის ზურგზე შემჯდარი მზეც სხივდაცლილი იყო.